საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

გ. შუშანაშვილი

მეცნიერების ცდისეული და ლოგიკური საფუძვლები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1971

001
შ 963

შრომა შედგება ორი თავისაგან: პირველ თავში განხილულია ლოგიკურის ბუნება, ლოგიკური კანონების ხასიათი, მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტების მიღების საფუძველი, მეცნიერების საგნის საკითხი, მოცემულია ლოგიკური ემპირიზმის კრიტიკა. მეორე თავში გაანალიზებულია ცნებისა და საგნის არსებობის ურთიერთობის პრობლემა, ცნებისადმი ჭეშმარიტება—მცდარობის ნიშნის მიწერის საკითხი, მეცნიერების პოსტულატები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.

1—5—5
144—71 ადგ.

ვუძღვნი მამიდების ნინო და თიკო შუშანა-შვილების და დედის ძმის თედო გასილაშვილის ხსოვნას.

წინასიტყვაობის მაგიერ

მეცნიერების თეორიის საკითხი ფილოსოფიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი უბანია. დღეს მეცნიერების თეორიის საკითხებს იკვლევს ლოგიკური ემპირიზმი, რომელიც ცდისეულ მეცნიერებას შემოწმების საწყისზე აფუძნებს. მეცნიერების ცდაზე დაფუძნება ლოგიკური ემპირიზმის საღი აზრია, მაგრამ იგი ამ საფუძვლის ლოგიკურ განვითარებას სემანტიკურ თვალსაზრისამდე მიჰყავს და ეს საღი აზრი უარყოფილი ხდება.

ემპირიზმის ამოსავალია: ის, რაც არსებობს, ჩემთვის უნდა იყოს მოცემული, უამისოდ არსებობის შესახებ მსჯელობას აზრი არა აქვს. სწორედ ყველაზე უშუალო მოცემულობა არის წინადადებები. ამიტომ მეცნიერების ანალიზი წინადადებებისა და მათი კავშირების ანალიზია. ამით ლოგიკური ემპირიზმი თავის უარყოფამდე მიდის, რადგან წინადადების ანალიზისათვის ცდისეული შემოწმება საჭირო აღარ არის.

მაშასადამე, ლოგიკური ემპირიზმი სემანტიკამდე მისული თავისი თავის უარყოფაა. მეცნიერების ცდაზე დაფუძნება ისე უნდა მოხდეს, რომ ცდა, როგორც ამოსავალი, უარყოფილი არ იქნეს. ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ მეცნიერების დებულებებს გავიგებთ, როგორც ცდაზე დაფუძნებულს და ცდის განზოგადებებს. ლოგიკურ ემპირიზმს და, საერთოდ, ემპირიზმს უჭირს პოსტულატის ცდისაგან გამოყვანა, ამიტომ მას ან აპრიორულად, ან შეთანხმების გზით მიღებულად თვლის.

პოსტულატები უნდა გავიგოთ, როგორც ცდის განზოგადების შედეგი, რომელსაც შემეცნებითი ძალა იმით აქვს, რომ ასახსნელ მოვლენებს ხსნის და თავის გზაზე საწინააღმდეგო მოვლენა არ ხვდება. არა-

თუ ცდისეული, არამედ ეგრეთწოდებული განყენებული მეცნიერება, როგორიც არის მათემატიკა, ცდის საფუძველზეა აღმოცენებული და ამიტომ აქვს ცდაში გამოყენება. ცდისეული სინამდვილე შეიცავს უზოგადეს მიმართებებს, რაც შემეცნებაში ცდის საფუძველზე მიიღება.

მეცნიერების ლოგიკური და ცდისეული საფუძვლების ჭეშმარიტ გაგებას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია იძლევა.

თავი I

მეცნიერების აგებულების ზოგიერთი ლოგიკური საკითხი

§ 1. ლოგიკურის რეალურისაგან განსხვავება

რეალურისა და გნოსეოლოგიურის ურთიერთობის საკითხის გვერდით მნიშვნელოვან საკითხად რეალურისა და ლოგიკურის დამოკიდებულება ითვლება. ამ საკითხში ძირითადად ორი თვალსაზრისია გამოკვეთილი. პირველის მიხედვით ლოგიკური სრულიად დამოუკიდებელია რეალურისაგან, ხოლო მეორეთი—ლოგიკური რეალურისაგანაა დამოკიდებული. ლოგიკურისა და რეალურის ურთიერთობის საკითხი სრულ მნიშვნელობით არისტოტელესთან არის დასმული. მან „მეტაფიზიკაში" განიხილა ლოგიკის კანონები და მათ მეტაფიზიკური დასაბუთება მისცა. არისტოტელემ ეს კანონები გაიგო, როგორც არსის კანონები, ამ საკითხის ირგვლივ გამართული დავა დღესაც არ არის დამთავრებული. იმისათვის, რომ ლოგიკურის ბუნება გაირკვეს, ჯერ ის როგორმე უშუალოდ უნდა გვქონდეს მოცემული, ხოლო შემდეგ მასზედ მიმართულმა კვლევაძიებამ იგი შეიძლება რეალურისაგან ან განასხვაოს და ან შეიძლება მასთან ვააიგივოს. ამრიგად, ლოგიკური და რეალური უშუალოდაა მოცემული. ამ უშუალო მოცემულობის მიხედვით რეალურია ის, რაც დროულვრცეული განსაზღვრულობით ხასიათდება, რაც შეგრძნების ორგანოების საშუალებით გვეძლევა, ხოლო ლოგიკურია ის, რაც აზრად იწოდება.

აზრი და აზრის მიერ შექმნილი მეცნიერება არის ლოგიკურის არსებობის მაჩვენებელი. როგორც გნოსეოლოგიურს, ისე ლოგიკურს უპირველეს ნიშნად ის ახასიათებთ, რომ ისინი არსზე არიან მიმართულნი. თვითონ არსი ლოგიკურ-გნოსეოლოგიურისადმი გულგრილია: არსებობს თუ არა უკანასკნელი რეალურისათვის სულ ერთია, რადგან არსი მაინც არსებობს, არსი თავისთავადია, ხოლო ლოგიკურ-გნოსეოლოგიური არსისადმია მიმართული. ლოგიკურ-გნოსეოლოგიური თავის გამართლებას მოითხოვს, არსი კი თავისი საკუთარი არსებობითაა საფუ-

ძველდებული და მას დამატებითი ცდა რაიმესაგან გამოყვანისა და გამართლებისა აღარ სჭირდება. რაკი ლოგიკურ-გნოსეოლოგიური არსზეა მიმართული, მაშინ მათი ახსნა არსთან მიმართებაში უნდა მოხდეს.

თუნდაც რომ საგანი აზრის მიერ იყოს შექმნილი, მაინც აზრი მისკენ იქნება მიმართული, როგორც თავისი შემეცნების საგანზე. მაშასადამე, აზრის მიერ აგებული საგანი აზრი კი არ არის, არამედ საგნობრივობაა, საითკენაც მიმართულია აზრი, როგორც მისი შემმეცნებელი. უშუალო ცდისეულ სინამდვილეში რიცხვი მოცემული არ არის, იქ არსებობს საგნები; აზროვნებას განყენების საშუალებით შეუძლია შექმნას რიცხვი, ერთი და მრავალი, მაგრამ ამ განყენებას როდი მიუნიჭებია რიცხვებისათვის აზრად არსებობა, ისინი რიცხვებია, რომლებიც აზრის საგნად იქცევიან.

ყოველი მეცნიერება ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა. ფორმის ქვეშ იგულისხმება ის, რის საშუალებითაც საგანზე მოცემულია რაიმე ცოდნა, ან საერთოდ აზრი. „ყოველი ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონებისაგან“, ეს არის მსჯელობა, რომელიც ატომის შესახებ ცოდნას გვაძლევს, ის გვასწავლის, რომ ატომში არის ბირთვი და ელექტრონი. ეს არის ამ მსჯელობის შინაარსი; მისი ფორმა იქნება განყენებული ცნებები და მათი კავშირი, რითაც ეს შინაარსია გადმოცემული. აქ ასეთი განყენებული ცნებებია: სუბიექტი, რომელზედაც რაიმე უნდა გამოითქვას, და ის, რაც სუბიექტზეა გამოთქმული, რომელსაც პრედიკატი ეწოდება. მესამედ შეიძლება იწოდოს ამ ორი განყენებული ცნების კავშირი, რის გარეშე სუბიექტი და პრედიკატი მსჯელობას არ წარმოადგენს და რომელთაც არც შეიძლება სუბიექტ-პრედიკატი ეწოდოს. სუბიექტ-პრედიკატის კავშირი მრავალი შესაძლებელი მსჯელობის ფორმაა, ის ყველა მათი საერთო ნიშანია და ამიტომ მოცემულ შინაარსთან იგივეობრივი არ არის. s—p, ასე გამოითქმება ზემოთ მოცემული მსჯელობის ზოგადი ფორმა. ამ ფორმისათვის მრავალი შესაძლებელი მსჯელობაა. თვითონ ის მსჯელობას არ წარმოადგენს, რადგან მასში რაიმე გარკვეული შინაარსი მოცემული არ არის, ამიტომ მისი გამოთქმა არავითარ ცოდნას არ გვაძლევს; ის მსჯელობად და ცოდნის მომცემად მაშინ გახდება, როცა მასში რაიმე გარკვეული მსჯელობა ჩაისმება. მსჯელობის ფორმა ზოგადია, ხოლო შინაარსი — კერძო.

მსჯელობის ფორმა რომ განვიხილოთ, ის გარკვეული ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს. მაგ., სუბიექტზე ვიტყვით, რომ ის არის ცნება, რომელიც იმ საგანს გამოთქვამს, რომელზედაც აზროვნებაა მიმართული, ხოლო პრედიკატი ის ცნებაა, რომელიც საგნის იმ მხარეებს გამოთქვამს, რითაც საგანი უნდა დახასიათდეს. ეს არის ამ მსჯელობის თეისება. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეს შინაარსი, რითაც მსჯე-

ლობის ფორმა დახასიათდა, ფორმასთან იგივეობრივია, რადგან ფორმის ნიშნები და მათი ერთიანობა ისევ ფორმაა და ახალ სინამდვილეს არ ქმნის. ცოდნის შინაარსი ცოდნის ფორმამდე არ არსებობს, ცოდნის შინაარსი აზრია, ხოლო ყოველი აზრი გარკვეული ფორმით არსებობს. აზროვნება ქმნის ცოდნის შინარსს და მისი ქმნადობა ფორმის ქმნადობით მიმდინარეობს. „ყოველი ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონისაგან". ეს ცოდნა, როგორც ჩვენი შინაარსი, ამ ფორმამდე არ არის. ის, რაც ცოდნას, როგორც გარკვეულ ფორმაში ჩამოქნილ შინაარსს, წინ უსწრებს, არის არა შინაარსი, არამედ საგანი, როგორც აზროვნებისათვის მოცემული. საგნის მოცემულობა და მისი შემეცნება ერთი და იგივე არაა. პირველი მხოლოდ პირობაა მეორისათვის. თუ საგანი არ არის მოცემული, ისე მისი შემეცნება შეუძლებელია. საგნის მოცემულობა ნიშნავს აზროვნების მასზე წარმართვას, ხოლო ცოდნა საგანზე აზროვნების წარმართვის მეთხებით იბადება. მოცემულობა და ცოდნა შეიძლება ისე არ იყოს ერთმანეთისაგან დაშორებული, რომ ის ჩვენთვის შესამჩნევი იყოს, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან დამოკიდებულება ანალიზით ნათელი ხდება.

ცოდნის გამოხატვის უმაღლეს ფორმას დასკვნა წარმოადგენს. ეს არის მოცემული აზრიდან ახალ აზრზე გადასვლის ფორმა. დასკვნასაც აქვს მრავალნაირი ფორმა, რომელთა საერთო ნიშანია მოცემულიდან ან ცნობილიდან უცნობზე გადასვლა. ლოგიკურის სრული ფორმა დასკვნაა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: $(A \to B) \wedge (B \to C) \to (A \to C)$. დასკვნა, როგორც ლოგიკური მოვლენა, შეიძლება შეუდარდეს რეალობას და დადგინდეს მათი ურთიერთგანსხვავება. რეალურის პირველი და უძირითადესი ნიშანია მისი დროულობა, რომელიც დროში არსებობით ხასიათდება. საგნის დროში არსებობა ნიშნავს, რომ ის დროში იწყება და დროში მთავრდება. მცენარის თესლი განსაზღვრულ დროს ნიადაგში დაითესება, განსაზღვრულ დროს გაღივდება, მცენარედ იქცევა, გამოიღებს ნაყოფს. საგნის დროში მიმდინარეობა მიზეზობრივია, ერთი საფეხური მეორის მიზეზია, მეორე მესამისა და ასე შემდეგ. ერთი საგანი მეორე საგნის მიზეზად დროში იქცევა, დროული მოძრაობა საგნების ერთიმეორის შემდეგ მოძრაობას ნიშნავს. ამიტომ ფორმალურად ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ერთს მეორე არ მოჰყვეს, ერთიდან მეორე არ წარმოიშვას, შეფერხდეს მისი მოძრაობა. ამრიგად, დროული მიზეზობრივი მოძრაობა ფორმალურად ყოველთვის გულისხმობს თავისი თავის საწინააღმდეგო მდგომარეობის წარმოშობის შესაძლებლობას. თუ, მაგალითად, გარკვეულ დროს მეორე დღისათვის კარგი ამინდის შესაძლებლობა, ანუ პირობები არსებობს, შესაძლებელია, რომ ეს პირობები თავის საწინააღ-

მდეგოდ გარდაიქმნას. თესლი, რომელიც ნიადაგში დაითესა, შესაძლებელია არ გაღივებდეს და მისგან მცენარე არ წარმოიშვას. დროული მოძრაობის დროს საგნიდან ისეთი რამ წარმოიშობა, რომელიც მასში არ იმყოფება, მაგრამ მასში არის მისი წარმოშობის რეალური შესაძლებლობა, ე. ი. მასში ისეთი რამ არის, რომელიც უშუალოდ ის არ არის, რაც მისგან წარმოშობილი, მაგრამ გარკვეული პირობების თანხლებით ის მას წარმოშობს; დროული მოძრაობის დროს ხდება ახლის წარმოშობა, რომელსაც შეიძლება განვითარება ეწოდოს. ახლის წარმოშობა შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევაშია.

ფორმალურად ყოველთვისაა იმის შესაძლებლობა, რომ რაიმე მოცემული სინამდვილე მოისპოს, რადგან საგნის არსებობის პირობების შეცვლისას თვითონ საგანი შეიცვლება. თუ დასკვნას ამ კუთხიდან განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის დროული მოძრაობისაგან ძირეულად განსხვავდება.

ლოგიკური მოძრაობა წინამძღვრებიდან დანასკვის მიღებაში მდგომარეობს. წანამძღვრები დანასკვს დროის მიხედვით წინ არ უსწრებენ, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთდროულია, რადგან ერთდროული არსებობა მაინც დროში გაპირობებული არსებობაა. ერთდროულობა ნიშნავს ორის ან რამდენიმეს ერთსა და იმავე დროს არსებობას, რაც ვრცელი საგნებისათვის არის დამახასიათებელი, რაკი წანამძღვრები და დანასკვი დროული მოძრაობით არ ხასიათდებიან, ამიტომ არც ის შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის მიზეზობრივი კავშირია, რადგან წანამძღვრები რომ დანასკვის მიზეზი იყოს, რაღაც დრომ, რაღაც მოძრაობამ უნდა გაიაროს, რომ დანასკვი გაკეთდეს. მაშასადამე, ვანელილი დრო და მასში განხორციელებული მოძრაობა უნდა იყოს დანასკვის მიღების მიზეზი, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ საჭირო იქნებოდა დროს ზომის ცოდნა, რასაც დანასკვის მიღება უნდა შეესაბამებოდეს. თუ დანასკვის მიღების საფუძველი დრო იქნება, მაშინ უნდა გაირკვეს ისეთი დრო, რომელიც დანასკვის მიღებას ან აუცილებელს გახდის, ან შესაძლებელს; დრო რომ დანასკვის მიღების საფუძველი იყოს, მაშინ დროის მიხედვით ან ჰეშმარიტ, ან მცდარ დანასკვს მივიღებდით. სინამდვილეში, შეუძლებელია დროს მიერ დანასკვზე ზემოქმედების ამ ნიშნების შემჩნევა. დროული მოძრაობით დანასკვის ბუნება არ ხასიათდება.

მაშასადამე დრო, მიზეზობრიობა, განვითარება დანასკვის ბუნების დახასიათებას ვერ მოგვცემენ. ეს ასე რომ იყოს, ლოგიკური რეალურთან იგივეობრივი იქნებოდა. ლოგიკურის ფორმას წარმოადგენს დასკვნა, რომელიც წანამძღვრებისა და დანასკვისაგან შედგება. ამ ორი ნაწილის ურთიერთკავშირს რომ ვიხილავთ, ვნახავთ, რომ წანამძღვ-

რები იმთავითვე დანასკვს თავისში შეიცავენ. არავითარი დრო და ხან-გრძლივობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ წანამძღვრებში დანასკვის მიღების შესაძლებლობა დაიბადოს. წანამძღვრებში იმთავითვე მოცემულია დანასკვის მიღების შესაძლებლობა, რაც წანამძღვრებში რაიმე დროს გასვლის შემდეგ არ იბადება. რაკი დანასკვის შესაძლებლობა დროში არ იბადება, ამიტომ ის არც რომელიმე დროში მოისპობა. რაკი მოცემულია წანამძღვრები, მხოლოდ ერთადერთი დანასკვის მიღების შესაძლებლობა იქნება, თუ მოცემულია წანამძღვრები — ყოველი ლითონი ელექტრობის გამტარია და რკინა ლითონია — მაშინ მათგან ერთადერთი დანასკვის მიღების შესაძლებლობა არსებობს და დროულ ცვალებადობას არ შეუძლია ამ დანასკვის შესაძლებლობის გაუქმება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ წანამძღვარსა და დანასკვს შორის დამოკიდებულება ზედროულია.

დასკვნა, როგორც არსებული, დროულია მხოლოდ იმ აზრით, რომ ის არ იყო და ჩვენ შევქმენით; დასკვნა დროულია იმ აზრითაც, რომ ჯერ დაიწერება ან გამოითქმება პირველი წანამძღვარი, ხოლო შემდეგ — მეორე წანამძღვარი. ეს მოძრაობა დროულია, დრო უნდა როგორც პირველი, ისე მეორე წანამძღვარის გამოთქმას ან დაწერას; ასევე დრო უნდა დანასკვის გამოთქმას ან დაწერას. აქ დროული არ არის მხოლოდ წანამძღვარსა და დანასკვს შორის შინაარსობლივი დამოკიდებულება. რაკი გამოთქმულია ან დაწერილი წანამძღვრები, მათში დანასკვი იმთავითვეა მოცემული. დანასკვის ზედროულობა მისი დროული მოძრაობის, ანუ დროში მისი გამოთქმის ან დაწერის საფუძველია; ე. ი. დანასკვი რომ იმთავითვე ყოველი დროის გარეშე არ იყოს წანამძღვრებში, ვერავითარი დროული მოძრაობა იქიდან დანასკვს ვერ გამოიყვანდა.

ამრიგად, დანასკვსა და წანამძღვრებს შორის დროული დამოკიდებულება მხოლოდ გარეგანი და შემთხვევითი ხასიათისაა. მოცემულ წანამძღვრებიდან დანასკვს გამოვიყვანთ თუ არ გამოვიყვანთ, ამას დანასკვის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დანასკვი იქ იდეალურად არსებობს, მას მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცოდნის განეითარებისათვის, რადგან ცოდნა ლოგიკური თვალსაზრისით ნიშნავს წანამძღვარებიდან დანასკვის მიღებას.

წანამძღვარებიდან დანასკვის მიღება აბსოლუტური აუცილებლობაა. თუ მოცემულია გარკვეული წანამძღვრები, მათგან დანასკვის მიღებას ვერავითარი პირობები ვერ შესცვლის. დანასკვი უშუალოდ რომ იგივე იყოს, რაც მისი პირველი ან მეორე წანამძღვარი, მაშინ ის შემეცნების თვალსაზრისით მოსაწყენი იქნებოდა.

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია
მაშ რკინა ლითონია.
ან ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია.

ასეთი დასკვნა არაფრის მთქმელი არ არის, ის წმინდა ტავტოლოგიაა.

დანასკვის სახით იმ აზრის გამოტანა შეიძლება წანამძღვრებიდან, რაც მათში უკვე არის მოცემული. წანამძღვრებში არსებული ცნებები ისეთ მიმართებაში უნდა იყვნენ, რომ მათგან აუცილებლად ერთადერთი ახალი მსჯელობა მივიღოთ, ცნებათა დამოუკიდებლობამ ისე უნდა შეკრას წრე, რომ გარეთ გასვლის ადგილს არ ტოვებდეს; დასკვნა, როგორც ლოგიკური მოვლენა, სწორედ ასეთი ბუნებისაა, ის გარეთ გასვლის ადგილს არ ტოვებს, ამიტომ მას აუცილებლობის ხასიათი აქვს. შემეცნებას ზოგადად ახასიათებს შემეცნების საგნებში იგივეობისა და განსხვავების აღმოჩენა. სწორედ დასკვნა ემყარება ზოგადად ამ საყრდენს. დასკვნა, როგორც ლოგიკური მოვლენა, იმით არის შესაძლებელი, რომ ის საგანთა შორის იგივეობას ან განსხვავებას დაადგენს, რაც განსაზღვრავს დანასკვის ხასიათსაც. დასკვნამ, როგორც ლოგიკურმა მოვლენამ, წანამძღვრების საშუალებით უნდა დაადგინოს ორ საგანს შორის იგივეობა ანდა ერთი საგნის მეორე საგანში არსებობა. მაგალითად,

ყოველი ლითონი არის ელექტრობის გამტარი
რკინა არის ლითონი.

აქ დადგენილია ლითონსა და რკინას შორის იგივეობა, ანდა რკინის შემცველობა ლითონში. თუ რკინა იგივეა, რაც ლითონი, მაშინ როგორიც ლითონია ისეთი იქნება რკინაც; ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ერთი საგნის მეორე საგანთან იგივეობა ანუ იგივეობის დადგენა არის ახალი მსჯელობის, დანასკვის, მიღების საფუძველი. ძნელ საკითხად დასახვა იმისა, თუ როგორ ხდება მოცემული აზრებიდან ახალი აზრის გამოყვანა, საფუძველს მოკლებულია, თუ თვით იგივეობას არ დავსახავთ ასეთ სიძნელედ. საიდან გამოყავს აზროვნებას ის დებულება, რომ იგივეობა უნდა იყოს ლოგიკური დასკვნის საფუძველი? ძნელია იმ აზრის მიღება, რომ აქ იგივეობა აზროვნებას თვითნებურად აქვს დაშვებული, თვითნებური დაშვების ამბავი შესაძლებელია მიზანშეწონილობის საფუძველზე. მიზანშეწონილობა სუბიექტური მოვლენაა, ლოგიკური კი თავისთავადია, ამიტომ ეს კანონი თვითონ ლოგიკურის ანალიზიდან უნდა იყოს გამოყვანილი. მხოლოდ იგივეობა ლოგიკურს ვერ ააგებს, თუ მას დამატებითი პირობები არ ახლავს. შეიძლება ვთქვათ,

რომ ლითონი არის ელექტრობის გამტარი და რკინა ლითონია, მაგრამ აქედან ჩვენ აუცილებლობით დანასკვის მიღება არ შეგვიძლია, რადგან გაურკვეველია, არის თუ არა რკინა ის ლითონი, რომელიც ელექტრობის გამტარია, შეიძლება არის ისეთი ლითონიც, რომელიც ელექტრობის გამტარი არ არის, ამიტომ უნდა გაირკვეს ლითონის ელექტროგამტარობის ცნება. აქ ლოგიკურობას მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ზოგადობის ნიშანს „ყველას“ გამოვიყენებთ, მაშასადამე იგივეობისა და ზოგადობის ნიშნების ერთიანობით შესაძლებელი ხდება ლოგიკურის აგება.

„ყველას“ და „იგივეობის“ ცნებების გამოყენებით შეიძლება დადგინდეს ორი საგნის იგივეობა. თუ ერთი საგანი ასეთია, ხოლო მეორე პირველის იგივეობრივია ანუ მისი სახეა, მაშინ ისიც ასეთი იქნება. კერძოობითი წანამძღვრები სწორედ იმიტომ არ ადგენენ ლოგიკურ აუცილებლობას, რომ იქ სწორედ „ყველას“ ცნება აკლია, ამიტომ წანამძღვრები ერთიმეორის გვერდით დგანან, ერთმანეთთან იგივეობა ან ერთმანეთში შემცველობა განუხორციელებელია. ლოგიკურობის დადგინისათვის არც ეს ორი ცნებაა საკმარისი. შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა ორივე ეს ცნება გვაქვს, მაგრამ ლოგიკური აუცილებლობა არაა. მაგალითად, ყოველი ევროპელი თეთრკანიანია, ყოველი ფრანგი თეთრკანიანია. აქ ცნება „ყველა“ ორივე წანამძღვარში კანონიერადაა გამოყენებული, მაგრამ ლოგიკურ აუცილებლობას არ ქმნიან. აქ ცნებების დამოკიდებულება ისეთია, რომ ლოგიკური წრე დახურული არ არის, სადაც ის გახსნილია და სხვისი შესაძლებლობაც იბადება. კერძოდ. იმის შესაძლებლობა, რომ ფრანგი შეიძლება ისეთი თეთრკანიანია, რომელიც ევროპელი არ არის. აქ შეგვიძლია ახალი მსჯელობა დავადგინოთ და ვთქვათ, რომ ყოველი ფრანგი ევროპელია, მაგრამ ეს იქნება გარედან შემოტანილი მსჯელობა; კერძოდ იქიდან. რომ ჩვენ ვიცით ფრანგის ევროპელობა, თორემ აქ მოცემული წანამძღვრებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. დანასკვი მხოლოდ მაშინ იქნება მიღებული, როცა ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია, თუ რაიმე საგანთა კლასს რაიმე გარკვეული ნიშანი მიეწერება, ხოლო რაიმე მეორე საგანს ეს ნიშანი არა აქვს. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ — მეორე საგანი პირველი არ არის.

მაშასადამე, შეუძლებელია მსჯელობის პრედიკატსა და სუბიექტზე დანასკვის მიღება, სამაგიეროდ შესაძლებელია დანასკვის გაკეთება მათ სუბიექტებზე. მათი ურთიერთობის შესახებ გვაქვს რაღაც იგივეობრივი უარყოფითი საშუალო ცნების სახით, მაგრამ აქ დანასკვის მიღების განმსაზღვრელია არა იგივეობა, არამედ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი: თუ დანასკვს მივიღებთ დადებითად და ვიტყვით, რომ, მაგალითად, ზანგი ევროპელია, მაშინ დანასკვი იქნება წანამძღვარის სა-

წინააღმდეგო, რომელიც მიგვითითებს, რომ ზანგი არ არის თეთრკანიანი.

დანასკვსა და წანამძღვარს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. რადგან ლოგიკურის ბუნება წინააღმდეგობას ვერ ითმენს, წინააღმდეგობა შლის ლოგიკურს, ლოგიკური დახშული წრეა, ხოლო წინააღმდეგობა ამ წრეს აპობს და დებულებები ერთიმეორის მიღმა დგანან; ლოგიკურში მოცემულიდან გადასვლა უნდა მოხდეს ახალზე, ხოლო წინააღმდეგობას ამ გადასვლის განხორციელება არ შეუძლია. რაკი მსჯელობებს შორის დავუშვებთ წინააღმდეგობას, რომ ერთი არ არის მეორე, მათი გაერთიანება იმ მიზნით, რომ მას ლოგიკური აუცილებლობის სახე მივცეთ, განუხორციელებელი რჩება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქ დაშვებულია ერთი დადებითი წანამძღვარი, მეორე კი უარყოფითი, ლოგიკური წინააღმდეგობა მათ შორის არ არის. უარყოფითმა დადებითისაგან თავისი თავი გამოჰყო, ამიტომ ის არც დადებითი ნიშნებით ხასიათდება. უარყოფითი დადებითი არ არის, ამიტომ დადებითის ნიშნებიც არ მიეწერება, დანასკვში სწორედ ის აზრია, რომ ერთი მეორე არ არის.

როგორც ჩანს, დადებითწანამძღვრებიან დასკვნებში განმსაზღვრელს წარმოადგენს იგივეობის კანონი, რამდენადაც ხდება ერთის მეორესთან იგივეობის დადასტურება, ხოლო უარყოფითწანამძღვრებიან დასკვნებში განმსაზღვრელს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი წარმოადგენს. ლოგიკური აუცილებლობა ცნებების ისეთი დამოკიდებულებაა, რომელიც ერთადერთ შესაძლებლობას გამოიჩენს. როგორც ჩანს, ცნებების ეს დამოკიდებულება ჩვენს ნება-სურვილზე არ არის, ის რაღაც ობიექტურია. ცნებების ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელს ხდის დანასკვს, ხოლო სხვაგვარი დამოკიდებულება ამას გამორიცხავს. მაშასადამე, ცნებების დამოკიდებულებას აქვს რაღაც კანონზომიერება, რომელიც მისი განმსაზღვრელია. როგორც ობიექტურ სინამდვილეში ბევრი რამაა შეუძლებელი, ასევე ლოგიკურ აზროვნებაშიც ყველაფერი არ არის შესაძლებელი. ლოგიკურში რაიმეს შესაძლებლობა ყოველთვის ლოგიკურის კანონებს ემყარება.

§ 2. ლოგიკის კანონები

ადამიანის აზროვნების ლოგიკური მსვლელობა მისი კანონებით არის განსაზღვრული. ლოგიკის მეცნიერებაში ცნობილია იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის, გამორიცხული მესამისა და საკმარისი საფუძვლიანობის კანონები.

ფილოსოფიაში ცნობილია, რომ მთელ ცოდნასთან ერთად ლოგიკის ამ კანონებსაც აპრიორულად აცხადებდნენ. ასეთი გზით წავიდა კან-

ტი, რომლის ლოგიკაში მოცემული კანონები აპრიორულია: საწინააღმდეგო თვალსაზრისია ემპირიული, რომლის მიხედვით აზროვნებას ყველაფერი ცდიდან აქვს მიღებული. ასეთი ემპირიზმის სანიმუშო წარმომადგენელია მილი. ამ უკიდურესობათა შორის მონახული უნდა იქნეს ისეთი გზა, რომელიც ნამდვილ ვითარებას წარმოგვიდგენს. აპრიორიზმის თვალსაზრისი მიუღებელია, რადგან მისთვის მთელი ეგრეთწოდებული წმინდა ბუნებისმეტყველება და წმინდა მათემატიკა აპრიორულია. მათში იგულისხმება ბუნებათმეცნიერების უზოგადესი ცნებები და ინტუიციის ფორმები, მათემატიკური მიმართებები, რომლებიც დაფუძნებულია ინტუიციის ფორმებზე, კერძოდ სივრცეზე.

აზროვნება, რომელიც ასახავს სინამდვილის უზოგადეს მიმართებას, შეუძლებელია გარკვეულობისაგან თავისუფალი იყოს. ოდესღაც ამ ქვეყანაზე წარმოიშვა ადამიანი, რომელსაც აზროვნება აქვს. რაკი მივიღეთ აზროვნების არსებობა, ის რაიმე გარკვეულობით უნდა ხასიათდებოდეს. აზროვნების გარკვეულობა მისი კანონზომიერებაა. აზროვნება შემეცნების იარაღია, ეს კი მის კანონზომიერ არსებობას მოითხოვს. აზროვნება არ არის უშუალოდ ტვინის ფიზიოლოგიური მოძრაობა, რომელიც ფიზიოლოგიური კანონებით მოქმედებს.

შემეცნება იწყება, შემმეცნებელი კი ადამიანის აზროვნებაა და იგი გარკვეულ კანონებს უნდა ემყარებოდეს. ამრიგად, პირველი, რაც ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, როგორც აზროვნების გარკვეულობის მაჩვენებელი, არის კანონები, რომლებიც მის შემეცნებით მოძრაობას განსაზღვრავენ. თუ ვიტყვით, რომ ეს კანონები აზროვნებას მიღებული აქვს გარე სინამდვილისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნებას შემეცნება უწარმოებია და იბადება სიძნელე: როგორ არის შესაძლებელი შემეცნების წარმოება, თუ მას რაიმე კანონზომიერება არ ედვა საფუძვლად. კანონის შემეცნება კანონით არის განსაზღვრული. თუ იმას ვიტყვით, რომ დასაწყისში შემეცნება უმარტივესი იყო, ხომ მაინც შემეცნება იყო, რომელსაც კანონები უნდა ჰქონოდა, თორემ ამის გარეშე აზროვნების, თუნდაც მარტივის, დაშვება შეუძლებელია. ამას გარდა თუ აზროვნებას, კანონები ჯერ არ ესაჭიროებოდა და ისინი ახალ საფეხურზე ასვლისას მიიღო, ეს გადასვლა ხომ კანონზომიერებითაცაა განსაზღვრული და ამიტომ მის საფუძველში კანონები უნდა ყოფილიყო, კანონების მიღებისათვის აზროვნება კანონზომიერი უნდა იყოს. მარტივიდან რთულზე გადასვლა ხომ მარტივი აღარ არის, ეს გადასვლა კანონითაა განსაზღვრული. მაშასადამე, თუ დავუშვებთ აზროვნების უმცირეს უნარს და უმცირეს შემეცნებას, უნდა დავუშვათ აზროვნების კანონები, რომლებიც მისი მოძრაობის ბერკეტებს წარმოადგენენ და შემეცნებას განსაზღვრავენ.

კანტის იდეალიზმი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან აზროვნებაში კანონების არსებობა დაუშვა, არამედ იმაში, რომ მან ცოდნის აპრიორიზმი აღიარა. ცოდნა არის აზროვნების სინამდვილესთან ისეთი მიმართება, როცა ის რაიმეს ადასტურებს ან რაიმეს უარყოფს, ხოლო კანონები ასეთი ცოდნა არ არის. სინამდვილე არსებობს თავისი კანონზომიერებით და საკითხი იმას ეხება თუ როგორი გზითაა მისი შემეცნება — ცდისეულით თუ ზეცდისეულით, აპოსტერიულით თუ აპრიორულით.

კანონი რომ ცოდნა იყოს, მაშინ ადამიანს მასზე დასაწყისიდანვე უნდა ჰქონოდა ცოდნა, რადგან ეს კანონები დასაწყისიდანვე მოქმედებენ. ძალიან დიდი ხნის მერე კანონები გახდა ცოდნის საგანი და შეიქმნა მის შესახებ მეცნიერება, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი, რაც არის აზროვნებაში, ადამიანისათვის არ არის გააზრებული, შემეცნების საგნად ქცეული და ამიტომ ის არც არის ცოდნა. სინამდვილის ასახვის შედეგად ვადგენთ ცნებებს, რომლებიც შეიძლება დავიწყოთ, ხოლო კანონი, ვიცით თუ არა ის, მაინც მოქმედებს.

ფიზიკური სინამდვილის ასახვის შედეგად ვადგენთ ცნებებს, მაგრამ ისინი აზროვნების კანონებად არ ხდებიან, ისინი მხოლოდ ფიზიკურის კანონებს გამოთქვამენ. აპრიორულობა-აპოსტერიულობა კანონების არსებობას კი არ ეხება, არამედ—მათ შემეცნებას. რაკი კანონები, რომელთაც აზროვნება ემყარება, ასეთი ბუნებისაა, ამიტომ გასაგებია, რომ ისინი იმთავითვეა მასში და არ შეიძლება გარედან იყოს მიღებული.

აზროვნების კანონები არ შეიძლება აზროვნების პროცესს მოვწყვიტოთ, ისე როგორც ფიზიკური და ქიმიური მოვლენების კანონები არ შეიძლება მოვწყვიტოთ თვით ამ მოვლენებს.

ახლა შეიძლება დაისვას შემდეგი საკითხი: ლოგიკის კანონები მხოლოდ ლოგიკის კანონებია, თუ ისინი ისეთი კანონებია, რომლებიც ამავე დროს სინამდვილის კანონებიცაა? ეს საკითხი არისტოტელემ დადებითად გადაწყვიტა. არისტოტელე მეტაფიზიკაში ამ კანონებს განიხილავს, როგორც არსისა და, ამავე დროს, აზრის კანონებს. მაშ, თუ ეს ასეა, არსისა და აზრის კანონები ერთი და იგივეა, ამიტომ ეს კანონები აზრისა და არსის ერთიანობის კანონებია, აზრისა და არსის საერთო კანონებია. ახლა საკითხი ისმის: სინამდვილისა და აზრის რა მხარეების კანონები არიან ისინი? ისინი არიან აზრისა და არსის გარკვეულობის კანონები. გარკვეულობა ნიშნავს სინამდვილის ისეთ უზოგადეს მხარეს, რომლითაც ის შეიძლება დახასიათდეს. საგანი, რომელიც გარკვეული ნიშნებით არ ხასიათდება, არ არის საგანი, არც არსობრივად და არც ლოგიკურად არ არის ნამდვილი. საგნის ნამდვილად არსებობის აუცი-

ლებელი პირობაა მისი გარკვეულობა. რაც გარკვეული არის, ის არის სინამდვილე, არსებული საგანი შემეცნებისათვის უნდა იყოს მოცემული და მის მიერ აღიარებული. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა საგანი შემეცნებას გარკვეული ნიშნებით ეძლევა და შემეცნებას შეუძლია მათი აღწერა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საგანი არის საგანი და ის, როგორც საგანი, შემეცნებას აქვს მოცემული. როცა ვიტყვით საგანი არის, მაგრამ ამავე დროს არც არის, მაშინ საქმე გვაქვს გაურკვევლობასთან. პირველ კანონს, რომელიც ამ გარკვეულობას გამოთქვამს და გამოხატავს, რომელიც საგნის გარკვეულობას ადგენს, ეწოდება იგივეობის კანონი. იგივეობის კანონი, თუმცა ტავტოლოგიურია, მაგრამ ლოგიკური ბუნების ამხსნელია.

სინამდვილის რა მხარეც უნდა ავიღოთ, ის დროის ყოველ მონაკვეთში არის რაღაც გარკვეული. ის არის ეს და აზროვნებას მისადმი მიმართვა მხოლოდ ამ პირობით შეუძლია. ამ კანონიდან არ გამომდინარეობს, რომ საგანი არ უნდა იცვლებოდეს, საგანი არ უნდა ვითარდებოდეს. ეს კანონი საგნის უცვლელობის კანონი არ არის, მისთვის სულ ერთია, საგანი იცვლება თუ არა. მისთვის მთავარია, რომ საგანი, როგორც არსი, ყოველ მოძრაობაში იყოს ის, რაც ის არის, ანუ იყოს რაღაც გარკვეული, რომლის დახასიათება შესაძლებელია, რომლის ძალითაც აზროვნებასთან ერთიანობა დადგინდება. ეს არის საგანთა არსებობის უზოგადესი კანონი და ამდენად შეიძლება ითქვას, მათი ფორმალური არსებობის კანონი.

მაგიდაზე მდგარი სამელნე რომ ამგვარად მოცემულობასთან ერთად მაშინვე კარგავდეს ამგვარად არსებობას და სხვაგვარად იქცეოდეს, ხოლო ის სხვაგვარობა კიდევ სხვადასხვაგვარობად და ა. შ., მაშინ ამ საგნის გარკვეულობის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყოდით და ის ვერც მოთავსდებოდა არსებულ საგანთა რიგში.

ამგვარად, იგივეობის კანონი საგნის თავის თავთან იგივეობის გამომთქმელია. ყოველი საგანი დასაწყისიდან დასასრულამდე სწორედ თავის თავთან იგივეობრივია და ეს არის სწორედ მისი გარკვეულად არსებობის პირობა. როგორც ვთქვით, ეს იგივეობა საგნის ფორმაში, მის სტრუქტურულობაშია. ამ კანონიდან არ გამოდის, რომ ყველა საგანი ყველასთან ერთი და იგივეა, მაშინ არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთი იქნებოდა. ერთი საგნის ცნებას შეუძლებელს ხდის, რადგან, რაკი საგანი ფორმის მქონეა, ის განსაზღვრულია; რაკი ის განსაზღვრულია, მაშინ მის გარეთ არსებობს საგანი, რაც ამ საზღვარს წარმოადგენს, ისე რომ საგნების ურთიერთ-განსაზღვრულობა იმის შედეგია, რომ ყოველი საგანი თავის თავთან იგივეა. თითოეული საგნის თავის თავთან იგივეობა არის აგრეთვე განსხვავების საფუძველი.

რაკი თითოეული თავის თავთან იგივეა, ერთი არ არის მეორე საგანი, როგორც გარკვეული თავის თავში ზღვარდებულია, ის ასეთია და არა სხვა გვარის, თავის თავში გამორიცხავს სხვაგვარობას, რომელიც თავის გარეთ აქვს. ერთი პიროვნება არ არის მეორე პიროვნება, ერთი არ შეიცავს მეორეს თავისში. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ორი კი არა, ერთი პიროვნება იქნებოდა.

იგივეობის კანონი იმას კი არ გულისხმობს, რომ საგანს მხოლოდ ერთი ნიშანი უნდა ჰქონდეს, ანდა ყველა ერთი და იგივე უნდა იყოს; ის გულისხმობს, რომ მას მრავალნაირი ნიშანი აქვს და ეს ნიშნები თავისი ერთიანობით ერთ საგანს შეადგენს.

საგანი თავის თავთან იგივეობრივია თავისი გარკვეული ნიშნების ერთიანობით. საგნის ყოველ ნიშანში ერთი საგანია ასახული, რომელიც მთელის ნაწილია და მასში მთელია გამოხატული. იგივეობის, როგორც არსის კანონის, წინააღმდეგ წამოყენებულია დებულება, რომ სინამდვილეში არაფერი არ არის იგივეობრივი, საგანი უწყვეტი ცვლილების ქვეშ იმყოფება და ამიტომ ის შეიძლება იყოს მხოლოდ აზრის კანონი და არა სინამდვილისა.

მართლაც სინამდვილეში მიმდინარეობს ცვლილებები, რომლებსაც თავისი კანონებიც აქვს, მაგრამ ეს ცვლილებები რაღაც უცვლელს მიეწერება ანუ რაღაც საგანია, რომელიც იცვლება და ამ ცვლილების მანძილზე საგანი უცვლელი და იგივე რჩება. იგივეობის კანონი სწორედ ამ უცვლელის გამომთქმელია, რომელიც საგნის ცვლილების დროს არსებობს. საგანი იცვლება თუ არ იცვლება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ საგანი ყოველ დროს გარკვეულია და საგანი ის არის რაც არის. იგივეობის კანონი საგნის ცვლილებაზე არაფერს არ გვეუბნება, არც ჰოს და არც არას, რადგან ის არ არის მისი მოძრაობისა და განვითარების ამსახველი კანონი. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ის ფორმალური კანონი კი არა, მატერიალური კანონი იქნებოდა. საგანი, როგორც ცვლილებაში მყოფი, გარკვეულია, ის არის ის რაც არის.

მაშასადამე, იგივეობის კანონიდან არ გამოდის არც საგნისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშნის უარყოფა, არც საგნის ცვლილებების უარყოფა. ერთადერთი, რასაც ის უარყოფს, ის არის, რომ საგანი გაურკვეველი არ უნდა იყოს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ რა ნიშანიც საგანს აქვს, ის მას უნდა ჰქონდეს, ამის გარეშე ის ამ საგნად ვერ იარსებებს, ადამიანი განიცდის ასაკობრივ ცვლილებებს: ის იბადება, გაივლის დრო და ის ერთი წლისა იქნება, ასეთივე დროის გავლის შემდეგ ორი წლისა და ა. შ. კითხვა რომ დავსვათ, რამდენი წლისაა ბავშვი — ერთი წლის თუ ორის და ასე ვუპასუხოთ: ის ერთი წლისაცაა და ორი წლისაც იმიტომ, რომ ორი თავისში ერთსაც გულისხ-

შობს, ეს სწორი არ იქნება. რადგან ორი წელი თავისში ერთსაც შეიცავს. ბავშვის ერთი წელი ცალკე არ არსებობს და მისი ორი წელი ცალკე: მისი ერთი წელი 2 წელშია მოხსნილი და ახლა ის არსებობს როგორც ორი წლისა. მაშასადამე, იგივეობის კანონი არ გამოთქმამს საგნის საფეხურებრივ მოძრაობას და ამ საფეხურების ურთიერთმიმართებას, არამედ ყოველ მოცემულ დროს ის ამ საგანს განიხილავს ისე როგორც არის და ეს საგანი ყოველ დროში ისე არსებობს, როგორც არსებობს, ანუ მასში გაურკვეველი არაფერი არ არის. საგანი, როცა ის დასაწყისშია ან როცა დასასრულშია, როგორც გარდამავალ საფეხურში, გარკვეულია. ის არის რაღაც „ეს". რომელიც შეიძლება დახასიათდეს დადებითად და უნდა ითქვას, რომ ეს საგანი არის „ეს".

თუ საგანი წარმოშობის პროცესშია და ჯერ კიდევ წარმოშობილი არ არის, ის წარმოშობის რაღაც საფეხურზეა და ამ საფეხურზე მაინც გარკვეული ნიშნების მქონეა და დადებითად გამოითქმება. როცა ვიტყვით, რომ საგანი არ არის, ეს ნიშნავს, რომ საგანი მაინც რაღაცაა და რაც ამ სახით არის, ის არის მისი დადებითი ნიშანი და ამ საფუძველზე იგი გამოითქმება დადებითად. მაშასადამე, საგანი ყოველ დროს რაღაც გარკვეული ანუ დადებითი ნიშნების მქონეა. საქმე ისე არ არის, რომ მოცემულ კონკრეტულ პირობებში, ერთდროულად, მას ეს ნიშნები აქვს, და არც აქვს, რაც ლოგიკური თვალსაზრისით საგნის არარსებობას უდრის. ამრიგად, აზროვნება იგივეობის კანონით საგანს განვითარების პროცესში კი არ განიხილავს, არამედ როგორც უშუალო სინამდვილის სახით არსებულს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი იგივეობის კანონის განვითარება არ არის, ანდა ეს მისგან არ გამოიყვანება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ერთი კანონი მეორეს ნაწილი იქნებოდა და ორი კი არა, ერთი კანონი გვექნებოდა. მეორე კანონი იმაზე მიგვითითებს, რომ საგანი თავისი თავის საწინააღმდეგოს შემცველი არ არის. თუ არის ის, რაც ის არის, არ შეიძლება ამავე დროს და ამავე მიმართებით ის არ იყოს ის, რაც არის; თუ საგანი ამგვარად არის, ის არ შეიძლება ამავე დროს რაც არის მისი საწინააღმდეგო იყოს.

ლოგიკის მესამე კანონია მესამეს გამორიცხვის კანონი. ეს კანონიც, როგორც სხვა კანონები, საგნების სხვა ახალ მხარეს გამოხატავს და ის არ არის პირველი ორი კანონის განმეორება. ამ კანონის აზრი შემდეგშია: ყოველ მოცემულ საგანს ორი მოცემული ნიშნიდან ან ერთი ახასიათებს, ან მეორე, საწინააღმდეგო მესამე გამორიცხულია. ეს ორი ნიშანი ერთმანეთის საპირისპიროა და ერთმანეთის გამომრიცხველია. თუ რაიმე საგანი არსებობს, ის ან ცოცხალია, ან არაცოცხალი, თუ ცოცხალია, ის აღარ იქნება არაცოცხალი და თუ არაცოცხალია, ის

აღარ იქნება ცოცხალი. ამ კანონის აზრი ის არ არის, რომ სინამდვილეში საერთოდ წინააღმდეგობა გამორიცხოს. ერთმანეთისაგან დაძოუკიდებლად საგნები ისეა განაწილებული, რომ თუ ერთი საგანი ცოცხალია, მეორე არაცოცხალია, თუ ერთი საგანი თეთრი ფერისაა, მეორე არათეთრია. ეს კანონი ამ მხარეების არსებობას არ ეხება, იგი მხოლოდ ერთი მოცემული საგნის მიმართ აყენებს არჩევანს და არა მთელი სინამდვილის მიმართ — ე. ი. ეს კანონი არ ამბობს, რომ სინამდვილეში საწინააღმდეგო მხარეები არ უნდა იყოს და მხოლოდ ერთი მხარე უნდა იყოს. ეს კანონი იქიდან გამოდის, რომ არსებობს საწინააღმდეგო მხარეები და ერთმანეთის საწინააღმდეგო საგნები. კანონი ამის უარყოფისაკენ არ არის მიმართული, ის მიმართულია რაიმე გარკვეული საგნისაკენ და აღნიშნავს, რომ ორი მოწინააღმდეგე მხრიდან საგანს თუ ერთი ეკუთვნის, მეორე მისგან გამორიცხულია.

სინამდვილის შესწავლის გაღრმავებამ გამოიწვია, რომ ეს კანონი კრიტიკის საგანი გახდა. თუ ამ კანონზე აგებულ ლოგიკას ორნიშნა ლოგიკა ეწოდება, ეხლა წარმოიშვა სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკა.

რაიხენბახმა დაწვრილებით დაამუშავა სამნიშნა ლოგიკა. რომელიმე მოცემულ საგანს შეიძლება მრავალი ნიშანი მივაწეროთ. მაგალითად, ადამიანი არის ან მიწის მუშა, ან ფაბრიკის მუშა, ან მასწავლებელი, ან ექიმი, ან ინჟინერი, ან გეოლოგი, ან ისტორიკოსი, ან მწერალი, ან ფილოსოფოსი და სხვა. აქ ადამიანს მრავალი ნიშანი აქვს მიწერილი, რაც დადებითად გვაძლევს საგნის ბუნებას, ვიდრე ორნიშნა და სამნიშნა ლოგიკა. ხომ არ ეწინააღმდეგება სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკა ორნიშნა ლოგიკას? სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკის საფუძვლად მაინც ორნიშნა ლოგიკა უნდა ვიგულოთ. ასე მაგალითად, წინადადება—ადამიანი არის ან მიწის მუშა, ან ფაბრიკის მუშა, გამოითქმება ასე: ადამიანი არის ან მიწის მუშა, ან არა მიწის მუშა. არა მიწის მუშა ვინაა გაურკვეველია. სინამდვილეში საგანი გარკვეულია და, როცა ის შემეცნებისათვის გაირკვევა, აღმოჩნდება, რომ ეს არა მიწის მუშა კონკრეტულად არის ფაბრიკის მუშა და ა. შ.

ამრიგად, მრავალნიშნიანობა შეგვიძლია გამოვთქვათ ორნიშნიანით. მრავალნიშნიანობა ორნიშნიანში იგულისხმება, ორნიშნა გამოიხატება კონტრადიქტულად, ხოლო კონტრადიქტული მხარე ისეა გარკვეული, რომ მასში მრავალნიშნიანობა იგულისხმება. კონტრადიქტორულობას ის უპირატესობა აქვს, რომ მისი საშუალებით საგანი განუყენებულად, მაგრამ ამომწურავადაა გამოთქმული: მე დღეს ან თეატრში წავალ, ან არა, მესამე გამორიცხულია. მართლაც, ამ გამოთქმის იქით გამოსათქმელი არაფერი არ რჩება. მრავალნიშნა ლოგიკა ამას

გამოთქვამს არა კონტრადიქტორულად, არამედ კონტრარული მიმართებების საშუალებით. მე დღეს ან თეატრში წავალ. ან უნივერსიტეტში. ან მეგობრებთან, ან ჩემს ნათესავებს ვნახავ და მივულოცავ შვილის დაბადებას, ან ბიბლიოთეკაში წავალ და წიგნიდან ამონაწერებს გავაკეთებ. აქ თითქმის ყველა შესაძლებლობაა წარმოდგენილი, რომელიც შეიძლება მოხდეს.

მაშასადამე, გასაგებია ორნიშნა, სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკების დამოკიდებულება. ისინი ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგებიან. არსებითად ორნიშნა ლოგიკას ემყარებიან და მათ ზუსტად გამოთქმას ემსახურებიან. უარყოფის ცნება, რომელიც ორნიშნა ლოგიკაშია გამოყენებული, ყოველთვის თავის საფუძველში დადებითს გულისხმობს და შეიძლება დადებითად იქნას გამოთქმული; რაკი დადებითად იქნება გამოთქმული, ის სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკის სახეს მიიღებს.

ლოგიკის მეოთხე კანონს საკმაო საფუძვლიანობის კანონი წარმოადგენს. მის არსებობაზე ლეიბნიცმა მიუთითა. ამ კანონის აზრი ის არის, რომ ყველაფერი, რაც ხდება, რაიმე მიზეზით, რაიმე საფუძვლით ხდება; ის, რაც რაიმეს წარმოშობს, არის მისი საფუძველი. მარტო ცდისეულ სინამდვილეს კი არა, აზრსაც ახასიათებს რაიმეს საფუძვლად აღება და მისგან რაიმეს წარმოშობა. კერძოდ, ლოგიკური გამომდინარეობა ექვემდებარება ამ კანონს. აზრი, როგორც გარკვეული მსჯელობა, შეიძლება იყოს გარკვეული მსჯელობით საფუძველდებული; რაც ამ საფუძველზე აღმოცენდება, არის შედეგი, ისე რომ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება ლოგიკის კანონია.

კონკრეტულად საფუძვლის ქვეშ იგულისხმება ის აზრთა წყობა, რომლიდანაც აუცილებლობით ახალი აზრი გამომდინარეობს. ამ საფუძველში კანონებიც იგულისხმება, იმ აზრით, რომ ეს მსჯელობები და მათი წყობა ამ კანონებს კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არამედ მათ უნდა შეესაბამებოდეს, ისე რომ ნამდვილად საფუძველი ამ კანონებთან შესაბამისობაში მყოფი მსჯელობებია. რეალურად საფუძვლისა და შედეგის დამოკიდებულება მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულების სახეს იღებს. მაგრამ, ცხადია, რეალურში ამ კანონის მოქმედება ამით არ ამოიწურება. რიცხვთა რიგი რომ ავიღოთ, აქ ერთი რიცხვი მეორე რიცხვის საფუძველია, თუმცა მათ შორის მიზეზობრივი დამოკიდებულება არ არის. საფუძველ-შედეგის კანონი იგივეა, რაც სინამდვილის საგნების ურთიერთგაპირობებულობა. ეს მეოთხე კანონი წინა სამი კანონის განმეორებას არ წარმოადგენს, თუმცა მათი არსებობა იგულისხმება.

მაშასადამე, ლოგიკის ეს ოთხი კანონი დღესდღეობით წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების საფუძველს, მათი გამოყენებით შენდება მეცნიერული სისტემები. იგივეობისა და განსხვავების უნარი არის პირველადი, რომლითაც ადამიანის შემეცნებითი შეძოქმედება იწყება, ამით შესაძლებელია საგანთა მრავლობაში იგივეობისა და განსხვავების დადგენა.

პირველყოფილმა ადამიანმა პირველად არც იგივეობისა და არც განსხვავების შესახებ არაფერი არ იცოდა, ის ბუნებრივი თავისთავადობით მოქმედებდა. მან არაფერი არ იცოდა თავისი მოქმედების შესახებ, მისი აზროვნება მიზანდასახული მოქმედება არ იყო, როგორც არ არის ბავშვის მოქმედება.

შემეცნება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებისა და გარეგანი საგნების ზემოქმედების შედეგია. აქ აზროვნება ჯერ არ არის იმ საფეხურზე ასული, რომ ის თავის თავში გაორდეს და თავისი თავი საგნად აქციოს. აზროვნება ჯერ კიდევ პირველ ობიექტურ ფენაშია მოქცეული, მეორე კი სუბიექტურობის ფენაა. მისი დამახასიათებელი ისაა, რომ ის, რაც პირველშია დალაგებული მისი თავისთავადი მოძრაობით, ახლა შემეცნების საგნად ხდება. ამას სხვაგვარად შემეცნების შემეცნება ანუ თვითშემეცნება ეწოდება. ამ მეორე ფენაში ნათელი გახდება თუ აზროვნებას რა კანონზომიერება აქვს.

მეცნიერებს შესწავლილი აქვთ პირველყოფილი ადამიანის აზროვნება, რომელიც თვითშემეცნებას არ ფლობს და რომელსაც აზრის განვითარების პირველი ფენა ახასიათებს. პირველყოფილი ადამიანის აზროვნების შესწავლა ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ის სწორედ ასეთი უნარების მქონეა.

ლევი ბრული განიხილავს პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებას და მოჰყავს პირველყოფილი ჩინელების ცხოვრებიდან ასეთი ამბავი: ჩინელები ერთმანეთთან აიგივებდნენ საგანს და საგნის გამოსახულებას, მათ დახატულ სურათს. ამიტომ ისე ეპყრობოდნენ სურათს, როგორც ცოცხალ საგანს. ინდოეთის ველური ტომები მათი სურათების გადაღების უფლებას არ აძლევდნენ ვინმეს, რადგან, მათი აზრით, ამით ისინი არსებობის ნაწილს მისცემენ იმას ვინც სურათი გადაუღო. აქ, როგორც ჩანს, ორი ისეთი რამ არის გაიგივებული, რაც ნამდვილად ერთმანეთისაგან განსხვავდება. მთავარი ის არის, რომ ისინი იგივეობით აზროვნებენ, რომ იგივეობა, როგორც აზროვნების უნარი, პირველადია და თუ შეცდომა ხდება გაიგივებაში, ეს საგნების სიზუსტით შეუმეცნებლობის შედეგია, რაც შემდეგ საფეხურზე გამოსწორდება.

ზოგიერთი ლოგიკოს-ფილოსოფოსისათვის ლოგიკის კანონები ცდით არის მიღებული, ხოლო ცდის მეთოდს ინდუქცია წარმოადგენს. ისე რომ ეს კანონები ინდუქციური მეთოდითაა მიღებული. ინდუქცია წარმოადგენს ერთეულიდან ზოგადის მიღების საშუალებას. ნიშანი. რაც ერთხელ ცდაში მოცემულ საგანს ახასიათებს, ასეთ ერთეულთა სიმრავლეში უნდა იქნეს ნახული. თუ ეს ნიშანი მრავალი ერთეულის საერთო იქნება. მაშინ კეთდება დასკვნა, რომ ის არის ყველა ასეთი შესაძლებელი ერთეულის საერთო ნიშანი. ეს მეთოდი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდია, რომელიც თავის არეში მოცემული ერთეულებისათვის საერთო კანონს ადგენს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ზოგადის დადგენა გულისხმობს იმას, რომ ეს აზროვნება ლოგიკის კანონებით არის შეიარაღებული. თუ ამ კანონებით არ იქნებოდა შეიარაღებული, ის ვერ შეძლებდა ინდუქციის მეთოდის გამოყენებას და მის საფუძველზე ზოგადის მიღებას.

ინდუქციური მეთოდი გულისხმობს იმას, რომ სიმრავლეში იგივეობრივი ნიშანი იპოვოს, ე. ი. ემყარება იგივეობის კანონს, სიმრავლეში იგივეობის ძებნა და პოვნა ამ კანონზე დამყარების გარეშე შეუძლებელია. ინდუქციური მეთოდის გამოყენება იმასაც გულისხმობს, რომ რაკი მოცემულია სიმრავლეში ერთი გარკვეული ნიშნის არსებობა, არ შეგვიძლია დავასკვნათ შესაძლებელი სიმრავლის საწინააღმდეგო ნიშნის არსებობა. მაშასადამე, ის ემყარება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, ინდუქციური მეთოდის გამოყენება საგანთა სიმრავლეში საერთო ნიშნების მიღების დროს გულისხმობს იმასაც. რომ საგანს გარკვეული ნიშანი ან ეკუთვნის, ან არ ეკუთვნის, ამიტომ ის ემყარება მესამეს გამორიცხვის კანონს. ინდუქციური მეთოდი ემყარება, აგრეთვე, საკმაო საფუძვლიანობის კანონს. მოცემული სიმრავლისათვის საერთო ნიშნის არსებობა მისთვის წარმოადგენს საფუძველს (მისათვის, რომ შესაძლებელ სიმრავლეზე დასკვნა გააკეთოს.

ამრიგად, ინდუქციური მეთოდი ლოგიკურად წინ არ უსწრებს ლოგიკურ კანონებს, პირიქით ისინი წარმოადგენენ ინდუქციური მეთოდის საფუძველს, ამიტომ მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეს კანონები ინდუქციის გზით არის მიღებული, საფუძველს კარგავს. როგორი კანონის მიღება შეიძლება ინდუქციის გზით? ინდუქციის გზით მიღებულ კანონებს ახასიათებს ალბათობა. ლოგიკის კანონები უეჭველობის ნიშანს ატარებენ. ისინი აზრისა და არსის ფორმალური კანონებია, ამიტომ შემეცნების ფორმალურ პირობას წარმოადგენენ.

როგორც კი იწყება შემეცნება, ანუ საგანთა იგივეობისა და განსხვავების ძიება, მაშინვე მოქმედებას იწყებენ ლოგიკის კანონები. რომლებიც აზრისა და არსისათვის საერთოა. შემეცნების კანონს. შე-

შეცნება ვერ წარმოშობს, რადგან თვითონ შემეცნებაა კანონით განსაზღვრული. შემეცნების კანონის ცოდნა შემეცნებას ვერ განსაზღვრავს, რადგან ის მანამდე უნდა იყოს განსაზღვრული. შეიძლება ასეთი საბუთის წამოყენება: შევიმეცნებთ საგანთა დამოკიდებულებას, რაც შემდეგ იქნება აზრის კანონი, ამ დროს შემეცნებელსა და შესაცნობელს შორის უნდა დამყარდეს კავშირი, რაც იგივეობის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ იგივეობის კანონი ამ დამოკიდებულებას წინ უსწრებს, როგორც მისი შესაძლებლობა ისე, რომ ამ აზრითაც აზრის კანონი ცოდნის გზით არ არის მიღებული.

ლოგიკის კანონების მოკლე განხილვის შემდეგ ლოგიკური ასე შეიძლება განისაზღვროს: ლოგიკური არის აზრთა ისეთი ურთიერთკავშირი და გამომდინარეობა, რომელიც ლოგიკის კანონებზეა დაფუძნებული და „ყველას“ და „ზოგიერთის“ ქვანტორებით არის შეპირობებული.

ა. ტარსკი[1] ლოგიკური აუცილებლობის ცნებას უკავშირებს მოდელს, ასეთმა ხერხმა არ შეიძლება ლოგიკური გამომდინარეობის განსაზღვრება მოგვცეს, რადგან ლოგიკურის მოდელი გულისხმობს წინასწარ ლოგიკურისა და მისი ცნების არსებობას. ტარსკის განმარტება ასეთია: X მსჯელობა ლოგიკურად გამოდის K-გან, მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ K-ს წინადადებების ყოველი მოდელი არის ამავე დროს X-ს წინადადებების მოდელი. ლოგიკურის მოდელი ლოგიკურის მიხედვით უნდა იქნეს აგებული, ამიტომ ლოგიკურის მოდელი ლოგიკურს ვერ აგვიხსნის, პირიქით ეს თვითონ ლოგიკურით უნდა იქნეს ახსნილი, რადგან მისი აგების საფუძველი ლოგიკურია. X და K მოდელები რომ ერთი და იგივეა, ეს თვითონაა ლოგიკურით განსაზღვრული, ამიტომ საკითხი სწორედ იმ ნიშნებს უნდა ეხებოდეს, რომლებიც ლოგიკურობის ცნებას შეადგენდნენ. ეს აზრი აქვს განვითარებული პაპს[2], ლოგიკურის მოდელიც ლოგიკურია, რისთვისაც საჭიროა ისევ მოდელი და ასე უსასრულოდ. ტარსკი აიგივებს ფორმალურ და მატერიალურ იმპლიკაციებს, მაგრამ მათი გაიგივება არ არის სწორი. ფორმალური იმპლიკაცია მცდარია, თუ წინარე და გამომდინარე მცდარია ან ერთ-ერთია მცდარი. თუ წვიმა მოვა, ნიადაგი არ დასველდება — მცდარია; თუ ომი იქნება, ადამიანები არ დაიხოცება—მცდარია. მატერიალურ იმპლიკაციაში კი თუ ორივე მცდარია, ეს ჭეშმარიტია, გარდა ამისა არც ერთი მკაცრი ლოგიკური აუცილებლობის მქონე არ არის. „თუ წვიმა მოვა, ნიადაგი დასველდება“—მიუთითებს ერთი მოვლენის მეორესთან მიზეზობრივ კავშირზე, რაც სრულებითაც არ

[1] A. Tarski, Logic, semantics Meta matematics., 1956, Oxford, გვ. 191.
[2] A. Pap, Semantics and Necessary Truths, გვ. 160.

ახენს აზრის ლოგიკურობას. მკაცრ ლოგიკურ აუცილებლობასთან მაშინ გვექნება საქმე, თუ ის პირობით კატეგორიულ სილოგიზმად იქცევა. მაშასადამე, ფორმალური იმპლიკაცია ლოგიკური აუცილებლობისაა, თუ ის გავიგეთ როგორც ენთიმემა. ფორმალური იმპლიკაცია იმით არის შესაძლებელი, რომ შემეცნებას მოცემული აქვს საგნების უშუალო მიმართება: თუ არის ერთი, არის მეორეც. ე. ი. იმპლიკაცია ემყარება თანხლების კანონს. ეს გამოხატავს უფრო საგანთა ნამდვილ ვითარებას, ვიდრე აზრის ლოგიკურობას. მეცნიერებაში მრავალია დებულება, რომელიც მკაცრი ლოგიკური აუცილებლობისა არ არის, მაგრამ ემყარება შემეცნების საგნების უშუალოდ მოცემულ მიმართებას. რაც შეეხება მატერიალურ იმპლიკაციას, ის ლოგიკურ აუცილებლობას არ ფლობს. ის არის არა აზრის აზრისაგან გამოყვანის, არამედ აზრის აზრზე დაყვანის ნიმუში. ლოგიკური გამომდინარეობა ცალმხრივია, ხოლო მატერიალურ იმპლიკაციაში ეს დამოკიდებულება ორმხრივია.

ლოგიკური რომ სინამდვილით არის განსაზღვრული, ეს ნათელი ხდება თვით ლოგიკური ფორმების სხვადასხვაობის არსებობით. აზროვნება ლოგიკური ფორმების სხვადასხვაობას ჰქმნის სინამდვილესთან შესაბამისობის მიხედვით. ამის ნათელსაყოფად შეიძლება განვიხილოთ კატეგორიული სილოგიზმისა და არასილოგისტური დასკვნის წყობა. პირველში მოცემულია საგნების დამოკიდებულება გვარისა და სახის ფორმაში. თვითონ გვარი და სახე ადამიანის აზროვნების შექმნილი ცნებებია, მაგრამ მას სინამდვილეში შეესაბამება საგანთა ერთგვარობისათვის საერთო ნიშნის არსებობა და ამ ნიშნისადმი საგნების დაქვემდებარება. ეს დამოკიდებულება გამოითქმება ქვანტორ „ყველათი" — ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია. სინამდვილეში რარტო ასეთი მიმართება არ არის, არსებობს საგნების სხვაგვარი მიბართებაც. მაგალითად, საგნების დამოკიდებულება დროში ან სივრცეში, საგნების დამოკიდებულება ოდენობის მიხედვით. ეს დამოკიდებულება გამოიხატება სხვა ფორმით, რომელიც ძირეულად განსხვავებულია კატეგორიული სილოგიზმისაგან. მას ეწოდება არასილოგისტური დასკვნა $(A > B) < (B > C) \rightarrow (A > C)$. დასკვნის ეს ჭარგი არასილოგისტური დასკვნის ნიმუშია.

§ 3. კრაფტის ფვალსაზრისი ლოგიკის კანონებზე

კრაფტი წიგნში „მათემატიკა, ლოგიკა და ცდა" ამტკიცებს. რომ ლოგიკის კანონებს სინამდვილესთან კავშირი არა აქვთ, ისინი საკუთრივ აზროვნების კანონებია, რომლებსაც ცდასთან მიმართება არა აქვთ. „ყველა" და „ერთეული", რასაც ლოგიკური დასკვნა ემყარება.

აზროვნების თვისებაა, ის სინამდვილეში არ არის, ლოგიკის კანონებს სინამდვილესთან რომ ჰქონდეს მიმართება. ფაქტების კანონებზე რომ იყოს დაფუძნებული, მაშინ მათ ალბათური ხასიათი ექნებოდათ. ლოგიკის კანონის ჩვეულებრივი გამოთქმა a=a კრაფტს არ აკმაყოფილებს, რადგან თავისთავთან ტოლობა შეუძლებელია, ტოლობა მხოლოდ განსხვავებულთა შორის არის შესაძლებელი. რაიმეს თავისთავთან იგივეობა უაზრობაა, რადგან ის არ გვეუბნება, თუ იგივეობა რას უნდა ნიშნავდეს: a=a მხოლოდ გვიჩვენებს, რომ არის a. ტოლობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ხდება სხვადასხვა მოცემულის გაიგივება, როგორიცაა სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა ადგილას მყოფი საგანი. კრაფტის ამ აზრების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: „ყველა", როგორც ცნება, როგორც ლოგიკური მოვლენა, როგორც მრავლობის ერთიანობა, აზროვნებაშია, მაგრამ თუ მას სინამდვილეში არაფერი არ შეესაბამება, თუ არაფერია სინამდვილეში ისეთი, რის მიმართაც ის გამოიყენება, მაშინ, როგორც მოქმედ ცნებას, ადგილი არ ექნება. ცნება „ყველას"-ს საგანთა ის მრავლობა შეესაბამება, რომელსაც რაიმე გარკვეული ნიშანი ახასიათებს, ამ ნიშნით საგანთა მრავლობა ერთიანობაშია, რომელიც ცნება „ყველათი" გამოიხატება. ეს ერთიანობა თვითონ საგნებისათვის არ არის, ის მხოლოდ აზროვნებისათვის არის მოცემული. ცნება „ყველა" ცდისეულია იმ აზრით, რომ ის, როგორც აზრისეული ერთიანობა, ემყარება ცდაში მოცემული მრავლობის ერთიანობას, მისი შემეცნების შედეგია. თუ რაიმე „ყველა" ახლა ლოგიკურ მოთხოვნას აკმაყოფილებს, შესაძლებელია შემდგომმა ცდისეულმა ვითარებამ შეცვალოს, რადგან ამ „ყველაში" ყველა საგანი არ მოთავსდება. თუ ვიტყვით, რომ ყველა ადამიანი თეთრკანიანია და აღმოჩნდება ადამიანები, რომლებიც თეთრკანიანები არ არიან, მაგრამ ადამიანები კია, მაშინ „ყველა"-ს გამოყენება მათ მიმართ არ მოხდება, მათ მიმართ უფრო კანონიერი იქნება „ზოგიერთის" გამოყენება. ამრიგად, „ყველა" და „ზოგიერთი" უცვლელია იმ გაგებით, რომ ეს ცნებები აზროვნებაში ყოველთვის ადგილის მქონეა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ისინი იცვლებიან შემეცნების ცვლილების მიხედვით.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თუ სინამდვილეში არ იქნებოდა საგნები, რომლებიც რაიმე ნიშნით ერთიანდებიან, არ იქნებოდა „ყველა"-ს და „ერთეული"-ს ცნებები. ამ გაგებით ამ ცნებებს ცდისეული შემეცნებითი საფუძველი გააჩნიათ, ისინი სინამდვილის შემეცნების შედეგად იბადებიან. ლოგიკა, კრაფტის აზრით, ჯერარსეულია. მის მიერ იგივეობის კანონის დახასიათება ისეთია, რომ მისი არსოლოგიური მხარე არა თუ უარყოფილია, არამედ დადგენილია. თუ იგივეობის

კანონისათვის საჭიროა სხვადასხვა მოცემულობანი. რომლებიც რაიმე ნიშნით იგივეობრივია. ამით იგივეობის არსული საფუძველია მოცემული. თუ ადამიანი. რომელიც მე დღეს ვნახე. ის ადამიანია, რომელთანაც გუშინ ესაუბრობდი, მაშინ მე იგივეობის კანონით ვხელმძღვანელობ. ეს ასე რომ არ იყოს, საგნები ერთმანეთში აგვერეოდა. რაკი ამ კანონით ვხელმძღვანელობ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას წმინდა ჯერარსული ხასიათი ჰქონდეს და არსთან სრულებით დაკავშირებული არ იყოს. სწორედ იმიტომ, რომ იგივეობის კანონი არსის კანონია. ეს არის საფუძველი იმისა, რომ ჯერარსულ დანიშნულებას ასრულებს. ამ კანონის მიხედვით იმიტომ უნდა ვიმოქმედო, რომ ეს ის კანონია, რაზედაც ჩემი მოქმედებაა მიმართული. დღევანდელი ჩემი ნაცნობი გუშინდელთან იმიტომ უნდა გავაიგივო, რომ ისინი ნამდვილად იგივენია. ის ორი სხვადასხვა დროს არსებული და ნახული ერთია. ჯერარსობა იმას ეხება, რაც არ არის და უნდა განხორციელდეს, ან არის. მაგრამ მაინც ჯერარსულობით არსებობს.

იგივეობის კანონი, როგორც ჩანს, ასეთი არ არის; ის არსის კანონია, რადგან განსხვავებულ საგნებში იგივეობის არსებობას ემყარება. იგივეობის კანონის არსება იმაში კი არ არის, რომ საგანი ყოველთვის და ყველა მიმართებით ერთი და იგივე იყოს, არამედ იმაში, რომ მასში ყოველთვის რაღაც იგივეობრივი იყოს. ორი მაკიდა, რომელიც ხელოსნის მიერ გაკეთებულია, ერთნაირია სიმაღლით, ზედაპირის მოყვანილობით, ფეხების რაოდენობით. მათ ერთმანეთისაგან იმით ვარჩევთ, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას დგანან, სხვადასხვაა, რადგან როცა ხელოსანი გაჰყიდის ერთს და მას მყიდველი წაიღებს; ამით მეორეც არ არის გაყიდული და წაღებული, მაგრამ მათი აგებულება იგივეობრივია. ეს იგივეობრივობა ჯერარსული კი არ არის, არამედ არსულია, რადგან ეს წყობა მათ ჰქმნის იგივეობრივად. თვით კრაფტს მოჰყავს მაგალითი, რითაც ამტკიცებს ამ კანონის არსოლოგიურ ბუნებას. 13 და 15 ნომერი სახლები დაანგრია ერთმა ყუმბარამ. მაშასადამე, ერთი და იგივეა ამ ორი სახლის დანგრევის მიზეზი. ამ შემთხვევაში იგივეობის კანონი სხვა არაფერს არ გვეუბნება იმის გარდა, რომ ორი მოვლენის იგივეობრივ მიზეზზე მიუთითოს.

აბსოლუტურად იგივეობრივის მოთხოვნას აზრი არა აქვს, რადგან იგივეობა მხოლოდ განსხვავებულთა იგივეობაა. განსხვავება იგივეობრივი კი არ არის, არამედ ამ განსხვავებაშია ისეთი რამ რაც ორივეს ერთი და იგივე აქვთ. ეს მხარე აზროვნების მიერ არ არის შექმნილი, ის ამ განსხვავებულ საგნებში არსებობს. თუ ვიტყვით, რომ იგივეობა აზროვნების შექმნილია, ხოლო განსხვავება ნამდვილია, მაშინ აღმოჩნდება დაბრკოლება: იგივეობა და განსხვავება მიმართებითი

მხარეებია. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ერთია. მეორეც არის, ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. იგივეობაა საგანთა შორის განსხვავების საფუძველი არა იმ აზრით. რომ იგივეობა ჰქმნის განსხვავებას, არამედ იმ აზრით. რომ სწორედ იგივეობაა საგანთა შორის განსხვავების ნახვის საფუძველი. განსხვავების აღმოჩენა მათ შორის იგივეობრივს ემყარება: არსოლოგიურად არც განსხვავება ჰქმნის იგივეობას და არც იგივეობა განსხვავებას, ისინი ყოველი საგნის აუცილებელი მხარეებია.

იგივეობის კანონი. როგორც არსის კანონი, აზროვნების კანონიც არის. ყოველი საგნის მოაზრებისას ის უნდა მოვიაზროთ გარკვეული ნიშნებით. თუ ამ ნიშნებით მოვიაზრებთ, ეს ნიშნები ყოველთვის აზროვნების დროს ისე უნდა ვიაზროთ როგორც დასაწყისში გავიაზრეთ. იწყება თუ არა აზროვნების პროცესი, მასთან ერთად იწყება ამ კანონის მოქმედებაც; რადგან არსისა და აზრის კანონი ერთი და იგივეა.

ეს კანონები აზროვნებაში თავისებურად მოქმედებენ. ეს თავისებურება თვით აზროვნების თავისებურებებით არის განსაზღვრული. რაც შემდეგში მდგომარეობს: აზროვნება რაიმეს დამასაბუთებელია, შემმეცნებელია, რაც საგნებისათვის სრულებითაც არ არის დამახასიათებელი. მხოლოდ აზროვნებას აქვს ცოდნა საგნის შესახებ, რაც ნიშნავს საგნების იდეალურ გაერთიანებას, მათ იდეალურ კავშირს. ეს იდეალური კავშირი მსჯელობების კავშირით სრულდება, ამიტომ იგივეობის კანონი მსჯელობათა კავშირში მოქმედებს, მსჯელობათა კავშირის სახეს დასკვნა წარმოადგენს, სწორედ დასკვნაში მოქმედებს იგივეობის კანონი. ამ კანონის მოქმედება დასკვნაში ნიშნავს განმასხვავებელ წანამძღვრებში იგივეობრივი ცნების არსებობას. ერთი და იგივე კანონის სხვადასხვა არეში მოქმედება მას ორ კანონად არ აქცევს. იგივეობა განსხვავებულობაშია, მაგრამ თვითონ განსხვავება კი არ არის იგივეობა, ერთი განსხვავებული კი არ არის მეორე განსხვავებულთან იგივე, არამედ იგივეა ის რაც ამ განსხვავებულების კავშირს ჰქმნის, რაც მათ ერთობას ადგენს. გუშინდელი დღე და დღევანდელი დღე ერთმანეთისაგან განსხვავდება. პირველი უკვე აღარ არის. მეორე კი არის, ამიტომ ამ კუთხით ისინი ერთი და იგივე არ არის, ისინი ერთიმეორეს მისდევენ; ის, რაც მათ ერთობას ჰქმნის, მათ რიგში არ არის; ის რიგის წევრს არ წარმოადგენს, ეს ის არის, რომ ორივე დღეა. ჩემი ნაცნობი ადამიანი გუშინ და დღეს ერთი და იგივეა, არა იმით, რომ გუშინ და დღეს ერთი და იგივეა, არამედ იმით რაც გუშინ იყო, მაგრამ მას არ მიეკუთვნება, დღესაა, მაგრამ არც დღეს მიეკუთვნება. რაც ამ ცვალებადთან მიმართებაში უცვლელი და უწყვეტი რჩება, ის არის იგივეობრივი.

კრაფტს შეუძლებლად მიაჩნია რაიმეს თავისთავთან იგივეობა. a იგივეა a-სთან, აზრს მოკლებულია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ a არის და მეტი არაფერი. თუ ეს ნიშნავს, რომ a არის, მაშასადამე ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ a არ არის არა a, რადგან a-ს მაშინ შეუძლია არსებობა, თუ ის არა a არ არის, ხოლო თუ ის არა a არ არის, ის ყოფილა a ანუ a ყოფილა a, რაც იგივეა დებულებისა a=a.

გუშინდელი ნაცნობი დღევანდელი ნაცნობის იგივეა — ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორივეში არის ერთი და იგივე. ამ ორის შედარებიდან კი არ გამოგვყავს იგივეობრივი, არამედ მათი შედარებაა იგივეობის არსებობაზე დაფუძნებული. აქ ორი იგივეობა კი არა გვაქვს მოცემული, გუშინდელი და დღევანდელი, არამედ ერთი, ეს იგივეობა არის მისი ყველა დროში ერთიანობა, ეს ერთნაირობა ცვლილებაში მყოფ მხარეებს აკავშირებს და ის მათთან მიმართებით უნდა იქნეს გაგებული. სწორედ აქ გვეძლევა იგი, როგორც თავისთავთან იგივეობრივი.

კრაფტის აზრით, ივიეობას მაშინ აქვს აზრი, როცა ხდება განსხვავებულების გაიგივება. კრაფტი მართალია იმაში, რომ იგივეობა განსხვავებულში უნდა იქნეს მონახული, მაგრამ ის არ არის სწორი იმაში, რომ თითქოს იგივეობა განსხვავებულთა გაიგივებაა. ის რაც განსხვავებულია, შეუძლებელია გაიგივებული იქნეს, რადგან მათი გაიგივებით, რაც იგივეობრივი არ არის, შეცდომას ჩავიდენთ. განსხვავებულში იგივეობაა იგივეობრივი და არა განსხვავება. განსხვავებულშია იგივეობა როგორც მათი ერთობა, ამიტომ კრაფტი არ არის სწორი, როცა იგივეობას საგანში უარყოფს და ის აზრის არეში გადააქვს. კრაფტის მოტანილი მაგალითი სწორედ საგნებში იგივეობის არსებობას ამტკიცებს. № 13 და № 15 სახლები, რომლებიც ერთი ჩამოვარდნილი ყუმბარისაგან დაინგრა, იმაზე მიუთითებს, რომ ყუმბარა, რომელმაც № 13 სახლი დაანგრია, იგივეა იმასთან, რამაც № 15 სახლი დაანგრია. ორი სახლის დანგრევის იგივეობრივი მიზეზი აზრის შექმნილი კი არ არის, არამედ საგანთა ვითარების გამომხატველია. მაშასადამე, იგივეობის კანონი აზრისა და არსის კანონია. არისტოტელეს ეს დებულება შეურყეველია.

კრაფტის აზრი წინააღმდეგობის კანონზე ისეთია, რომ იგი არ შეიძლება არსის კანონი იყოს, ის მხოლოდ აზრის კანონია. ეს კანონი რომ სინამდვილის კანონი იყოს, მისი მიღება ინდუქციის საშუალებით მოხდებოდა. ასეთი გაგება კი კრაფტს მიუღებლად მიაჩნია, ამიტომ მისი აზრით ეს კანონი ერთი და იგივე საგანზე ჰოყოფას და უარყოფას გამოხატავს. სინამდვილეში რომ ორი ვითარება იყოს — დადებითი და უარყოფითი, მაშინ იქნებოდა არა ერთი, არამედ — ორი, როგორიც არის. მაგალითად, წვიმს. და არ წვიმს. სინამდვილეში, თუ ერთია მეორე

არ არის, ამიტომ კრაფტის აზრით სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არის, წინააღმდეგობა მხოლოდ აზროვნებაშია, რადგან იქ არის ჰაყოფა და უარყოფა. წინააღმდეგობის კანონის აზრი ლოგიკურში იმაში არ არის, როგორც კრაფტს ჰგონია, რომ მოწინააღმდეგე მსჯელობებს აღიარებს, არამედ იმაში, რომ ორივე ერთდროულად ჭეშმარიტი არ აოის. თუ ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარია და პირიქით, ისე რომ ჭეშმარიტების თვალსაზრისით თუ ერთია მეორე არ არის, ცდისეულად შეიძლება ორივე იყოს. ჰაყოფა უარყოფას არ შეიცავს და პირიქით, ეს არის წინააღმდეგობის კანონის აზრი.

თუ სინამდვილეში ადგილი აქვს საგნებს შორის ასეთ დამოკიდებულებას, მაშინ ამ კანონს აგრეთვე არსოლოგიური საფუძველი ჰქონია. ცნობილია, რომ არის ელექტრონები, რომლებსაც დადებითი და უარყოფითი ნიშნები აქვთ. ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება, რომ დადებითი ელექტრონი აგრეთვე იყოს უარყოფითი და პირიქით, დადებითი პროტონი არ შეიძლება ამავე დროს უარყოფითი იყოს. საერთოდ, ამ კანონის მიხედვით ერთი თავისში თავის უარმყოფელს არ შეიცავს. კანონის ეს ნიშანი ერთნაირად ახასიათებს როგორც სინამდვილეს, ისე აზრის სფეროს. ეს კანონი არსებითად იგივეობრივად მოქმედებს. სინამდვილეში, ერთდროულად რომ არსებობდეს საგნის დადებითი და მისი საწინააღმდეგო მდგომარეობა, მაშინ ორივე მსჯელობა — ჰაყოფა და უარყოფა ჭეშმარიტი იქნებოდა და მათ შორის წინააღმდეგობა არ იარსებებდა, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის მაგიერ სხვა კანონი იქნებოდა. აზრი არსის გამომხატველია და თუ საგანი იგივეს არ შეიცავს, მისი ამ კანონით გამოხატვა იქნება არსის დამახინჯებულად ვაგება. ასეთ შემთხვევაში აზრს საქმე ექნება არა ნამდვილ არსთან, არამედ მის მიერ მოგონილთან. თუ არსი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს არ ემყარება, მაშინ ამ კანონით მისი გამოთქმა დამახინჯება იქნება.

რასელი, რომელიც სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენლად არის ცნობილი, ლოგიკის საკითხებში უფრო სწორ თვალსაზრისზე დგას. ვიდრე კრაფტი, რასელის აზრით, წინააღმდეგობის კანონი ეხება არა მხოლოდ აზრებს, არამედ საგნებსაც. როცა ვაზროვნებთ მუხის ხის შესახებ, არ შეგვიძლია ის იმავე დროს ვიაზროთ როგორც არა მუხის ხე. მაგრამ წინააღმდეგობის კანონი მარტო ამას არ ეხება, ის ეხება საგნებს და მოითხოვს, თუ რაიმე არის მუხის ხე, ის ამავე დროს არ შეიძლება იყოს არამუხის ხე. ამრიგად, რასელის აზრით, ამ კანონს აქვს როგორც ლოგიკური, ისე არსოლოგიური მხარე.

ცნობილი ლოგიკოსი მენე მოითხოვს ლოგიკისა და არსის ერთ მეტაფიზიკურ ნიადაგზე დაფუძნებას. რაკი ლოგიკის კანონები ამავე

ეროს არსის კანონებია, ამიტომ ისინი არც აზრს დაუდგენია და არც ჭეშმარიტება-მცდარობა ახასიათებთ. ისინი არსისა და აზრის საერთო კანონებია, როგორც არსისათვის იმთავითვეა დამახასიათებელი, ასევე აზროვნებასაც იმთავითვე აქვს, რადგან მისი მოქმედების განმსაზღვრელია. აზროვნება დასაწყისშივე კანონებით მოქმედებს; ისე არ არის, რომ ჯერ შემეცნება მოქმედებდეს კანონების გარეშე და მერე იძენდეს ამ კანონებს, ამიტომ აზროვნებას ეს კანონები ინდუქციის გზით არა აქვს მიღებული ინდუქციის გზით შეიძლება არა კანონის მიღება, რომელმაც შემეცნება უნდა განსაზღვროს, არამედ კანონის შესახებ ცოდნა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტი იყოს და შეიძლება მცდარი. კანონი და კანონის ცოდნა ერთი და იგივე არ არის, კანონის ცოდნა შეიძლება დავიწყებული იქნეს, შეიძლება მცდარი იყოს ან ჭეშმარიტი, ხოლო აზრის კანონები მოქმედებენ აუცილებლობით, მათი ცოდნის გარეშე. ჩვენს აზროვნებაში ლოგიკური კანონების მოქმედება მათი შემეცნების შედეგი კი არ არის, არამედ ისინი არსისა და მისი შემეცნების საფუძველში არიან მოთავსებულნი.

§ 4. ლოგიკური და სიმბოლიზაცია

ერთი მხრივ სინამდვილე. მეორე მხრივ ლოგიკური — ასეთია უშუალო ვითარება. ლოგიკური საგანთა კავშირების გამომთქმელია. ეს ამითაა შესაძლებელი. რომ აზროვნება, რომელსაც მოცემული აქვს საგნები და მათი კავშირები, ჰქმნის შესაბამისს ცნებებსა და მათ კავშირებს. რაკი ეს ასეა, ლოგიკურს დამოუკიდებელი მყოფობა არა აქვს, მისი მყოფობა სინამდვილეზე მიმართვაში მდგომარეობს. ამიტომ რაც არ უნდა განყენება მოვახდინოთ ლოგიკურისა სინამდვილისაგან, პირველი მაინც უკანასკნელით არის განსაზღვრული, სინამდვილისაგან განყენება მის მოცემულობას გულისხმობს. განყენებულ აზრში საგანიც განყენებულია, ლოგიკურს როგორც განყენებულს საგანი განყენებულ ფორმაში აქვს. ნიშნები, რომლებიც ლოგიკასა და, საერთოდ, მეცნიერებაშია გამოყენებული. სინამდვილისაგან არ გვანთავისუფლებს, მისი მიზანია არა სინამდვილისაგან განთავისუფლება, არამედ — მისი სიზუსტით წვდომა.

მეცნიერებაში ნიშნების შემოტანა განყენებასთანაა დაკავშირებული. ეს რომ სინამდვილისაგან დაშორებას ნიშნავდეს, მაშინ მეცნიერება სინამდვილესთან უფრო ახლოს მის დასაწყისს საფეხურზე იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. სწორედ განყენებით სწვდება აზროვნება

სინამდვილეს, ხოლო განყენებასთან უშუალოდ დაკავშირებულია სიმბოლოები. სიმბოლიზაციის დასაწყისი გულისხმობს სიმბოლიზაციის წინარეს საგნებისა და მოვლენების სახით არსებობას, რომელთა სიმბოლიზაციაა საჭირო.

ჰილბერტი, კლინი და სხვები ნიშნებს მნიშვნელობას არ მიაწერენ, ლებულება, ნიშნები მნიშვნელობის მქონე არ არის. მცდარია დებულება: არსებობს მხოლოდ ნიშნები და მათი კავშირები სიძნელის შემცველია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თვით არსებობა, როშელიც ნიშნების დახასიათებისათვის არის გამოყენებული. არ შეიძლება რაიმე ნიშნად ჩაითვალოს. ეს ნიშნები რომ იქნეს მოაზრებული, უნდა მოვიაზროთ როგორც რაღაცნაირად არსებულები, ამიტომ არსებობა მათი შინაარსი იქნება. რომელიმე ცალკეული მოვლენისაგან განთავისუფლება არ არის საერთოდ სინამდვილისაგან განთავისუფლება. ნიშნები და მათი კავშირები გარკვეული კლასისა თუ გვარის საგანთა კავშირების გამომთქმელია, ისე მეცნიერებაში სიმბოლიზაციას აზრი არა აქვს.

თუ ნიშნები ყოველგვარ შინაარსს მოკლებულია, მაშინ ნიშანთა შორის დამოკიდებულება იგივეობისა და წინააღმდეგობის კანონით შეუძლებელი იქნება. შეუძლებელი იქნება იმის თქმა, რომ A=B, რადგან A და B ორი სხვადასხვა ნიშანია და არ არის ერთი და იგივე, A არის A. ხოლო B არის B. ამიტომ შეუძლებელია თქმა — A არის არა A, რადგან თუ ის A არის, არ შეიძლება იყოს არა A. თუ ვიტყვით, რომ A არ არის B და სხვა, მაშინ როგორღაა შესაძლებელი, რომ A=B. სწორედ წმინდა ნიშნების თვალსაზრისზე დგომით შესაძლებელია წინააღმდეგობა. A=B ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ B არის სწორედ არა A, ამიტომ მივიღებთ, რომ A= არა A.

სიმბოლიზაცია, ანუ, რაც იგივეა, ფორმალიზაცია განზოგადების პროცესის უმაღლესი გამოხატულებაა. შემეცნებას, როგორც განზოგადებას, თავისი საფეხურები აქვს. განზოგადების პირველი საფეხურია მოვლენების დაჯგუფება. სინამდვილეში არის საგნები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ თავისი გვარის მიხედვით ერთი და იგივეა. ეს არის გვარეობითი განზოგადება, სადაც მოვლენების იმ მხარეს ვიშერთ, რომელიც მათთვის საერთოა, და მათ ერთი გვარის ქვეშ ვაყენებთ.

განზოგადების მეორე საფეხურზე ერთი გვარის მოვლენებისათვის გამონახულია კანონი, რომელიც ამ მოვლენების დინებას განსაზღვრავს. ყოველი კანონი მოცემული მოკლენების, როგორც ერთგვარი მოვლენების კანონია. დარვინის შეგუებისა და მემკვიდრეობის კანონი განვი-

თარებას განსაზღვრავს. აიზენბერგის განუსაზღვრელობის კანონი მცირე ნაწილაკების მოძრაობის კანონია. ეს კანონები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ თუ გამოითქმება ერთი კანონი, ამით მეორეც გამოთქმულია. ისინი სხვადასხვა კანონებია. ვერ ვიტყვით, რომ ამ კანონებში რაიმე მოცემული მოვლენაა დახასიათებული. კანონისათვის მნიშვნელობა არა აქვს სახელდებული მოვლენების არსებობას. მთავარია, რომ რაღაც მოვლენები არსებობდეს. ამ მეორე საფეხურის განზოგადებაში შედის ფილოსოფიური ზოგადი, რამდენადაც ის მოვლენების დამოკიდებულებას ისევე გამოთქვამს, როგორც მეცნიერება: ისინი ერთი და იგივე არიან იმ ჯაჭვით, რომ ორივეში სინამდვილის მოვლენებია შინააარსად. განსხვავება ის არის, რომ ფილოსოფიური ზოგადი უფრო ფართოა მოცულობით ვიდრე მეცნიერული.

განზოგადების მესამე საფეხურია ის, რასაც მათემატიკა ქმნის. თუ განზოგადების პირველ ორ საფეხურზე უშუალოდ მოჩანს საგანი, რაზედაც აზროვნებაა მიმართული, ამ ფორმაში საკუთრივ საგანი იკარგება, რადგან ის არ ადგენს არც ქიმიური, არც ფიზიკური, არც ბიოლოგიური და სხვა მოვლენების კანონებს. მათემატიკურ განზოგადებაში საკუთრივ საგანი გამქრალია.

სინამდვილის ნაწილებია ბუნება, აზროვნება, საზოგადოება. მათემატიკის შესახებ ვერ ვიტყვით, რომ ის არის მეცნიერება ცალ-ცალკე მათ შესახებ. არსებობს ისეთი მიმართებები, რომლებიც უზოგადესია. ეს მიმართებებია მათემატიკის საგანი, რომელიც მათ უზოგადესი ფორმით გამოთქვამს, A—B არის წმინდა უზოგადესი მიმართება. ნიშნებს: A, B,—აზროვნება ვერ შექმნიდა, სინამდვილეში რომ მიმართებები არ იყოს. ეს ნიშნები თვალით დასანახია და ამდენად ერთეულებია. მაგრამ რამდენადაც ნიშნებია, ამიტომ რაღაცაზეა მიმართული და რაღაცას გამოთქვამენ. ისინი სიმბოლოებია და რაკი ზოგადს გამოთქვამენ, თვითონაც შეთანხმებების შედეგად ზოგადებია.

მატერიალურ ზოგადში არც ერთი ცალკეული საგანი მოცემული არ არის და ვერც ამოვიკითხავთ, მაგრამ ზოგადი მიგვითითებს ამ ცალკეულის ბუნების შესახებ და კიდეც შეგვიძლია ის დავახასიათოთ. ასევე შეიძლება ითქვას ფორმალური ზოგადის შესახებ. თუ მატერიალურ ზოგადში გვარეობითი ერთეულია ნაგულისხმევი, ასევე შეიძლება ითქვას, ფორმალური ზოგადის შესახებ. მასში ნაგულისხმევია არა გვარეობითი ზოგადობის ერთეული, არამედ ყველა შესაძლებელი ერთეული, რა გვარისაც უნდა იყოს ის.

ფორმალურ ზოგადში გვარეობითი მატერიალური ზოგადები გამქრალია, ამიტომ მასში ყველა ის მოვლენა იგულისხმება, რომელიც ამ

დამოკიდებულებას აკმაყოფილებს. მაგალითად, S—P ფორმალურ ზოგადში ისეთი მოვლენები იგულისხმება, რომელშიც მსჯელობის ენაზე გადატანილი სუბიექტ-პრედიკატის დამოკიდებულებას იღებენ. ხოლო ისეთი დამოკიდებულება, როგორიცაა ნათესაობითი მიმართება, ამ ფორმით არ გამოიხატება და სხვა ფორმას მოითხოვს. ეს დამოკიდებულება ამ ფორმით გამოიხატება ARB, A მიმართებითია B-სადმი. თუ პირველში არის მსჯელობის სუბიექტი, რასაც გარკვეული პრედიკატი მიეწერება, მეორე ფორმას სხვა თვისება ახასიათებს. ამ ფორმაში არც სუბიექტია და არც პრედიკატი; რომელს დავასახელებთ პირველად და რომელს მეორედ. ეს საქმის ვითარებას არ სცვლის, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა იქნება. სულერთია, თინა არის ეთერის და თუ ეთერია თინას და, აზრი ერთი და იგივეა, დამოკიდებულებაც ერთი და იგივეა. თუ პირველ ფორმაში დამოკიდებულებას შევცვლით, სულ სხვა აზრი იქნება მიღებული, ვიდრე პირველ შემთხვევაში. მაგალითად, მსჯელობაში: ლითონი არის ელექტრობის გამტარი ერთი აზრია, მასში ლითონის ელექტრობის გამტარიანობაა დადასტურებული; თუ ამ დამოკიდებულებას შევცვლით, მაშინ სხვა აზრი იქნება მიღებული: ზოგიერთი ელექტრობის გამტარი ლითონია.

როგორც ჩანს, ეს ორი აზრი სხვადასხვაა. სხვადასხვა აზრი ელემენტების დამოკიდებულების შეცვლის შედეგია. $A \vee \overline{A}$ ლოგიკის უზოგადესი ფორმაა. რომელიც სისტემის ერთ-ერთი შემადგენელია. ჯერჯერობით არავის არ მოსვლია აზრად ამ ფორმის შეცვლა ახალი ფორმით და ამავე დროს არავის არ მიუღია ჰეშმარიტ ფორმად $A \wedge \overline{A}$, რომელიც აგრეთვე ლოგიკური კავშირების ერთ-ერთი უძირითადესი ფორმაა. რასაკვირველია, ამ ფორმებში კონკრეტულ საგანზე მითითება არ არის და არც არავინ არ ცდილობს, რომ მასში ის ამოიკითხოს. იმიტომ კი არა, რომ ის საგნობრივი ბუნებისა არ არის, არამედ იმიტომ, რომ ის ფორმალური ზოგადია, რომელიც ყველა შესაძლებელ საგანს ეხლისხმობს. ნამდვილს თუ არანამდვილს. პირველი ფორმა გამოთქვამს, რომ საგანი არსებობს ან არ არსებობს. შეუძლებელია, საგანი იყოს და არც იყოს, თუ საგანი არის, მაშასადამე ის არის; თუ საგანი არ არის, მაშასადამე, ის არ არის. ამ ფორმაში გამოთქმულია გარკვეული აზრი. თუ საგანი არსებობს, ის შეუძლებელია რაიმე ნიშანთვისებას ფლობდეს და არც ფლობდეს, ისე რომ ან-ანი ამ უზოგადესი დამოკიდებულების გამომთქმელია. ამდენად, ის არ არის უშინაარსო და წმინდა ნიშანთა ერთობლიობა. თუ ეს საგანთა უზოგადესი მიმართების ფორმა არაა, როგორ შეიძლება მასში შემდეგ შევიდეს ეს დამოკიდებულება და იქცეს მისი გამოხატვის საშუალებად?

ლოგიკაში შეისწავლება ლოგიკური ფორმები, რომელთა შესწავ-

ლისათვის სხვა ფორმები არ არის საჭირო. აქ შესწავლის საგანი და ის, რითაც ეს საგანი შეისწავლება, ერთი და იგივეა. აზროვნება უშუალოდ სჭვრეტს ლოგიკური ფორმის, როგორც საგნის და როგორც გამოხატვის, იგივეობას და აქ უსასრულო უკანსელის სამიშროება მოხსნილია.

ლოგიკური ფორმა შინაარსისაგან დამოუკიდებლად არც რამეს ამტკიცებს და არც რამეს უარყოფს. ეს გარკვეული მოძრაობაა, რომელიც აზროვნების ფორმის შინაარსთან კავშირშია შესაძლებელი. მტკიცება მხოლოდ აზრის თვისებაა, ხოლო აზრი საგნისკენაა მიმართული. აქ შემთხვევაში აზრს საგანთან მტკიცების სახით აქვს მიმართება, მათი დამოკიდებულება მტკიცებით არის გაშუალებული. მტკიცება არის ლოგიკური ფორმის აზრთან ანუ აზროვნების შინაარსთან ურთიერთობა, აზრის შინაარსის ლოგიკურ ფორმაში ჩამოქნა. აქ წარმოიშვა მტკიცებისა და მტკიცების საფუძვლის ურთიერთობის საკითხი. ეს საკითხი პირველად არისტოტელემ შეისწავლა. არისტოტელეს აზრით მტკიცებისათვის საჭიროა ისეთი საფუძველი, რომელიც თვითონ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ მისი საშუალებით რაიმე მტკიცდება.

მტკიცებას შემდეგი აზრი და მნიშვნელობა აქვს. მოცემულია გარკვეული აზრი, რომელიც თავისთავად, ანუ ჩვენი ცოდნის გარეშე, ან ჭეშმარიტია, ან მცდარი. შემეცნება მასზე არ ჩერდება, რადგან ვიცით, რომ ის ან ერთია, ან მეორე. ამიტომ მტკიცებამ უნდა გაარკვიოს რომელია თავისთავად. ეს დებულება ჭეშმარიტია თუ მცდარი, მისი ჭეშმარიტება ან მცდარობა მტკიცებაში არ იქმნება, რაკი მოცემულია მსჯელობა, მას ეს ნიშანი აქვს, ამიტომ მტკიცება მსჯელობის თავისთავად ჭეშმარიტებას ჩვენთვის ჭეშმარიტებად აქცევს.

რაკი მტკიცება გარკვეული შინაარსით მიმდინარეობს, ამიტომ შინაარსის მტკიცება თითოეულ მეცნიერებაში თავისებურია. მათ მხოლოდ ფორმის მიხედვით აქვთ ერთობა. ამოსავალი დებულება ფორმალური კი არ არის, არამედ შინაარსობლივია. ამიტომ ყოველი მეცნიერის საფუძველდებულება ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება. რაკი ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი აქვს, ამიტომ მისი ამოსავალი დებულება სხვა მეცნიერებასთან იგივე არ შეიძლება იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მეცნიერება ერთი და იგივე იქნებოდა.

§ 3. ლოგიკური და საგანი

ლოგიკურის ბუნების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგნისა და ლოგიკურის მიმართებას. ლოგიკური არის აზრების ერთიმეორისაგან აუცილებელი გამომდინარეობა. საგანი არის ის, რაზედაც ლოგიკურია მიმართული.

ლოგიკური ემპირიზმი, კერძოდ კარნაპი. მოითხოვს ლოგიკურის საგნისაგან განთავისუფლებას, რადგან საგანი ლოგიკურის ანტინომიურობას იწვევს. ანტინომიურობა აზრის ისეთი მდგომარეობაა, როცა ის ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში, როცა იძულებულია ერთი დებულების მტკიცების დროს, იმავე დროს, მივიდეს მისი საწინააღმდეგოს მტკიცებამდე. აზროვნება გამოუვალ მდგომარეობაშია იმით, რომ იგი არ არის იმის აუცილებლობის წინაშე თუ რომელი აირჩიოს როგორც ჭეშმარიტი, ორივე ერთნაირი ლოგიკური აუცილებლობით მტკიცდება. ორივე უნდა აღიაროს. თუ ასე მოიქცევა, მაშინ ისინი უნდა გააერთიანოს, მაგრამ გაერთიანებას ლოგიკური საფუძველი არა აქვს. იგი ერთსა და იმავე დროს რაიმე საგანზე ამტკიცებს A და არა A დებულებებს.

ეს წინააღმდეგობა მართლაც საგნის აღიარების შედეგია. ერთი შეხედვით ამ სიძნელიდან გამოსავალია საგნის უარყოფა. როცა საგანი უარყოფილი იქნება, მაშინ ჩვენ დაგვრჩება მხოლოდ დებულებები. რომლებიდანაც ამოვარჩევთ იმას, რომელიც უმჯობესია ჩვენი თეორიის აგებისათვის და ხელთ გვექნება თეორია, რომელიც ლოგიკურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და წინააღმდეგობის შემცველი არ არის. სწორედ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა არ იყოს, საგანი უნდა იქნეს უარყოფილი. ასე მოიქცა კანტი თავის ანტინომიების გადაწყვეტის დროს. კანტმა თავისთავადი საგანი გააუქმა, რითაც მოხსნა როგორც თეზისი, ისე ანტითეზისი.

შეიძლება თუ არა ლოგიკურის საგნისაგან განთავისუფლება?

კანტის აზრით საგანი თავისთავად შეუცნობელია, ამიტომ მან ის შემეცნების საზომად არ აიღო. შემეცნების საზომად ის უნდა იყოს, რაც შემეცნებას რამენაირად აქვს მოცემული, ამიტომ კანტმა საზომად აირჩია აზრთა შორის ლოგიკური თავსებადობა, ანუ უწინააღმდეგობა. მიუხედავად ასეთი თვალსაზრისისა, კანტის ფილოსოფიიდან არ გამოდის, რომ მისთვის შემეცნების საზომი უნდა იყოს უწინააღმდეგობა. საქმე ის არის, რომ კანტი ამოდის ცდიდან. განსჯის აპრიორული ფორმები ამუშავებენ მოცემულ ცდისეულ მასალას, ამდენად ფორმების მოქმედება ამ ცდისეული მასალით არის განსაზღვრული. კანტი განასხვავებს ერთმანეთისაგან ცნებას და იდეას. იდეა არის შემეცნების მამოძრავებელი, ხოლო ცნება—აზრი, რომელსაც შეგრძნებაში მოცემული მასალა შეესაბამება. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ აზრის ჭეშმარიტების საზომად მისთვის მარტო ლოგიკური თანმიმდევრობა არ არის. თუ ცნებას გრძნობადი რამ არ შეესაბამება, ის ცნებად არ ჩაითვლება. მაშასადამე, ცნება უშუალო გრძნობადი არ არის, მაგრამ ამ გრძნობადი მასალის არსებობითაა განსაზღვრული და მის საზომად სწორედ ეს ურ-

თიერთობა უნდა იყოს. ასეთია ამ საკითხის შესახებ კანტის თვალსაზრისი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საგნის აღიარება და მისი არსებობიდან გამოსვლა ანტინომიურობას არ წარმოშობს. შემეცნებამ საგნის მოპირისპირე მხარეები ერთმანეთისაგან არ უნდა მოწყვიტოს და შემდეგ ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპიროს. შემეცნებამ ისინი უნდა გაიგოს, როგორც ერთი საგნის შემადგენელი მხარეები. თუ ამ მხარეებს ერთმანეთისაგან გამოვთიშავთ და, როგორც ცალკე საგნებს, ერთმანეთს დავუპირისპირებთ, წინააღმდეგობას მივიღებთ. გამოგვივა, რომ ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებით საგანი A-ც არის და მისი საწინააღმდეგო არა A-ც.

ვთქვათ, რომ ატომი შედგება პროტონისა და ელექტრონისაგან. ამ დაპირისპირებული მხარეების მსჯელობით გამოთქმა ანტინომიას არ წარმოადგენს. ანტინომიურობის შესაძლებლობა ამ შემთხვევაში საგანშია, რაც აზრში არ გადავა თუკი მსჯელობა საგანს გამოთქვამს როგორც მხარეების ერთიანობას. თუ ეს მხარეები ერთმანეთისაგან გავმოვთიშეთ და ვთქვით, რომ „ატომი არის პროტონი“, ხოლო მეორე მსჯელობით ატომი დავახასიათეთ, როგორც ელექტრონი, მაშინ მივიღებთ წინააღმდეგობას, რადგან ერთი საგანი ჯერ წარმოვადგინეთ, როგორც პროტონი, ხოლო მეორე მსჯელობით — როგორც ელექტრონი. ეს წინააღმდეგობა მაშინვე მოიხსნება თუ ატომს ამ მოწინააღმდეგე მხარეების ერთიანობად გავიგებთ და ამ ერთიანობას ერთი მსჯელობით გამოვხატავთ. საგნის წინააღმდეგობრივად გამოხატვა მისი ბრალი კი არ არის, არამედ ჩვენი შემეცნების ის მხარეა, რომელიც მის მიერვე დაიძლევა თუ თავისთავს სწორად წარმართავს.

მოპირისპირე მხარეების შეერთებას ამ შემთხვევაში ისევ საგანში აქვს საფუძველი. მოპირისპირე მსჯელობები სწორედ ამ საგნის მოპირისპირე მხარეების გამომთქმელი უნდა იყოს, მაშინ რჩება მათი შეერთების საფუძველი, რადგან მიღებულია, რომ საგანი ამ მხარეების ერთიანობაა. თუ საგნის მხარეები ერთმანეთისაგან მოვწყვიტეთ და საგანი ხან ერთით დავახასიათეთ, ხან მეორეთი, მაშინ წინააღმდეგობას მივიღებთ.

კარნაპის აზრით, საგანი უნდა ამოვარდეს ლოგიკიდან იმიტომ, რომ საგნის არსებობა წინააღმდეგობებს ბადებს. ეს ვამოუვალი წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ იქნება გადალახული, როცა საგანი ამოვარდება. აქ კარნაპი ახალს არაფერს არ ამბობს. ეს ის გზაა, რომელიც კანტმა გაკაფა ანტინომიების გადაწყვეტაში. ანტინომიიდან რომ განვთავისუფლდეთ, კანტის აზრით, საჭიროა თავისთავადი საგნის უარყოფა. ასე იქცევა კარნაპიც.

საგნის მიერ წინააღმდეგობის წარმოშობის საჩვენებლად კარნაპს შემდეგი მაგალითი მოჰყავს[4]: კარლოს მამის არსებითი თვისებაა კარლოს ნათესავად ყოფნა, რადგან წარმოუდგენელია, რომ კარლოს მამა კარლოს ნათესავი არ იყოს. მაგრამ მისთვის არსებითი თვისება არ არის მიწათმფლობელად ყოფნა, რადგან დასაშვებია, რომ ის შეიძლება არც იყოს მიწათმფლობელი. მისთვის მიწის ნაკვეთის საკუთრება არსებითი თვისებაა, რომ მიწის მფლობელი იყოს, რადგან შეუძლებელია, რომ მესაკუთრე მიწის ნაკვეთის მფლობელი არ იყოს, მაგრამ ეს შემთხვევითაა ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. ამრიგად, ამ კაცისათვის მიწისმფლობელად ყოფნა არსებითი თვისება არის და არც არის არსებითი თვისება. მაშასადამე, ვექცევით წინააღმდეგობაში. კარნაპი საგნის ლოგიკიდან ამოგდებისათვის სუსტ საბუთს ემყარება. თუ საგანი ისეთი ჯადოსნური ძალაა, რომელიც აზროვნებას ლოგიკურ წინააღმდეგობაში აქცევს, მაშინ შეუძლებელია საგნის ლოგიკური გზით დაუფლება. კარნაპს აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: აზროვნება უნდა განთავისუფლდეს საგნისაგან, ასეთი აზროვნება კი წმინდა ფორმალურია. ჭასაღარ ევალება სინამდვილესთან მიმართება დაამყაროს და თავისში გამოხატოს.

ასეთ ვითარებაში თვით ლოგიკური კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან ლოგიკური და, საერთოდ, აზროვნება საგანზეა მიმართული და თუ ის მისგან განთავისუფლდა, მაშინ რაში უნდა იყოს მისი ღირებულება? ლოგიკურის ან აზროვნების საგნისაგან განთავისუფლება ნიშნავს, რომ მისი ჭეშმარიტების საზომს ლოგიკურის შინაგან წყობაში ვეძებთ.

აზროვნება ასეთ შემთხვევაში ღებულობა ამოცანის წინაშე: რა მიზანს ემსახურება ლოგიკური წყობა? თუ საგანი უარყოფილი იქნება, მაშინ გაურკვეველია, თუ როგორ უნდა აიგოს ლოგიკური წყობა. მთავარი მაინც ის არის, რომ აზრს საგნის გარეშე არ შეუძლია მოძრაობა და მისთვის საგნად სწორედ ეს სიმბოლოებია, რომლებსაც ის როგორც საგანს ისე ეპყრობა. თუ აზრისათვის საგანი აუცილებელი არ არის, მაშინ აზრის წინაშე არავითარი პრობლემა არ დგას, რადგან აზროვნება არავითარი აუცილებლობის წინაშე არ დგას გარდა ლოგიკური კანონისა. აზროვნების ამოცანა იმაში კი არ არის, რომ საგანი მოხსნას, რათა ის არ ჩავარდეს ლოგიკურ წინააღმდეგობაში, არამედ იმაში, რომ საგანი შეიცნოს და საბოლოოდ ლოგიკურში გამოხატოს.

საგნის შინაგანი დაპირისპირებულობა აზროვნებას ლოგიკურ წი-

---

[4] Carnap, logischc syntax der sprache, 1934, Wien, გვ. 231.

ნააღმდეგობაში ვერ მოაქცევს, რადგან საგნის წინააღმდეგობრიობა აუცილებელი არ არის აზრის წინააღმდეგობად იქცეს.

საგნის წინააღმდეგობა, მისი მოწინააღმდეგე თვისებები იმთავითვე უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ჯერ ერთ მხარეს გავითვალისწინებთ, ხოლო გავიხსენებთ, რომ მას აქვს, აგრეთვე, მეორე მხარე, მისი მოწინააღმდეგე, მაშინ ასეთ რამეს მივიღებთ: ჯერ საგანი გაიგივდება პირველ მხარესთან, ხოლო რაკი აღმოჩნდება, რომ მას აქვს პირველის საწინააღმდეგო მეორე მხარე, ახლა იგივე საგანი გაიგივდება მასთან. ამრიგად, ერთი საგანი მოწინააღმდეგე საგნებად ნაწილდება და, ცხადია, ლოგიკური წინააღმდეგობის წინაშე ვდგებით. ჯერ საგანი იყო A, ხოლო მერე აღმოჩნდა, რომ საგანი A კი არა, არამედ არა A არის, A და არა A კი ერთმანეთს გამორიცხავენ. მაშასადამე, ლოგიკური წინააღმდეგობა საგნის წინააღმდეგობრივი ხასიათის შედეგი კი არ არის, არამედ მისი გამოხატვის მეთოდის შედეგია, ლოგიკური ძიება ისე უნდა იქნეს აგებული, რომ საგნის წინააღმდეგობრიობა აზრის წინააღმდეგობრიობად არ იქცეს.

საგნისა და მეცნიერების დამოკიდებულების შესახებ გარკვეული თვალსაზრისით გამოთქმული აქვს აიერს[5], რომელიც მეცნიერებიდან საგნის ამოგდებას მოითხოვს, ისე რომ აიერი კარნაპთან ერთად სემანტიკურ თვალსაზრისზე დგას. აიერი უარყოფს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მნიშვნელობა მოთავსებულია სიტყვას, წინადადებასა და საგანს შორის. მისი აზრით მეცნიერება წინადადებათა გაბმული ქსელია. ამ წინადადებებს მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება საგანს, ის მოცემული არაა. მეცნიერება აგებულია წინადადებათა და მათში გამოხატული მნიშვნელობებით და მასში ამათ გარდა სხვა არაფერი არ მოიპოვება. ერთი წინადადება მეორე წინადადებასთან კავშირით იძენს მნიშვნელობას. საგნის არსებობის ცდუნებას მეცნიერებაში სიმბოლო. ბადებს, რადგან ის მნიშვნელობაზეა მიმართული.

გამოთქმა — აზრს საგანი აქვს. ნიშნავს, რომ სიმბოლოს აქვს მნიშვნელობა. შესაძლებელია, მნიშვნელობა იყოს, ხოლო საგანი არ იყოს. როცა რამეს გავიაზრებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არსებობს. აიერი სწორად ამბობს, რაიმეს რომ ვეუბნებით ან გვწამს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო მათი საგანი ისე არსებობს, როგორც უნდა არსებობდეს ის საგანი, რომელიც უნდა შეიჯამოს ან გატყდეს. აიერი სწორია იმაში, რომ მეცნიერება მართლაც წინადადებებისა და მათში არსებული მნიშვნელობებისაგან შედგება, მასში ფიზიკური თუ ბიოლოგიური საგნები ხელშესახებად არ ალაგია. მაგრამ აქედან დასკვნის გაკეთება, რომ მე-

---

[5] A. Ayer, Thinking and Meaning, 1947, London, გვ. 14.

ცნიერებაში საგანი არ არის, არც ლოგიკურია და არც საგანთა ეითარების გამომთქმელი. აიერის აზრით, საგნიდან აზრზე გადასვლა არ ხდება, არც აზრიდან საგანზე გადასვლა, აზრიდან მხოლოდ აზრზე შეიძლება გადასვლა. აიერის ასეთი გაგების მიხედვით მეცნიერება დახშულ აზრთა სისტემაა, რომელიც მხოლოდ ლოგიკის კანონებზე დაფუძნდება. ამრიგად, სემანტიკური თვალსაზრისი მეცნიერების წმინდა ლოგიზაციის თვალსაზრისია, რომელსაც სინამდვილესთან შეხების წერტილი არა აქვს.

რა თქმა უნდა, სემანტიკური ფილოსოფია საგნისა და აზრის მიმართების სიძნელეს გრძნობს, ამიტომ მისი თვალსაზრისი ამ სიძნელიდან გამოსვლის ცდას წარმოადგენს. ეს სიძნელე შემდეგში მდგომარეობს: აუხსნელია აზრში როგორ უნდა შემოვიდეს სურათოვანი საგანი, რადგან ყველა საგანი სურათოვანი არ არის, აგრეთვე, როგორ უკავშირდება აზროვნება ასეთ საგანს, სიძნელისაგან განთავისუფლება სემანტიკური ფილოსოფიის მიხედვით იმით უნდა მოხდეს, რომ აზროვნებიდან, მეცნიერებიდან საგანი ამოვარდეს და მეცნიერება ნიშანთა წყობად იქცეს.

აზრში საგნის შემოსვლა იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს, ცხადია. შეუძლებელია. ცალკეული საგანი განფენილია, ხოლო აზრი ამ განფენილობას მოკლებულია, ამიტომ აზროვნებაში ადგილს არ დაიკავებს. რაც შეეხება კანონს, მისი ამ სახით აზროვნებაში შემოსვლა იქნებოდა აზრის კანონი, რაც შეუძლებელია. ფიზიკური საგნების კანონი აზრის კანონი ვერ იქნება. აქ გამოსავალი იმაში კი არ არის, რომ საგანი მეცნიერებიდან განიდევნოს, არამედ იმაში, რომ მათი მიმართება სხვაგვარად აიხსნას.

საგანი კი არ შემოდის აზრში, არამედ აზრი მიმართულია საგანზე, ხოლო აზრის საგანზე მიმართვა შეიძლება სწორი იყოს და შეიძლება მცდარი. საგნის გარეშე წინადადების მნიშვნელობა არც მცდარია და არც ჭეშმარიტი, ის არის მხოლოდ აზრი. თუ მეცნიერებიდან საგანი ამოვარდება, მაშინ აზრთა ურთიერთკავშირი შეიძლება წმინდა თვითნებურ აქსიომებზე დაფუძნდეს, რომელსაც ღირებულება არ ექნება, რადგან საგნის შესახებ არაფერს არ იტყვის.

წინადადების მნიშვნელობას დამოუკიდებელი ღირებულება არა აქვს. იგი მიმართულია საგანზე, რომელიც მხოლოდ ამ მიმართვით არის შესაძლებელი. თუ მეცნიერებას საგანი გამოეცლება, მაშინ მეცნიერების განვითარება აუხსნელი იქნება, რადგან წმინდა მნიშვნელობათა სისტემა თავისი შინაგანი წყაროებით არ შეიძლება შეიცვალოს. რაკი სემანტიკური სისტემა აგებულია, ის ყოველთვის უცვლელი უნდა იყოს, რადგან ლოგიკის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ცდა, რომლის გარეშე

მეცნიერება არ ფუძნდება, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ აზრი საგნის გარეშე არ არის და წინადადების მნიშვნელობა საგანზეა მიმართული. ცდა ზოგ დებულებას უარყოფს, როგორც მცდარს, ხოლო ზოგს, როგორც ჭეშმარიტს, ტოვებს. წინადადებათა ლოგიკური სისტემა მიმართულია საგანთა კავშირებზე, აიერის აზრით, შეუძლებელია წინადადება იყოს ფაქტის სურათოვანი გამოხატვა, ამიტომ ფაქტის ცნება მეცნიერებიდან უნდა ამოვარდეს. აიერისათვის ფაქტი და ჭეშმარიტი წინადადება ექვივალენტურია, ე. ი. ფაქტის მაგიერ ჭეშმარიტი წინადადებაა მოცემული. საქმე ის არის, რომ ეს ორი ცნება შესაბამისი არ არის, ფაქტი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ხოლო წინადადება ამ ნიშანს ფლობს სწორედ ფაქტთან მიმართების გამო.

რაკი საგანი ამოვარდნილია და მეცნიერება წინადადებათა კავშირშია, ცხადია, წინადადებას ისევ წინადადებასთან ექნება საქმე. აიერი ვერ ამტკიცებს, რომ ერთი წინადადება მეორეშია მოთავსებული, ამიტომ ის იძულებულია ერთი წინადადების მეორესთან მიმართება აღიაროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი წინადადება მეორესთვის ფაქტი უნდა იყოს. თუ ერთი წინადადების მეორესთან მიმართება შესაძლებელია, მაშინ ასევე შესაძლებელი უნდა იყოს აზრის საგანზე მიმართება და ამით აიერი საგნის მეცნიერებისათვის არსებობას ზედმეტად ვეღარ ჩათვლის. აიერს ასეთი წინადადება მოჰყავს: „მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე ნიშნავს: მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე". აიერი ამბობს, რომ ეს წინადადება მნიშვნელოვანია და ტავტოლოგია არ არის, მაგრამ ამის დასაბუთებას არ ახდენს.

როგორც ცნობილია, ერთი და იგივეს განმეორება ტავტოლოგიაა. აქ კი პირველი წინადადება მეორე წინადადებაშია განმეორებული. ამიტომ ეს ზუსტი ტავტოლოგიაა, თუ „მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე ნიშნავს მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე". აიერი სწორია იმაში, რომ აქ უსასრულო უკანსვლა მოხსნილია, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი და იგივეს განმეორება ხდება. თუ მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე, მაშასადამე მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე. თუ მას საგნად ვაქცევთ, ისევ მისი განმეორება მოგვიხდება. საგნად ქცევას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და გამართლება, როცა ერთი წინადადება ერთი ენიდან მეორე ენაზე იქნება გადატანილი, ხოლო ამის გარეშე მას აზრი არა აქვს. „დღეს მე 20 სიგარეტი მოვწიე" წინადადებაა, რომელიც სიგარეტის მოწევის ფაქტზეა მიმართული. ეს ფაქტი იმის გარეშე არსებობს, ვასზე მსჯელობა გამოითქმება თუ არა. ამიტომ ეს ფაქტი მისი მსჯელობის იგივეობრივი არ არის. მეცნიერება საგნისაგან განსხვავდება: საგანი არაფერზე არ არის მიმართული. მეცნიერება კი საგანზეა მიმართული. მეცნიერებაში საგნები არ ლაგდება, ასეთი რამ შეუძლებელია. ეს რომ დაეუშვათ,

ისევ საგნების რიგი იქნება და არა მეცნიერება. როცა ატომზე ვმსჯელობთ, მსჯელობის მაგიერ ატომებს ვერ ვათამაშებთ, ეს არც იქნება მეცნიერება, ეს ისევ ატომების რიგში ყოფნა იქნება. მეცნიერება მაშინ არის, როცა აზრი ატომებზეა მიმართული, ხოლო აქედან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, რომ მეცნიერებას საგანთან არა აქვს საქმე.

რაკი აიერის გაგებით აზრს საგანთან არა აქვს საქმე და მეცნიერება წინადადების წინადადებასთან კავშირია, ამიტომ ჰეშმარიტება ზუსტი სემანტიკური პრობლემაა[6]. ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადება წინადადებას გამოთქვამს და არა მისგან დამოუკიდებელ ვითარებას. ცხადია, რომ საგანი არ შეიძლება წინადადების რიგში ჩავაყენოთ და ისე ვიგოთ წინადადების მიერ საგნის გამოხატვა, ჩვენ მხოლოდ წინადადების წინადადებასთან დაკავშირების გზა გვაქვს, ხოლო ცდისა და დაკვირვების საშუალებით ჩვენ გავდივართ წინადადების ფარგლებიდან. ვნახულობთ საგნებს, რომელთაც წინადადება ან გამოხატავს, ან არა.

აღწევს თუ არა აიერი სემანტიკური პრინციპის დაცვას და საგნისაგან განთავისუფლებას? ამ მიზანს აიერი ვერ აღწევს, მეცნიერებას საგნისაგან ვერ ანთავისუფლებს. განვიხილოთ მისი წინადადებები. „მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე ჰეშმარიტია მაშინ, და მხოლოდ მაშინ, თუ მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე. შესაძლებელია, მე დღეს 20 სიგარეტი არ მოვწიე ანდა სულ არ მოვწიე, ამიტომ მეორე მსჯელობა პირველთან იგივე კი არ არის, არამედ მისი ჰეშმარიტების დამადასტურებელია". ამიტომ მსჯელობა „მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე" ჰეშმარიტია მაშინ, თუ 20 სიგარეტის ჩემ მიერ მოწევას ადგილი ჰქონდა. ამრიგად. პირველი მსჯელობა მიუთითებს ასეთი ფაქტის არსებობაზე და, ამდენად, მსჯელობა საგანზეა მიმართული. ამის გარეშე ის არის, წინააღმდეგ აიერისა, წმინდა ტავტოლოგია, რომელიც გასაგებს არაფერს არ ხდის იმ სახით რა სახითაც ეს წინადადება აიერს აქვს მოცემული.

აიერი ამბობს, რომ მას ამ წინადადებაში ტავტოლოგია არა აქვს, მაგრამ თუ იქ საგანი არ იგულისხმება, მაშინ ისინი ნამდვილად ერთი და იგივე არიან და ტავტოლოგიას ადგილი აქვს. აქ არის ერთი წინადადების არსებობის დადასტურება მისივე განმეორებით. მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე ნიშნავს, რომ მე ვთქვი წინადადება „მე დღეს 20 სიგარეტი მოვწიე". ასეთი გაგება მართლაც ხსნის ჰეშმარიტებას, მაგრამ ჰეშმარიტების ასეთ გაგებას მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ასევე შეიძლება ითქვას მის მეორე წინადადებაზე — „ნაპოლეონმა ომი წააგო ვატერლოოსთან ჰეშმარიტია მხოლოდ მაშინ, თუ ნაპოლეონმა ომი წააგო ვატერლოოსთან". ამ სახით ის ადასტურებს, რომ წინადადე-

---

[6] აიერი, იქვე, გვ. 27.

ბა ნამდვილად გამოთქმულია, ხოლო მისი ნამდვილი აზრი ის არის, რომ წინადადება „ნაპოლეონმა ომი წააგო ვატერლოოსთან“ მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი თუ წინადადება „ნაპოლეონმა ომი წააგო ტერლოოსთან“ ომის წაგების ფაქტის გამომთქმელია.

აიერი თვითონ გრძნობს სემანტიკური თვალსაზრისის უკმაროებას და იძულებულია თქვას, რომ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად მომწყვდეული ვართ ენაში, ჩვენ ვამოწმებთ მსჯელობებს[7]. ეს უკვე წმინდა სემანტიკაზე ხელის აღება და მისი უარყოფაა, რაც აიერის აზრთა თანმიდევრობის დარღვევაა. თუ ამ უკანასკნელი თვალსაზრისიდან განვიხილავთ საქმის ვითარებას, სხვა რამეს მივიღებთ. წინადადებათა კავშირები საგანთა კავშირების გამომთქმელია. მეცნიერებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ის ამ ამოცანას ასრულებს. მეცნიერული დებულების ცდაში შემოწმება მხოლოდ იმიტომ შეიძლება, რომ ის საგანზეა მიმართული და უნდა დადასტურდეს ამ მიმართვის ნამდვილობა.

§ 6. ინტუიცია და ამოსავალი დებულებები

საგნებს აქვთ ისეთი მხარეები, რომლებიც ადამიანს უშუალოდ ეძლევა. იგი უშუალოდ ხედავს ხეს, შეიგრძნობს მის სიმაღლეს, მოისმენს საგნისაგან წამოსულ ბგერებს, თუმცა ეს ცოდნა მას უმალვე არ მიუღია. ამ ცოდნისათვის საჭიროა, რომ საგნები მრავალჯერ აღიქვას, დააკვირდეს, გასინჯოს და როცა მათგან მიიღებს ერთნაირ შეგრძნებებს. მერე ერთი გარკვეული ნიშნით აღნიშნოს. ასევე შეიძლება ითქვას ბგერების შესახებ. ის გვესმის, მაგრამ საგნიდან მოდის თუ თავისთავად არის, ჯერ არ არის შესწავლილი. საჭიროა მისი შემოწმება, რის შედეგადაც ადამიანი მიდის დასკვნამდე, რომ ბგერები საგნებთანაა დაკავშირებული და თავისთავადი მყოფობა არა აქვთ. ის გარემოება, რომ ადამიანი ახლა უშუალოდ ანსხვავებს საგნებს ერთიმეორისაგან, დაკვირვებების ნიადაგზეა შემუშავებული და ამდენად არ არის უშუალო, გამოცდილებითაა გაშუალებული. იმისათვის, რომ ადამიანს ამ უამრავი საგნებისათვის სახელი შეერქმია და გარკვეული ნიშნებით ერთიმეორისაგან გამოეყო, მას განვითარების დიდი გზა უნდა გაევლო. ამრიგად, საგნების ამგვარი დაჯგუფება ერთგვარი გაშუალებაა, რაც ადამიანს უშუალოდ არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

საგნების დაჯგუფება და მათთვის სახელების შერქმევა სინამდვილის მეცნიერული შემეცნების წინასწარი აუცილებელი პირობაა. უნდა

---

[7] აიერი, იქვე, გვ. 28.

ვიცოდეთ რასაც ვიმეცნებთ, რა არის ის, როგორც სინამდვილის გარკვეულობა. ამის გარეშე საგნები ერთმანეთში აგვერეოდა. შემეცნების ამ სახისათვის უშუალობა მაინც მისი არსებითი ნიშანია. შემეცნება უშუალოა იმიტომ, რომ მასში საგნები იმთავითვეა მოცემული. სიმაგრე. ბგერა და სხვა ამგვარი უშუალოდ არის მოცემული იმისათვის, რომ ისინი სხვა საგნებისაგან გამოვყოთ. ამ შეგრძნებებს სხვა საგნის შეგრძნებებთან ვადარებთ. რომ ნათლად მივხვდეთ მათ გარკვეულობას, ხოლო თვითონ ეს შეგრძნება გაპირობებული არ არის სხვა საგნის შეგრძნებებით. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა საგნის სიმაგრის შეგრძნებაა, იგი იმიტომ არ არის ასეთი, რომ მას წინ უსწრებს სხვა რაღაც შეგრძნება, რომელიც საგანთა მიმართებაშია წარმოშობილი. გარდა ამისა, არის მრავალი რამ, რაც უშუალოდ შეგრძნებაში არ გვეძლევა. მეცნიერების ამოცანა სწორედ მისი შემეცნებაა, ამოცანა ის არის, თუ როგორ მივიდეთ იმასთან, რაც შეგრძნებაში არ არის მოცემული.

მეცნიერული შემეცნება იმით ხასიათდება, რომ მას აქვს შემუშავებული მეთოდები, რითაც იგი სინამდვილეს შეისწავლის. შემეცნების თეორეტიკოსები, მაგალითად, ბერგსონი და მისი მიმდევრები ფიქრობენ, რომ შემეცნების ძირითადი მეთოდია ინტუიცია. ამრიგად, არსებობს შემეცნების ინტუიციური მეთოდი, ხოლო მისგან განსხვავებულ შემეცნების მეთოდებს დისკურსიული მეთოდები ეწოდება.

ინტუიციური ცოდნა არის უშუალო ცოდნა. უშუალო ცოდნა კი ისეთი ცოდნაა, რომელიც ცოდნის ელემენტებით არ არის გაპირობებული. ფართო გაგებით უშუალოდ ცოდნა დასაწყისის ცნებას უკავშირდება. ყველაფერი იწყება, რაიმეს დასაწყისი აქვს ან თავისში, ან სხვაში. თუ მას დასაწყისი სხვაში აქვს, მაშინ ამ სხვას კიდევ სხვაში აქვს დასაწყისი, ამიტომ ეს დასაწყისი არც არის უშუალო, იგი უსასრულო ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. ამ აზრით დასაწყისის ძებნა შეიძლება ზედმეტიც კი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ შედარებითაც შეიძლება დასაწყისი მოვნახოთ.

თუ ჩვენ ვეძებთ რაიმე მოცემული საგნის უახლოეს მიზეზებს, მაგალითად, როცა ვეძებთ მეორე მსოფლიო ომის მიზეზებს, შეიძლება ძებნა უსასრულოდ გაგრძელდეს, მაგრამ რადგანაც ეს შორეული მიზეზები შეიძლება ყველაფრის მიზეზად იქცეს და ამ მოცემული მოვლენის ახსნისათვის უშუალოდ არ ვარგოდეს, ამიტომ ვკმაყოფილდებით უშუალო მიზეზებით და ვნახულობთ ამა თუ იმ მოვლენის საწყისს. ხელოსანი, რომელიც სკამს აკეთებს, განსაზღვრულია მასალით, რომ არ ყოფილიყო მასალა, ის სკამს ვერ გააკეთებდა; რომ არ ყოფილიყო ხე, მასალა არ იქნებოდა; რომ არ ყოფილიყო შესაფერისი ნიადაგი, ხე არ იქნებოდა და ასე შემდეგ. მაგრამ ამ ურთიერთკავშირის რგოლების გა-

ელა არ ხდება და სკამის კეთება მოცემული პირობების ერთობლიო მოქმედებით არის დაწყებული, ამდენად შედარებით უშუალოა. შემეცნებასაც შეიძლება ამ სახით მივუდგეთ.

შემეცნებაში უნდა ვნახოთ ისეთი მხარეები, რომლებიც არ არის დამოკიდებული იმისაგან, რაც მათგან გამომდინარეობს. პირიქით, ეს გამომდინარე მათგან არის დამოკიდებული. როცა ლაპარაკია შემეცნებაზე, იგულისხმება მისგან შექმნილი მეცნიერებანი, რომლებიც იწყებიან მსჯელობებით. დასაწყისი მსჯელობა უშუალოდ უნდა იყოს მოცემული, რაც შემდგომი მსჯელობებისაგან არ გამომდინარეობს. შემეცნების ინტუიციური მოთხოვნა ისაა, რომ გამოსავალი დებულებები უშუალოდ იყოს შეცნობილი. აღქმით დაწყებული შემეცნება უშუალოა, რაზედაც შემდგომი შემეცნების შინაარსი იქნება აგებული.

ინტუიცია, როგორც მეცნიერების გზა, მრავალმა ფილოსოფოსმა აღიარა. ინტუიციის ქვეშ შეიძლება მოაზრებული იქნეს ის გზაც, რომლის საშუალებითაც ადამიანი ეზიარება ზეხილულ სინამდვილეს, იდეალურ სამყაროს ღმერთის სახით. ცხადია, რომ ინტუიციის ასეთი გაგება მცდარია და უნდა იქნეს უარყოფილი, მაგრამ ისტორიულად ასეთი რამ იგულისხმებოდა.

ადამიანური შემეცნება განსაზღვრულია დროულ-ერცეული სინამდვილით, მისი კანონზომიერების შემეცნებით და რაკი ერთადერთი სინამდვილე ეს არის, ამიტომ იქითურის წვდომა მოჩვენებაა. რაკი ცდის-იქითური არავითარი გზით არ გვეძლევა, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება მისი არსებობის შესახებ ვიმსჯელოთ.

რა უნდა გვესმოდეს უშუალობის ანუ ინტუიციის ქვეშ? მის ქვეშ უნდა გვესმოდეს საგნების მოცემულობა გრძნობადობაში და საგნის აზრობრივი სურათის გონებაში მოცემულობა. პირველი გასაგებია. როდესაც ადამიანს აქვს რაიმე საგნის აღქმა, მას საგანი მოცემული აქვს უშუალოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული აღქმიდან აღარ ხდება გადასვლა საგანზე, რადგან აღქმაში საგანია მოცემული; აღქმის შინაარსიდან აღარ ხდება საგნის ლოგიკური გამოყვანა, რადგან აღქმის შინაარსი თვითონ არის საგნის ორეული. აღქმა უშუალოა, რადგან იგი არაფრისაგან არ გამომდინარეობს, ხოლო მასზე გააზრების მოხდენით აზროვნებაა მისგან განსაზღვრული.

როგორც მეცნიერებამ დაადასტურა, აღქმის მასალა რომ არ იყოს, აზროვნების მოღვაწეობას ადგილი არ ექნებოდა. აღქმაში მოცემულ საგანში აზროვნება აღმოაჩენს ფარულ სინამდვილეს. ყოველი აღქმა აზროვნებისათვის ასახსნელი ამოცანაა, რომლის ახსნისა და გადაჭრისათვის მუშაობს თეორიული აზროვნება, ამიტომ აზროვნების გამოსავალია აღქმა, როგორც უშუალო მოცემულობა. აღქმული საგნის მოცემუ-

ლობას გამოვხატავთ მსჯელობის საშუალებით. მზეს ვხედავთ და ვაღგენთ მსჯელობას „მზე ანათებს", ვხედავთ მთვარეს და ვადგენთ მსჯელობას „მთვარე ანათებს".

აღქმები მიმართულია ერთეული საგნებისაკენ, ხოლო მეცნიერულ შემეცნებაში ამოვდივართ ზოგადი მსჯელობებიდან. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და სხვა მეცნიერებები იწყება ზოგადი მსჯელობებით, რომლებიც ერთეული აღქმების შინაარსის დადასტურებაა და ამდენად საწყისი მსჯელობებია, ანუ ისეთი მსჯელობებია, რომლებიც პირველადია და სხვა მსჯელობებისაგან არ გამომდინარეობენ. ამრიგად, ცდისეული საწყისი მსჯელობები უშუალოა და აღქმაზეა დაფუძნებული.

აზრითი შემეცნება თავისუფალი არ არის უშუალობისაგან, ინტუიციურობა მისთვისაც დამახასიათებელია. აღქმა სურათოვანია, ინტუიცია კი აღქმას არ ემთხვევა, რადგან ის შეიძლება უსურათოც იყოს. აზროვნული უშუალობა სწორედ უსურათოა.

რაში მდგომარეობს ინტუიციის თავისებურება? მეცნიერული შემეცნება უნდა დაიწყოს, დასაწყისი შეუძლებელია შედეგი იყოს იმისი, რაც შემდეგ უნდა წარმოიშვას. რაკი შედეგს აქვს თავისში რაღაც როგორც საფუძველი, ამიტომ ის არის მისი საწყისი და მით არის იგი გაპირობებული.

შემეცნებაში, როგორც ერთი მთლიანში, ანალიზის საშუალებით უნდა აღმოჩნდეს ის, რაც მასში პირველადია და ის, რაც მისგან გამოყვანილია.

ყოველი პირველადი დებულება შეიცავს თავისში შემდგომი დებულებების გამოყვანის შესაძლებლობას, ისე როგორც ყოველი მცენარის თესლი შეიცავს თავისში იმის შესაძლებლობას, რაც მისგან უნდა წარმოიშვას. მცენარის თესლი უშუალოა, ანუ ის გამოსავალია შემდგომი მცენარისათვის, ხოლო მცენარე მისგან არის გაშუალებული. რა თქმა უნდა, მცენარე არ არის აბსოლუტურად უშუალო, იგი განვითარების მთელი გზით არის გაშუალებული, მისი უშუალობა მთელი გაშუალების გზის მოხსნის შედეგია, მაგრამ ის მაინც მცენარისათვის გამოსავალია და ამდენად უშუალო.

უშუალობა არ ნიშნავს იმას, რომ რაც უშუალოა ის უშინაარსოა ანდა არ შეიცავს რაიმე შესაძლებლობას. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ის არც გამოდგებოდა რაიმეს საწყისად. რაიმეს საწყისი თვითონ უნდა იყოს რაიმე. საწყისი მდიდარია შესაძლებლობით, ხოლო ღარიბია ნამდვილობით, მასში ჩასახული შესაძლებლობები სინამდვილედ არ არის ქცეული. ასე შეიძლება ითქვას საწყისი მსჯელობების შესახებაც. რაიმე მეცნიერების საწყისი მსჯელობა ამ მეცნიერების საწყისია, რადგან ის მთელი შემდგომი მსჯელობების მიმართ გარეგანი კი არ არის, რომე-

ლიც შეიძლება გამოითქვას და შეიძლება არ გამოითქვას, არამედ იგი მათ შინაარსში იგულისხმება.

თუ ფიზიკაში იქნება საწყისი მსჯელობა, მაგალითად, „ყველა ფიზიკური სხეული მოძრაობს განსაზღვრული კანონებით", ეს ყველა შემდგომ მსჯელობაში იგულისხმება იმით, რომ ყველა კანონი, ანუ კანონების გამომთქმელი მსჯელობები, მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორია, სახელდობრ, სხეულების მოძრაობის კანონები. პოლიტიკური ეკონომია იწყება საქონლით და პირველი მსჯელობა საქონლის შესახებაა გამოთქმული. „საქონელი არის ნივთი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად". ამ მსჯელობაში მოცემულია საქონლის ყველაზე უზოგადესი და პირველადი ნიშანი. შემდეგი მსჯელობები ამ პირველი მსჯელობების ახსნას, მის გამართლებას და დასაბუთებას ემსახურება. ეს მსჯელობა იმდენად ღარიბია, რომ ძალიან მცირეს გვეუბნება საქონლის შესახებ. მაგრამ იმდენად აუცილებელია, რომ თუ უარვყოფთ ამ მსჯელობას, მთელი იმ მსჯელობათა გაბმული ქსელი, რომელიც შემდეგ იქსოვება, დაიშლება.

საწყის მსჯელობებში გამოყენებულია ისეთი ცნებები, რომელთა შინაარსი ამ მეცნიერების ფარგლებში არ შეისწავლება. ასეთია, მაგალითად, „ნივთი", რომელიც პოლიტიკური ეკონომიის საგანი არ არის. ის უზოგადესი ცნებაა, რომელიც სხვა მეცნიერების საქმეა. ერთი მეცნიერება მეორისაგან იღებს ცნებებს და იყენებს ისე, რომ მათ საგანგებო შესწავლის საგნად არ აქცევს. ეს ასე რომ მოხდეს და მეცნიერებამ ყველა ის ცნება, რაც მას კვლევაძიებაში შეხვდება, თავისი შესწავლის საგნად გახადოს, მაშინ ის, როგორც ლოგიკური სისტემა, ვერ აიგება. რადგან ეს ცნებები ამ მოცემული მეცნიერების არედან გასელას მოითხოვენ. არც ერთ მეცნიერებას არ შეუძლია სხვა მეცნიერების მიერ აღიარებული ცნებების გარეშე ააგოს სისტემა. პოლიტიკურ ეკონომიაში შემოსული ნივთის ცნება მოცემულია თავისი მნიშვნელობით და მისი ბუნება სხვა მეცნიერებაშია გარკვეული.

უშუალობა ანუ ინტუიცია ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით შემეცნება არ არის. ასეთი შეხედულება აქვს გამოთქმული მ. შლიკს, რომლის აზრით ის შემეცნების საგნის მოცემულობის პირობაა. ეს აზრი გარკვეული მხრით მართალია, რადგან შემეცნება არ შეიძლება შეჩერდეს ინტუიციაზე, იგი უნდა განვითარდეს, რაც მხოლოდ აზროვნების საშუალებით არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არის შემეცნება, რადგან ინტუიციაში მოცემულია დებულება, რომელიც გარკვეული სახის შემეცნებაა. ინტუიცია აზროვნებასთან მიმართებაში შემეცნებისაგან დამოუკიდებელი არ არის, იგი თვითონ არის აზროვნების თვისება. აზროვნება თვითონ არის ისეთი ბუნების, რომ იგი დაწყებუ-

ლი იქნეს უშუალოდ მოცემული აზრით. ინტუიციისათვის დამახასიათებელი არ არის სურათოვნება, როგორც ეს გრძნობადობას აქვს.

აზროვნებას შეუძლია უშუალოდ მიიღოს რაიმე გარკვეული დებულება, თუნდაც მას სურათოვნების ნიშანი არა ჰქონდეს. „ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილზე გავლებული ხაზი არის სწორი“ სურათოვანია. ამ დებულებას სურათოვნება ახლავს, რამდენადაც წარმოსახვაში ვასრულებთ ამ მოქმედებას, რაც შეეხება შემდეგ დებულებას — „ბუნება არსაიდან არ გამოიყვანება“ არ არის სურათოვანი, რადგან ამ დებულებას თან არ ახლავს რაიმე სურათის გამოსახვა. პირველ შემთხვევაში დებულების კანონიერებას ვერ მივიღებთ თუ არ წარმოვისახეთ ორი წერტილი და მათ შორის გავლებული ხაზი, მეორე შემთხვევაში ასეთი სურათის წარმოსახვა დებულების შინაგან მხარეს არ წარმოადგენს. ბუნება რომ არსაიდან არ არის გამოყვანილი, ეს დებულება მაშინ გახდება გასაგები, როცა თვითონ მისი გამოყვანის ცხებას შეუძლებელს გავხდით. ეს იმით არის შესაძლებელი, რომ ლოგიკურად ვერ ვაჩვენებთ ბუნების რაიმესაგან გამოყვანის შესაძლებლობას. გამოყვანა მაშინ ხდება ლოგიკურად გასაგები, როცა, საიდანაც რაიმე გამომდინარეობს, თვითონაც არის გამომდინარეობის საგანი. მაგრამ ასეთი რამ ამ შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან აზროვნება კანონიერად აყენებს კითხვას — რა არის ის რისგანაც ბუნება გამომდინარეობს და თვითონ ის რისგან გამომდინარეობს? ბუნების რაიმესაგან გამოყვანის მოთხოვნა აზროვნებას აყენებს ტავტოლოგიურ მდგომარეობაში. აქ გამოყვანის მოთხოვნა არ სრულდება, რადგან გამოსაყვანი და ის, რისგანაც ის უნდა იქნეს გამოყვანილი, ერთი და იგივეა, ბუნება სინამდვილეა და ის ისევე სინამდვილისაგან უნდა იქნეს გამოყვანილი. ეს იქნება იგივეს იგივესაგან გამოყვანა, რაც ტავტოლოგიაა, ამიტომ აზროვნება ჩერდება იმ დებულებაზე, რომ ბუნება არსაიდან არ არის გამოყვანილი. როცა მოვლენებს ვსწავლობთ, ისინი ურთიერთკავშირში გვეძლევიან. ნამდვილად გვაქვს მათი უსასრულო რიგი, მაგრამ ასეთი უსასრულო რიგის არსებობა უხერხულობას არ იწვევს. პირიქით, მასში შემეცნების კანონიერი მოთხოვნა ხორციელდება. A-ს მიზეზად დასახელებული იქნება B, ხოლო B-ს მიზეზად g და ასე უსასრულოდ. ჩვენთვის საინტერესოა თითოეული მოცემული მოვლენის მიზეზი. შესასწავლი მოვლენების მიზეზი ხდება გამოკვლეული. ერთია მოვლენის გამოყვანა მოვლენისაგან, ხოლო მეორეა ბუნების, როგორც ერთიანი სინამდვილის, რაიმესაგან გამოყვანა.

როცა სინამდვილის გამოყვანაზე ვმსჯელობთ, მას ისეთი რაიმესაგან ვხდით დამოკიდებულად, რაც თვითონ ეს ასახსნელი სინამდვილე არ არის. თუ ამ სინამდვილის ასახსნელად სხვას ავიღებთ, ისიც

სინამდვილე უნდა იყოს და სინამდვილის აღწერა ისევ სინამდვილით მოგვიხდება, რაც ახსნაში ტავტოლოგიას წარმოადგენს. თუ რაიმეს მიზეზ-საფუძვლის გამონახვისათვის ისეთ საგანზე მივუთითებთ, რაც ახსნილთან იგივეობრივია ან მისი სახეა, მაშინ ერთი და იგივეს გამეორება გვექნება, რაც მტკიცების შეუძლებლობას აჩვენებს. მაშასადამე, აზროვნებამ გამოსავლად უნდა მიიღოს რაიმე უშუალოდ მოცემული. რაკი აზრი ვერ ასრულებს მის რაიმესაგან გამოყვანის მოთხოვნას, იგი უნდა იქნეს მიღებული, როგორც ინტუიციური.

მეცნიერებაში არის საწყისი ანუ უშუალო დებულებები, მაგრამ ეს დებულებები აზრის შემოქმედების შედეგია და საქმე ისე არ არის, რომ, დაიწყება თუ არა აზროვნება, ისინი მაშინვე იქნებიან მოცემულნი. საწყისი დებულებები მოპოვებული უნდა იქნეს. ეს გარემოება ამ დებულებებს არ უკარგავს საწყისების ხასიათს. მეცნიერებისათვის უშუალო ანუ ამოსავალი მაინც აზროვნებით არის გაპირობებული, რამდენადაც ის მისგან უნდა იქნეს მოპოვებული.

მეცნიერებაში არსებული აქსიომები, როგორც მეცნიერების უძირითადესი ცნებები, აზროვნებისაგან არის მოპოვებული, ხოლო რაკი ისინი დასაბუთების საწყისია და არსაიდან არ გამომდინარეობენ, ამიტომ უშუალო ბუნებისა არიან. აზროვნება მათი დადგენისას გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობს. რაიმე მოცემული დებულება აქსიომაა თუ ის მეორე დებულებისაგან არ გამოდის და მას, როგორც აქსიომას, არ ეწინააღმდეგება. ამ ორი პრინციპით აქსიომის არსებობა გამართლებულია. მათი გამართლების უკანასკნელი საფეხური არის ის, რომ მათ საფუძველზე თეორია აგება, რომლისადმი ისინი პირველადებია, არსაიდან არ გამოიყვანებიან და უშუალოდ არიან მოცემულნი. მაშასადამე, არ არსებობს აბსოლუტურად უშუალო, ყოველი უშუალო შედარებით გაშუალებულია.

ინტუიციურობა ორნაირად უნდა გვესმოდეს: პირველი არის რაიმეს უშუალო მოცემულობა, რომელიც აზროვნებას დასაწყისშივე ეძლევა, მეორეა მეცნიერების აქსიომების უშუალობა, რომლებიც მეცნიერებისათვის უშუალოა, მაგრამ აზროვნების ძიებითაა მოპოვებული.

ლოგიკურად პირველი შეიძლება არ იყოს ფსიქოლოგიურად პირველი. ფსიქიური მოძრაობა არის აზროვნება, რომელიც მიმართულია მეცნიერების აგებისათვის, რისთვისაც უნდა იყოს ნახული საწყისი დებულებები. საწყისი დებულება შემეცნების იმ მხარეს გამოხატავს, რომელიც მისთვის უპირველესია, რომლის გარეშე მთელი საგანი, როგორც გარკვეული აგებულების მქონე, ინგრევა; პოლიტეკონომიაში სწორედ ასეთი მხარეა საქონელი. თუ საქონლის ცნებას ამოვაგდებთ ამ მეცნიე-

რებიდან, ის სრულიად დაინგრევა ისე, როგორც თუ კაპიტალიზმს საქონელს მოვაცილებთ, მაშინ კაპიტალიზმი, როგორც გარკვეული აგებულება, დაინგრევა.

შემეცნება სწორედ ისეთ საწყის მხარეებს ეძებს, რომელსაც აზროვნება გარკვეულ დებულებაში გამოხატავს. მეცნიერებაში ზოგი ცნება სხვა ცნებისაგან გამოიყვანება, ზოგი კი ყველა ცნების ამოსავალია. ამრიგად, მეცნიერება ერთობლივად აღებული აზროვნებისაგანაა გაშუალებული. რომ არ ყოფილიყო აზროვნება, არ იქნებოდა მეცნიერება. მაშასადამე, მეცნიერების აზროვნებისაგან წარმოშობა და ამ მეცნიერებაში არსებული ცნებების ურყევ ერთდამოკიდებულება სულ სხვადასხვა რიგის მოვლენებია. ცხადია, რაიმე დებულება რომ აქსიომაა უნდა დასაბუთდეს, მაგრამ ეს იქნება არა აქსიომის გამოყვანა, არამედ იმის დასაბუთება, რომ ის დასაწყისი დებულებაა, ანუ დასაბუთებამ უნდა ნათელი გახადოს მისი აქსიომურობა. ამ შემთხვევაში დასამტკიცებელი დამამტკიცებელისაგან არ არის დამოკიდებული, ისე როგორც როცა ვიტყვით: ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონისაგან. ატომის ეს ხასიათი ამ მსჯელობისაგან არ არის დამოკიდებული.

პირველად ცნებებს ლოგიკური თვალსაზრისით ახასიათებს უშუალობა. ლოგიკურობა ამ პირველადი ცნებების დადგენის შემდეგ იწყება. ისინი მოცემულ თეორიაში ლოგიკური გამომდინარეობის კანონს არ ექვემდებარებიან. მეცნიერებაში გამოყენებული აქსიომები აზროვნებას თანდაყოლილად მოცემული არა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი საღი აზრის მქონე ადამიანისათვის მისაწვდომი იქნებოდა.

ჰეგელს უშუალობისა და გაშუალების ურთიერთობის საკითხი დასმული და გადაწყვეტილი ჰქონდა შემდეგნაირად, მისი აზრით, უშუალო წარმოადგენს გაშუალების მოხსნის შედეგს. მაგალითად, არსი, საიდანაც ლოგიკა იწყება, უშუალოა, მაგრამ იგი მთელი „სულის ფენომენოლოგიით“ არის გაშუალებული. „სულის ფენომენოლოგია“ აღწერს იმ ცდისეული განვითარების გზას, რასაც გაივლის ცნობიერება, რომ მან ცნების საფეხურს მიაღწიოს; ცნების განვითარება ლოგიკაში აღწერილია ისე, რომ არსის ცნება, საიდანაც ლოგიკა იწყება, არის ფენომენოლოგიის შედეგი, ხოლო სულის ფენომენოლოგია იწყება შეგრძნებით, როგორც ცნობიერების უმარტივესი საფეხურით. თვითონ ამ დასაწყისს თავის იქით დასაწყისი არა აქვს, რადგანაც იგი თავისთავს ჭვრეტს ამ გარკვეულობით. ეს პირველი საფეხური ზედმეტს ხდის კითხვის დასმას თავისი გამომდინარეობის შესახებ.

შემეცნების ინტუიციურ და დისკურსიულ მეთოდებს შორის დაპირისპირება არ არსებობს, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მათი არჩევანის შესახებ — პირველი თუ მეორე. ინტუიციური შემეცნება

არასრულია დისკურსიულის გარეშე, ხოლო დისკურსიული მის გარეშე უსაყრდენოა. ინტუიცია აზრის ფორმაა, რაც ნიშნავს რაიმე დებულების მოცემულობას, რომელიც თავის მხრივ გამოთქვამს რაიმე შინაარსის მოცემულობას. ეს შინაარსი ამ დებულების ფორმითაა მოცემული. როცა ვაზროვნებთ არსებობაზე და გამოვთქვამთ დებულებას, არსებობა არის ყველაზე უზოგადესი, რომელიც არსაიდან არ გამოიყვანება. აქ არსებობა სურათის სახით კი არაა მოცემული, არამედ გარკვეული აზრია, რომელსაც ვაანალიზებთ და ვნახულობთ, რომ არსებობა არ შეიძლება რაიმესაგან იყოს ნაწარმოები. რისგანაც შეიძლება იყოს ნაწარმოები, ისიც არსებობაში შევა და მას დაემორჩილება.

არსებობის ცნების ანალიზს იქამდე მივყავართ, რომ ის ყოვლისშემცველია და არსაიდან არ იწარმოება, ამიტომ მას უშუალობის ხასიათი აქვს. ჩვენს განკარგულებაში არ არის ისეთი ცნება, რომელსაც ის შეიძლება დაემორჩილოს. ეს ცნება უშუალოა იმიტომ, რომ იგი ლოგიკურად გამოუყვანელია. მისი მოაზრების დროს მას თავისთავისაგან არ გამოვყოფართ. ამიტომ არის, რომ როცა ფილოსოფოსები სისტემას აგებენ — იდეალისტურს თუ მატერიალისტურს — ისინი არსებობის გამოყვანაზე კი არ მსჯელობენ, არამედ ამოსავლად აიღებენ ან მატერიას, ან იდეას და ერთიდან მეორეს აწარმოებენ. ცხადია, აქ ერთიდან მეორის გამოყვანა არ არის ლოგიკურ-ანალიზური; ის, შეიძლება ითქვას, სინთეზური ანუ ქმნადობითი მოძრაობაა, სადაც ერთიდან ისეთი რამე იწარმოება რაც პირველში არ არის, მაგრამ შეიცავს მისი წარმოშობის შესაძლებლობას. წარმოშობა იმით არის განსაზღვრული, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ნაკლოვანია და განვითარებამ სწორედ ეს ნაკლოვანება უნდა მოხსნას, საწყისმა სისრულეს უნდა მიაღწიოს.

აზროვნებაში მრავალი დებულებაა მოცემული, მათ მნიშვნელობას უშუალოდ ვაღიარებთ. მაგრამ თუ საკითხს დავსვამთ მათი ურთიერთობის შესახებ, აღმოჩნდება, რომ ისინი თავიანთ გადაბმულობაში ერთნაირ ადგილს არ იკავებენ; აღმოჩნდება ისეთი დებულება, რომელიც ყველა დანარჩენის საწყისს წარმოადგენს და სისტემის საფუძველია. ამრიგად, თეორიული სისტემის აგება საჭიროებს საწყის დებულებას, რომლის მნიშვნელობა უშუალოდ ცხადია შემეცნებისათვის. ინტუიციური ისეთი დებულებაა, რომელიც რაიმე დებულებისაგან გამოყვანას არ საჭიროებს, რისთვისაც არც არსებობს ასეთი საწყისი დებულება. საწყისისათვის საწყისის მოთხოვნა ლოგიკურად ამის, როგორც საწყისის, გაუქმებაა.

ყოველი მეცნიერება ეძებს საწყის დებულებას, რაზედაც ის შენდება. საწყისი დებულება შემეცნების საგნის უძირითადეს ნაწილს გამოთქვამს, იგი ამ ნაწილისაგან არის შედგენილი. ქიმიაში შესასწავლი

საგანი შედგება იმ უმარტივესი ნაწილებისაგან, რომლებსაც ატომი ეწოდება. ამრიგად, ქიმია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ატომების ურთიერთობას. ფიზიკაში საწყისად აღებულია ნაწილაკი, რომელიც ატომის დაშლის შედეგად არის მიღებული. ფიზიკური სხეულები ამ ნაწილაკებისაგანაა შემდგარი. ბიოლოგიაში ასეთ ნაწილაკად აღებულია უჯრედი, რომლისგანაც ცოცხალი ბუნებაა შედგენილი. ისტორიულ მეცნიერებაში ანუ საზოგადოების შესახებ მოძღვრებაში ასეთ უმარტივეს ნაწილაკად, რისგანაც შედგება საზოგადოებრიობა, მიჩნეულია ერთეული ადამიანი, პიროვნება. ყველა მოვლენას, რაც არის, აქვს საწყისი. ის, რასაც არა აქვს საწყისი, როგორც მოვლენა, არც არის არსებული. მეცნიერებაში დებულების ურთიერთგამომდინარეობა და მეცნიერების სისტემის სახით არსებობა ყველგან აქსიომატური არ არის.

§ 7. მეცნიერების აქსიომური აგება

მეცნიერება არის ცდისეული და არაცდისეული. ამის მიუხედავად ორივეს თავისი ძირი ცდაში აქვს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებებს ცდისაგან ორნაირი განსაზღვრულობა ახასიათებს. მეცნიერების ცდისაგან პირველი განსაზღვრულობა ასეთია: მეცნიერების საგანი ცდისეულია, რომელიც მის კანონებს ემორჩილება, განიცდის ცვლილებას და განვითარებას. ასეთი საგნებია: მცენარეები, ცხოველები, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები. ეს მოვლენები რომ შევისწავლოთ, საჭიროა მათზე დაკვირვება, ცდა. ცდა-დაკვირვებაში ვლინდება მათი თვისებები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც კანონის სახით გამოითქმება.

შემეცნების საგანი ცდისეულია. შემეცნების მიზანი, საგანთა დამოკიდებულებისა და კანონების დადგენაც ცდისეულია იმ აზრით, რომ ის იქ უნდა შემოწმდეს, ცდამ უნდა დაადასტუროს, ნამდვილად აქვს თუ არა ამ კანონს ადგილი. ცხადია, ცდაში აზროვნება მონაწილეობს, ამის გარეშე ცდისეულ შემეცნებაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ ეს აზროვნება ცდით არის განსაზღვრული, მან უნდა მიიღოს ის, რასაც ცდა დაადასტურებს. თუ აზროვნება ცდის მონაცემებს უგულებელყოფს და სხვა გზით დაიწყებს მეცნიერების აგებას, როგორც კანტი იტყოდა, ის ფანტაზიას უფრო დაემსგავსება, ვიდრე მეცნიერებას; კანონი, რომელსაც აზროვნება მეცნიერებაში ადგენს, ცდაში მოცემულ საგანთა დამოკიდებულების ამსახველია და, ამდენად, ცდით არის განსაზღვრული.

მეცნიერების ცდით მეორე განსაზღვრულობა იმაშია, რომ ის ცდისეული სინამდვილიდან მისი გადამუშავების გზით შემეცნების საგანს ჰქმნის, მაგრამ ასეთ საგანზე მეცნიერების აგება ცდაზე აღარ არის და-

მოკიდებული. ის განსაზღვრული აზრით არაცდისეულ მეცნიერებას წარმოადგენს. ასეთ მეცნიერებას ეკუთვნის გეომეტრია და, საერთოდ, მათემატიკა. გეომეტრიის საგანი სივრცისა და მისდაგვარი ფორმებია. განყენებული სივრცე, რომელიც თვალსაჩინოებას და საგანთა სავსეობას მოკლებულია, თვალსაჩინო სივრცისაგან განყენების გზით არის მიღებული. ამას აზროვნება აკეთებს იმ კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვით საგნის ფორმა და მისი მატერიალური მხარე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება უშუალო ხასიათისაა. როცა ჩვენ ვუყურებთ საგანს, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს, მაშინვე ჩვენს ცნობიერებაში მისი ხატი გაჩნდება. ეს რომ ასე არ იყოს, ცხადია, გეომეტრია, როგორც განყენებული მეცნიერება, შეუძლებელი იქნებოდა. ასევე შეუძლებელი იქნებოდა მხატვრობა ყველა მისი სახეობის ჩათვლით, რადგან მხატვრის მიზანია არა მატერია, არამედ მისი ფორმა. მთლიან საგანში მისი მხარეების ერთმანეთისაგან გამოყოფა ადამიანის ინტუიციური უნარია, რომლის გარეშე საერთოდ შემეცნება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან შემეცნება საგნის მხარეებად დაშლაა. რაკი გამოიყოფა გეომეტრიის საგანი, მისი შემდგომი შესწავლა ცდით აღარ არის განსაზღვრული, ის ემყარება გარკვეულ აქსიომებს, რომელთა საფუძველზე ჩატარებული მტკიცება ცდისაგან შედარებით დამოუკიდებელია. მას აქვს შინაგანი, ლოგიკური საზომი, რომელიც მეცნიერებაში რაიმე დებულების არსებობას განსაზღვრავს. მაშასადამე, ყველა მეცნიერების ძირი ცდაა, მისი ადგილი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორია მეცნიერების საგანი, უშუალოდ ცდისეული თუ არაცდისეული — გაშუალებული.

საგნის ნაწილებს შორის არის ერთიანობა, ამიტომ მათ შესახებ გამოთქმულ დებულებებში იგი უნდა ჩანდეს. დებულებები ერთიანობაში არიან იმათი ერთიანობით, რასაც ისინი გამოთქვამენ, ამის გარეშე მათ ერთიანობაზე მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა.

ცდისეული მეცნიერების შენობის ასაშენებლად, გარდა ამოსავალი დებულებისა, პოსტულატებისა, საჭიროა ისეთი ცნებების დადგენა, რომლებიც მეცნიერებისათვის აუცილებელია; თუ არ არის დადგენილი ცნებები — ძალა, ინერცია, სიჩქარე, აჩქარება, ტრაექტორია და სხვ., მექანიკა, როგორც მეცნიერება, არ დადგინდება. ეს ცნებები საბოლოო ანგარიშით მიმართულია მოძრაობის ასახსნელად, წარმოადგენენ მოძრაობის დახასიათებებს.

ინტუიციურობა, როგორც შემეცნების უნარი, ვლინდება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ხდება ორი ისეთი საგნის დახასიათება, რომელთა შორის უშუალო ურთიერთობაა, რომელთა კავშირი მესამეთი არ არის განპირობებული. მაგალითად, დეკარტეს დებულებაში — მე ვაზროვ-

ნებ, მაშასადამე ვარსებობ — ერთიდან მეორეზე, აზროვნებიდან არსებობაზე გადასვლა რაღაც მესამეთი არ ხდება. აზროვნება ისევ აზროვნებაში უშუალოდ იჭერს იმას, რასაც არსებობა ეწოდება, ამიტომ აქ უნდა ყოფილიყო არა მაშასადამე, არამედ „ანუ“, მე ვაზროვნობ ანუ ვარსებობ. „ანუ“ არა იმ აზრით, რომ არსებობა და აზროვნება ერთი და იგივეა, არამედ იმ აზრით, რომ აზროვნების მოქმედება მიუთითებს უშუალოდ არსებობაზე.

არსებობა არის შინაგანი პირობა. რაკი ვაზროვნებ, ვარსებობ. ჩემს აზროვნებაში უშუალოდ ჩემი არსებობა გაიგება. ამ ორი მხარის კავშირი ისე უშუალოა, რომ მათი დასკვნის ფორმით წარმოდგენა ზედმეტიცაა. როცა გამოვთქვამ დებულებას — ჩემი არსებობა არის ჩემი აზროვნების პირობა, თვითონ ეს არის აზროვნება, ამით მე აზროვნების გარეთ არა ვარ გასული, ჩემს აზროვნებას სახე შევუცვალე. არსებობის ცნებების გამოთქმით ისევ აზროვნებასთან გვაქვს საქმე, აზროვნების აქტი უშუალოდ არსებობის შემცველია და, ამდენად, მათი კავშირი უშუალოა.

ცდისეულ მეცნიერებაში საწყისი დებულების ლოგიკური განვითარება ანუ მისგან ახალი დებულების გამოყვანა ისე შეუძლებელია, თუ ცდისეული სინამდვილის ის ნაწილი არ გავითვალისწინეთ, რასთანაც ამ მეცნიერებას აქვს საქმე. მაგალითად, ფიზიკის რომელიმე დარგის საწყისი დებულება მისი ლოგიკური მოძრაობით ვერ გახდის შესაძლებელს იმ დებულებებს, რომლებიც ამ დარგის ფიზიკაშია დალაგებული. იმისათვის, რომ საწყისი დებულებიდან ახალ დებულებაზე გადასვლა მოხდეს, საჭიროა მთელის წინასწარ ცოდნა ანუ ცდის და დაკვირვების გზით იმ დებულებების შემუშავება, რომელთაც უახლესი კავშირი აქვთ საწყის დებულებასთან. მაშასადამე, მეცნიერების სისტემის სახით აგება გულისხმობს წინასწარ შემუშავებულ ცოდნას, რომელიც ჯერ სისტემა არ არის. ცდისა და დაკვირვების საფუძველზე შემუშავებული დებულებები კავშირში არიან ლოგიკის კანონების საფუძველზე, არაცდისეული მეცნიერება კი აქსიომებზეა აგებული. აქსიომების საფუძველზე აიგება თეორემები. აქსიომები შემოტანილია ნიშნებისა და მათი ურთიერთობების სახით, რომელშიც კონკრეტული შინაარსი არ არის მოცემული. ამიტომ მეცნიერების აქსიომურობა და ფორმალურობა ერთი და იგივე მოვლენაა. შემეცნების ფორმალური მეთოდი კი იგივე მათემატიკური მეთოდია. შემეცნების აქსიომური მეთოდი სრულიად ხორციელდება გეომეტრიაში, სადაც აქსიომების სხვადასხვაობა გეომეტრიათა სხვადასხვაობის საფუძველი გახდა. ამ გარემოებამ თავის მხრივ გამოიწვია ის აზრი, რომ გეომეტრიის აქსიომები თი-

თქოს პირობითია, რომელთა შემოტანა შეთანხმების შედეგია და ობი
ექტური საფუძველი არა აქვს.

გეომეტრიაში, საერთოდ მათემატიკასა და ლოგიკაში, ამ თვალსა-
ზრისით, მეცნიერების აქსიომების საფუძველზე აგება ხდება ყოველ-
გვარი ობიექტური შინაარსისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, ჰილ-
ბერტის აზრით, შემოტანილ ნიშნებს არა აქვთ არავითარი გარკვეული
შინაარსი, მნიშვნელობა და მხოლოდ ლოგიკურ კანონებს ექვემდება-
რებიან. აქსიომების თვითნებური შერჩევა, როგორც პრინციპი აქსიო-
მური თეორიის აგებისა, ვერ ხსნის აქსიომური თეორიის ბუნებას. ამ
თვითნებურ შერჩევას აქვს თავისი საზღვარი. როგორც ლოგიკურად,
ისე არსოლოგიურად. აქსიომები უნდა აკმაყოფილებდნენ ლოგიკურ
მოთხოვნას, მაგრამ ისინი არსობრივადაც განსაზღვრულნი არიან, რად-
განაც აქსიომები განყენებული საგნის ბუნებიდან გამომდინარეობენ,
ანუ განყენებული საგნის დახასიათებას წარმოადგენენ. განყენებული
საგანი არ იძლევა ყოველნაირი აქსიომის წამოყენების უფლებას. ეს
გარემოება, რომ ყოველი ფორმალური აქსიომური თეორია საბოლოო
ანგარიშით ცდისეულ სინამდვილეში უნდა იქნეს გამოყენებული და თუ
არ იქნა გამოყენებული, არავითარი აზრის მქონე არ არის, იმაზე მიუ-
თითებს, რომ აქსიომურ თეორიას რაღაც გარკვეული კავშირი აქვს სი-
ნამდვილესთან. აქსიომურ მეცნიერებას, როგორიცაა, მაგალითად, გე-
ომეტრია, საქმე აქვს ვრცეულ ფორმებთან, რომლებიც მიღებულია ცდი-
სეული საგნებისაგან განყენების შედეგად. ამ განყენების შემდეგ ისინი
აღარ არიან უშუალოდ ცდისეულნი, მაგრამ მაინც რჩებიან ცდისეული
საგნების ფორმებად. რაკი ისინი ცდისეული საგნების ფორმებია, მათზე
აგებული თეორიები ცდისეულ საგნებს კიდევეც მიუდგება. შეიძლება
უშუალოდ აქსიომებში ცდისეული საგნის ნიშნები ვეღარ აღმოვაჩი-
ნოთ, მაგრამ რადგან ცდისეულ საგანში ყოველთვის არის ისეთი რამ,
რაც ცდისეულ საზღვრებს ცილდება, ამიტომ საწყისის მიხედვით ისინი
მაინც ცდისეული სინამდვილიდან მოდიან.

ცდას საქმე აქვს ერთეულთან, იგივე ერთეული მათში ისეთ რა-
მესთან არის დაკავშირებული, რაც უშუალოდ ცდაში არ არის მოცე-
მული. მაგალითად, ზოგადი ერთეულ ცდაში მოცემულ საგანშია, ხოლო
თვითონ ცდისეული არ არის. სწორი ხაზი, რომელიც ევკლიდური გეო-
მეტრიის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, ცდისეული საგნებისაგან
სრის მიღებული. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ცდაში მას რა-
ღაც მიემსგავსება. სისწორე რომ იქნეს დაკერილი, ამისათვის საჭიროა
სისწორის ნიშნის გამოყოფა იმ საგნებისაგან, რასაც იგი ახასიათებს. ამ
გამოყოფით იგი კარგავს უშუალოდ ცდისეულ ხასიათს, ზეცდისეული
ხდება.

ამრიგად, ცდისეულსა და არაცდისეულს შორის კავშირი შესაძლებელია იმით, რომ არაცდისეული შედეგია ცდისეულისაგან განყენებისა. განყენების საშუალებით ცდისეული საგნების მრავალსახოვნობიდან იმას ვიშერთ, რაც მათთვის იგივეობრივი და შესწავლის მხრივ არსებითია. თუ აქსიომებს და მათზე აგებულ თეორემებს ჩავთვლით აზრის თვითნებური შემოქმედების ნაყოფად, მაშინ ძნელია იმ საფუძვლის მოძებნა, რითაც მათსა და სინამდვილეს შორის კავშირი მყარდება.

§ 8. აქსიომა როგორც მეცნიერების ლოგიკური საფუძველი

მეცნიერების აგება თავისთავად კანონებს ემორჩილება. ასე რომ არ იყოს, მაშინ მეცნიერების აგება თვითნებური იქნებოდა, ადამიანი მეცნიერებად იმას გაასაღებდა, რასაც მოისურვებდა. მეცნიერება იმითაა ზოგადი მნიშვნელობის, რომ მასში მოცემული ცნებები ყველასათვის ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავენ. ამავე დროს ცხადია, რომ მეცნიერებაში შეთანხმებას აქვს ადგილი. მაგალითისათვის ავიღოთ ლოგიკა. აქ მოხმარებულია ნიშნები: ზოგადობისა და არსებობის ქვანტორები, ოპერატორები, კავშირები.

ლოგიკის აგება ამ ნიშნებით გამოთქმული ცნებების გარეშე არ შეიძლება, რომელიმეს შეთანხმებით ამოგდება ლოგიკას დაამახინჯებდა, არასრულს, გახდიდა. ამ ცნების ნიშნებით გამოხატვა კი შეთანხმების შედეგია. ზოგადობის ქვანტური ასე აღინიშნება AX, რაც ნიშნავს ყოკელ X, მაგრამ ის შეიძლება რომელიმე სხვადასხვანაირი ნიშნით გამოიხატოს. ასეთი შეცვლა საქმის ვითარებას არ შესცვლის.

ასეთივე შეთანხმებით არის მიღებული ყველა ზემოხსენებული ცნების ნიშნები. ლოგიკა გამონაკლისს არ წარმოადგენს. მთელი მათემატიკა თავის ცნებებს ასეთი შეთანხმების გზით მიღებული ნიშნებით გამოხატავს, მათში გამოთქმული ცნებები კი შეთანხმების გარეშე აუცილებლობითაა მოცემული.

სიმრავლის ცნება, რომელსაც მათემატიკა სწავლობს, თავისთავადია და შეთანხმება იქ არ ერევა, ფიზიკა და ქიმია შეთანხმებით მიღებულ ნიშნებს იყენებს. ფიზიკაში, მაგალითად, სიჩქარის მასის, ენერგიისა და სხვა ცნებების გამოსახატავად ნიშნებია გამოყენებული, ხოლო თვით ეს ცნებები თავისთავადია. აინშტაინის ფიზიკაში ამ ნიშნებით გამოხატული დამოკიდებულება $E=mc^2$ თავისთავადია.

თუ მეცნიერების აგება თვითნებური არ არის, მაშინ არც აქსიომების აგება იქნება თვითნებური, რადგან აქსიომური მეცნიერების არსებას აქსიომები წარმოადგენს. თუ აქსიომები თვითნებური შერჩევის შე-

დეგი იქნებოდა, მაშინ იმდენი მეცნიერება იქნებოდა, რამდენიც აქსიომათა ნაირობა შეირჩეოდა, ხოლო თუ აქსიომების შერჩევა არაეითარ აუცილებლობას არ დაემორჩილებოდა, მაშინ ახალ-ახალი მეცნიერების აგება უსასრულოდ გაგრძელდებოდა, პრაქტიკაში კი ასეთ რამეს ვერ ვხედებით.

ევკლიდისებურ გეომეტრიაში აქსიომების ოთხი ჯგუფი: შეერთების, დალაგების, კონკურენტობისა და უწყვეტობის გარკვეულ საგანზეა მიმართული, რომელიც განსაზღვრავს აქსიომათა ამ ხასიათს. შეერთების 1₄ აქსიომაა, — „არსებობს სამი წერტილი მაინც, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარეობს". ამ აქსიომაში ნაგულისხმევია სივრცე, რომელიც უნდა გამოიხატოს ამ სამი წერტილის ისეთი დალაგებით, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარეობს. სიბრტყეს ორი განზომილება აქვს, ხოლო წრფე ერთგანზომილებიანია. თუ ვიტყვით, რომ სივრცე კი არ განსაზღვრავს აქსიომას, არამედ, პირიქით, სივრცე აქსიომით განისაზღვრება, სივრცე აქსიომებით არის შექმნილი, მაშინ იბადება საკითხი: ამ აქსიომების თავისებურება რით უნდა იქნეს ახსნილი? ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით აქსიომის ეს თავისებურება აზრის წმინდა მოღვაწეობაში ვეძებოთ. აზრის მყოფობა მისგან დამოუკიდებელ საგანზე მიმართვაშია. აზრის ნამდვილობა, უპირველეს ყოვლისა, თავისაგან განსხვავებულის გამოხატვაშია. ის თავისი განსხვავებული საგან არის განსაზღვრული.

სივრცე, როგორც ასეთი, რომელიც თავისუფალია საგნებისაგან. სინამდვილეში არ არის, მაგრამ სამაგიეროდ არის ერცეული საგნები, ანუ საგნები, რომლებსაც სივრცის ფორმა აქვთ.

აზროვნებას შეუძლია ვრცეული საგნებისაგან სივრცე გამოჰყოს და -ის ცალკე შესწავლის საგნად გახადოს. რაკი ვრცეული საგანი არსებობს და არა ცალკე სივრცე, ამიტომ გამოყოფილი სივრცე საგნების ფორმაა. ამის დახასიათებით თვით საგნებია დახასიათებული. საგნებისაგან გამოყოფილი ფორმა. როგორც სივრცე, სრულიად კარგავს რომელიმე ცალკეული საგნის ნიშანს, ის საგნის ზოგადობის ფორმაა. სივრცე, რომელიც გეომეტრიაში შეისწავლება, საგნის ფორმაა. ნათელია, რომ თუ სინამდვილეში მისი მსგავსი საგანი ვნახეთ, მაშინ ის თვისებები, რაც ამ ფორმას ახასიათებს, იქნება საგნის ის თვისებაც, რაც ამ ფორმის მატარებელია. ეს შესაძლებელი რომ არ იყოს, მაშინ გეომეტრიას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნებოდა. სივრცეს, რომლის განყენებაც მოხდა ცდისეული საგნებისაგან. ცდისეული ნიშნები აღარ გააჩნია, ამიტომ ის ცდით არ შეისწავლება. მისი შესწავლის ერთადერთი გზა არის ლოგიკური გზა.

რაკი აქსიომები სივრცის ბუნებით არის განსაზღვრული. ამიტომ

გეომეტრიათა ნაირობა სწორედ სივრცის ნაირობიდან წარმოდგება. აინშტაინმა სივრცისა და მატერიის კავშირის თეორიით დაასაბუთა, რომ როგორიც არის მატერიალური სისტემა, ისეთივეა მისი სივრცე. სივრცე კი არ განსაზღვრავს მატერიას, არამედ მატერია განსაზღვრავს სივრცეს. სინამდვილე მატერიალურ სისტემათა ნაირობისაგან შედგება. ამიტომ ის სივრცის ნაირობის განმსაზღვრელიც არის.

ლოგიკურის გზით სივრცის შესწავლა სრულიად განსხვავდება დაკვირვების გზით შესწავლისაგან. დაკვირვებისათვის საგანი უნდა იყოს მოცემული და მისი თვისებები ამ გზით უნდა აღვწეროთ. ჩვენ რომ დაფაზე გავავლოთ წრფე ან შემოვხაზოთ წრე თუ სამკუთხედი, მასზე დაკვირვებით ვერაფერს ვერ გავიგებთ გარდა იმისა, რასაც ვხედავთ. დავინახავთ, რომ ერთი წრფეა, მეორე წრე და მესამე სამკუთხედი. ამის გარდა ჩვენთვის არაფერია ცნობილი, რადგან ფორმები ჩვენთვის არაფერს არ ავლენს. იმისათვის, რომ ისინი შევისწავლოთ, საჭიროა მათ მიმართ ისეთი დებულება ან დებულებათა რიგი დავუშვათ, რითაც მათ შესახებ რაიმე ცოდნა გვექნება მიღებული. ისეთი დებულებები, რომლებსაც დავუშვებთ და ამით წრე თუ წრფე შეისწავლება, იქნება აქსიომები.

მაშასადამე, სივრცის ლოგიკური გზით შესწავლა აქსიომური შესწავლა იქნება. აქსიომები ამ ფორმებს გარკვეული საგნის ხასიათს აძლევენ და მათ შესწავლას შესაძლებელს ხდიან. რაკი აქსიომა საგნის ხასიათით არის განსაზღვრული, ის მისი თვისების გამოთქმა იქნება. მაგალითად, ევკალიდისებურ გეომეტრიაში 1_2 აქსიომა „არსებობს არა უმეტეს ერთი a წრფისა, რომელიც ორი A და B წერტილების ინციდენტურია: ეს, ჩვენი ინტუიციისათვის სხვაგვარად შეუძლებელია.

თუ დაფაზე ორ წერტილს ავიღებთ, მათ შორის მხოლოდ ერთი წრფე იქნება გავლებული. არავითარ ლოგიკურ მოქმედებას არ შეუძლია ამის დარღვევა, მისი საწინააღმდეგო დებულების დაშვება. თუ ცდას მივმართავთ და, მაგალითად, ფიცარზე ლარს გავატარებთ ორ დანიშნულ ადგილს შორის, ვნახავთ, რომ იმავე ორ ადგილს შორის მეორე ლარის გატარება აღარ შეიძლება, ისინი ერთიმეორეს დაემთხვევიან და მხოლოდ ერთი ლარის გავლება აღინიშნება. ლარი გარკვეულ სივრცეს იკავებს. თუ მას დავანაწილებთ და უფრო წვრილი ლარის გავლებას მოვახდენთ, მაშინაც იმავე ადგილზე მხოლოდ ერთი ლარის გავლებაა შესაძლებელი. ამ აქსიომაში ეს აზრია მოცემული და არა ის, რომ ცდისეულ სიბრტყეში მხოლოდ ერთი წრფის გავლებაა შესაძლებელი. გეომეტრიას საქმე აქვს არა ცდისეულ ორ ადგილთან, არამედ მის იდეალურ გამოხატულებასთან. ეს შეადგენს ორ წერტილს და მათ შორის გავლებულ წრფეს. ორი წერტილისა და მათ შორის ერთი წრფის გავ-

ლება ინტუიციაშია მოცემული და მისი სხვაგვარი მოაზრება შეუძლებელია. ეს ინტუიციური დებულება გეომეტრიულ მეცნიერებაში აქსიომად არის აღებული, რომელსაც უშუალო ცდისეული ხასიათი დაკარგული აქვს და ლოგიკური გამომდინარეობის საფუძვლად არის ქცეული.

წმინდა აზრში არავითარი საფუძველი არ არის ასეთი დებულების გამოყვანისათვის. წერტილი, წრფე თვალსაჩინოებას მიეკუთვნება და ის წმინდა აზრის მოღვაწეობას არ ემორჩილება.

ყველაფერს აქვს დასაწყისი, ყველაფერი, რაც არის, თავისი დასაწყისით არის. მეცნიერება, როგორც არსებული, დასაწყისის მქონე უნდა იყოს. აქ ლაპარაკი არ არის მის დროს დასაწყისზე. საკითხი ეხება მის ლოგიკურ საწყისს. მეცნიერების ლოგიკური საწყისი აქსიომაა. როცა ჩვენ გვინდა რაიმე დებულების დასაბუთება, დასაბუთება უნდა დაწყებული იქნეს ისე, რომ ჩვენ დასაბუთების დაწყებას არ ვასაბუთებდეთ.

დასაბუთების დაწყება ის არის, რაც ამ დასაბუთებაში არ შემოდის. თუ ჩვენ ასე მოვიქცეოდით და დასაბუთების დაწყებას დავასაბუთებდით, მაშინ პირველ დასაბუთებაზე ხელი უნდა აგვეღო, მაგრამ რადგან ესეც დასაბუთებაა და იწყება, ამიტომ საკითხი დაისმებოდა ამ დასაწყისის დასაბუთებაზეც. ეს გაგრძელდებოდა უსასრულოდ და ვერასოდეს ვერაფერს ვერ დავასაბუთებდით.

ამრიგად, ვიწყებთ რა დასაბუთებას, თვით ეს დაწყება არ დასაბუთდება, თუმცა ის ამ დასაბუთების ამოსავალია. დასაბუთების ეს ამოსავალი არის აქსიომა. აქსიომა თეორიის ამგები მასალაა. ჩვენ რომ დავუშვათ და აქსიომების დასაბუთება თეორიაში მოვნახოთ, აქსიომები თეორიიდან ლოგიკურად გამოვიყვანოთ, წრეში მოვექცევით. თუ რომელიმე თეორიულ დებულებას რაიმე A და B აქსიომებიდან გამოვიყვანთ, ხოლო შემდეგ ამ აქსიომებს მოცემული თეორიული დებულებიდან გამოვიყვანთ, მივიღებთ შემდეგ სურათს. ერთის მხრივ, A და B აქსიომები დებულების დასაბუთების ამოსავალია, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი თეორიული დებულებისაგან გამომდინარეობენ. ეს არის წრე მტკიცებაში, რომელიც წარმოიშვა აქსიომების მოცემული დებულებიდან გამოყვანისას. ეს იმას ნიშნავს, რომ აქსიომები დაფუძნებას მოკლებულია და ისინი უბრალო დაკვირვებით მიიღებიან. აქსიომების დადგენა ინტუიციას ემყარება, მაგრამ მას ამაგრებს ლოგიკური არტახები. თვალსაჩინო ინტუიცია გვიჩვენებს, რაც არის ასე და სხვაგვარად შეუძლებელია, ხოლო მის სხვასთან დამოკიდებულებას ლოგიკური დასაბუთება ადგენს.

აქსიომათა ერთობლიობა თეორიის დასაწყისშივე სრულად არ არის

მოცემული, ის თანდათან სრულდება. რაკი აღმოჩნდება, რომ მოცემული აქსიომები საკმარისი არ არის ყველა შესაძლებელი დებულების დასაბუთებისათვის, დაემატება ახალი აქსიომა. მაგალითად, ევკლიდეს უწყვეტობის აქსიომები არ ჰქონდა, ხოლო არქიმედმა და კანტორმა წამოაყენეს ორი აქსიომა, რომელთა საფუძველზე უწყვეტობის თეორიები იქნება დამტკიცებული. აქსიომების ამ თვისებების ნათელყოფა დასაბუთებით არის შესაძლებელი, მაგრამ ჯერ ერთი, ისინი იმ თეორიის გარეშე საბუთდებიან, რომლის აქსიომებსაც ისინი წარმოადგენენ, ხოლო, მეორე მხრივ, დასაბუთებამ ნათელი უნდა გახადოს მათი აქსიომად არსებობა. დასაბუთებამ უნდა გამოამჟღავნოს აქსიომების თვისებები, უნდა მიგვიყვანოს ინტუიციურ დებულებამდე, რომლის დასაბუთება, რაიმესაგან გამოყვანა შეუძლებელია. მან უნდა ცხადყოს, რომ აქსიომები ერთიმეორისაგან არ გამომდინარეობენ, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან და სრული არიან, ამისათვის საჭირო არ არის კიდევ აქსიომები ან ამოსავალი დებულებები, ამისათვის საკმარისია ლოგიკის კანონების გამოყენება.

როგორც სინამდვილეში, ისე აზროვნებაში კანონები მოქმედებენ, ადამიანი მათ შეიცნობს და ამავე დროს უნდა ჰქონდეს მათი მუდმივი ამგვარობის რწმენა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშავდება. ამ გზით შემუშავებული დებულებები უტყუარობის ხასიათს ატარებენ. ამიტომ წერს ლენინი: „ადამიანის პრაქტიკა, მეორდება რა ბილიარდჯერ, განმტკიცდება აღმამიანის ცხოვრებაში ლოგიკის ფიგურებით. ამ ფიგურებს აქვთ ცრურწმენის სიმყარე, აქსიომური ხასიათი სწორედ (და მარტოოდენ) ამ მილიარდჯერ განმეორების გამო“[8]. ეს აქსიომები ამ რწმენის გარეშე არსებობს. რწმენა ადამიანის შინაგანი ბუნებაა, ხოლო თვითონ აქსიომები ლოგიკის კანონების საშუალებით დგინდებიან, როგორც თეორიის ამოსავალი დებულებები. ლოგიკის კანონების გამოყენება აქსიომებს მათგან გამომდინარედ ვერ გადააქცევს, რადგან აქსიომები ამ კანონებში ნაჭულისხმევი არ არის.

აქსიომების თავსებადობა ანუ უწინააღმდეგობა თეორიის აგების აუცილებელი პირობაა. თუ აქსიომები წინააღმდეგობაშია, მაშინ თეორია, როგორც ლოგიკურად შეკრული, ვერ აიგება. თეორია კი ლოგიკური მთლიანობის გარეშე არ არსებობს. თუ ერთი აქსიომა მეორეს ეწინააღმდეგება, მაშინ ერთი და იგივე თეორიული დებულების დამტკიცებისათვის ისინი არ გამოდგებიან, რადგან ერთმანეთს გამორიცხავენ. თუ A დებულება დასამტკიცებელია, ხოლო c და d აქსიომები ერთმანეთს გამორიცხავენ, დებულება ან ერთს დაემყარება, ან მეორეს

[8] ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები, გვ. 216.

და არა ორივეს ერთად. თუ აქსიომები ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან, მაშინ ერთი რიგის აქსიომებიდან ერთი თეორიული დებულება გამოვა, ხოლო მეორე რიგის აქსიომებიდან — მისი საწინააღმდეგო თეორიული დებულება.

თეორიულ დებულებათა წინააღმდეგობა სისტემისათვის შეუთავსებელია. თეორიული სისტემის წინააღმდეგობის მიუღებლობა საგნობრივი სინამდვილით არის განსაზღვრული, თუმცა თეორია აბსტრაქტულია და მასში კონკრეტული საგნობრივი სინამდვილე არ არის მოცემული, მაგრამ თავისი ლოგიკური შესაძლებლობით ის მისკენ არის მიმართული. თუ სისტემა წინააღმდეგობრივია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი საშუალებით საგნობრივი სინამდვილე არ აღიწერება, რადგან ეს სინამდვილე არ არის წინააღმდეგობრივი. თუ გეომეტრიულ თეორემაში მტკიცდება, რომ სამკუთხედის კუთხე ბლაგვია, ის არ შეიძლება ამავე დროს მახვილი იყოს; თუ ასეთ მტკიცებას საგნობრივ სინამდვილეს მიეუყენებთ, ვნახავთ, რომ სამკუთხოვანი სხეული ასეთ ორმაგობას გამორიცხავს.

აქსიომა არა მარტო რაიმე დებულების დამტკიცების საფუძველია. არამედ ამავე დროს კრძალავს რაიმე დებულების დამტკიცებას, თავისი თავის საწინააღმდეგოს დამტკიცებას. ეს მოცემულია არაპირდაპირი დამტკიცების დროს. მხოლოდ ის დებულება მტკიცდება, რომლის საფუძველი აქსიომაშია. ამით ისიც მტკიცდება, რომ მისი საწინააღმდეგო არ შეიძლება დამტკიცდეს.

აქსიომათა შორის წინააღმდეგობა იმის მაჩვენებელია, რომ მათ საფუძველზე სისტემა არ შეიძლება აშენდეს. მოკლედ, აქსიომათა შორის წინააღმდეგობა შემდეგში მდგომარეობს: როცა A აქსიომისაგან a დებულება გამომდინარეობს, ხოლო A_1 აქსიომისაგან a დებულებაა გამოყვანილი, a და $\bar{a}$ დებულებები კი ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან, ეს იმის მაჩვენებელია, რომ A და A_1 აქსიომები წინააღმდეგობაშია, მაშასადამე, იმისათვის, რომ მოცემულ აქსიომათა შორის წინააღმდეგობა ვაჩვენოთ, უნდა ავიღოთ ამ მეცნიერების რაიმე ღებულება თუ ეს დებულება ერთი აქსიომისაგან გამომდინარეობს, ხოლო მეორე აქსიომისაგან მისი საწინააღმდეგო, ამ მოცემულ აქსიომებს არა თავსებადად ჩავთვლით და ახალი აქსიომების ძიებას ვიწყებთ.

ჰილბერტს ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ შესაძლებელი გახადა აქსიომათა დაფუძნება. მან აქსიომათა დაფუძნებისათვის არითმეტიკა გამოიყენა. თუ არითმეტიკა წინააღმდეგობის გარეშეა, მისი აქსიომები დამოუკიდებელი და სრულია, მაშინ გეომეტრიული თუ ლოგიკური აქსიომებიც ამ თვისებებს ფლობს. აქსიომების დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა თეორიის აგებისათვის. თუ აქსიომები ერთმანეთისაგან

ლოგიკურად დამოუკიდებელი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ლოგიკურად ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ. ლოგიკური გამომდინარეობის არსება იმაში მდგომარეობს, რომ დანასკვი წანამძღვარშია მოცემული, როგორც მათთან არსებითად იგივეობრივი. ამიტომ, თუ აქსიომა სხვა აქსიომისაგან ლოგიკურად გამოვა, გამოყვანილი აქსიომა იგივე იქნება იმასთან, რისგანაც ის არის გამოყვანილი, მაშინ გვექნება ერთი აქსიომა და არა ორი. ამრიგად, აქსიომების ერთმანეთისაგან ლოგიკური გამომდინარეობა მათ აქსიომად არსებობას აუქმებს. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ აქსიომების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა, ავიღოთ ორი აქსიომა, როგორც წანამძღვრები, და მათგან ვცადოთ შემდეგი აქსიომის გამოყვანა. თუ მოხდა ეს გამოყვანა, მაშინ ის არ არის აქსიომა, ხოლო თუ გამოყვანა არ მოხდა, მაშინ ის მათგან დამოუკიდებელია. მაგალითად, ავიღოთ შეერთების აქსიომებიდან: 1_1. ორი, A და B, წერტილისათვის არსებობს 2 წრფე, რომელიც ინციდენტურია თითოეული ამ წერტილისათვის. 1_2. არსებობს არა უმეტეს ერთი წრფისა, რომელიც ორი A და B წერტილების ინციდენტურია. თუ დავაკვირდებით ამ ორ აქსიომას, აღმოჩნდება, რომ მათ არა აქვთ ლოგიკური გამომდინარეობის დამახასიათებელი ნიშნები. თუ საშუალო ცნებად ჩავთვლით გამოთქმას „A და B წერტილებისათვის", რითაც პირველი აქსიომა იწყება, ეს ცნება მეორე აქსიომაში აღარ გვხვდება, აქ გვაქვს „და წერტილები ინციდენტურია", რაც პირველთან იგივეობრივი არ არის. თუ საშუალო ცნებად ჩაითვლება „წრფე, რომელიც თითოეული ამ წერტილის ინციდენტურია". მაშინ მეორე აქსიომაში ამის იგივეობრივი არა გვაქვს, აქ გვაქვს „არსებობს არა უმეტეს ერთიწრფისა". რაკი საშუალო ცნება არ მოინახება, რომელიც ამ ორ აქსიომას ერთ ლოგიკურ მთელად შეკრავს და ახალი მსჯელობის გამოყვანის საფუძველი გახდება, ამიტომ ცხადია, რომ ამ ორ აქსიომას შორის ლოგიკური დამოკიდებულება არ არის და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ამ აქსიომათა შორის ისეთივე ლოგიკური დამოკიდებულებაა, როგორიც არის შემდეგ ორ მსჯელობას შორის: 1. „ყოველი ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონებისაგან". 2. „ყოველი ატომი ნივთიერად არსებობს". ამ ორ მსჯელობას შორის საერთო ის არის, რომ ორივე ატომს ეხება. ხოლო ლოგიკურად დამოუკიდებელია, რადგანაც მათ შორის ახალი მსჯელობის გამოყვანის საფუძველი არ არის.

რაკი გეომეტრიული აქსიომები თვალსაჩინოების ნიშნის მქონეა, რადგან მათ სხეულის ფორმებთან აქვთ საქმე, ამიტომ ამ აქსიომების

დადგენაში ინტუიცია მონაწილეობს იმით, რომ გვიჩვენებს მის სხვაგვარად გამოთქმის შეუძლებლობას, ხოლო მის დამოუკიდებლობას და უწინააღმდეგობას დასაბუთება ხდის ცხადად. ასეთ აქსიომებზე დაფუძნებული თეორია ცდისეულ სინამდვილეში გამართლებას ნახავს, რადგან ის ფორმა, რაც აქსიომაშია და თეორიაშია მოცემული, ცდისეულ სინამდვილეს წარმოადგენს. ასეთ თეორიას მაინც ლოგიკური თეორიის ხასიათი აქვს და იქ მის ჭეშმარიტებაზე არ არის მსჯელობა. რადგან მსჯელობა ცდაში მოცემულ საგანზე არ არის მიმართული, ის მიმართულია საგნის ფორმაზე, ხოლო ეს ცდაში უშუალოდ არ არსებობს.

როდესაც რაიმე თეორემა მტკიცდება, წრფეზე ან სამკუთხედზე ვერ ვიტყვით, რომელ წრფეზე ან სამკუთხედზეა მსჯელობა. ცდისეული არსებობა ეკუთვნის არა სამკუთხედს ან წრფეს, არამედ საგნებს, რომელთაც ასეთი ფორმა აქვთ, ამიტომ მათ მიმართ შესრულებული მსჯელობა ჭეშმარიტი ან მცდარი იქნება, ხოლო განყენებულ ფორმებზე მსჯელობის ღირებულება მის ლოგიკურობაშია.

თავის მხრივ ლოგიკურობა საგნით არის განსაზღვრული, რადგან წინააღმდეგობით საგნის აღწერა უაზროა იმიტომ, რომ ის ამ წინააღმდეგობებს არ შეიცავს. სამკუთხედს იმიტომ კი არ ვსწავლობთ, რომ ეს არის ჩვენი უშუალო მიზანი, არამედ იმიტომ, რომ ამით არსებული საგანი იქნეს დახასიათებული, ხოლო რადგან მასში საგანი შესაძლებლობის მიხედვით არის მოცემული, ამიტომ მისი ჭეშმარიტება შესაძლებლობაშია.

გეომეტრიული აქსიომები სივრცისა და მისი მსგავსის გამომხატველია, ამიტომ ისინი თვალსაჩინოების მქონენია იმ აზრით, რომ რომელიმე აქსიომის გამოთქმას თან ახლავს აგრეთვე იმის წარმოსახვა, რასაც აქსიომა გამოთქვამს. აქსიომების ხასიათი ამით არ ამოიწურება. მაგალითად, ლოგიკის აქსიომები ამ ნიშანს არ ატარებენ, რადგან ლოგიკის საგანი ისეთია, რომ მისი საგნობრივი წარმოსახვა არც საჭიროა და არც შეიძლება. ლოგიკას საქმე აქვს უზოგადეს მიმართებებთან, რომლებიც მოაზრებული უნდა იქნეს. მაშასადამე, როგორ არის შესაძლებელი აქსიომების აგება? აქსიომების აგების საფუძველი არის ლოგიკის კანონები. აქსიომაა ის დებულება, რომელიც სისტემის ამოსავალია და გამოთქვამს გარკვეულ მიმართებებს ლოგიკის კანონებზე დაფუძნებით. ე. ი. აქსიომა ლოგიკის კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. თუ აქსიომა ლოგიკის კანონებს ეწინააღმდეგება, ის ლოგიკური სისტემის აგების საფუძვლად არ გამოდგება.

ჰილბერტს წინადადებათა გამოთქმის აქსიომები სწორედ ამგვარად აქვს დაფუძნებული. ცნობილია, რომ ლოგიკის კანონების მიხედვით რაიმე ან არის ან არ არის, ან თუ რაიმე არის, მას აუცილებლობით თან

ახლავს კიდევ სხვა რამ, ან თუ რაიმე არის, ის აუცილებლად არის. აქ ლოგიკის სამი კანონია გამოთქმული და აქსიომები სწორედ ამ კანონების მიხედვით არის აგებული. მაგალითად, ჰილბერტს წინადადებათა აღრიცხვის პირველ აქსიომად შემდეგი აქვს დასახელებული: $xvy \rightarrow x$. როცა ან-ანი იგივეობრივს ეხება, მაშინ ისევ ის დგინდება და არა სხვა რამ მისგან განსხვავებული. აქ აქსიომის საფუძველში იგივეობის კანონია. მეორე აქსიომა ასე გამოითქმება: $x \rightarrow xvy$ თუ x, მაშინ ან x იქნება, ან y, ორივე კი არა, არამედ ერთ-ერთი მათგანი. ამ აქსიომაში მოცემულია გამორიცხული მესამის კანონის მოქმედება, რომელსაც ეს აქსიომა ემყარება. მესამე აქსიომა ასე გამოითქმება: $xvy \rightarrow y \leftarrow x$. ეს აქსიომაც მესამის გამორიცხვის კანონს ემყარება და მასთან ერთად იგივეობს კანონს იმ აზრით, რომ x და y-ის მიმართება იგივეა რაც y და x მიმართება. მეოთხე აქსიომა ასეა გამოთქმული: $(x \rightarrow y) \rightarrow [zvx \rightarrow zvy]$. პირველი ნაწილი საფუძვლისა და შედეგის დამოკიდებულებას გამოთქვამს, ხოლო მეორე ნაწილი ამასთან ერთად გამორიცხული მესამის მოქმედებას. ამ ნიშნების ქვეშ საგნები და მათი დამოკიდებულებები იგულისხმება, თორემ ამის გარეშე ნიშნების შეერთებას არავითარი აზრი არა აქვს. ეს ნიშნები საგნების წარმომადგენელია, და მათი მიმართების იქით საგნების მიმართება უნდა დავინახოთ. აქ არც ერთი კონკრეტული საგანი არ არის, მოცემულია მხოლოდ მათი საერთო უზოგადესი მიმართება.

საგნებს ყველანაირად არ შეუძლია არსებობა. მათი არსებობა, თუ დაშვებულია, ლოგიკის კანონებს უნდა ეფუძნებოდეს. ამ კანონების საწინააღმდეგო საგნის მოაზრებაც კი შეუძლებელია. გეომეტრიული აქსიომური მეცნიერების ფორმალიზაცია რომ მოვახდინოთ, ის მაშინაც არ დაკარგავს წარმოსახვის ხასიათს, რადგან წერტილის, წრფის, წრეწირის, სამკუთხედის, პარალელების ნიშნები მათი ნიშნები იქნება და მათთან ერთად ისინი იქნებიან ამ ნიშნების შინაარსი.

საერთოდ, ყველაფრის დამტკიცება არ შეიძლება. არ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ წარსული აწმყოს მოსდევს ან მომავალს. არ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონების უარყოფით მეცნიერება აიგება. ყოველი მეცნიერული მტკიცება ამ კანონების აღიარებიდან გამოდის და მათ საფუძველში ეს კანონებია. არც თვით ამ კანონების დამტკიცება შეიძლება, რადგან მათი დამტკიცებისათვის ისევ ეს კანონები უნდა გამოვიყენოთ. იგივესაგან იგივეს გამოყვანა დასაბუთებად არ ჩაითვლება, ის განსხვავებულისაგან უნდა გამოდიოდეს. რაიმე დებულების აქსიომად მიღება ჩვენს თვითნებურ დაშვებაზე არ არის დამოკიდებული.

ევკლიდეს V პოსტულატი მთელი საუკუნეების განმავლობაში დავის საგანი იყო. მეცნიერები ცდილობდენ იმის დამტკიცებას, რომ ის პოსტულატი კი არ არის, არამედ დებულებაა, რომელიც მტკიცდება და სხვათა ლოგიკური შედეგია. ასეთი ცდა მრავალს მოუხდენია, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ ვალისი, საკერი, ბოლაი.

თავისთავადმა კანონებმა გვიჩვენეს, რომ როცა მეცნიერები მას ამტკიცებენ, ისინი ამ დროს ისევ ამ პოსტულატს ან მის შესაბამისს ემყარებოდნენ. მტკიცების ცდებმა ნათელყო, რომ პოსტულატი დაუმტკიცებელია და ის ნამდვილად პოსტულატის სახეს ატარებს. რაიმე დებულება აქსიომაა არა იმიტომ, რომ ჩვენ ის აქსიომად დაეუშვით. ის აქსიომაა იმ ადგილით, რაც მას უკავია აზრთა კავშირში, რაც მის შესაბამის საგანს შემეცნების საგნის მთლიან წყობაში უკავია.

კონვენციონალიზმს თეორიის აგება აქსიომების საფუძველზე ესმის როგორც შეთანხმების შედეგი. შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა თეორიები აიგება. პუანკარეს თვალსაზრისით, ცდა არ გვიჩვენებს თუ რომელი გეომეტრიაა სწორი. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ისეთ კონკრეტულ ცდას, რომელიც ევკლიდეს გეომეტრიის მიხედვით განიხილება და არა ლობაჩევსკის მიხედვით. ცდა ამ გეომეტრიათა შორის განსხვავებას ვერ ახდენს. ცდა მხოლოდ იმას გვიჩვენებს თუ რომელი გეომეტრია უფრო ხელსაყრელია.

პუანკარეს თვალსაზრისში თეორიული და გამოყენებითი ერთმანეთს უპირისპირდება. ნამდვილია, რომ ეს ორი გეომეტრია თეორიულად ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათი საგანი და საფუძვლები სხვადასხვაა. ამ განსხვავებას მხოლოდ იმიტომ არა აქვს მნიშვნელობა, რომ ეს განსხვავება გამოყენებაში უმნიშვნელოა. სხეული, რომელიც სამკუთხოვანია, შეიძლება გაიზომოს ლობაჩევსკის გეომეტრიით და ევკლიდური გეომეტრიითაც, თუმცა ის სხეული ევკლიდის გეომეტრიასთან უფრო ახლოა. ამ სხეულს ლობაჩევსკის გეომეტრიით ვზომავთ იმიტომ, რომ ეს განსხვავება პრაქტიკულად არ არის მნიშვნელოვანი. მაშასადამე, ამ თეორიულ განსხვავებას პრაქტიკულად მნიშვნელობა არ ეძლევა, რადგან ის ამ მხრივ უმნიშვნელოა. ჩვენი არჩევანი ამ გეომეტრიათა არსოლოგიურ სხვადასხვაობას არ აუქმებს. მიზიდულობის ახსნისათვის ევკლიდური გეომეტრია არ გამოდგება, ამისათვის რიმანის გეომეტრიაა გამოსადეგი. ამრიგად, გეომეტრიას არსოლოგიური საფუძველი აქვს, რადგან, როგორც აინშტაინმა დაამტკიცა, სივრცის თვისება სხეულთა წყობით არის განსაზღვრული.

§ 9. მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების საკითხისათვის

მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღება მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც პირველად არისტოტელემ დააყენა.

არისტოტელემ მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების საკითხი „პირველ ანალიტიკაში“ დაამუშავა. არისტოტელე სრულიად მცდარის, ნაწილობრივ მცდარისა და ერთ-ერთი წანამძღვრის სრულიად ჭეშმარიტების ცნებებს ემყარებოდა და მათი გამოყენებით ცდილობდა მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების ახსნას. არისტოტელეს გაგებით, სრულიად მცდარი წანამძღვარი ეწოდება ჭეშმარიტების საპირისპირო წანამძღვარს. სრულიად მცდარია ისეთი წანამძღვარი, რომლის მიხედვით ის, რაც არაფერს არ ახასიათებს, მიიღება იმად, რომელიც ყველას ახასიათებს; ანდა ის, რაც ყველას ახასიათებს, მიიღება იმად, რომელიც არაფერს არ ახასიათებს.

მაშასადამე, არისტოტელეს აზრით, სრულიად მცდარი იქნება ისეთი წანამძღვარი, რომლის პრედიკატი სუბიექტს ნამდვილად არ მიეწერება და ვაწერთ, ხოლო ნაწილობრივ მცდარი იქნება ის წანამძღვარი, რომლის პრედიკატი მხოლოდ ზოგიერთს მიეწერება, თუმცა ყველას ვაწერთ. არისტოტელე სამივე ფიგურას განიხილავს, თითოეული ფიგურისათვის წამოყენებული აქვს პირობები, რომელთა საფუძველზე ცდილობს მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების ახსნას. არისტოტელეს მიერ წამოყენებული პირობების განხილვა გვიჩვენებს, რომ იგი მიზანს ვერ აღწევს. მოცემული პირობა უნდა იყოს მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების ამხსნელი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თუ ასეთივე სახის დასკვნის სხვა მაგალითს ავიღებთ, მისგან მცდარიც მიიღება. ამრიგად, მოცემული პირობის დაცვით მცდარი წანამძღვრებიდან მიიღება როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი დანასკვი. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ წამოყენებული პირობები ნამდვილად ამხსნელად არ გამოდგება, თორემ ისინი რომ ამხსნელი იყვნენ, მათგან საწინააღმდეგო შედეგები არ შეიძლებოდა მიგვეღო. ამის ნათელსაყოფად 1 ფიგურის მაგალითი ავიღოთ. არისტოტელეს აზრით 1 ფიგურაში თუ პირველი წანამძღვარი ნაწილობრივ მცდარია, ხოლო მეორე ჭეშმარიტი, დანასკვი ჭეშმარიტი მიიღება. ეს წამოყენებული პირობა საწინააღმდეგო შედეგების მქონეა, თუმცა არისტოტელესათვის ეს წამოყენებული პირობა გამონაკლის და საწინააღმდეგო შემთხვევას არ გულისხმობს. ჯერ ისეთი მაგალითი ავიღოთ, როცა დანასკვი ჭეშმარიტია:

ყოველი ცხოველი არის ოთხფეხი
ყოველი ცხვარი არის ცხოველი
მაშ, ყოველი ცხვარი არის ოთხფეხი

აქ დანასკვი პირობის თანახმად ჭეშმარიტია. პირველი წანამძღვარი ნაწილობრივ მცდარია, მეორე — ჭეშმარიტი. ამ პირობის მიხედვით ყველა ამ სახის დასკვნაში ჭეშმარიტი დანასკვი უნდა მივიღოთ. მაგრამ მცდარიც მიიღება. მაგალითად.

ყოველი ცოცხალი არსება არის ოთხფეხი
ყოველი მცენარე არის ცოცხალი
მაშ, ყოველი მცენარე არის ოთხფეხი.

არისტოტელეს პირობა აქაც დაცულია. პირველი წანამძღვარი ნაწილობრივ მცდარია, მეორე — ჭეშმარიტი, დანასკვი მცდარი მივიღეთ. არისტოტელეს მიერ წამოყენებული პირობა კი მოითხოვდა ჭეშმარიტი დანასკვის მიღებას.

ასეთივე წინააღმდეგობრივ შედეგებს ეღებულობთ სხვა ფიგურებშიც. მაშასადამე, რაკი ეს ასეა, არისტოტელემ ვერ წამოაყენა ისეთი პირობები, რომელთა საშუალებითაც აიხსნებოდა მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღება. არისტოტელეს მიზანი იყო ასეთი პირობების ნახვა და მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების ახსნა. მეცნიერების ისტორიაში არის შემთხვევები, როცა წანამძღვრები მცდარია, ხოლო დანასკვი ჭეშმარიტია. ამის მაგალითი შეიძლება დეკარტეს ფიზიკიდან ავიღოთ. დეკარტემ სივრცე და მატერია გააიგივა, რაც მცდარია, მაგრამ მისგან შეიძლება ჭეშმარიტი დანასკვი მივიღოთ:

რაც განზომილების მქონეა, მატერიაა
მატერია არის სივრცე
მაშ, სივრცე განზომილების მქონეა.

ორივე წანამძღვარი მცდარია. სივრცე და მატერია ერთი და იგივე არ არის, მხოლოდ მატერია არ არის განზომილების მქონე, სივრცეც განზომილების მქონეა და ამიტომ დანასკვი ჭეშმარიტია. კიდევ ასეთი მაგალითი დეკარტეს ფიზიკიდან:

ყოველი ალი არის სითხე, რომელიც მყარ სხეულებს ათხევადებს
ყოველ ლითონზე ალი მოქმედებს
მაშ, ლითონი გარდაიქცევა სითხედ.

აქ პირველი წანამძღვარი მცდარია, დანასკვი კი ჭეშმარიტი. მაშა-

სადამე, მეცნიერებაში მცდარი წანამძღვრებიდან მიიღება ჭეშმარიტი დანასკვი.

არისტოტელეს რომ მიზნად აქვს მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების შემთხვევები გამოყოს მცდარი წანამძღვრებიდან მცდარი დანასკვის მიღების შემთხვევებისაგან, ეს ჩანს შემდეგიდან:

არისტოტელე ანალიტიკაში წერს: „თუკი ერთი წანამძღვარი მცდარია, მაშ იმ პირობით, რომ პირველი, მაგალითად АБ, იქნება მთლად მცდარი, ჭეშმარიტი დანასკვი არ მიიღება. მაგრამ თუ БВ იქნება მთლიანად მცდარი, მაშინ ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება“[9].

თუნდაც რომ არისტოტელეს ასეთი მიზანი არ ჰქონოდა, მაინც საინტერესოა იმის ცოდნა, თუ რა პირობები განსაზღვრავს მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღებას და რა პირობები — მცდარი დანასკვის მიღებას. მაგალითების ჩამოთვლით ამის დადგენა არ შეიძლება, რადგან თუ ერთი მაგალითი ადასტურებს, რომ მცდარიდან ჭეშმარიტი მიიღება, მეორე მაგალითი ამის საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. არისტოტელე ამბობს, რომ მცდარი წანამძღვრებიდან შეიძლება ჭეშმარიტი დანასკვი მივიღოთ, მაგრამ რა საფუძვლით არის ჭეშმარიტი, არ ჩანს; შეუძლებელია იმის დამტკიცება თუ რატომ არის დანასკვი ჭეშმარიტი. არისტოტელეს აზრით, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მის მიზეზებზე, რაც მდგომარეობს ნაწილობრივ და მთლად მცდარი წანამძღვრების არსებობაში, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათი საშუალებით ვერ გაირკვა მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღება, რადგან მის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი დანასკვი.

თუ А მოვლენას თან ახლავს В მოვლენა, ხოლო В მაშინაც არის, როცა А არ არის, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ А არ არის В-ს საფუძველი.

რაკი ორი ერთნაირი დასკვნის წანამძღვრებიდან ხან ჭეშმარიტი და ხან მცდარი დანასკვი მიიღება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ დანასკვის ჭეშმარიტება—მცდარობის საფუძველს უშუალოდ წანამძღვრების ასეთი ხასიათი არ წარმოადგენს. ეს ასე რომ იყოს, მაშინ მივიღებდით აშკარა წინააღმდეგობას. რაც შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ: თუ $A \rightarrow B$ და $\overline{B}$, თუ გარეგნულად А-დან В და მისი საწინააღმდეგო $\overline{B}$ გამოდის, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის ისე რთულია, რომ მასში შემავალი ნაწილები ერთდროულად მოქმედებენ და მისი ერთი ნაწილი В-ს წარმოშობს, ხოლო მეორე $\overline{B}$-ს. ეს გარემოება იმაზე

---

[9] Аристотель, Аналитика, გვ. 118, 1952.

მიგვითითებს, რომ A-ში არსებული a არის B-ს საფუძველი, ხოლო მასში არსებული a_2 $\overline{B}$-ს საფუძველია. ეს უკვე აღარ იქნება A-დან B-ს და $\overline{B}$ უშუალო გამომდინარეობა, რაც, როგორც წინააღმდეგობა, შეუძლებლობას წარმოადგენს. სწორედ ასე უნდა მივუდგეთ მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღებას. მცდარ წანამძღვრებში უნდა ვნახოთ ცნებები და მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე ავხსნათ მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღება.

მცდარი წანამძღვრებიდან რომ ჭეშმარიტი ან მცდარი დანასკვი მიიღება, ეს არის ფაქტი, რომელიც წანამძღვრებზე მითითებით ვერ იქნა ახსნილი. ამიტომ, საჭიროა მონახული იქნეს ის უშუალო საფუძველი, რომელიც მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი და მცდარი დანასკვის მიღებას განსაზღვრავს. ამ საფუძვლების ნახვა მთლიანად და ნაწილობრივ მცდარ წანამძღვრებში ვერ მოხერხდა. ეს შეუძლებელიც არის, რადგან ჭეშმარიტება მცდარობის საწინააღმდეგოა. შეუძლებელია მცდარიდან მისი საწინააღმდეგო ჭეშმარიტება მივიღოთ და ამიტომ ისიც შეუძლებელია, რომ ჭეშმარიტს თავის საწინააღმდეგოში ჰქონდეს ახსნის საფუძველი. საწინააღმდეგოები თავის დაპირისპირებაში ერთმანეთს აჩენენ და ერთიმეორისაგან არ გამოიყვანებიან. მეორე მხრივ, ამის ახსნისათვის ჩვენ არ შეგვიძლია დანასკვის გარეთ გავიდეთ, რადგან მაშინ აღარც წანამძღვრები გვექნება და აღარც დანასკვი, ამიტომ მისი საფუძვლები ამ წანამძღვრებში არსებული ცნებების იმ კავშირში უნდა ვეძებოთ, რომელიც დანასკვის სახით არსებულ მსჯელობას, ერთი მხრივ, მცდარად, ხოლო, მეორე მხრივ, ჭეშმარიტად ხდის.

მსჯელობების ერთიმეორისაგან აუცილებელი გამომდინარეობა, მოცემული მსჯელობებისაგან ახალი მსჯელობის მიღება ლოგიკური მოვლენაა. ამ გამომდინარეობას საფუძვლად არა აქვს წანამძღვრების ჭეშმარიტება ან მცდარობა. ეს იქიდან არის ნათელი, რომ წანამძღვრები მცდარია, ხოლო დანასკვი შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, რაც წანამძღვრებისა და დანასკვის ურთიერთწინააღმდეგობის მაჩვენებელია.

წანამძღვრების მცდარობა რომ ლოგიკური საფუძველი იყოს, მაშინ დანასკვი, როგორც ჭეშმარიტება, ამ საფუძველს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. წანამძღვრების ჭეშმარიტება არც დანასკვის ჭეშმარიტებისათვის არის ლოგიკური საფუძველი, რადგან მცდარწანამძღვრებიანი და ჭეშმარიტწანამძღვრებიანი დასკვნა ერთნაირი ლოგიკური აგებულებისაა, ერთნაირ კანონს ემორჩილებიან. ჭეშმარიტება რომ აზრთა გამომდინარეობის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენდეს, მაშინ საკმარისი იქნებოდა აზრთა მთლიანობის დადგენისა და ახალი მსჯელობის მიღებისათვის ჭეშმარიტი მსჯელობების ერთიმეორის შემდეგ დაყენება

და ახალი ჭეშმარიტი მსჯელობების მიღება, მაგრამ ასეთი რამ ლოგიკური აზროვნებისათვის უცხოა. ჭეშმარიტება და მცდარობა ლოგიკურ გამომდინარეობას კი არ წარმოადგენს, არამედ ლოგიკურ გამომდინარეობას თან ახლავს.

ჭეშმარიტ დანასკვს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი საფუძველი; თუ ის მცდარი წანამძღვრებიდანაც მიიღება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება არ არის ლოგიკურ გამომდინარეობასთან იგივეობრივი. მაშ რა არის ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება აზრის საგანთან შესაბამისობაა, სოლო აზრის საგანთან შესაბამისობა ლოგიკური მოვლენა არ არის. ლოგიკურობას ჭეშმარიტება უშუალოდ არ ახასიათებს, ის ამ ნიშანს სინამდვილესთან მიმართების ძალით იძენს. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აზრი და ჭეშმარიტი ან მცდარი აზრი. მსჯელობა, რომელსაც გარკვეული მიმართება აქვს გარკვეულ საგანზე, აზრია, წყალი შედგება HO-საგან აზრია, წყალი შედგება H_2O-საგან, აგრეთვე, აზრია, განსხვავება ის არის, რომ პირველია მცდარია, მეორე კი ჭეშმარიტი. ეს მსჯელობები გარკვეული აზრებია, იმის გარეშე ჭეშმარიტია თუ მცდარი, საგანი ნამდვილია თუ არა. სწორედ აზრთა ლოგიკურ გამომდინარეობას საქმე აქვს აზრებთან. ჭეშმარიტება-მცდარობის დაშოუკიდებლად, ე. ი. მოცემული წანამძღვრებიდან გამოდის ერთადერთი აუცილებელი მსჯელობა, რისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს წანამძღვრების ან დანასკვის ჭეშმარიტებას ან სიმცდარეს.

ყოველი ქათამი ორფეხია
ზოგიერთი კვერცხისმდებელი ქათამია
მაშ ზოგიერთი კვერცხისმდებელი ორფეხია.

როდესაც ამ დასკვნას ვასრულებთ, სრულიადაც არ ვფიქრობთ წანამძღვრების ჭეშმარიტებაზე. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ წანამძღვრების ურთიერთობას და ვეძებთ იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ახალი მსჯელობის მიღება. აზრის აზრთან დამოკიდებულება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. აზრებს აქვთ არა მარტო ურთიერთმიმართება, არამედ, აგრეთვე, სინამდვილესთან მიმართებაც, რითაც ისინი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი.

ლოგიკურ გამომდინარეობაში წანამძღვარ მსჯელობებს მარტო ურთიერთმიმართება კი არა აქვთ, არამედ — სინამდვილესთან მიმართებაც, რითაც ისინი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი. ამიტომ ლოგიკურ გამომდინარეობას თან ახლავს აუცილებლობით ეს მეორე მხარე. სწორედ ამიტომ არის ლოგიკური გამომდინარეობა ჭეშმარიტების მიღწევის საშუალება. რაკი ეს ასეა, ამიტომ ჭეშმარიტი წანამძღვრები ჭეშმარიტი დანასკვის მიღების საფუძველია. დანასკვში სულ მცირე ორი წანამძღვა-

რია და მათგან მესამეს ეღებულობთ. ორიდან მესამის მიღება, მით უფრო, რომ მესამე ორის ჯამს არ წარმოადგენს, ახსნას საჭიროებს. საქმე ის არის, რომ როდესაც დასკვნა სრულდება, ეს წანამძღვრები ცნებებად იშლებიან და მსჯელობების შივნით ცნების ურთიერთობას ვიხილავთ. მსჯელობა-წანამძღვრები ამ ცნებებს გარკვეულ მიმართებაში აყენებენ. აქ გვაქვს საშუალო ცნება, რომლის მიმართ ორი ცნება გარკვეულ მიმართებას გამოხატავს და ორ მსჯელობას ქმნის, ხოლო მის საფუძველზე ეს ორი ცნება ისეთ ურთიერთობაში დგება, რომელიც დასკვნის სახით ახალ მსჯელობას იძლევა.

თუმცა მსჯელობები ცნებებისაგან შედგება, მაგრამ ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანება. მსჯელობა ჭეშმარიტია ან მცდარი, ხოლო თუ მისგან ცნებას გამოვთიშავთ, ეს ცნება არც ჭეშმარიტი იქნება და არც მცდარი. მცდარი ან ჭეშმარიტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცნების ცნებასთან კავშირი, რომელიც უკვე მსჯელობაა და არა ისევ ცნება, წანამძღვრებში არსებულ ცნებებს ლოგიკური კავშირის საფუძველზე შეუძლიათ მოგვცენ ახალი ჭეშმარიტი მსჯელობა, თუ ცნებების ლოგიკურ კავშირს თან ახლავს, ამასთან ერთად, ამ ცნებების შინაარსეული თვალსაზრისით უმცდარი შეერთება. ჭეშმარიტ წანამძღვრებში ცნებები ურთიერთშორის უმცდაროდ არის შეერთებული. ორი ცნების უმცდარო კავშირი მესამე ცნებასთან მათი ურთიერთუმცდარი შეერთებისა და ჭეშმარიტი დანასკვის მიღების საფუძველია.

მცდარწანამძღვრებიან დასკვნაში ორივე ან ერთ-ერთი ცნება მცდარად არის შეერთებული. სახელდობრ, ორი ცნება საშუალო ცნებასთან მცდარადაა შეერთებული. ცნებების ლოგიკური აუცილებელ კავშირს ან თან ახლავს შინაარსეული თვალსაზრისით უმცდარი შეერთება, მაშინ მცდარი წანამძღვრებიდან აუცილებლობით ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება, ხოლო თუ საშუალო ცნებების საფუძველზე ორი ცნების ლოგიკურ კავშირს თან ახლავს მათი შინაარსეულად მცდარი შეერთება. მცდარწანამძღვრებიანი დასკვნებიდან აუცილებლად მცდარი დანასკვი მიიღება. აქედან ცხადია, რომ ჭეშმარიტწანამძღვრებიან და, ასევე, მცდარწანამძღვრებიან დასკვნებში ცნებების უმცდარი შეერთება ჭეშმარიტი დანასკვის მიღების საფუძველია. ამიტომ, დებულება, რომ ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან აუცილებლად ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება, ხოლო მცდარი წანამძღვრებიდან შეიძლება ჭეშმარიტი დანასკვი მივიღოთ, მეორე ნაწილში არ არის ზუსტი.

მცდარი წანამძღვრები დანასკვის, როგორც აზრის მიღების, ლოგიკური საფუძველია. ორი ცნების მესამე ცნებასთან კავშირის საფუძველზე დგინდება ორი ცნების კავშირი, რომელსაც ჭეშმარიტება ახლავს თან. თუ ამ ცნებების უმცდარო შეერთება ხდება, მაშინ დანასკვი აუ-

ცილებლად ჰეშმარიტია, თუ არადა მცდარი იქნება. მაშასადამე, წანამძღვრებში არსებული ცნებების მიმართების მიხედვით ჰეშმარიტება ჰეშმარიტების საფუძველია, ხოლო შეცდომა — შეცდომისა. ის, რაც მცდარია, შეუძლებელია ჰეშმარიტების საფუძველი იყოს, შეუძლებელია შეცდომაში ჰეშმარიტება და ჰეშმარიტებაში კი შეცდომა ვიპოვოთ, ზემოთქმული აზრი, რომ ჰეშმარიტებიდან ჰეშმარიტი გამომდინარეობს და მცდარიდან მცდარი, არ ნიშნავს, რომ მცდარწანამძღვრებიბიან დასკვნაში ჰეშმარიტი წანამძღვარიც გვაქვს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მცდარწანამძღვრებიან დასკვნაში კიდური ცნებების უმცდარო კავშირის საფუძველზე შეიძლება ჰეშმარიტი დანასკვი მივიღოთ. წანამძღვრებში ჰეშმარიტება არა გვაქვს, გვაქვს მხოლოდ დანასკვის ჰეშმარიტების საფუძველი, რომელიც კიდური ცნებების უმცდარი კავშირია საშუალო ცნების საფუძველზე.

მაშასადამე, წანამძღვრებში კიდური ცნებების სახით, რამდენადაც მათ სინამდვილეში საგნები შეესაბამება, გვაქვს ჰეშმარიტების მსგავსი, როგორც ჰეშმარიტი დანასკვის საფუძველი. მცდარი წანამძღვრებიდან შეუძლებელია ჰეშმარიტი დანასკვი მივიღოთ თუ მათში ჰეშმარიტების მსგავსი რამ არ არის. მცდარ წანამძღვრებში ასეთი ჰეშმარიტების მსგავსია საშუალო ცნების საფუძველზე კიდური ცნებების მიმართება: თუ კიდური ცნებების შესაბამისი საგანია სინამდვილეში და მცირე ცნება დიდ ცნებაში შედის მთლიანად ან ნაწილობრივ ან მასთან იგივეობრივია, დანასკვი ყოველთვის ჰეშმარიტია.

თუ ვაღიარებთ, რომ მცდარი წანამძღვრებიდან, როგორც ასეთიდან, ჰეშმარიტი დანასკვი მიიღება, ამით იმ აზრს ვარღვევთ, რომ დასკვნა ანალიზურია. ნამდვილად მცდარიდან ჰეშმარიტების მიღება სინთეზურია, რადგან დანასკვში ისეთ რამეს ვღებულობთ, რაც წანამძღვრებში არ არის. მცდარი წანამძღვრებიდან ჰეშმარიტი დანასკვის მიღება ანალიზური მაშინ იქნება, თუ მცდარ წანამძღვრებში ჰეშმარიტების რაღაც მსგავსია, საიდანაც ჰეშმარიტი დანასკვი მიიღება.

ისეთი დიალექტიკური მოაზროვნე, როგორიც ჰეგელი იყო, იმის დამტკიცებას არ ცდილობდა, რომ შეცდომაში ჰეშმარიტებაა და ჰეშმარიტებაში შეცდომა. „სულის ფენომენოლოგიაში“ იგი წერს: „მცდარი ცოდნა რაიმეზე ნიშნავს ცოდნის უთანასწორობას მის სუბსტანციასთან. მაგრამ სწორედ ეს უთანასწორობაა განსხვავება საერთოდ, რომელიც არსებითი მომენტია. ამ განსხვავებიდან, რასაკვირველია, წარმოიშობა მათი თანასწორობა და ეს წარმოშობილი თანასწორობა არის ჰეშმარიტება. მაგრამ ის არის ჰეშმარიტება, არა ისე თითქოს უთანასწორობა გადაგდებულია, როგორც გადაიგდება ხენჯი წმინდა ლითონისაგან, ან ისე, როგორც ინსტრუმენტი გამოიყოფა დამზადებული ჯურ-

ჭლიდან, არა, უთანასწორობა, როგორც თვისება, ჰეშმარიტში, როგორც ასეთში, კიდევ იმყოფება, მაგრამ ამის საფუძველზე არ შეიძლება თქმა, რომ მცდარი ჰეშმარიტების რაიმე მომენტს ან რაიმე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გამოთქმაში „ყოველ შეცდომაში არის სიმართლის ნაწილი“ ერთიც და მეორეც მსგავსია ზეთისა და წყლის, „რომლებიც არ ერევიან, მხოლოდ გარეგნულად არიან შეერთებულნი“[10].

ჰეგელის აზრი ნათელია. ჰეშმარიტება არის ჰეშმარიტება, შეცდომა არის შეცდომა, ერთი მეორედ არ გარდაიქმნება, ერთიდან მეორე არ გამოიყვანება. კავშირი, რაზედაც ჰეგელი ლაპარაკობს, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანის შემეცნებას ჰეშმარიტება მზამზარეულად არ ეძლევა, მან იგი უნდა მოიპოვოს და ამ გზაზე მისთვის აუცილებელი ხდება შეცდომა, რომელსაც დასძლევს და ჰეშმარიტებას მიაღწევს. ეს დაძლევა შემეცნებაში ყოველთვის მიმდინარეობს, მაგრამ შეცდომისაგან აბსოლუტურად ვერ თავისუფლდება. ამაშია ფარდობითი ჰეშმარიტების მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს შეცდომას და რომლისაგანაც თანდათანობით თავისუფლდება ცოდნა.

რაიმე ჰეშმარიტი მსჯელობა რომ ავიღოთ, მაგალითად, „ყოველი ქათამი არის ორფეხი“, ვნახავთ, რომ მისი განხილვით ვერც ერთ მცდარ ნაწილს ვერ აღმოვაჩენთ, ე. ი. თითოეულ ქათამზე გამოთქმული მსჯელობა „ეს ქათამი არის ორფეხი“ ჰეშმარიტი იქნება. თუ ჩვენ ავიღებთ მცდარ დებულებას, მისი განხილვით ვერც ერთ ჰეშმარიტ ნაწილს ვერ აღმოვაჩენთ. „ყოველი ქათამი სამფეხაა“ მთლიანად მცდარია, ამიტომ თითოეულ ქათამზე გამოთქმული მსჯელობა „ეს ქათამი სამფეხაა“ მცდარი იქნება. რაც შეეხება ისეთ მსჯელობას, რომელიც მთლიანად მცდარი არ არის, ამის მიმართ ის კი არ მტკიცდება, რომ ჰეშმარიტშია მცდარი შერეული, არამედ იგი იშლება ორ მსჯელობად, რომელთაგან ერთი ჰეშმარიტია, ხოლო მეორე მცდარი. მაგალითად, „ყოველი ფილოსოფოსი არის მათემატიკოსი“ დაიშლება შემდეგ მსჯელობებად: „ზოგიერთი ფილოსოფოსი არის მათემატიკოსი“ ჰეშმარიტია, ხოლო „ზოგიერთი ფილოსოფოსი არ არის მათემატიკოსი“, ამიტომ მათ მიმართ გამოთქმული მსჯელობა „ზოგიერთი ფილოსოფოსი არის მათემატიკოსი“ მცდარია.

არისტოტელემ მთლიანად და ნაწილობრივ მცდარი წანამძღვრების გამოყენებით ვერ გამოყო შემთხვევები, როცა მცდარი წანამძღვრებიდან ჰეშმარიტი დანასკვი მიიღება, იმ შემთხვევისაგან, როცა მათგან ისევ მცდარი მიიღება. არისტოტელე დასკვნის დროს წანამძღვრებში არსებული ცნებების დამოკიდებულებას ემყარება. თუ იგი ცნებების

---

[10] Гегель, Феноменология духа, გვ. 20, 1959, Москва.

ამ დამოკიდებულებას გამოიყენებდა, აგრეთვე, დანასკვის ჭეშმარიტება-მცდარობის ასახსნელად, როდესაც წანამძღვრები მცდარია, მაშინ ამ განსხვავებას აღმოაჩენდა. თუ ამ კუთხით განვიხილავთ საკითხს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. თუ კიდური ცნებების შესაბამისი საგანთა კლასები სინამდვილეში არ არსებობს, მაშინ ასეთი მცდარი წანამძღვრებიდან ყოველთვის მცდარი ან უაზრო დანასკვი მიიღება. 2. მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება, თუ კიდური ცნებების შესაბამისი საგნები ნამდვილად არსებობს და ისინი ერთმანეთთან ან იგივეობრივია, ან ერთი კიდურ-ცნების მოცულობა შედის მეორე კიდურ-ცნების მოცულობაში მთლიანად ან ნაწილობრივ, დანარჩენ შემთხვევაში დანასკვი მცდარია; 3. უარყოფით მცდარწანამძღვრიან დასკვნაში ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება, თუ კიდური ცნებების შესაბამისი საგნები ნამდვილად არის და ისინი ნამდვილად განსხვავდებიან ან ეს ცნებები მოცულობით ერთმანეთში არ შედიან. ეს აზრი შეიძლება კიდევ სხვანაირად გამოითქვას: მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება თუ კიდური ცნებების შესაბამისი საგანთა კლასი არსებობს და ამ ცნებების ლოგიკური კავშირი მათ შესაბამის საგანთა კავშირს შეესაბამება $(A \to B) \wedge (B \to C) \to (A \to C.)$ აქ თუ ჩაისმება მცდარი მსჯელობები, ყოველთვის ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება, თუ ის ზემოხსენებულ პირობებს აკმაყოფილებს.

თავი II

მეცნიერების აგებულების ზოგიერთი გნოსეოლოგიური საკითხი

§ 1. ცნება და არსებობა

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ღმერთის ონტოლოგიური დამტკიცების ცდა. ამ მტკიცების არსება ცნების ლოგიკური ანალიზით მისი შესაბამისი საგნის არსებობის დამტკიცებაა. თუ ცნების ანალიზს მოვახდენთ, ამით საგნის არსებობას მივიღებთ, ასეთ ცდებს საშუალო საუკუნეების ფილოსოფიაში ახდენდნენ, ამ გზით მიდიოდა დეკარტეც.

ცნებიდან საგნის არსებობის გამოყვანა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ შემეცნება შედარებით ადვილი იქნებოდა. მეცნიერი არსებულ ცნებებს ორ ჯგუფად დაყოფდა: 1) ცნებები, რომლებიც საგნის არსებობას შეიცავენ, 2) ცნებები, რომლებიც საგნის არსებობას არ შეიცავენ. ცნებათა მეორე ჯგუფი მეცნიერებიდან გამოირიცხებოდა, ხოლო პირველი მეცნიერული კვლევის საგნად გადაიქცეოდა. საგნის ცნებიდან საგნის არსებობა აუცილებლობით გამოვიდოდა და შემეცნება ყოველთვის უტყუარი იქნებოდა.

კანტმა „წმინდა გონების კრიტიკაში" დაამტკიცა, რომ საგნის ცნებიდან საგნის არსებობა არ გამოიყვანება. კანტის აზრით, ცნების მიხედვით 100 ტალერი ჯიბეში და 100 ტალერი შესაძლებლობაში ერთი და იგივეა, ერთს მეორეზე მეტი ნიშანი არა აქვს. „არის" მსჯელობაში კავშირის გამომთქმელია და ის რაიმე არსებობაზე არ მიუთითებს. კანტის ეს მოსაზრება საქმის ნამდვილი ვითარების გამომთქმელია. 100 ტალერი 100 ტალერია, მაქვს თუ არა იგი მე; როცა ვამბობთ — საგანი არსებობს, ამით ჩვენ საგანს არაფერს არ ვუმატებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანტის აზრით, ჩვენ საქმე სხვა საგანთან გვექნებოდა და არა იმ საგანთან, რომელიც ნაგულისხმევია. კანტი მართალია, როცა ამბობს, რომ საგანს არაფერი არ ემატება მისი არსებობით. ის საგანი არსებობა რაც ცნებაში გვაქვს მოცემული, მაგრამ ამაზე შეჩერება არ შეიძლება:

საქმე ის არის, რომ არსებობა არარსებობაზე მეტია სწორედ იმით, რომ ერთი არ არის, მეორე კი არის. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ არსებობა და არარსებობა ერთი და იგივე იქნებოდა, რაც უაზრობამდე მიგვიყვანდა. თუ ვიტყვით, რომ მათ შორის განსხვავება გამოყენების თვალსაზრისითაა და არა შემეცნების, არც ეს იქნება სწორი. გამოყენების თვალსაზრისით არსებულს გამოვიყენებთ, ხოლო არარსებულს— ვერა. შემეცნების თვალსაზრისით არარსებულზე მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ის არ არის, არსებულზე კი, ამას გარდა, მისი მრავალი კავშირი და მიმართებები გვეცოდინება.

როგორც გამოყენების, ისე შემეცნების თვალსაზრისით არსებობა როგორც თავისთავადობა, წინ უსწრებს მის შემეცნებას და მის გამოყენებას. არსებობა მეტია არარსებულზე თავისთავად. ის მასზე მეტია ყოველგვარი მიმართების გარეშე. მაშასადამე, არსებული საგანი რომ, ცნების მიხედვით, იგივეა არარსებულთან, ამაში კანტი მართალია. ამიტომაა, რომ საგნის ცნებიდან მისი არსებობა არ გამოიყვანება. საკითხი იმას ეხება, თუ რატომ არ გამოიყვანება ცნებიდან საგნის არსებობა.

საგნის ნიშანი ორნაირია: 1) ნიშანი, რომელიც მის აგებაში მონაწილეობს. თუ საგანი, მაგალითად, სახლია, მისი ნიშნები იქნება საძირკველი, ოთხი კედელი, იატაკი, სახურავი, ჭერი, კარებები. რაკი ამ ნიშნების გარეშე სახლი არ არის, ამიტომ ისინი უნდა შევიდნენ მისი ცნების აგებაში. მაშასადამე, საგნის ცნების აგებაში მონაწილეობს ის ნიშნები, რომლებიც საგნის აგების აუცილებელ მხარეებს წარმოადგენენ. 2) მეორე ნიშანი არ მონაწილეობს საგნის აგებაში, თუმცა ის საგნისათვის დამახასიათებელია. რაკი საგანი არსებობს, არსებობა საგნის ნიშანია, მაგრამ ეს ისეთი ნიშანია, რომელიც საგნის აგებაში არ მონაწილეობს, ამიტომ ის არც მისი ცნების ნიშანი იქნება. არსებობა რომ საგნის ამგები ნიშანი იყოს, მაშინ მხოლოდ იმას მოვიაზრებდით რაც არსებობს, ხოლო რაც არ არსებობს, მისი მოაზრება შეუძლებელი იქნებოდა. საგნის მოაზრება მხოლოდ მისი ნიშნების საშუალებითაა შესაძლებელი. საგნის ცნებაში შედის მისი საკუთარი ნიშნების ერთობლიობა, არსებობა კი არც ერთი საგნის საკუთარი ნიშანი არ არის. ცნებაში რომ არსებობის ნიშანი შევიდეს, მაშინ მას ჰეშმარიტება-მცდარობა უნდა მიეწეროს, რაც წინააღმდეგობაში გვაქცევს. ცნება ასახვაა, მაგრამ ის ასახავს არა საგნის არსებობას, არამედ მის არსებით ნიშნებს.

სწორია თუ არა ის აზრი, რომ არსებობა საგნის ამგები ნიშანი არ არის და ამიტომ არც ცნების ნიშანია? ეს აზრი იმით საბუთდება, რომ ერთმანეთისაგან ვანსხვავებთ საგანს და მის არსებობას. ჯერ მოვიაზრებთ საგანს, ხოლო მერე ვიკითხავთ, ასეთი საგანი არსებობს თუ არაო. საგანი რომ მისი არსებობიდან განსხვავდება, ეს აზრი იმით საბუთდე-

პა. რომ საგანი არის ან არ არის, ხოლო არსებობა ყოველთვის არის. საგანი იმით არის, რომ ის არსებობაში შედის, მასში მონაწილეობს. საგანი არ არის იმიტომ, რომ ის არსებობიდან გამოსულია, არსებობაში აღარ მონაწილეობს. თვითონ არსებობა რაღაც აბსოლუტურია, რომელსაც არავითარი საზღვარი არა აქვს და რომელიც მოცემულია როგორც უსაწყისო. არსებობა ცნებითი განსაზღვრების მოთხოვნას არ ემორჩილება, რადგან ცნების განსაზღვრებისათვის საჭიროა ან ისეთი რამ, რაც მასზე მაღალია, როგორც გვარი, ან ისეთი რამ, რაც მასთან მიმართებაშია, რათა ამ მიმართების წევრის საშუალებით წარმოვიდგინოთ. მაგალითად, როცა გვინდა მატერიის განსაზღვრა, მას აზროვნებასთან მიმართებაში ვაყენებთ. ცხადია, მარტო ეს მიმართება არ კმარა, საჭიროა კიდევ დრო და სივრცე, რაშიც მატერიაა გამომჟღავნებული. თუ ამ კუთხით არსებობას განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მას არავითარი მზარე არა აქვს, რაც მისი განსაზღვრების საშუალებად უნდა ავიღოთ. თუ ასეთი მიმართების წევრად არარას ავიღებთ, ვნახავთ, რომ ის ამ მიზნისათვის არ გამოდგება, რადგან არარაში რამენაირად უნდა არსებობდეს და არსებობაში უნდა შედიოდეს, ამიტომ არის, რომ არარა არსებობა ინტუიციაშია მოცემული და არა ცნებაში. არსებობა არ არის სხვადასხვა ნიშანთა ერთიანობა, რომ ამ ნიშნებით მისი ცხება დავადგინოთ. არსებობა არის არსებობა, ეს იქნება მისი განსაზღვრება.

როგორც პროფ. ლ. გოკიელი ამტკიცებს[1], არსებობა ცნებაში იმიტომ არ შედის, რომ ის საგნის აგებულებაში არ მონაწილეობს. პროფ. ლ. გოკიელის ეს აზრი სწორია. არსებობა რომ საგნის ნაწილი იყოს, მაშინ არსებობის მიხედვით ყოველი საგანი ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნებოდა. სინამდვილეში არსებობის მიხედვით ყოველი საგანი ერთი და იგივეა. არსებობის მიხედვით საგნები მეტნაკლებობით არ ხასიათდებიან.

ჰეგელი ეკამათება კანტს, რადგან ის ცნებიდან საგნის არსებობის გამოყვანას შეუძლებელს ხდიდა. ჰეგელი განასხვავებს ბოლოვად და დაუბოლოვებელ საგნებს. მისი აზრით, კანტი სწორია ბოლოვადი საგნების ცნების განსაზღვრების დროს, ხოლო დაუბოლოვებელი საგნების ცნების განსაზღვრების დროს არ არის სწორი. ჰეგელის აზრით, ბოლოვად საგნებში ცნება და რეალობა გამოყოფილია ერთმანეთისაგან, ხოლო დაუბოლოვებელ საგნებში ცნება და რეალობა ერთმანეთს ემთხვევა, ერთმანეთისაგან განუყოფელია. ჰეგელი ამ შემთხვევაში საშუალო საუკუნეების ფილოსოფიაში გამოთქმულ დებულებას იმეორებს. ცხადია, ჰეგელი ცდება კანტთან კამათში, რადგან აბსოლუტის ცნება-

---

[1] თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის შრომები, XI, 1942, გვ. 44.

ში მისი არსებობა არ შედის, რადგან ეს ორი მხარე ლოგიკურად გაპო-
ყოფილია, ისინი ერთიმეორეს არ ემთხვეიან და ამიტომ არც არის
ერთიდან მეორეზე გადასასვლელი გზა. აბსოლუტის ცნებიდან მის არ-
სებობაზე გადასასვლელი გზა არ არსებობს, აბსოლუტი ჩვენს ცნებაში
ვერ მოთავსდება.

ზოგიერთი ფილოსოფოსი დღესაც ამ აზრს იმეორებს. მაგალითად,
ტავანეცი ცდილობს ასეთივე აზრის დასაბუთებას[2]. ცხადია, ტავანეცი
ამ აზრს ვერ ასაბუთებს. ტავანეცი ჰქმნის ცნებიდან საგნის არსებობის
გამოყვანის მოჩვენებას. ის იღებს ისეთ ცნებებს, რომელთა შესაბამისი
საგანი სინამდვილეში არსებობს, იცის ასეთი საგნების არსებობის შე-
სახებ და ჰგონია, რომ ცნებიდან გამოიყვანა რაიმე საგნის არსებობა.
სინამდვილეში აქ არის არა ცნებიდან საგნის არსებობისკენ წასვლა,
არამედ საგნის არსებობიდან ცნებისაკენ წასვლა.

ცნების მიმართ, რომელიც ნამდვილად არსებული საგნის ცნებაა
და რომლის ცოდნა გვაქვს, ისეთ ლოგიკურ მოქმედებას ვასრულებთ,
რომლის მიხედვით ცნებიდან საგნის არსებობა გამოიყვანება. საკითხი
ეხება ისეთი საგნის არსებობას, რომელიც ჩვენ მოცემული არა გვაქვს
და ცნების ლოგიკურმა ანალიზმა უნდა მის არსებობამდე მიგვიყვანოს.
ეს არის სწორედ შეუძლებელი, ამიტომ ცნებიდან საგნის არსებობის
გამოყვანა შეუძლებელია. იქ, სადაც ცნება და ცნების საგანი ერთი და
იგივეა, ე. ი. ცნებას არა აქვს საგანი თავის თავისაგან განსხვავებული,
ანუ ცნება არ არის რაღაც თავისაგან განსხვავებულის წარმომადგენელი.
ცნებიდან საგნის არსებობის გამოყვანაც არ ხდება, ცნებიდან მხოლოდ
ისევ ცნებები მიიღება. ასეთი ცნება საესეობა იქნება ცნებებისა, რომ-
ლებიც მის სიღრმეშია მოთავსებული. ცნება, თუ მას მოძრაობა მიეწე-
რება, იმ ცნებებს გამოამჟღავნებს, რომლებიც მასშია ნაგულისხმევი:
ასეთი ცნება არსად არ გადავა თავისაგან განსხვავებულზე ანუ საგანზე,
ის ყოველთვის ცნებიდან ცნების გამოყვანა იქნება.

§ 2. კატეგორიების თავისებურება მეცნიერებასა და ესთეტიკაში

ყოველი ადამიანი, რომელიც გამოთქვამს ესთეტიკურ მსჯელობას,
ცდილობს მას ზოგადსაყოველთაო ხასიათი მისცეს. მეცნიერული მსჯე-
ლობა და ესთეტიკური მსჯელობა ამ მიმართულებით ერთმანეთისაგან
სრულიად განსხვავებულია. მეცნიერული მსჯელობა, როდესაც იგი და-
საბუთდება, მიღებული იქნება; სანამ დასაბუთდება, მანამ იქნება მის
შესახებ აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო დასაბუთების შემდეგ ეს აზრთა
სხვადასხვაობა მოიხსნება. რაც შეეხება ესთეტიკურ მსჯელობას, აქ საქ-

[2] Вопросы философии, № 9, 1959.

ცე სხვაგვარადაა. თუ რომელიმე ადამიანს მოცემული საგნის სიმშვენიერის განცდა არა აქვს, მას ვერ დაარწმუნებთ იმაში, რომ ეს საგანი მშვენიერია. დროთა ვითარებაში შესაძლებელია, რომ მას ესთეტიკური გემოვნება განუვითარდეს და აღიაროს მისი სიმშვენიერე, მაგრამ როცა მას ასეთი განცდა აქვს, მისი შეცვლა დასაბუთებით შეუძლებელია. მეცნიერულ შემეცნებაში ერთეული მსჯელობა არის ამოსავალი, რომელიც აზროვნებამ უნდა გადაამუშავოს და ზოგადამდე აიყვანოს, ზოგადი მსჯელობა ჩამოქნას, რათა გაანთავისუფლოს აზრი ყოველგვარი შეგრძნებითი მონაცემებისაგან.

ესთეტიკურში ასეთი გზა ესთეტიკურის უარყოფას ნიშნავს. აქ ერთეული მსჯელობა პირველი და უკანასკნელია. სწორედ არსებითია საგნის უშუალო მოცემულობა, რომელიც ერთეულ მსჯელობაშია. სივრცის კატეგორია ისევე არსებითია ესთეტიკური ხედვისათვის, როგორც მეცნიერებისათვის. ესთეტიკური ხედვა თვალსაჩინო საგანს გულისხმობს, ხოლო ეს საგანი თვალსაჩინოა მისი სივრცეში ყოფნით. ესთეტიკური ჭვრეტა მხოლოდ სივრცეში მოცემული საგნისაა შესაძლებელი. ზეცდისეული საგანი არ განიჭვრიტება, ის მშვენიერის განცდას ვერ აღძრავს. სივრცე, რაც გამოყენებულია მეცნიერებაში, და ის სივრცე, რაც გამოყენებულია ესთეტიკურ ხედვაში, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია. მეცნიერებაში გამოყენებული სივრცე არის აბსტრაქტული, განთავისუფლებული ყოველგვარი კონკრეტული საგნისაგან. მაგალითად, სივრცე, რასაც სწავლობს გეომეტრია, არის არაგრძნობადი, რომელიც ხაზებისა და წერტილების ურთიერთობით მოიაზრება. სივრცე, რომელთანაც საქმე აქვს მექანიკას, მოძრაობის ამსახველია, მოძრაობა კი მიეწერება საგანს. არც სივრცე და არც საგნის მოძრაობა არ არის კონკრეტულობის მქონე, ინდივიდუალობის შემცველი. აქ საგანი და მისი მოძრაობა სიმბოლოებით არის აღნიშნული, რომელიც არ არის განსაზღვრული ადამიანის გრძნობადი მიმართებით. ეს სივრცე მისი საკუთარი ცნების მიხედვით არის აგებული. რაც შეეხება ესთეტიკურ სივრცეს, ის სრულიად კონკრეტულია, გავსებულია მატერიით, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე მატერიით, ესთეტიკურად მხოლოდ ასეთი სივრცე შეიძლება იქნეს აღქმული, აბსტრაქტულ სივრცესთან მას საქმე არა აქვს.

ბუნების რაიმე მშვენიერი მოვლენა გარკვეულ სივრცეშია და ჩვენ მას ამ სივრცეში ვჭვრეტთ. ქანდაკება სივრცეშია. მოქანდაკის ამოცანა სწორედ ის არის, რომ გაავსოს სივრცე, კონკრეტული და ინდივიდუალური გახადოს. ასევე შეიძლება ითქვას ფერწერულ სურათებზე, რომლებიც ფერების გემოვნების მიხედვით შეხამებას წარმოადგენს.

მაშასადამე, მხატვრული აღქმის აუცილებელი კატეგორიაა სივრცე. ასევე შეიძლება ითქვას დროის შესახებ. დრო შემეცნების კატეგორიაა, მოვლენების შემეცნება დროში ხდება. იგი ესთეტიკური ხედვის კატეგორიაც არის, მაგრამ ისე, როგორც სივრცის შემთხვევაში, აქაც მათ შორის დიდი განსხვავებაა. მეცნიერებაში გამოყენებული დრო არის განყენებული, ერთფეროვანი; აქ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას. წერტილების ერთიმეორის შემდეგ მიმდევნობა. ეს ასეა, მაგალითად. მექანიკაში, როდესაც მოძრაობა უნდა აღიწეროს; ასეა ისტორიაშიც. როდესაც ისტორიული მოვლენების ერთიმეორისაგან წარმოშობა უნდა ახსნან.

დრო, ისე როგორც სივრცე, მეცნიერებაში კონკრეტულ გრძნობადობას მოკლებულია. რაც შეეხება ესთეტიკური ხედვის დროს, იგი სრულიად ინდივიდუალურია და გავსებულია კონკრეტული მოვლენების დინებით. დრო მუსიკალური ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის აუცილებელი პირობაა, მუსიკალური ბგერები დროშია გაშლილი და ერთი მეორის შემდეგ მოდის. დრო გავსებულია ამ ბგერებით. ისე რომ, თუ ყურადღება მოაცილე მუსიკალური ნაწარმოების მოსმენას და გამოტევე რაღაც მცირე ნაწილი, ამით მუსიკის ესთეტიკური აღქმა ხარვეზიანი, ნაკლოვანი გამოდის, ამიტომ მთელ დინებას უწყვეტლივ უნდა მისდიო, თუ გინდა მიიღო ესთეტიკური სიამოვნება. ბგერები ერთმანეთთან შინაგანი აუცილებლობით არის დაკავშირებული, ამიტომ ამ კავშირის დროში აღქმა ესთეტიკური ხედვის აუცილებელი პირობაა.

ესთეტიკური ხედვის გაშლისათვის მიზეზობრიობის კატეგორია, როგორც კავშირის გამოხატულება, მხატვრული ნაწარმოების საფუძველია. ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად ჩანდეს ეს გარემოება, სად მხატვრული ნაწარმოები და სად მიზეზობრიობაო? მაგრამ აქ უცნაურობა არ არის. ცხადია, მხატვრული ნაწარმოების ავტორი ისე არ მოქმედობს, რომ აიღებს იგი მიზეზობრიობის კატეგორიას და მას მიუყენებს მხატვრული ნაწარმოების მასალას.

მეცნიერულ შემეცნებაში მდგომარეობა ასეთია: მეცნიერი მოცემული მოვლენების გარკვეული ჯგუფისათვის იყენებს ამ კატეგორიას, ანუ ამ მოვლენების ჯგუფში მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას აღმოაჩენს. მხატვრულ ნაწარმოებებში ასახული მოვლენები ურთიერთმიზეზობრივ კავშირშია, ე. ი. ხელოვანი მათ ამ ფორმაში წარმოადგენს, რადგან მათ შორის არის ურთიერთგანმსაზღვრელი დამოკიდებულება. მაგალითად, ერთი გმირის საქციელი იწვევს მეორე გმირის საქციელს. ხელოვანმა ერთი გმირის მეორე გმირისადმი მიმართული მოქმედება გასაგები და დასაბუთებული უნდა გახადოს, ისე მხატვრულ ნაწარმოებს დამაჯერებლობა არ ექნება და არც მხატვრულობის მიხედვით იქნება

მაღალი. მაგალითად, განვიხილოთ ასეთი აქტი: ოტელო კლავს დეზდემონას, მაგრამ სანამ ოტელო ამ აქტს ჩაიდენდა, მწერალმა დიდ გზაზე გაატარა იგი და მერე სრულიად საფუძვლიანი და დასაბუთებული გახადა ოტელოს მიერ დეზდემონას სიკვდილი. მოკლედ, ოტელოს დარწმუნება იმაში, რომ მას დეზდემონა ღალატობს, მიზეზია ამ ტრაგიკული მოვლენის წარმოშობისა.

რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოების გმირების მოქმედება მხოლოდ მიზეზობრივ კავშირში არ იშლება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ კატეგორიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სინამდვილის მხატვრული ასახვის სფეროში.

მაშასადამე, მშვენიერებითი მიმართება სინამდვილისადმი არის სინამდვილის შეფასება, მისი დაყენება სუბიექტთან მიმართებაში. ამიტომ ის სულ სხვაა, ვიდრე მეცნიერული შემეცნება. ერთი პასუხობს კითხვაზე რა არის და როგორ არის, მეორე პასუხობს კითხვაზე რაც არის, მოწონების ღირსია თუ არა. ერთია იმის აღიარება, რაც არის, მეორე იმის შეფასებაა, რაც არის ან რაც შეიძლება იყოს. უმაღლესი მშვენიერება მოცემულია არა ბუნებაში, არამედ ხელოვნებაში. ის, რაც არის მშვენიერება, ხელოვნებაშია მოცემული, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების თეორია, განსაზღვრული აზრით, არის აგრეთვე მშვენიერების თეორია.

როგორ იბადება ხელოვნების ნაწარმოები? ცხადია, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის აქ საერთო ის არის, რომ ორივე აზროვნების მიერ იბადება. არც მეცნიერებაა მზამზარეულად და არც ხელოვნება. ეს ასე რომ იყოს, მაშინ ადამიანს ამ მიმართებით აღარაფერი არ ექნებოდა გასაკეთებელი და ყველაზე მოქმედი არსება, ყველაზე უმოქმედო იქნებოდა. ამ საერთოს გარდა მათ შორის განსხვავება ის არის, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების შექმნის გზები სხვადასხვაა.

რაიმე მოვლენა, რომელიც ბუნებასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება, მეცნიერებისათვის შემეცნების საგანია. მისი მიზანია ამ მოვლენის მიზეზებისა და ამ კანონის შემეცნება, რაც მისი განმსაზღვრელია. მაგალითად, აინშტაინმა გამოიკვლია ფოტოგამოსხივების მოვლენა და დაადგინა, რომ ეს სხივები ნაწილებისაგან შედგებიან. მეცნიერს არ უხდება მოვლენების წარმოსახვაში შექმნა. წარმოსახვაში შექმნილი არ არის არსებული, მეცნიერებას არსებულთან აქვს საქმე. მეცნიერება არსებულის გამომკვლევია და ის, რაც არ არის არსებული, შემეცნების საგანი ვერ გახდება. ცხადია, მეცნიერი დასკვნებს აკეთებს იმაზე, რაც ჯერ არ არის, მაგრამ ის ამისათვის წარმოსახვას კი არ მიმართავს, არამედ ამ მოცემული ვითარებიდან დასკვნა გამოაქვს მომავალი მოვლენების აუცილებელი წარმოშობის შესახებ. ეს იმით არის

შესაძლებელი, რომ აწმყოს თავისთავში შესაძლებლობის სახით აქვს მომავალი, ან აწმყო თავის მიდრეკილებით ამ მიმართულებით მიდის, ამიტომ ასეთი დასკვნის გაკეთება სრულიად მეცნიერულია.

ხელოვნებაში ასე არ არის. ხელოვნების არც ერთი დარგისათვის რომელიმე მოცემული მოვლენა მის უშუალობაში ხელოვნების საგანი არ არის. თვით ისტორიული რომანიც კი უშუალო ისტორიული მოვლენის აღწერას არ წარმოადგენს. აქ ისტორიული მოვლენა შეფერილად, შელამაზებულად არის წარმოდგენილი. ისტორიული მოვლენის აღწერა ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება. იგი ხელოვნებად მაშინ იქცევა, როდესაც ისტორიული მოვლენა მხატვრულ ფორმაში მოთავსდება. მხატვრული ფორმის გარეშე არ არის ხელოვნება. ხელოვნება რომ მოცემული მოვლენიდან გამოდიოდეს და მის ირგვლივ ტრიალებდეს, მაშინ ის მეცნიერება იქნებოდა. ხელოვნების ამოცანაა მშვენიერი სურათების შექმნა და მაყურებელში თუ მსმენელში ესთეტიკური განცდის აღძვრა.

თუ ხელოვნება არ გამოდის მოცემულიდან და ეს არ არის მისი საგანი, მაშინ რა არის მისი საგანი? ზოგჯერ იტყვიან, რომ ხელოვნების საგანი არის ბუნება, მაგრამ როცა აღმოჩნდება, რომ იგი ბუნებაში ვერ ეტევა, მაშინ იტყვიან, რომ მისი საგანია ადამიანი. მაშასადამე, ბუნება და ადამიანი არის ხელოვნების საგანი. ხელოვნების ასეთი გაგება შეცდარია. ადამიანიც ბუნების ნაწილია და, მაშასადამე, ფართო გაგებით ბუნება იქნება ხელოვნების საგანი. საქმე ის არის, რომ საგნის ცნება გარკვეულია, იგი გულისხმობს რეალობას, განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არსებობას, ხოლო ასეთი საგანი ნამდვილად არის თუ არა ეს გასაგები ხდება შემოწმების შემდეგ. თუ მეცნიერებამ არ დაადასტურა დროსა და სივრცეში საგნის არსებობა, ისე მის რეალობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ მხატვრული ნაწარმოების გმირების ან რაიმე მოვლენის არსებობის მეცნიერული შემოწმება აზრად არავის არ მოსვლია, რადგან მხატვრული აზროვნება არ მოითხოვს საგნის რეალობის დადასტურებას. ეს მხოლოდ მეცნიერული აზროვნებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან ცხადია, რომ მხატვრული აზროვნებისათვის მოცემული საგანი არ არის მისი ამოსავალი და, ამ აზრით, არც ბუნება და არც ადამიანი არ არის ხელოვნების საგანი. როგორც ადამიანი, ისე ბუნება სხვადასხვა მხარეებისაგან შედგება.

მაშასადამე, ხელოვნებაში მოცემული უნდა იყოს ბუნებისა და ადამიანის ეს მხარეები და მკითხველს, მაყურებელს თუ მსმენელს იმის მოთხოვნა უნდა ჰქონდეს, რომ გაარკვიოს, აღწერილი სინამდვილეშიც ასეა თუ არა. მაგრამ ასეთ მოთხოვნას მხატვრულ ნაწარმოებს არავინ არ უყენებს. მეცნიერული შემეცნებისათვის ეს პირველი და აუცილე-

ბელი მოთხოვნაა. შესაძლებელია, მხატვრული ნაწარმოების შექმნისას, მართლაც, მწერალი აიძულა ბუნების თუ საზოგადოების მოვლენამ, ნაწარმოები მხოლოდ მისი წამბიძგებელია. ის შემოქმედის მიერ მასალათაა აღებული და არ არის მხატვრული ნაწარმოების ამოსავალი. ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში წამბიძგებელი მოვლენის ძებნას არავინ არ იწყებს.

ადამიანი და, საერთოდ, საზოგადოება მიზნების გარეშე არ ცხოვრობს, მას და მთელ საზოგადოებას გარკვეული იდეალები ამოძრავებს. საზოგადოება მუდმივ მოძრაობაშია, მასში ყოველთვის არის ძველი და ახალი, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან, აღჭურვილი არიან გარკვეული იდეალებით, რომლებიც წარსულისა და მომავლის, ძველისა და ახლის დაპირისპირებაში იბადებიან. იდეალი არსებულის შემეცნება ან ცოდნა კი არ არის, არამედ ამ არსებულის დაძლევისა და ახლის შექმნის მისწრაფების გამომხატველია. ადამიანის სულიერ სამყაროში იდეალი წარსულის მოხსნისა და ახლის დამყარების დამდგენია. იდეალი ყოველთვის იმას გამოხატავს, რაც სურს ადამიანს. იდეალში ძველი ყოფა მთელი თავისი მანკიერებით დაგმობილია, უარყოფილია, ზიზღისა და სიძულვილის საგნადაა ქცეული. ადამიანი მთელი თავისი არსებით ახლისადმი მიისწრაფვის, როგორც უკეთესისკენ, როგორც ადამიანისა და მთელი საზოგადოების კეთილი სურვილების განხორციელების შესაძლებლობის შემცველისაკენ. ხელოვნების ნაწარმოები ადამიანს რაიმეს შეაყვარებს ან რაიმეს შეაძულებს, ხელოვნების ადგილი სწორედ იდეალების სამყაროშია. ხელოვნება იდეალებზეა მიმართული, მისი მიზანიც ამ იდეალების გრძნობად კონკრეტულ სახეებში გამოხატვაა. მეცნიერი გამოდის მოცემული საგნიდან, მისი აგებულების აღწერიდან, მისი კანონზომიერების შემეცნების მოთხოვნებიდან, ხოლო ხელოვანი — მოცემული იდეალიდან.

მეცნიერების ამოცანაა მოცემული საგნის შემეცნება, იმ მიზეზებისა და კანონების გაგება, რასაც იგი ემორჩილება. ხელოვანის მიზანია თავის იდეალს სათანადო ფორმა მოუნახოს, რომ ამ ფორმაში ეს იდეალი გამოჩნდეს, ანუ ნათელი გახდეს ამ ფორმაში ის, რის თქმაც ხელოვანს სურს, რაკი ხელოვანი იდეალებით მოქმედებს და მისი შემოქმედება იდეალებით არის განსაზღვრული. იდეალები ცხოვრებისაგან არის წარმოშობილი და ამ იდეალების შინაარსს ცხოვრება წარმოადგენს, ამიტომ ცხადია, რომ ხელოვანი თავისი იდეალის განჯორციელებისათვის, ანუ იდეალის კონკრეტულ გრძნობად სახეში მოცემისათვის, ცხოვრებისაგან აიღებს მასალას, რომელსაც ის გამოიყენებს იმისათვის, რომ მან მხატვრული ნაწარმოები შექმნას.

ცხადია, ჩვენს დიდ ილია ჭავჭავაძეს იმდროინდელ საქართველოში ბევრი შეხვდებოდა მსგავსი ლუარსაბისა და დარეჯანისა, ოთარაანთ ქვრივისა და სხვ., მაგრამ ამ ნაწარმოებებში ემპირიულად ნახული ადამიანები მხოლოდ ერთგვარი წამბიძგებელია.

ილიას იდეალი იყო ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი იქნება მშრომელი. ილია მშრომელ ადამიანებს მშვენიერ, მიმზიდველ ადამიანებად ხატავს, ხოლო იმათ, ვინც არ მუშაობს, ლუარსაბისა და დარეჯანის მსგავსად. აქ მაინც ერთგვარად საქმე გვაქვს სინამდვილესთან, რადგან ლუარსაბი და დარეჯანი იდეალში გადატეხილი ზოგადი სახეებია, რომელთა მსგავსი ცხოვრებაში შეიძლება ვნახოთ. ამიტომ იბადება სიძნელე. ეს ხომ არ არის იგივე შემეცნება, მხოლოდ სხვაგვარი ვიდრე მეცნიერული, ხომ არ არის მეცნიერული შემეცნების გარდა კიდევ სინამდვილის მხატვრული შემეცნება? სიძნელე ამ საკითხში ნამდვილად არსებობს, რომანს, ლექსს, პოემას იმისათვის არავინ არ კითხულობს, რომ რაიმეს შემეცნება მოახდინოს. მათ ყველა დიდი გატაცებით კითხულობს, თუ ისინი ესთეტიკურად მაღალ დონეზე დგანან. თუ არადა მკითხველი უკმაყოფილო რჩება და განზე დებს. თეატრში, ოპერაში, კინოში თითქმის იმისათვის არავინ არ მიდის, რომ იქ რაიმე შეიმეცნოს; ყველა მაყურებელი იქითკენ მიისწრაფვის, რათა იქ ყოფნით მაღალი მშვენიერება განიცადოს, სიმშვენიერით დატკბეს, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც მკითხველი, ისე მაყურებელი წაკითხვისა და ყურების შემდეგ ცხოვრების საკითხებისაგან შეწუხებულია ანდა, პირიქით, აღტაცებაშია. როდესაც ადამიანი უსმენს „ოტელოს“, იგი ღაინახავს, თუ რაოდენი ბოროტებით სავსე შეიძლება იყოს ადამიანი იაგოს სახით, როგორი მიმნდობი შეიძლება იყოს იგი ოტელოს სახით, როგორი კეთილშობილი შეიძლება იყოს ქალი დეზდემონას სახით, როდესაც ადამიანი მოისმენს „ჰამლეტს“, ის ნახავს როგორ ავიწყებინებს ადამიანს სახელმწიფოს მბრძანებლობისაკენ მისწრაფება, ძმობას და სისხლით ნათესაობას. ეს მოვლენები, რომლებმაც ადამიანის ცნობიერებაში გაიარა, შემეცნებითი მოვლენებია, მაყურებელმა რაღაც გაიგო, დაინახა. ცხადია, რომ ყველა ეს მოვლენა მეცნიერულ შემოწმებას არ ემორჩილება, მათზე არ შეიძლება ითქვას, რომ აქ, ამა და ამ დროს მოხდა, ისინი ამა და ამ მიზეზებმა გამოიწვიეს, რომ ეს არის მეცნიერული შემეცნება.

ამავე დროს ცხადია, რომ აქ ასეთი შემეცნება მხატვრული ნაწარმოების ძირითადი საგანი არ არის. ეს რომ ასე იყოს, მისი შემეცნება ცნებით მოხერხდებოდა და ამოცანა გადაწყვეტილი იქნებოდა. საქმე გვაქვს არა წმინდა სახის შემეცნებასთან, არამედ მოვლენების შეფასე-

ბასთან. მხატვრულ ნაწარმოებში რაიმე მოქმედება ნაჩვენებია ისე, რომ ამავე დროს მოცემულია მისადმი უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულება, ის ან დადებითად არის დახასიათებული, ან უარყოფითად. ამიტომ არის, რომ მაყურებელი თუ მკითხველი რომელიმე გმირისადმი დადებითად არის განწყობილი ან მისადმი აღშფოთებას გამოხატავს. განუზომელი მწუხარება ისადგურებს ადამიანში მაშინ, როდესაც ოტელო თავის მეუღლეს დაახრჩობს. ამ დროს ადამიანი თითქოს იწმინდება ყოველგვარი არაადამიანურისაგან. ყოველ შემთხვევაში ასეთია მხატვრული ნაწარმოების მიზანი. როდესაც ვუყურებთ ფიროსმანის სურათს, გვხიბლავს ამ მხატვრის სიდიადე და ამავე დროს უკმაყოფილების გრძნობით ვიესებით იმ საზოგადოებისადმი, რომელმაც იგი ასე მიგდებულად ამ ქვეყნიდან გაისტუმრა: როდესაც ვუყურებთ ილიას „კაცია-ადამიანს“, ლუარსაბსა და დარეჯანს, იმ გრძნობით ვიმსჭვალებით, რომ ადამიანი და მთელი საზოგადოება არ უნდა იყოს ასეთი. როდესაც ვეღდაეთ „ოთარაანთ ქვრივსა“ და „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილ შვედელს, ჩვენს იდეალად ასეთ ადამიანად ყოფნა იქცევა. იდეალი, როგორც ცხოვრებისაგან წარმოშობილი, ამავე ცხოვრებისეული მოვლენების საშუალებით ხორციელდება და ხელოვნება სწორედ ამ იდეალების ხილულ მოვლენათა ფორმაში განხორციელების მიმდინარეობის წარმოდგენაა.

რაკი ასეთია ხელოვნების ბუნება, არ შეიძლება ის შემეცნებითი ნიშნის გარეშე იყოს, მაგრამ ეს შემეცნება მეცნიერული კი არ არის, არამედ მხატვრულია. მხატვრული შემეცნება არის უშუალო ხედვა, ხოლო უშუალო ხედვა შეიძლება იმისი რაც თვალსაჩინოა, რაც სხეულებრიეია. მასში იგულისხმება როგორც ბუნების საგნების, ისე მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული სურათების უშუალო ხედვა. მე ვიცი საგანი, როცა ვხედავ მას თავის მოქმედებაში, თავის მოძრაობაში. ხელოვნებამ საგანი უნდა დაგვანახვოს, უნდა გვაჩვენოს. ხელოვნების მიერ საგნის ჩვენების ერთადერთი გზაა სახის შექმნა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სურათებრივ-ზოგადი. სურათი რაიმე საგნის წარმომდგენია. ივანეს სურათი არის ივანეს წარმომდგენი და მისი გარეგნობის შესახებ შემიძლია ვიმსჯელო მისი სურათის საშუალებით. რეალური ვანო სადღაც ცხოვრობს და მისი ნამდვილობის დახასიათებისათვის აღვნიშნავთ დროს, ადგილსა და სხვა თანმხლებ ნიშნებს.

ხელოვნებაში ასეთი ცდისეული რეალური სურათები არ არის. გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, აქ იქმნება ზოგადი სურათი. ზოგადია, რადგან ის წარმოსახულია და რომელიმე საგნის უშუალო გადაღება არ არის; სურათზე ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს არის ამა და ამის

სურათი. მართალია, სურათს აქვს სახელი, თუ ის ადამიანია, გეარი, ყავს ცოლ-შვილი. ცხოვრობს ამა და ამ ადგილას, მაგრამ მას ეს ნიშნები მიწერილი აქვს იმისათვის, რომ ის მსგავსი იყოს არსებული ხილული საგნებისა და შეეძლოს წარმომდგენის როლის შესრულება, განვიცადოთ ის, როგორც ხილული საგანი. მართლაც, შეუძლებელია, თუ ეს სურათი ეხება ადამიანს, რომ ის მათი მსგავსი არ იყოს, მათსავით არ ცხოვრობდეს და ჩვეულებრივი ცხოვრების წესებს არ ემორჩილებოდეს.

მაშასადამე, ხელოვანი ქმნის სურათს, რომელსაც აქვს ზოგადი ხასიათი, რომელიც გარკვეული იდეალით არის განსაზღვრული და მასში ყოველი ადამიანი ამ იდეალს ჰვრეტს. რაკი ეს ზოგადი სურათია, ცხადია, რომ ის არ არის იგივე, რაც ცნებითი ზოგადი, ცნებითი ზოგადი მოცულობითი ბუნებისაა, ის თავისში მოიცავს საგანთა სიუხვეს. მაგალითად, ადამიანის ცნება მოიცავს ყველა შესაძლებელ ადამიანს, ხოლო თვითონ ეს ცნება არ შედის ამ ადამიანების რიგში. ცნება მოიცავს ადამიანებს, მაგრამ თვითონ ცნებაზე ვერ ვიტყვით, რომ ის არის ადამიანი. სულ სხვაა სურათი, სახე. ლუარსაბის სახეს რომ ვუყურებთ სცენაზე, წარმოვიდგენთ იმ შესაძლებელ ქართველ თავადებს, რომლებიც საქართველოში რომელიმე ადგილს ისე ცხოვრობდნენ როგორც ილიას აქვს აღწერილი. თუ თქვენ იმოგზაურებდით საქართველოს კუთხეებში და შეგხვდებოდათ თავადი და მისი ცოლი, როგორც ეს დახატული აქვს ილიას, მაშინვე იტყოდით, რომ აი ეს არის ლუარსაბი, ეს არის დარეჯანი. თქვენ აქ თავადი და მისი მეუღლე მოიაზრეთ არა როგორც ცნებას დაქვემდებარებული საგნები, არამედ როგორც ილიას მიერ დახატულ სურათებთან იგივეობრივი. ცნებით მოაზრებას საქმე აქვს მოცულობით დაქვემდებარებასთან, ხოლო სურათობრივი მოაზრების დროს ჩვენ ვახდენთ სურათისა და რაიმე საგნის ერთმანეთთან გაიგივებას. ეს არის ლუარსაბი, ეს არის დარეჯანი, ეს არის ოთარაანთ ქვრივი, ეს არის მღვდელი. ამიტომ, როცა ვიტყვით ხელოვნებას აქვს შემეცნებითი მნიშვნელობა, ამასში იგულისხმება მხოლოდ ის, რომ სურათის ხედვით მე ვხედავ იმ საგნებს, რომლებიც მასთან იგივეობრივია სინამდვილეში. შემეცნება აქ არის იმის უშუალო ხედვა, რაც შეიძლება იყოს ან არის სინამდვილეში. ხელოვნებაში ხედვა და ესთეტიკური განცდა დანახულისა თუ მოსმენილისა ისეა ერთად შერწყმული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა არ ხდება. როდესაც თქვენ უყურებთ ფიროსმანის მეეზოვეს, თქვენ იცით, რომ ეს მეეზოვეა, რომ ეს მეეზოვე სადღაც გინახავთ და სწორედ ეს არის ესთეტიკური სიამოვნება. ის სურათი გეგვრის ესთეტიკურ სიამოვნებას, რომელიც ისეა წარმოდგენილი როგორც ის არის ან შეიძლება იყოს მისი სრულყო-

ფილი ფორმით. ფორმის დანიშნულებაა, საგანი ისე გამოაჩინოს როგორც ის არის, როგორიც ის უნდა იყოს; ფორმა საგნის გამოჩენის საშუალებაა. დიდი ხელოვანი ის არის ვინც ისეთ ფორმას გამონახავს, რომელიც საგნის გამოჩენას უზრუნველყოფს. ვისაც უნახავს გაბაშვილის ყასაბი, მას არ შეიძლებოდა არ მოწონებოდა იგი. ამის მიზეზი ის არის, რომ ხელოვანმა ყასაბის შესაქმნელად ისეთი ფორმა იხმარა, რომელიც ყასაბს სრულყოფილად გამოაჩენდა ყველა თავისი ნიშნით.

სურათის ხედვა არის ესთეტიკური მოვლენა. მასში შერწყმულია საგნის ცოდნა, ეს საგანი შეიძლება არის და შეიძლება იყოს მომავალში. მხოლოდ სურათს შეუძლია მისცეს ადამიანს ესთეტიკური სიამოვნება, ხოლო თუ ის გასაგები არ არის, მაშინ არავითარ ესთეტიკურ სიამოვნებას არ აღძრავს. ამრიგად, შემეცნების მხარე მხატვრული მოვლენების შეფასებისათვის, მისი სიმშვენიერის განცდისათვის აუცილებელია.

ხელოვნებაში წმინდა შემეცნების ძებნა უაზროა, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. აქ შემეცნება უდრის ხედვას; რაც უფრო გამოჩენილია საგანი, მით უფრო ესთეტიკურია, ხოლო გამოჩენა ფორმის საქმეა. სანამ ხელოვანი შექმნის ნაწარმოებს, მანამ ფორმა და შინაარსი გამოყოფილია. ფორმა და ის, რაზედაც ხელოვანი თავისი ფორმით არის მიმართული, სხვადასხვაა. როდესაც იგი ნაწარმოებს შექმნის, მაშინ ფორმა და შინაარსი ისეა შერწყმული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა მხატვრული ნაწარმოების დაშლას უდრის. ამრიგად, მაყურებელი თუ მსმენელი მათ ცალ-ცალკე კი არ განიცდის, არამედ ერთ მთლიან მოვლენად წამოიდგენს და მისი ხედვა არის, აგრეთვე, მის ესთეტიკურ სამყაროში შესელა. მაშასადამე, სინამდვილისადმი ესთეტიკური მიდგომისას ადამიანი იძირება თავის ესთეტიკურ საგანში, განიცდის მას და მთელ თავის სუბიექტურობას გამოაჩენს იმისათვის, რომ იგი მოიწონოს ან არ მოიწონოს. ეს შეფასება ეხება იმასაც, რაც მასშია წარმოდგენილი, როგორც შესაძლებლად არსებული და მისდამი დადებითად ან უარყოფითად არის განწყობილი.

სინამდვილისადმი მეცნიერული მიდგომა განწმენდილია ასეთი გრძნობადი შეფასებისაგან, მას საქმე აქვს საგნის რეალობასთან და ევალება მისი ცნებაში გამოხატვა ისე, როგორც ის არის.

ლექსი, პოემა, თეატრალური ნაწარმოები, მოთხრობა წინადადებებისაგან შედგება, მათში გარკვეული მსჯელობებია ნახმარი, მრავალ რომანში წმინდა მეცნიერული მსჯელობებიც კი შეგვხვდება, ზოგი ნაწარმოების გმირი ფილოსოფიურად აზროვნებს, მაგრამ ეს გარეშეოება სრულიადაც არ აიგივებს მეცნიერებასა და ხელოვნებას. მეცნიერებაში არსებული მეცნიერული მსჯელობა საგნის დახასიათებაა სუბიექტის მო-

ჩაწილეობის გარეშე, ხოლო ხელოვნებაში არსებული მსჯელობები, თუნდაც მეცნიერულ-ფილოსოფიური, მოცემული სახის, ტიპის დახასიათებაა. ამიტომ, არც ვიწყებთ მოცემული მსჯელობების ჭეშმარიტების დამტკიცებას, მათ შემოწმებას, რადგან ისინი თვითმიზანი კი არ არის, არამედ ტიპის დახასიათებისათვის არის შემოტანილი; საკითხი იმის შესახებ უნდა დაისვას, თუ რა ადგილი უკავიათ მათ მოცემული ტიპის დახასიათებაში. თუ ეს მსჯელობები შესაფერისად ახასიათებენ ტიპს, მაშინ კარგია, თუ არადა არ ვარგა და უნდა ამოვარდეს ნაწარმოებიდან. თუ ნაწარმოების გმირი იქნება ბუნებისმეტყველი, ფიზიკოსი ან ქიმიკოსი, ცხადია, რომ მისი აზროვნება მიმართული იქნება ამ მეცნიერული საკითხების გადაჭრისაკენ, მაგრამ ნაწარმოების მიზანია არა წმინდა მეცნიერული მსჯელობები, არამედ ამ მეცნიერის, როგორც ცოცხალი ადამიანის, მოღვაწეობა.

მეცნიერების ცხოვრებაში განხორციელებისათვის მეცნიერს ბევრი დაბრკოლება ეღობება. მათ ბევრი უგვანო ადამიანი ებრძვის, რომ ისინი მიჩქმალოს, სახელი გაუტეხოს და მათ ნაცვლად თვითონ ამოტივტივდეს. სწორედ ასეთ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოების რაიმე მეცნიერული მსჯელობა მოწოდებულია არა განყენებული ჭეშმარიტების გამოსახატავად, არამედ მეცნიერის ტიპის დასახასიათებლად. მოკლედ, ხელოვნებაში ყოველი სიტყვა არა ცივია და უპიროვნო, არამედ ადამიანური გრძნობითაა გავსებული, ამიტომ არის, რომ ყოველი ასეთი სისტემა მკითხველის ან მაყურებლის გულის სიღრმეს წვდება და იქ სულის სიმშვიდეს თუ აფორიაქებას იწვევს.

ხედვა მშვენიერების მიზანს ემსახურება და დამოუკიდებელი მნიშვნელობის არაა. ცოცხალ სხეულში მიმდინარეობს არაორგანული ცვლილებები, მაგრამ სხეულზე არ იტყვიან, რომ იგი არაორგანულია, ის მაინც ცოცხალია, ორგანულია, ასევეა ხელოვნებაშიც. მართალია, მასში შემეცნების ელემენტია, მაგრამ ის მაინც მშვენიერების სამყაროს წარმოადგენს. მშვენიერებაში შემეცნებითია ჩაქსოვილი და შედუღაბებული.

§ 8. მეცნიერება და განვითარება

ცნობილია, რომ მეცნიერება განვითარების კანონს ემორჩილება. ცხადია, რომ ეს განვითარება ლოგიკური არ არის, მოცემული დებულებებიდან ანალიზის გზით ახალი დებულებები არ მიიღება. განვითარება ნამდვილად სინთეზური ბუნებისაა, ე. ი. მოცემულ შექმნილ თეორიას მოსდევს ახალი თეორია, რომელიც შეიძლება პირველის საწინააღმდეგოც კი იყოს. განვითარება შეიძლება ისეთიც იყოს, რომ მო-

ცემული ცნების ახსნას და მისთვის საფუძვლის გამონახვას წარმოადგენდეს. ცნობილია, რომ კეპლერმა პლანეტების მოძრაობის კანონები აღმოაჩინა, ამ კანონებით პლანეტები ელიფსურ მოძრაობას ჰქმნიან. ისმის საკითხი, რატომ არის მათი მოძრაობა ასეთი. პასუხის მიღება არ შეიძლებოდა მხოლოდ კანონების ანალიზით. კანონებს ახსნა ესაჭიროებოდა, ხოლო ახსნის შესაძლებლობას ანალიზი ვერ მოგვცემდა. ნიუტონმა წამოაყენა მიზიდულობის კანონი. აღმოჩნდა, რომ ამ კანონის საფუძველზე კარგად აიხსნა კეპლერის კანონები. მაშასადამე, ნიუტონის მიერ მიზიდულობის ცნების შემოტანა მეცნიერების განვითარების მაჩვენებელია, რადგან ამ ახალმა ცნებამ სინამდვილის ისეთი არე ახსნა, რაც აუხსნელი იყო და რაც მეცნიერებაში ხარვეზს ჰქმნიდა.

მეცნიერებაში ცნობილი იყო, რომ აქსიომა ცხადი და ნათელი დებულებაა. ეს აქსიომის სუბიექტისადმი მიმართებით დახასიათება იყო. საჭირო იყო მისი ობიექტური მხრიდან გარკვევა. ჰილბერტმა დაამტკიცა, რომ აქსიომისათვის დამახასიათებელია ურთიერთუწინააღმდეგობა, ერთმანეთისაგან ლოგიკური გამოუმდინარეობა და სისრულე, რომელიც საჭიროა ყველა მოცემული აქსიომური თეორიის აგებისათვის. ამ ახალი გაგებით, ახალი ცნებების შემოტანით მეცნიერებაში ახალი სიტყვა ითქვა, რაც ბიჯი განვითარების მაჩვენებელია. ეს იქნება ერთი რომელიმე თეორიის არეში მომხდარი განვითარება, როგორც სისრულის მიღწევა, და მასში არსებული ხარვეზის ამოვსება.

როგორც აღინიშნა, მეცნიერების განვითარება პრინციპების შეცვლითაც მიმდინარეობს. თუ მოცემულ თეორიას ვარკვეული პრინციპი აქვს, რაზედაც ეს თეორიაა დაფუძნებული, და მას სხვა პრინციპით შევცვლით, ახალ თეორიას მივიღებთ, რომელიც ახალ საგნობრივ სინამდვილეს აგვიხსნის. ახალი საგნობრივი სინამდვილის ახსნა, რაც აქამდე არ ყოფილა მეცნიერებაში, განვითარებას წარმოადგენს. ევკლიდემ შექმნა გეომეტრია, რომელიც გარკვეულ აქსიომებზეა დაფუძნებული, მასში V პოსტულატი ასრულებს გადამწყვეტ დანიშნულებას. მეცნიერების დაძაბული ძიების შედეგად ევკლიდეს პოსტულატი მისი საწინააღმდეგოთი შეიცვალა, რაც ახალი, არაევკლიდური გეომეტრიის წარმოშობის საფუძველი გახდა.

საქმე ისაა, რომ ახალი გეომეტრია ძველში ყველაფერს არ უარყოფს, V პოსტულატის გარდა ყველა დანარჩენ აქსიომას ღებულობს. რიმანის გეომეტრია საერთოდ უარყოფს პარალელურ წრფეებს, ხოლო დანარჩენ აქსიომებს ღებულობს, ახალი პრინციპით ის ახალ საგნობრივ სინამდვილეს აღწერს, რაც აქამდე არ ყოფილა.

კლასიკური ფიზიკა ისეთ ცნებებს ემყარება, რომლებიც მაკროსკოპული სამყაროს მოვლენებს ხსნის, სადაც გალილეის გარდაქმნები

მოქმედებს, აინშტაინმა ახალი პრინციპი წამოაყენა, რომელიც ორ დებულებაში გამოიხატება: 1. არც ერთი ცდით არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ სისტემის შიგნით ეს სისტემა მოძრაობს თუ უძრავ მდგომარეობაშია. 2. სინათლის სიჩქარე ყველა სისტემაში ერთი და იგივეა. ამათზე დაფუძნებით აინშტაინმა შექმნა რელატივობის თეორია, რომელიც ხსნის ახალ საგნობრივ სინამდვილეს, განსხვავებულს გალილეისა და ნიუტონის ფიზიკისაგან. ახალი სინამდვილე გამოიხატა ახალ ცნებათა სისტემით, ამიტომ, ცხადია, აინშტაინს ძველი ფიზიკის უარყოფა არ მოუხდენია. მცირე სიჩქარეში გალილეისა და ლორენცის გარდაქმნები ერთმანეთს ემთხვევიან. ლამარკის თეორიის შემდეგ წარმოიშვა დარვინის თეორია, მაგრამ მას ლამარკის მთელი მონაპოვარი არ უარყვია. ადამ სმიტისა და რიკარდოს მოძღვრების კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე წარმოიშვა მარქსის თეორია. მარქსმა ეს მოძღვრება კი არ გააბათილა, არამედ დიალექტიკურად უარყო. ბორმა რეზერფორდის ატომის მოდელი კი არ უარყო, არამედ განავითარა, მაშასადამე, მეცნიერებაში განვითარება გარკვეული კანონზომიერებით მიდის და ვისმეს სურვილებზე არ არის დამოკიდებული.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ფილოსოფიის განვითარების კანონზომიერების გამორკვევის ცდა. ჰეგელი პირველი იყო, რომელმაც ეს საკითხი დააყენა და მას გარკვეული პასუხი გასცა. ჰეგელის აზრით განვითარებას მოხსნა-შენახვის კანონის მოქმედება განსაზღვრავს. ფილოსოფიაში ერთი პრინციპი მეორეს სცვლის, რომელშიც არსებობას განაგრძობს ყველა დებულება, რომელიც ამ ახალ პრინციპს არ ეწინააღმდეგება. სწორედ ამაში მდგომარეობს ფილოსოფიის განვითარება. ჰეგელის ეს კანონი მეცნიერების განვითარების ამხსნელიცაა. როგორც ამ კანონის ცნების ანალიზიდან ჩანს, წინა საფეხური მეორეში იხსნება, ანუ პირველის პრინციპი მეორის მიერ უარიყოფა, ხოლო ყველა დანარჩენს, რაც ამ პრინციპზეა აგებული, ახალი პრინციპი იღებს. სწორედ ამ კანონის მოქმედება განსაზღვრავს, აგრეთვე, მეცნიერების განვითარებას.

მეცნიერების განვითარება მოხსნა-შენახვის კანონის მოქმედებას ემორჩილება. ეს არ არის რომელიმე კერძო მეცნიერების კანონი, იგი ყველა მეცნიერების განვითარებას განსაზღვრავს და არა მარტო მეცნიერებას, არამედ სინამდვილის ყველა სფეროსაც, სადაც განვითარება მიმდინარეობს. მოხსნა-შენახვის კანონი ფილოსოფიის აღმოჩენაა, რაც მეცნიერების საფეხურებრივი განვითარებით დასტურდება. ამ კანონის გარეშე მეცნიერების ისტორია მეცნიერული ფაქტების გროვა იქნებოდა. ახალი პრინციპის წარმოშობა განვითარების წყვეტადობაა, ხოლო დანარჩენის მისგან დაქვემდებარება და შენახვა უწყვეტობაა.

§ 4. სინამდვილის უზოგადეს მხარეთა ცნებები და მეცნიერული შემეცნება

საკითხის დაყენებას მაშინ აქვს გამართლება, თუ მასზე პასუხი შესაძლებელია. მრავალი საკითხია ისეთი, რომელთა დასმა კანონიერი არ არის, რადგან გონებას პასუხი არ მოეძებნება. კანტმა „წმინდა გონების კრიტიკაში" ადამიანის გონება შეზღუდა მოვლენებით, ხოლო მის იქითა სინამდვილე მისთვის აუხსნელად დასტოვა. ეს ის სინამდვილეა, რაც ადამიანის აზროვნებას არ ეძლევა და არასდროს არ მიეცემა. მას კანტმა საგანი თავისთავად უწოდა. კანტისებური საგანი თავისთავად მოხსნილია. დღეს მეცნიერების გაგებით ერთადერთი სინამდვილე მოვლენათა სინამდვილეა, რომელიც ადამიანის შემეცნებას ეძლევა. ამ შესამეცნებელ სინამდვილეს მრავალი ისეთი მხარე აქვს, რომელიც არ აიხსნება და რომლის მიმართ მათი წარმოშობის საკითხის დაყენებას აზრი არა აქვს. პირველი საკითხია — რატომ არსებობს სინამდვილე? ამ კითხვისათვის პასუხის გასაცემად შესაძლებელია სინამდვილეს გამოვუნახოთ ბიზეზ-საფუძველი, რითაც მის არსებობას გასაგებს გავხდით, მაგრამ ჩვენ ასეთი მიზეზის აღმოჩენა არ შეგვიძლია. თუ თეოლოგები მის საფუძველს ღმერთში ნახავენ, მაშინ საკითხი ღმერთის არსებობაზე იქნება გადატანილი და უფრო ნათელი გახდება ამ კითხვისათვის პასუხის მიცემის შეუძლებლობა. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღმერთს სურს არსებობა და ამიტომ არსებობს. ასეთი პასუხი შეუძლებელია. რადგან სურვილი კი არ უსწრებს არსებობას, არამედ არსებობა უსწრებს სურვილს. საკითხი სწორედ სურვილამდე არსებობას ეხება. ღმერთი გაგებულია, როგორც უმაღლესი, და რაკი მისი არსებობაა დაშვებული, ის არსებობას ემორჩილება და მასზე მაღალი არსებობა იქნება. ამიტომ მიიღება წინააღმდეგობრივი მსჯელობა, „ღმერთი არის არაღმერთი". ამრიგად, მისი არსებობის დაშვებაში გამოსავალი არ არის, მას წინააღმდეგობამდე მივყეარ.

მატერიალური სინამდვილის ისეთი მხარეები, როგორიცაა დრო, სივრცე, მოძრაობა, მიზეზობრიობა, რიცხვობრიობა, თვისობრიობა. შინაარსი, ფორმა, უსაწყისოა და მათთვის შემეცნება მიზეზს ვერ იპოვის: მაგალითად, კითხვების—თუ რატომ არის მიზეზობრიობა ან რატომ არის მოძრაობა — პასუხი გულისხმობს იმ მიზეზების ნახვას, რითაც მათი არსებობა გამართლებულია, მაგრამ ასეთი მიზეზის ნახვა შემეცნებისათვის შეუძლებელია. ასეთი მიზეზის ძებნა უაზრობაა, რადგან ისინი მარადიულია, თუმცა მათ ასეთი ახსნა არ უდგებათ, მაგრამ ისინი ისეთი ცნებებია, რომელთა გარეშე მეცნიერება არ აიგება.

მიზეზობრიობის შესახებ მეცნიერება იმას კი არ ამტკიცებს, თუ როგორ წარმოიშვა ის, არამედ იმას არკვევს, თუ ის რა ნიშნებით ხასიათდება. ცალკეული მეცნიერებანი მისი გამოყენებით არკვევენ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივ ურთიერთობას.

მაშასადამე, უზოგადესი მხარეების შესწავლა იმაში არ მდგომარეობს, რომ პასუხი გავცეთ კითხვაზე რატომ არიან ისინი, არამედ იმაში, რომ მათი გამოყენებით შევისწავლოთ არსებულ ცალკეულ საგანთა ურთიერთობა.

ჩვენ იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ ეს უზოგადესი მხარეები სინამდვილეს არა აქვს და ამიტომ მათი ამ მიმართებით შესწავლის ამოცანაც მოხსნილია, ცალკეული მიზეზობრივი კავშირის არსებობით არსებობს მიზეზობრიობა. თუკი არსებობს ცალკეული დრო და სივრცე, ამითვე არსებობს დრო და სივრცე საერთოდ. სინამდვილის უძირითადეს მხარეებს წარმოშობა არა აქვს, ამიტომ მათ მიმართ ასეთი საკითხი არც ისმება.

§ 5. შემოწმებადობა

დებულების ჭეშმარიტების შემოწმება ცდისეული მეცნიერების ძირეული საკითხია. მეცნიერებაში დებულების ჭეშმარიტება უშუალოდ რომ ცნობილი იყოს, მაშინ შემოწმების მოთხოვნა ზედმეტი იქნებოდა. ყოველ დებულებას ზედ ექნებოდა ჭეშმარიტების ნიშანი და მცდარობისა და ჭეშმარიტების შეცნობა გაადვილდებოდა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. მოცემულია დებულება, მაგრამ არ ვიცით მისი ჭეშმარიტება თუ მცდარობა. თუ გვინდა ვიცოდეთ, რომ ნამდვილად სინათლის სხივი 300 000 კილომეტრს გაივლის წამში, ამისათვის მისი გაზომვაა საჭირო. სწორედ გაზომვამ დაადასტურა ამ დებულების ჭეშმარიტება, რომელიც აინშტაინისათვის ახალი ფიზიკური თეორიის აგების ამოსავლად იქცა. ლოგიკურმა ემპირიზმმა დაამუშავა შემოწმებადობის საკითხი. ამ მიმართულების გაგებით მხოლოდ ის აზრია ჭეშმარიტი რაც შემოწმებადია, მხოლოდ ის დებულება უნდა შემოვიდეს მეცნიერებაში, რომელიც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მეცნიერება დგება მკაცრი მოთხოვნის წინაშე. რა დაბრკოლებები ხვდება ამ მოთხოვნას? პირველი დაბრკოლება, დებულება „ყველაფერი უნდა შემოწმდეს“ ამ შემოწმებას არ ემორჩილება, ამიტომ ის არ არის შემოწმების პრინციპი: მეორე დაბრკოლება, რომელსაც რასელი აღნიშნავს — თუ დებულების ჭეშმარიტება შემოწმებადია, მაშინ როგორ შემოწმდება ის დებულება, რომელსაც შემმოწმებელი არ ეყოლება. მაგალითად, თუ ატომური ომი მთელ სიცოცხლეს მოსპობს, როგორ იქნება ის ჭეშმარი-

ტი, თუ ყველაფრის მოსპობას უშუალოდ ვერ ვნახავთ? თუ ვერ ვნახავთ, მაშინ ხომ დებულება, რომ ყველაფერი მოისპობა, ჭეშმარიტი აღარ იქნება.

პირველი დაბრკოლების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: ყველაფრის უშუალო დამტკიცების მოთხოვნა უაზრობამდე მიგვიყვანს, რაც თვითონ დამტკიცებას შეუძლებელს გახდის. თუ დამტკიცების პირობის მიმართ ასეთივე დამტკიცების მოთხოვნას წამოვაყენებთ, მაშინ დამტკიცების პირობა აღარ გვექნება და, ამიტომ, ვერც რამეს დავამტკიცებთ. არის დებულებები, რომლებიც აუცილებლობითი მტკიცების ამოსავალია და ასეთსავე მტკიცებას არ ემორჩილებიან. ამრიგად, დამტკიცების პირობა დაუმტკიცებელია, ის ლოგიკურად არ გამოიყვანება, მიუხედავად ამისა, მას მეცნიერული ღირებულება აქვს, თუ ის რაც მტკიცდება მისი საშუალებით ჭეშმარიტია, მაშინ ის შემოვლილი გზით თავის ჭეშმარიტებასაც ამტკიცებს.

თუ შემოწმებადობის პრინციპი ყველა შესაძლებელი ცდისეული დებულების მიმართ მართლდება და ის მათ ჭეშმარიტებას ხსნის, ამით ის თავის ჭეშმარიტებას ამტკიცებს, რადგან მისი საწინააღმდეგო ფაქტი არსად არ გვეძლევა. შემოწმების პრინციპი რომ შემოწმებას დაემორჩილოს, ეს იქნება მისადმი უკანონო მოთხოვნა. რაიმე ღებულების ჭეშმარიტების დამტკიცება თვითონ ამ დამტკიცების დამტკიცებაა, მისი რაიმეს დამტკიცებამდე. დამტკიცება უაზრობაა, წმინდა დამტკიცება არ არსებობს, თუ მეცნიერმა თავისი დებულების ჭეშმარიტების ცხადყოფისათვის შეამოწმა დებულებები და აღმოჩნდა, რომ ყველა ეს დებულება ჭეშმარიტია, რაკი ამ დებულების ჭეშმარიტება დადასტურდა, ამითვე დადასტურდა თვით ამ მეთოდის მეცნიერული ღირებულება, ისე რომ ამ მეთოდს დამატებითი დასაბუთება აღარ ესაჭიროება. ეს მეთოდი შემეცნების განვითარებაში მუშაედება და მასში იღებს გამართლებას. იგი შემეცნების მოვლენების განზოგადოებულ ფორმას წარმოადგენს. შემეცნებამ თავის პრინციპად ის უნდა აიღოს, რაც ჭეშმარიტების მიღწევის გზაზე მის ცოცხალ მოძრაობაში მონაწილეობს. შემეცნების მეთოდად არ შეიძლება ისეთი რამ ავიღოთ, რაც მასში არ მონაწილეობს. შემოწმება მეთოდად იმიტომ შეიძლება იქცეს, რომ ის შემეცნების მონაწილეა. რა მეთოდიც არ უნდა ავიღოთ, ის შემეცნების მოვლენების განზოგადოებით არის მიღებული და გარედან არ შეიძლება თავს მოეხვიოს. შემეცნება მისი მეთოდით არის შესაძლებელი, ამიტომ ის მისი შინაგანი სტრუქტურაა.

მეთოდი შემეცნების მოვლენების არსებობით დასტურდება. გუთნით მიწის მოხვნა არა მარტო მუშაობაა, არამედ გუთნის ხვნის უნარის შემოწმებაცაა. ასევე, როცა დებულების ჭეშმარიტება მოწმდება, ეს

არა მარტო დებულების ჭეშმარიტების შემოწმებაა, არამედ შემოწმების შემოწმებაც არის. შემოწმების მეთოდი ცდისეული დებულების მეთოდია. ცდისეული დებულების შემოწმება ორნაირია: ერთია დებულების უშუალო შემოწმება, როცა რაიმე დებულება ცდის წინაშე დგება, ხოლო მეორეა, როცა დებულება გაშუალებულად არის შემოწმებული. თუ A დებულება ცდით დასტურდება და a დებულება A-ში იგულისხმება, ამით a დებულებაც ცდით დასტურდება. არ არის მართალი მტკიცება, რომ წინადადების მნიშვნელობის შემოწმება საჭირო არ არის. ცხადია, მნიშვნელობა შემოწმებამდე უნდა იყოს.

როცა წინადადება დგება, მას მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ის ჩვენთვის გასაგები მხოლოდ შემოწმებით ხდება... უაზრო ისეთი წინადადება, რომლის სუბიექტი ან ის რაზეც წინადადებაა მიმართული, ცდაში არ გვეძლევა და არ შეგვიძლია მისი ან ჭეშმარიტება, ან მცდარობა ვამტკიცოთ. მნიშვნელობა აქვს იმ წინადადებას, რომლის სუბიექტი, ან რაზედაც მსჯელობაა მიმართული, ცდაში გვეძლევა. აქედან გამოდის, რომ თუ მსჯელობის სუბიექტი, ან რაზედაც მსჯელობაა მიმართული, ცდაშია და ისეთი ნიშანი მიეწერება, რაც მას ნამდვილად აქვს, მაშინ ასეთი მსჯელობა ჭეშმარიტია; თუ მსჯელობის საგანი ცდაშია და ისეთი ნიშანი მიეწერება, რაც მას ნამდვილად არა აქვს, მაშინ ასეთი მსჯელობა მცდარია.

მაშასადამე, წინადადების როგორც მნიშვნელობა, ისე ჭეშმარიტება შემოწმებით არის განსაზღვრული. როდესაც დებულებებს შეამოწმებენ, მაშინ გაირკვევა, რომელია ჭეშმარიტი და რომელი მცდარი. ამ ცდის საზღვრებში შემოწმებაც შემოწმებულია იმით, რომ იქ ყველაფერი შემოწმებას ემორჩილება. ამ შემოწმების დებულების შინაარსი ხომ ის არის, რომ ის, რაზედაც ის მიმართულია, შემოწმებულია. თუ ცდის საზღვრების გაფართოებისას აღმოჩნდება, რომ არის ისეთი დებულება, რომელიც შემოწმებას არ ემორჩილება, თუნაც დებულება ცდისეულია, მაშინ ნათელი იქნება, რომ შემოწმების მეთოდის საზღვრები შეზღუდული ყოფილა და ისეთი მეთოდი უნდა აღმოჩნდეს, რომელიც მეთოდის ცნებას გააფართოვებს და მასში ახალ ნიშანს შეიტანს; ან უნდა დამუშავდეს სრულიად ახალი მეთოდი, რომელიც უფრო თანმიმდევრულად აგვიხსნის ცდის საზღვრებში მოცემული წინადადების მნიშვნელობას, ჭეშმარიტებას.

„ყველაფერი უნდა შემოწმდეს“ — მეთოდის მსჯელობაა და მოთხოვნას შეიცავს. თუ ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სხვა აღმოჩნდება, მაშინ ის მოთხოვნის საყოველთაობას კარგავს, ხოლო თუ არ აღმოჩნდება მისი საწინააღმდეგო, ის ამ მოთხოვნას შეინარჩუნებს და ზოგადსაყოველთაო მნიშვნელობისაა. მაშასადამე, მეთოდის მსჯელობის,

შემოწმება იმის შემოწმებით სრულდება, რა მსჯელობაზეც ის არის მი-
ბართული.

ამრიგად, ზოგადი მსჯელობის დადგენა ხდება ცდის საფუძველზე. მაგრამ რადგან ცდა უსასრულოა, ზოგადის დადგენისათვის დადებით ცდას თან ემატება უარყოფითი ცდა, ე. ი. ცდაში უარყოფითის არნახვა. არარსებობა, ზოგადი დებულების დადგენის საფუძველია, ხოლო ცდაში უარყოფის ნახვა ზოგადობის დაკარგვის საფუძველია. ცდის ნიადაგზე შემუშავებული ზოგადი უპირობა არ არის.

აზროვნება მოცემულის განზოგადოებას ახდენს, რაც აზროვნების თვისებაა. განზოგადოება ძალაშია მანამ, სანამ მასში საწინააღმდეგო ან გამონაკლისი არ მოხდება. ჩვენ ცდისეულ საგანზე არაფერი არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ ის ცდაში მოცემული არაა. აქედან არ გამოდის, რომ მომავლის მსჯელობები შეუძლებელი და უსაფუძვლოა. მათ ცდაში აქვთ საფუძველი. მომავალი აწმყოს განვითარების შედეგია, აწმყოშია ჩასახული. საგანი არა მარტო იმას გვიჩვენებს, თუ რა არის, არამედ იმასაც, თუ საით მიდის მისი მოძრაობა. მოცემულ ცდაში რომ მომავალი არ იყოს მოცემული, მაშინ ადამიანის ყოველი მოქმედება უნიადაგო იქნებოდა. თუ მოცემული გვაქვს წყალი, როგორც ცდის საგანი, და ვიცით მისი თვისებები, მის მიმართ ისე ვიმოქმედებთ, რომ ის ყინულად ან ორთქლად გადაიქცეს.

შემოწმება, პრაქტიკა ადამიანს გულისხმობს. ადამიანური შემეცნების აღიარება და ადამიანური შემოწმების უარყოფა იქნება ადამიანური შემეცნების აღიარება თვით ადამიანური შემეცნების გარეშე. შეიძლება ვთქვათ, რომ მთელი ადამიანური შემეცნება ცდისეულია. ადამიანის აზროვნებას სინამდვილის შესახებ მთელი ცოდნა ცდიდან გამოყავს. თვითგანყენებული საგნები, რომელთა შესახებ წმინდა ლოგიკური მოქმედებები სრულდება, აზროვნების მიერ ცდიდანაა გამოყვანილი. რომ არ ყოფილიყო საგნები, რომელთაც წრფის თუ წრის ან სამკუთხედის სახე აქვთ, არ იქნებოდა ეს ფორმები და არ იქნებოდა გეომეტრია. რაც შეეხება ცდისეულ მეცნიერებებს, მათი ყველა ცნების შესაბამისი საგანი ცდაში იმყოფება. აზროვნება ცდის საფუძველზე ადგენს მათ ცნებებს, კანონებს, რასაც ცდაში არსებული საგნები ემორჩილებიან.

რასელი მიუთითებს შემოწმების მეთოდის სიძნელეზე: ამბობენ, რომ ატომური იარაღის გამოყენება სიცოცხლეს მოსპობს; პოზიტივისტების თვალსაზრისით ვინ იქნება მისი შემმოწმებელი და როგორ არის შესაძლებელი მისი ჭეშმარიტება? საკითხის ამგვარი დაყენება იმას უფრო ამტკიცებს, რომ შემოწმება არის ჭეშმარიტების საზომი ვიდრე იმას, რომ შემეცნება არ შეიძლება შემოწმებაზე დავიყვანოთ.

თუ სიცოცხლე გაქრება, საერთოდ შემეცნება და მეცნიერება აღარ იქნება, არ იქნება წინადადება და მისი მნიშვნელობა, არ იქნება საკითხის დასმა შემოწმების შესახებ, მოიხსნება ჰეშმარიტების საკითხი. ასეთი საკითხის დასმას აზრი მხოლოდ სიცოცხლის არსებობისას აქვს, კერძოდ ცდის არსებობისას. ცდაში მოცემულია სხვადასხვა მხარეების ურთიერთობა და მათი ურთიერთზემოქმედება, ამ ურთიერთობაში ერთის მეორისადმი განმსაზღვრელობა „ატომური იარაღის მოქმედებით სიცოცხლე ისპობა“ ეს არის ცდისეული მსჯელობა და თანაც წმინდა თეორიული, რომლის შინაარსიც გამოცდილებაა. რაკი ატომური იარაღი ცდაში სიცოცხლის მოსპობის ძალას ამჟღავნებს, მაშასადამე მისი მოქმედებაში მოყვანა სიცოცხლეს მოსპობს. ეს არის სრულიად ცდისეული მსჯელობა, რომელსაც დამატებითი შემოწმება აღარ ესაჭიროება. თუ ადამიანი სხვადასხვა გარემოებათა გამო გავარვარებულ თონეში ჩავარდა, დაიწვა, ის ვეღარ შეამოწმებს თავისთავზე დებულებას. რომ ცეცხლისაგან ადამიანი ისპობა; თუ გადარჩა, მაშინ დაინახავს, რომ ბედნიერმა პირობებმა სიკვდილს გადაარჩინა. განა მას საფუძველი არა აქვს თქვას, ბედნიერი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, სრულიად დაიწვებოდა? ასეთი დასკვნა საცდისეული და შემოწმებადია. არ შეიძლება ისეთი ვითარების შემოწმება, როცა შემოწმებული შეიძლება განადგურდეს. მაგრამ მისი დაპირისპირებულობის ცდაში მოცემულობა საფუძველს გვაძლევს მისი მომავალი მოქმედების შედეგებზე დავასკვნათ.

რაკი ეს ვითარებანი ურთიერთგამომრიცხველებია, ჩვენ მათ საფუძველზე დასკვნას ვაკეთებთ და იგი ცდის მონაცემებითაა განსაზღვრული. რაკი ცდით დადასტურებულია, რომ ატომური იარაღი ცოცხალ არსებებს სპობს, მისი ომში გამოყენება სიცოცხლის მოსპობა იქნება. როცა ადამიანს ძინავს, ის ამ დროს ვერ შეამოწმებს დებულებას, რომ მას სძინავს, ხოლო როცა გაიღვიძებს, მაშინ წინა მდგომარეობას ახლანდელით შეამოწმებს. ეს არის გაშუალებული შემოწმება. ასეთი შემოწმება ცდისეული თვალსაზრისით უნიადაგო არ არის. ცდაში გვეძლევა ორი მხარის ან ურთიერთგამორიცხვა, ან მათი ურთიერთკავშირი, ამიტომ ერთის ცდაში მოცემულობით მეორეს ვასკვნით, რაც ცდის საზღვრებიდან გასვლას არ ნიშნავს.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ცდას, შემოწმებას შეთანხმებით სცვლის. ასეთ ფილოსოფოსთა რიგებს ეკუთვნის რაიხენბახი. მისი გაგებით შეუძლებელია სინათლის სხივის სიჩქარის მუდმივობის შემოწმება, ამიტომ გამოსავალი, მისი აზრით, შეთანხმებაშია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაიხენბახი სკეპტიკური თვალსაზრისისაა. მისი აზრით, სინამდვილე წარმოადგენს კუბს, რომელსაც გეერდებზე ჩამოფარებული აქვს თეთ-

რი ზეწრები, სადაც გარკვეული ჩრდილები მოჩანს. ჩვენ სინამდვილეზე ამ ანაბეჭდით ვმსჯელობთ, მაგრამ რა არის ამ ზეწრის იქით, ამის შესახებ არაფერი არ ვიცით. მისი აზრი სინათლის სიჩქარისა და დროს დამოკიდებულებაზე მცდარია, რადგან იგი ცდითაა დადგენილი და არა დეფინიციით მიღებული, აინშტაინმა ის მიიღო როგორც ცდით დადგენილი ჭეშმარიტება. სხვადასხვა ადგილას ერთდროულობა მიიღება არა დეფინიციით, არამედ — ცდით.

დროსა და მოძრაობის განსხვავება დეფინიციის შედეგი კი არაა. როგორც ეს რაიხენბახს ჰგონია, არამედ ცდით მოპოვებული ცოდნაა.

§ 6. ცნება და მეცნიერება

ცნება მეცნიერების თეორიის მნიშვნელოვანი საკითხია. ცნება აზრია, რომელიც საგნისკენაა მიმართული. როცა საგანზე ვმსჯელობთ, მოცემული გვაქვს მისი ცნება, ვახდენთ ცნების ანალიზს, რითაც გაგებუბულია საგანი. საგნის ცოდნა მისი ცნების ქონაა. წინადადებაში „ატომი არის მატერიალური ნაწილაკი, რომელიც ბირთვისა და ელექტრონებისაგან შედგება“ მოცემულია ატომის ნიშნები, ატომის ნიშნების ერთობლიობის აზრში მოცემულობას მისი ცნება ეწოდება. მართალია, ჩვენ ვახასიათებთ ცნებას, მაგრამ სინამდვილეში მოცემული გვაქვს მსჯელობა, ამიტომ ცნების არსებობა ეჭვის ქვეშ დგება. არსებობს სიტყვები: „მაგიდა“, „წიგნი“, „ცხენი“, „ძროხა“, „მანქანა“, და სხვ., სადაც მოცემულია აზრი. ყოველი ამ სიტყვის აზრი საგნისკენაა მიმართული და მისი გამომთქმელია. სიტყვები თავის მნიშვნელობით ცნებებია. ამ სიტყვა-ცნებებს დამოუკიდებელი არსებობა არა აქვთ. ადამიანი აზროვნებს და საგანზე რაღაცას გამოთქვამს, ამიტომ იგი ცნებებს აკავშირებს, რომ რაიმე აღიარება მოახდინოს. ადამიანმა რომ ეს ცნებები მხოლოდ ერთმანეთის გვერდით დაალაგოს და მეტი არაფერი არ გააკეთოს, ის მეცნიერებას ვერ შექმნის, რადგან ასეთი გზით აზრის მთლიანობა არ მიიღება. ცალკე რომ ითქვას სიტყვა „ძროხა“, მას არაფერი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ყოველი სიტყვა, როგორც ცნების შემცველი, გასაგები რომ გახდეს, სხვა სიტყვას უნდა დაუკავშირდეს. შემეცნება ნიშნავს იმის ახსნას, რაც მოცემულია, ხოლო ერთის ახსნა მეორის საშუალებითაა შესაძლებელი, ერთი მეორით არის გასაგები. ამიტომ არა განყენებული სიტყვა ცნება, არამედ კავშირი ხდის მათ გასაგებს. ეს ბუნებრივია, რადგან თვით სინამდვილეში საგნები ერთიმეორეს საშუალებით არსებობენ.

რაკი საგნის შესახებ აზრი გამოითქმის, ამიტომ ის მხოლოდ კავშირით არის შესაძლებელი. „ძროხა“ განყენებული საგანი კი არ არის,

რომელსაც არავითარი მხარე და თვისება არ გააჩნია, არამედ თვისებათა ერთიანობაა. ძროხა თვისებაშია გამოხატული, ამიტომ უნდა არსებობდეს ამ თვისების გამომხატველი სიტყვა-ცნებებიც. რაკი საგანი თავის რაობას თვისებებში ან მიმართებებში გამოხატავს, ამიტომ მის გასაგებად ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ მისი და მისი თვისებების ან მიმართებების შესაბამისი ცნებები. რომელიმე ცნება რომ გავიგოთ, ეს ცნება უნდა დაუკავშირდეს სხვა ცნებას, რომელიც მის გარკვეულ მხარეს გამოხატავს. მაშასადამე, რაიმე ცნების არსებობა მოითხოვს სხვა ცნების არსებობას. ადამიანმა რომ მხოლოდ სიტყვა „ძროხა“ იძახოს, არავითარ შემეცნებით შედეგს არ მიიღებს.

მაშასადამე, ცნება უშუალო განყენებულობაში არაფერს არ გვიჩვენებს, თუ ის სხვა ცნებებთან არ არის დაკავშირებული, რადგან თავის თავს მხოლოდ სხვასთან კავშირით გამოხატავს. ამიტომ უნდა ითქვას: ცნება არსებობს, მაგრამ არა განყენებული, არამედ სხვასთან კავშირის საშუალებით. ცნებათა კავშირი, რითაც ერთი ცნება მეორეს უკავშირდება, არის მსჯელობა. ცნებას თავისი მყოფობა მხოლოდ მსჯელობაში აქვს. ამ შემთხვევაში იბადება კითხვა: როგორ განვასხვაოთ ცნება და მსჯელობა ერთმანეთისაგან? ამ განსხვავების ერთადერთი გზა შემდეგია: მსჯელობა არის აზრის აღიარების ფორმა, ხოლო ცნება — მსჯელობის შინაარსი. ცნებასა და მსჯელობას შორის განსხვავება უნდა დავიყუანოთ ფორმისა და შინაარსის განსხვავებაზე. მსჯელობა, როგორც აღიარების ფორმა, იქნება s—p, ხოლო ის, რაც მასში აღიარებულია, ცნებაა.

მსჯელობა ცნების გარეშე მხოლოდ აღიარების ფორმაა, ამიტომ მასში აზრი არ არის. როცა მასში ცნება მოთავსდება, ის იქნება აზრის მქონე და გარკვეული სახის მსჯელობა. ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თუ ცნება მსჯელობის შინაარსია, მაშინ მსჯელობები ერთმანეთისაგან სწორედ ცნებებით განსხვავდებიან. „ძროხა არის შინაური ცხოველი“ და „ლითონი ელექტრობის გამტარია“ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით, რომელიც მათი სხვადასხვა ცნებებია. მსჯელობა, როგორც აღიარების ფორმა, ცნების აღიარებაა. პირველ მსჯელობაში აღიარებულია ძროხის შინაური ცხოველობა, მეორეში კი ლითონის ელგამტარობის ცნება. ცნება, როგორც განყენებული, თავის თავის შესახებ არაფერს არ გვეუბნება, არც რამეს ადასტურებს, არც რამეს უარყოფს. ცნება მხოლოდ მსჯელობაში იღებს ჰოყოფის და უარყოფის ნიშანს. მას ეს ნიშანი უშუალოდ არა აქვს, მხოლოდ მსჯელობაში იძენს. პირველ და მეორე მსჯელობაში, სადაც ძროხის შინაური ცხოველობა და რკინის ელგამტარობა აღიარებულია, მოცემულია ჰოყოფა, ხოლო

უარყოფით მსჯელობაში გარკვეული ცნებაა უარყოფილი და მოცემული ნიშანი საგანს არ მიეწერება.

რიკერტის აზრით, მსჯელობა გაშლილი ცნებაა, ხოლო ცნება — შეკუმშული მსჯელობა. ამის მიხედვით ცნება და მსჯელობა ერთი და იგივეა, მათ შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულია. მაგრამ თუ ამ ურთიერთობას ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ მათ შორის გარკვეული განსხვავება აღმოჩნდება. თუმცა შემეცნება ასახვაა, მაგრამ ეს შემეცნების ბუნებას ვერ გამოხატავს, რადგან მთვარიან ღამეში დედამიწაც კი ასახავს საგნებს, მაგრამ შემეცნებას არ წარმოადგენს. ასახვა მხოლოდ იმიტომაა შემეცნება, რომ ის არის აღიარება. ეს უნარი მხოლოდ მოაზროვნე არსებას გააჩნია. აღიარების ფორმას წარმოადგენს მსჯელობა. რაც ამ ფორმაშია აღიარებული, ის ცნებაა, ამიტომ ცნებისა და მსჯელობის დამოკიდებულება ხასიათდება არა გაშლილი და შეკუმშული ცნებებით, არამედ ამღიარებლისა და ასაღიარებლის მიმართებით, რაც ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულებას ჰგავს.

რიკერტისებური გაგება მცდარი მსჯელობის შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგან თუ მსჯელობა ცნების გაშლაა, მაშინ ცნებაში სუბიექტი და პრედიკატი ანალიზურად შიგ არსებობს. მაგრამ რა უნდა ვუყოთ ისეთ მსჯელობას, რომელიც მცდარია ანუ ცნებები მცდარად არის შეერთებული! როგორ შეიძლება ეს მსჯელობა ცნების გაშლა იყოს, ჩვენ ხომ დასაწყისში ცნება მოცემული არა გვაქვს? ჩვენ ხომ არ ვიცით, საგანი დასაწყისში რა არის! ჩვენ ვეძებთ ცნებას და, რაკი აღმოვაჩენთ, მას მსჯელობის საშუალებით ვაღიარებთ. ამრიგად, ცნების ძიება და მისი დადგენა რიკერტის აზრს არ ამართლებს. მსჯელობა ცნების გაშლა არ არის, რადგან დასაწყისში ის არა გვაქვს. მისი აზრი არც ეგრეთწოდებული ანალიზური მსჯელობით მართლდება, რადგან საძებარია ის ცნება, რომელიც მნიშვნელობით პირველის მსგავსია, მაგრამ საზრისით განსხვავებულია. რიკერტის აზრი ცნების იმთავითვე მოცემულობას გულისხმობს. როგორც ფორმა და შინაარსია განუყრელი, ასევე განუყრელია მსჯელობა და ცნება. მსჯელობა აზრის აღიარების ფორმაა, აღიარება ან მცდარია, ან ჭეშმარიტი; საგნის ისე აღიარება, როგორც ის არის, ჭეშმარიტებაა, ხოლო სხვაგვარი აღიარება მცდარობაა. ცნება მსჯელობის გარეშე არც ჭეშმარიტია და არც მცდარი; ცნებას თავისთავად რომ ჰქონდეს ჭეშმარიტება მცდარობის ნიშანი, მაშინ, თუ მოცემულ მსჯელობაში ცნება ჭეშმარიტია. ყველა შემთხვევაში ასეთი უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის.

ავიღოთ ასეთი მაგალითი — „ყოველი კურდღელი არის ოთხფეხა“. ცნება „ოთხფეხა“ ამ მსჯელობაში ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ სხვა

მსჯელობას ავიღებთ, მაგალითად, „ყოველი ქათამი არის ოთხფეხა“, მაშინ ეს ცნება ჭეშმარიტი აღარ იქნება. ავიღოთ ერთი და იგივე ცნება და დავაკავშიროთ ერთსა და იგივე ცნებასთან დადებით და უარყოფით მსჯელობებში: „ქათამი არის ოთხფეხი“ და „ქათამი არ არის ოთხფეხი“. აქ ჩანს, რომ ცნება ერთ შემთხვევაში ჭეშმარიტია, მეორე შემთხვევაში — მცდარი, ე. ი. ერთი ცნება ჭეშმარიტიც არის და მცდარიც. ასეთი საწინააღმდეგო ნიშნები ცნებაში შეუძლებელია; რადგან ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი იმაშია, რომ ცნებას ეს ნიშნები არ მივაწეროთ.

ცნებას რომ ჭეშმარიტება-მცდარობა არ მიეწერება, ეს ნათელია მცდარწანამძღვრიანი დასკვნის მაგალითითაც. თუ ცნებები მცდარია, მაშინ მცდარი ცნებების შეერთება ჭეშმარიტ დანასკვს ვერ მოგვცემს: თუ ცნებები ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტი ცნებების შეერთებით მცდარი დანასკვის მიღება შეუძლებელია.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ცნებას აწერს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს. ასე მსჯელობს ვოიშვილო წერილში „ცნება როგორც აზროვნების ფორმა“[3]. მისი აზრით, რამდენადაც ცნება ასახვაა, ის ან ჭეშმარიტია, ან მცდარია, მაგრამ ვოიშვილო თანმიმდევრობას ვერ იჩენს და ისეთი ცნებების აღმოჩენას ცდილობს, რომელთაც ეს ნიშანი არ მიეწერებათ. მისი აზრით, ეს ნიშანი არ მიეწერება თერმოდინამიკის კანონის ცნებას. ის არ შეიძლება მცდარი იყოს, რადგან მისგან ჭეშმარიტი მსჯელობა მიიღება. ვოიშვილო არც იმას ასაბუთებს თუ რატომ მიეწერება, საერთოდ, ცნებას ჭეშმარიტება-მცდარობა და არც იმას თუ რატომ არ მიეწერება ზოგს ეს ნიშანი. ამიტომ მისი ეს აზრი დაუსაბუთებელია. როგორც აღინიშნა, თუ ცნებას ეს ნიშანი მიეწერება, ერთი და იგივე ცნება ჭეშმარიტიც იქნება და მცდარიც, რაც მასში წინააღმდეგობას ნიშნავს. ეს კი საკმაო საბუთია, რომ მას ეს ნიშანი არ მივაწეროთ.

ცნება არის აზრი, რომელიც საგნის რაიმე ნიშნის გამომხატველია, მაგრამ ამასთან ერთად ცნების უფრო ვიწრო გაგებაც არსებობს. ამ გაგების მიხედვით ცნება არის არა ყოველი აზრი, არამედ მხოლოდ ისეთი აზრი, რომელიც საგნის არსებით ნიშანთა ერთიანობაა. ასეთი ცნება შეიცნების საბოლოო მიზანია. შემეცნება სწავლობს საგნის სხვადასხვა მხარეს და აღმოაჩენს ისეთს, რომელიც ყველა დანარჩენის განმსაზღვრელია. „ადამიანი არის მოლაპარაკე არსება“ მსჯელობაა, სადაც მოლაპარაკე ადამიანის ცნებაა მოცემული, მაგრამ „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცოცხალი არსება“ მსჯელობაა, სადაც შენიშნულია განმსა-

---

[3] «Вопросы философии», 1969, № 8, გვ 28.

ზღვრელი და არსებითი ნიშანი. იარაღის მკეთებლობა ადამიანის ცნების ისეთი ნიშანია, რომელიც მის განმსაზღვრელს და არსებით მხარეს წარმოადგენს.

ცნება, როგორც საგნის არსებითი და განმსაზღვრელი მხარეების გამომხატველი, შეიძლება ერთი მსჯელობით ვერ ამოიწუროს, როგორც ეს მოხდა ადამიანის ცნების დადგენისას. ასე მაგალითად, ერის ცნების დადგენისათვის რამდენიმე მსჯელობაა საჭირო. ერის ცნების დადგენისას სტალინი ჩამოთვლის ცალკეულ ნიშნებს, რომლებიც მსჯელობით არის გარკვეული. ასეთ შემთხვევაში ცნების ნიშნები ლაგდება იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მათ ერის არსებობაში უკავიათ. ამ ნიშნების ერთიერთობა მათი შესაბამისი მსჯელობების კავშირის განმსაზღვრელია. ცნება, როგორც მსჯელობის შინაარსი ცოდნაა, ხოლო მსჯელობა, როგორც ფორმა, ცოდნის გამოთქმის საშუალება.

ცნება, როგორც მსჯელობის შინაარსი, არის ზოგადი და ინდივიდუალური. ზოგადი ცნება ისეთი აზრია, რომელიც მოცემული მრავლობის საერთო და არსებით ნიშნებს აერთიანებს. ზოგადი ცნება ერთეულ საგნებს გულისხმობს, რადგან იგი მათი ზოგადია. ზოგადი ცნების საშუალებით უნდა აიხსნას ერთეული საგნები. ამის გასაგებად ერთეულ საგნებს მოცემულ ზოგადს ვუმორჩილებთ, ერთეულის არსების როგორობას მასში ზოგადის არსებობით ვამართლებთ. მაშასადამე, ერთეულთა მრავლობისაგან განყენების გზით მიიღება ზოგადი, რომელიც შემდეგ ამ ერთეულთა მრავლობის ახსნის საშუალებად იქცევა. როცა ზოგადის განსაზღვრას ვახდენთ, მის ლოგიკურ შემადგენლად ერთეული არ იქცევა, ზოგადის განსაზღვრისათვის ერთეულის ცნება არაა საჭირო. მაგალითად, ადამიანის განსაზღვრება ხდება არა ერთეულ ადამიანის მონაწილეობით, არამედ ზოგადის შემადგენელი ნიშნების ლოგიკური კავშირის დადგენით. მეცნიერება მსჯელობების საშუალებით განხორციელებულ ცნებათა სისტემას წარმოადგენს. მეცნიერების ცნებები ზოგადია, ამიტომ მეცნიერებაში ნაკლებად ზოგადიდან უფრო ზოგადი ცნებისაკენ ხდება სვლა.

ზოგადი ორმაგ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, ზოგადი შემეცნების საგანია, ხოლო შემეცნება მისი გაგებისაკენ მიისწრაფვის. შემეცნების ღირებულება იმაშია, რომ მან რაღაც ზოგადი აღმოაჩინოს, მეორე მხრივ ზოგადი შემეცნების იარაღია, მეთოდოლოგიური ამოსავალი დებულებაა, რომელიც ზოგადის შემეცნებისაკენ მიმავალ გზას ანათებს. შემეცნება მხოლოდ ზოგადით შეიძლება, თუმცა შესამეცნებელი შეიძლება ყოველთვის ზოგადი არ იყოს.

ცნების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მოგვცეს საგანი ისე, როგორც ის არის თავის მოძრაობაში.

ბაშასადამე, რამდენადაც ისტორია, გეოგრაფია და სხვა ერთეული მოვლენების ამსახველია, ისინი ცნებითი ბუნებისა არიან, თუმცა ასეთი მოვლენების მოაზრებას მათი სურათოვნებაც შეიძლება თან ახლდეს. რამდენადაც მაიერი საბოლოოდ ისტორიული მეცნიერების საგანს იგებს როგორც მთელისა და ნაწილის დამოკიდებულების შესწავლას, ამდენად მას აღარ შეიძლება განმაზოგადებელი მეცნიერება ეწოდოს. ერთეულისა და ზოგადის დამოკიდებულება ძირეულად განსხვავდება მთელისა და ნაწილის დამოკიდებულებისაგან. საერთოდ, როგორც მთელი არ არის ნაწილების გარეშე, არც ზოგადია მისი ერთეულების გარეშე, მაგრამ თუ ზოგადისათვის რაიმე ერთეულის არსებობა-არარსებობას მნიშვნელობა არა აქვს, სამაგიეროდ მთელისათვის ამ ნაწილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნაწილის გარეშე მოცემული მთელი ის აღარ არის რაც იყო. თუ ოქტომბრის რევოლუციის შესწავლისას გამოვტოვებთ მის დასაწყისს, მაშინ მისი გაგება სრულიად შეუძლებელი იქნება. ნაწილი მთელისადმი მაგალითი კი არ არის, რომელიც შეიძლება გამოვტოვოთ და მის მაგიერ სხვა ავიღოთ, არამედ ის არის ის, რაც მთელის აგებაში მონაწილეობს და რომელიც არაფრით არ შეიცვლება.

ცხადია, მთელის ცნების აგებისას შეიძლება გამოვტოვოთ ბევრი რამ, რომელსაც მთელის არსებობისა და გაგებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ის მაინც მთელია და არა ზოგადი. მთელსა და ზოგადს კი შემთხვევაში საერთო ის აქვთ, რომ ორივე არაარსებითს უკუაგდებს, გაიწმინდება ყველა იმისაგან, რაც არსებითი არაა, მაგრამ თავის თავისებურებებს ინარჩუნებს. მთელისათვის არაარსებითი ის არის, რომელსაც მისი არსებობისა და გაგებისათვის მნიშვნელობა არა აქვს და ამდვილად მის ნაწილს არ წარმოადგენს, ხოლო ზოგადისათვის არარსებითი ის არის, რომელიც შეიძლება ზოგადი იყოს, მაგრამ რომელიც შემთხვევითია და საძიებელი ზოგადის ნიშანს არ წარმოადგენს. ზოგადის მეცნიერებაში არსებული ერთეული ის არ არის, რაც ისტორიულ მეცნიერებაში ინდივიდია. ერთეული ზოგადს ექვემდებარება, ის ერთეულია, რამდენადაც ზოგადის ნიშანს ატარებს, ამავე დროს ეს ერთეული სხვა ერთეულით შეიცვლება, ხოლო ზოგადი უცვლელი რჩება მაშინ, როდესაც ნაწილის გამოყოფით მთელი იცვლება და ნაწილი მეორე ნაწილით არ შეიცვლება.

ზოგადის დაქვემდებარების დამოკიდებულება მეცნიერების არსებას ვერ ამოსწურავს. როცა ადამიანს აღვწერთ მისი დედამიწაზე განლაგების მიხედვით, ვნახავთ, რომ რომელიმე ერთეული ადამიანი არის პარიზელი, ფრანგი, ევროპელი, ხოლო ამ უკანასკნელის ზევით მსოფლიო იქნება. ცნებების დამოკიდებულება იმგვარია, რომ ნაკლებად ზოგადი უფრო მეტ ზოგადში შედის; ანდა, თუ ზოოლოგი აღწერს ცხოვე-

ლებს, ის თანდათან უფრო მეტი ზოგადისაკენ წავა, რისთვისაც პირველ ნიშანს გამოსაელად აიღებს და განზოგადებას მოახდენს. მაგალითად, ერთუჯრედიანები და მრავალუჯრედიანები. პირველი შედის მეორეში. როგორც ნაკლებად ზოგადი უფრო მეტ ზოგადში. გვარის გვარისადმი დაქვემდებარება საგანთა კავშირებს ვერ ამოსწურავს. ასე რომ იყოს, მაშინ სინამდვილე ერთგვაროვანი იქნებოდა და შემეცნებაც ერთი ნიშნით მხოლოდ ნაკლებად ზოგადიდან უფრო ზოგადისაკენ წავიდოდა. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის.

შემეცნება მარტო ურთიერთგვარისა და სახის ფორმაში არსებულ დამოკიდებულებას არ ამოიჩენს. სინამდვილეში არა მხოლოდ ერთგვაროვანი საგნებია მიმართებაში, არამედ სხვადასხვაგვარის საგნებიც ურთიერთობაშია. მაგალითად, ცხოველების მთელი გვარის მიმართება გარემოსთან, რომელიც სულ სხვა გვარისაა ვიდრე თვით ცხოველები, ამიტომ ცხოველების ცნებაში გარემოს ცნება არ შევა, გარდა ამისა, თვით ერთი გვარის საგნები მარტო გვარის მიმართ არაა დამოკიდებულებაში, გვარის სახეები ურთიერთმიმართებაში არიან, ისინი ერთმანეთს ან ხელს უწყობენ. ან უშლიან.

მაშასადამე, გვარისა და სახის დამოკიდებულების გარდა არსებობს გვარის შიგნით სახეების მიმართება და სხვადასხვაგვარი საგნების ურთიერთმიმართება. ეს მიმართებები გამოისახება ცნებებში, რომლებიც გვარისა და სახის მიმართებისანი არ იქნებიან; მათი მიმართება ანალიზური არაა, როგორც გვარისა და სახის ცნებების მიმართაა. ასეთი ცნებების მიმართება სინთეზური იქნება. მეცნიერება, რამდენადაც ის ახლის აღმოჩენაა, სწორედ სხვადასხვაგვარი ცნებების კავშირს წარმოადგენს, გვარისა და სახის ცნებების დამოკიდებულება მეცნიერების სისტემაში ერთი ნაწილია. როცა ფიზიკოსი სწავლობს ატომს, აღმოჩნდება, რომ არსებობს იზოტოპები; ფიზიკოსი არკვევს იზოტოპის ცნებას და ნახავს, რომ არსებობს როგორც წყალბადის იზოტოპი, რომელშიც სამი სახის წყალბადი შედის, ისე ჟანგბადის იზოტოპი, რომელშიც აგრეთვე ჟანგბადის სამი სახეა. ატომის შესწავლისას კიდევ სხვა რამ იქნა ნაბუღი. აღმოჩნდა, რომ ის შედგება პროტონებისა და ელექტრონებისაგან, რომლებიც ატომის სხვადასხვა მხარეებია და ერთმანეთთან გვარისა და სახის მიმართებაში არ არიან. ფიზიკა სწავლობს მთლიან ფიზიკურ სინამდვილეს, ქიმია მთლიან ქიმიურ სინამდვილეს, პოლიტეკონომია მთელი საზოგადოების ეკონომიკას.

იბადება კითხვა — რაკი ამ მეცნიერების შესასწავლი საგანი მთელია, მათი საგანი ხომ არ ემთხვევა ისტორიული მეცნიერების საგანს და მათ შორის მოჩვენებითი განსხვავება ხომ არ არის? ისტორიულ მეცნიერებას საქმე აქვს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არსებულ სი-

ნამდვილესთან, რომლის სხვით შეცვლა შეუძლებელია. ამიტომ მასში სახეები არაა, ის ერთი განუყოფელი სინამდვილეა. ზოგადის შემსწავლელი მეცნიერების საგანი ასეთი არ არის. ატომი, რასაც ფიზიკა სწავლობს, არ არის ატომი თავის განუმეორებლობაში. არამედ ატომის ზოგადი მხარეა, რომლის სახეებია ყველა არსებული ატომი, რომელიც გარკვეული სახით არსებობს. ამ აზრით ატომი ატომბირთვისა და მის ირგვლივ მოძრავი ელექტრონებისაგან შედგენილი სხეულია, ამიტომ ფიზიკისათვის სულ ერთია, ასეთი ატომი სად და როდის იქნება, ის იმას შეისწავლის, რაც ამ ნიშნების მატარებელია. ატომი, როგორც ზოგადი, თავისში ყველა შესაძლებელ ატომს შეიცავს, მაგრამ თვითონ ატომი, როგორც შედგენილი, რთულია, რომელსაც სხვადასხვა მხარეები აქვს, რომლებიც ისევ ზოგადებად იშლება. ასევე შეისწავლება პროტონი, რომელსაც თავისში სხვადასხვა სახეები აქვს და მისი განუმეორებლობა მხედველობაში მიღებული არ არის.

მაშასადამე, მთელი, რომელსაც ზოგადის შემსწავლელი მეცნიერება სწავლობს, თავისში სახეების მქონეა და ამდენად ზოგადია, რომელიც ისევ შემადგენელ ზოგადებად იშლება; ატომი ისეთივე ზოგადია, როგორც პროტონი და ელექტრონი, მათ შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება არ არის. ატომის სახეები არც პროტონია და არც ელექტრონი, ისინი მხოლოდ მისი შემადგენელი მხარეებია; მიუხედავად ამისა, ის მაინც ისეთი რთული მთელი არ არის, რადგან ის განიხილება როგორც სახეების მქონე და, ამდენად, ზოგადი.

მეცნიერება, როგორც ზოგადი ცნებების ქსელი, სინთეზური კავშირია, რადგან თვით სინამდვილეა მრავალსახოვანთა კავშირი. ეს მოითხოვს სწორედ განსხვავებული ცნებების კავშირს, რადგან მხოლოდ ამით გაირკვევა მისი კანონზომიერება.

ცნება და მსჯელობა ბუნებაში არ არის. ასე მხოლოდ ჰეგელს ეგონა, რომლის მიხედვით კვირტი სუბიექტია, სოლო ნაყოფი — პრედიკატი. ჰეგელმა მსჯელობის გაარსება მოახდინა და, რასაკვირველია, ის შემცდარია. ეს დამოკიდებულება უშუალოდ მსჯელობა არაა. ჰეგელი იდეალისტი იყო. რომელიც იდეას იღებს, როგორც სინამდვილის მოძრაობის წყაროს. იდეა ლოგიკური აზროვნების განსახიერებაა, ამიტომ მსჯელობა მისი ძირითადი თვისება უნდა იყოს, მაგრამ ბუნებაში ასეთი აზროვნება არ არსებობს, ჩვენს ხელთ არის მხოლოდ უშუალოდ ბუნების მოვლენების ურთიერთდამოკიდებულება, რაც მსჯელობას არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აქ ჰეგელის აზრს სიცხადე და დამაჯერებლობა არა აქვს, ის მაინც დადებითი აზრის შემცველია. დადებითი იმაში მდგომარეობს, რომ მსჯელობას, როგორც აზრის ფორმას, როგორც სინამდვილის გამომთქმელს, რაღაც უნდა შეესაბამებო-

დეს; ამის გარეშე მსჯელობა არ აიგება. სინამდვილეში საგნები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ეს უნდა იყოს მსჯელობის არსებობის საფუძველი.

ცნების ბუნების შესახებ გარკვეული აზრი აქვს გამოთქმული კასირერს. მას ცნებებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება არ აკმაყოფილებს, რადგან ნიშნებისაგან თახდათანობით განყენებით ცნების შინაარსი ღარიბდება. ნაცვლად იმისა, რომ ცნება შინაარსით უფრო ძდიდარი იყოს, ის უფრო ღარიბია, ამიტომ კასირერს შეუნაქვს მიმართების ცნება, რომელიც თავისთავში მიმართების წევრების მრავლობას შეიცავს და უფრო მდიდარია. ის ამას უწოდებს კონკრეტულ ზოგადს, განსხვავებით განყენებული ზოგადისაგან. კასირერს მოჰყავს კონკრეტული ზოგადის მაგალითი. ავიღოთ ორი მთელი რიცხვი, რომელთა ჯამია 25, პირველი იყოფა ორზე, ხოლო მეორე — სამზე. პირველია $22+6z$, მეორე — $6z+3$, ხოლო z აქვს ნიშნველობები 0. 1, 2, 3. კასირერის გაგებით ამ ცნების შინაარსობრივი სიმდიდრე იმაშია, რომ 25, როგორც ორი რიცხვის ჯამი, მიიღება ყველა შემთხვევაში თუ z ან 0-ია, ან 1, ან 2, ან 3. აქ არ არის მოცემული მნიშვნელობათა ერთიანობა. თუ $z=0$, ის აღარ უდრის სხვა სიდიდეებს, ისე რომ მისი ერთი მნიშვნელობა ყველა დანარჩენ მნიშვნელობას გამორიცხავს. მთავარი მაინც ის არის, რომ თუ კასირერმა მიუთითა გვარისა და სახის ცნებების ნაკლზე, მაშინ მას გვარისა და სახის დამოკიდებულება სხვა ხერხით უნდა აეხსნა, რათა მათი ნაკლი დაეძლია, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. მან ეს მხარე დასტოვა უცვლელად და მიუთითა მათემატიკაზე, სადაც არაა კლასისა და სახის ცნებების დამოკიდებულება და სადაც ცნებები შინაარსით უფრო მდიდარია. მოცემულ შემთხვევაში მან უფრო მათემატიკური ცნებების თავისებურებაზე მიუთითა ვიდრე იმ ზოგად ნიშანზე, რითაც ცნებები უნდა აიგოს, რომ ჩვეულებრივ ცნებების შინაარსობრივ გაღარიბებას თავი დავაღწიოთ.

გვარისა და სახის ცნებების აგება ხერხი კი არ არის, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, არამედ საგნების ურთიერთობის გამომთქმელია და ამდენად, შეუძლებელია მისი უარყოფა და სხვით შეცვლა. გვარისა და სახის დამოკიდებულება არც მათემატიკისათვის არის უცხო. ასე მაგალითად, როცა გვინდა რიცხვის ცნების დახასიათება, უნდა მივმართოთ გვარისა და სახის მიმართებას. რიცხვი არის ნატურალური, რაციონალური, ირაციონალური და სხვა, რაც გვარისა და სახის დამოკიდებულების გამომთქმელია. როცა გვინდა გეომეტრიაში სამკუთხედის დახასიათება, ვამბობთ, რომ ის არის სწორკუთხიანი, ბლაგვკუთხიანი და სხვა. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისებური ნიშნებისაგან განყენებასთან. როცა სამკუთხედზე ვმსჯელობთ, აღარ გვაინტერესებს

მათი თავისებურებები. ჩვენ მათ ისე ვიხილავთ, როგორც სამკუთხედებს.

გვარისა და სახის ცნებებში, მართლაც, ნიშნებისაგან განყენება ხდება. ნიშნები მცირდება და მოცემულობა იზრდება, თუ ეს მხარე ცნების ნაკლად ჩაითვლება. შემეცნების ნაკლად უნდა ჩაითვალოს განყენება, როგორც მოვლენების სიღრმეში შეჭრის ხერხი. როცა ჩვენ ვიტყვით, რომ მატერიალური არის ყველაფერი რაც ფიზიკურია, მაშინ მატერიალურის ცნება ემთხვევა ფიზიკურს, რომლის გარეშე რჩება ჰოლი არე ქიმიური და ბიოლოგიური სინამდვილისა. აქ ფიზიკური უფრო კონკრეტულია და მატერია მასთან იგივეობრივია. თუ ზოოლოგიურს გავითვალისწინებთ, მაშინ მატერიის ცნება უნდა განყენდეს იმ ნიშნებისაგან რაც ფიზიკურსა და ბიოლოგიურს ახასიათებს და ის ნიშანი უნდა იქნეს მინიშნებული, რაც ორივეს — ფიზიკურსა და ბიოლოგიურს გააერთიანებს. ამ შემთხვევაში ფიზიკურისა და ბიოლოგიურის გაერთიანებისათვის მატერიის ცნებაა შემოტანილი, რომელიც მათთან შედარებით ნიშნებით ღარიბია, მაგრამ ეს ხომ ისეთი ნიშანია, რომელიც აქ ორი არეს ერთიანობას ადგენს.

შემეცნება თავის მოძრაობაში იქითკენ მიდის, რომ სინამდვილის ერთიანობა მოგვცეს და თუ ნიშნებისაგან განყენება ამას აკეთებს, მაშინ შემეცნების მოთხოვნა განხორციელებული ყოფილა. ერთი ცნების შემდეგ მეორე ცნების წარმოშობა მოითხოვს, რომ ის პირველის ამხსნელი და საფუძველი გახდეს. თუ ამ დროს ის შინაარსისაგან განყენებული იქნება ეს მისთვის არსებითი არ არის. მათ დამოკიდებულებაში არსებითია საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება. ამრიგად, ცნებებს შორის დამოკიდებულობის ზოგადი ნიშანი იქნება არა გვარისა და სახის, არამედ საფუძლისა და შედეგის, ასახსნელისა და ამხსნელის დამოკიდებულება, რომლის კერძო შემთხვევას გვარისა და სახის დამოკიდებულება წარმოადგენს.

მატერიის ცნება ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და საზოგადოებრივი მოვლენების ამხსნელია, ამდენად ის მათ საფუძველს წარმოადგენს. კითხვაზე, თუ რა არის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და საზოგადოებრივი მოვლენები, პასუხი ის იქნება, რომ ისინი მატერიალურია. ეს ნიშანი მათი თავისებურების შემცველი არ არის, ის მათი საერთო ამხსნელი ცნებაა. ცნებათა შორის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება თვით სინამდვილის იმ ხასიათითაა განსაზღვრული, რომლის მიხედვით მოვლენები ურთიერთთანაა დაკავშირებული და ერთიმეორეს განმსაზღვრელი. მაგალითად, ფიზიკოსი სწავლობს მოძრაობას, რომელსაც ახასიათებს სიჩქარე და მიმართულება, რომლისთვისაც ის შემოიტანს ვექტორს. რაკი ძალა მოძრაობის მიზეზია, ამიტომ შემოი-

ცანს ძალის ცნებას, საბოლოო ანგარიშით, მოძრაობის ცნება მოითხოვს ძალის ცნებას. მოძრაობა ასახსნელია, ხოლო ძალის ცნება მისი ამხსნელია. ძალის ცნება მოძრაობასთან შედარებით განყენებულია, მაგრამ ის მისი ამხსნელია.

საფუძველ-შედეგის მიხედვით ცნებათა დამოკიდებულებაში მთავარი ის კი არ არის თუ რა ცნებას რამდენი ნიშანი აქვს, არამედ ეს მოცემული ცნება ამხსნელის დანიშნულებას ასრულებს თუ არა. ნიშნების სიმრავლე უფრო მეტი აქვს ერთეულ საგანს, მაგრამ ის არაფრის ამხსნელი არ არის და მთელი განყენებები იმისათვის ხდება, რომ მოცემული ერთეული აიხსნას. საერთოდ, ნიშანთა სიმრავლე უნდა მოითხოვოს უფრო ესთეტიკურ საგანს ვიდრე ცნებას. ესთეტიკური საგანი მიმზიდველია უფრო მაშინ, როცა ამ ნიშნებით მდიდარია. შინაარსით ღარიბი ესთეტიკური მოვლენა მიმზიდველი არ არის, ის ნიშანთა სავსეობას უნდა წარმოადგენდეს

მეცნიერებაში ცნებების დამოკიდებულებას თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აქ არსებითად ცნებები გვარისა და სახის დამოკიდებულებას არ წარმოადგენენ. მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში საქონლის ცნების შემდეგ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ცნებაა განხილული, მაგრამ ისინი ერთმანეთისადმი გვარისა და სახის მიმართებაში არ არიან. ასევეა შემდეგი ცნებები: საწარმოო ძალები, წარმოებითი ურთიერთობა, ბაზისი, რომლებიც სულ სხვადასხვა გვარისაა, მაგრამ ერთმანეთთან აუცილებელ კავშირშია.

ნაწილაკის ცნება ძალიან განყენებულია. ზოგი ფიზიკოსი იქამდე მიდის, რომ მას დროულ-ერცეულ გარკვეულობასაც კი არ აწერს, მაგრამ ამის მიუხედავად ის ხელსაყრელი სხეულების როგორობის ამსახველია. ერთეული ადამიანი ბიოლოგიურ-სოციალური არსებაა .მას ყველა ნიშანი აქვს, მაგრამ ეს ერთეული ადამიანის ცნება თვითონ არის ასახსნელი და ის სხვისი ახსნის საფუძვლად უვარგისია.

შემეცნების თვალსაზრისით განხილული ერთეულის ცნება არა თუ მდიდარი, არამედ ღარიბია. ერთეული მდიდარია არსოლოგიურად, რადგან, ის საგნის თითქმის ყველა ნიშნის შემცველია. იმისათვის, რომ ეს ერთეული საგანი შევიცნოთ და სინამდვილეში მისი ადგილი მოვნახოთ, საჭირო ხდება სწორედ განყენება და, მაშასადამე თანდათანობით ერთეულისათვის დამახასიათებელი ნიშნებისაგან განთავისუფლება. ეს გარემოება შემეცნებისათვის ნაკლს არ წარმოადგენს. განყენებული ცნებისათვის მთავარია ის, რომ ის რაიმე ასახსნელის ამხსნელი იყოს, რაიმე ასახსნელი ცნების საფუძველს წარმოადგენდეს, ყოველი ცნება, რაც კი შემეცნებისაგან დგინდება, ცალმხრივია და საგნის ყველა გარკვეულობის შემცველი არ არის. ჰეგელმა, ვერ მოგვ-

ცა ცნების ყოვლისმომცველობის გაგება, რადგან ეს შეუძლებელია. ჰეგელმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ აბსოლუტური ცნება, რომელიც ლოგიკის საფუძველია, თავისი გაშლით მეცნიერებად, ანუ ცნებათა სისტემად, შინაარსით მდიდარი გახდა, მასში გაშლილი ცნება ყოვლისმომცველი შეიქმნა. საღი გონების მიხედვით განხილული ეს მოვლენა ცნების შინაარსეული სიმდიდრის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, რადგან მეცნიერების სისტემაში ნამდვილად გვაქვს ცნებათა სისტემა და არა ერთი ცნება, რომელიც ყველა ცნების შემცველია. აქ თითოეული ცნება განყენებული და ცალმხრივია, ხოლო მათი მთლიანობა ცნება კი არ არის, არამედ მეცნიერებაა, რომელიც ცნებათა ჭსელია, სადაც ცნებები საფუძვლისა და შედეგის მიხედვითაა დაკავშირებული.

მაშასადამე, ნიშანთა სიმრავლით ყველაზე მდიდარია ერთეული საგანი. თუ ცნება ამაზე შეჩერდება, მაშინ ყოველ საგანში მისი ერთეულად არსებობა უნდა მოვიაზროთ, რაც უფრო მითითება იქნება ვიდრე მოაზრება. რაიმე ერთეული საგნის მოაზრება მისი თვალით დანახვა ან მისი ყურით მოსმენა იქნება, მაგრამ ამით ვერ გაიგება ერთეულის არსება. ეს არის შემეცნების მარტივი მდგომარეობა, მისი პირველი საფეხური.

იმისათვის, რომ ერთეულის ცნება წარმოადგენდეს შედეგს, ის განყენებული აზრის საგნად უნდა იქცეს; იმისათვის, რომ ერთეული მოვიაზროთ, ის რაიმე ნიშნით უნდა მოვიაზროთ და ის ერთეული ამ ნიშანს, როგორც ზოგადს, უნდა დავუმორჩილოთ. ამრიგად, ერთეულის ცნების შედგენა განყენებას ნიშნავს. „ეს არის ცხენი", „ეს არის მაგიდა", „ეს არის წიგნი" უკვე გარკვეული განზოგადებაა, სადაც ნიშანთა სიმდიდრისაგან განყენებაა.

როგორც ლენინი წერს, „ღირებულება არის კატეგორია, რომელიც მოკლებულია გრძნობადობას, ნივთიერებას, მაგრამ იგი უფრო ჭეშმარიტია ვიდრე „მოთხოვნის და მოწოდების კანონი"[4].

§ 7. მეცნიერება და მსჯელობის აგებულება

არის ცოდნის ისეთი დარგები, რომლებიც სწავლობენ თავისი საკვლევი საგნის ქმნადობას და საგნის არსებით ხასიათს ქმნადობაში ადგენენ. ცნებისა და მსჯელობის ურთიერთობის შესწავლისას ასეთი მოთხოვნის წამოყენება არ შეიძლება. არ არსებობს ცნებისა და მსჯელობის ისტორია, რომლის მიხედვით ჯერ ცნება იყო წარმოშობილი, ხო-

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ფილოსოფიური რვეულები, 1958, გვ. 169.

ლო მის შემდეგ და მის საფუძველზე მსჯელობა. მსჯელობა ცნებასთან შედარებით რთული აგებულებისაა, ამიტომ, თითქოს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ ცნება წარმოიშვა, ხოლო შემდეგ მსჯელობა, მაგრამ მათ შორის ასეთი დროული ურთიერთობა არ შეიძლება დადგინდეს. აზროვნების ისტორიაში ვერ ვნახავთ ისეთ მდგომარეობას, როცა ადამიანებს ცნებები ჰქონდათ, ხოლო მსჯელობა, არა, ანდა, პირიქით, მსჯელობა ჰქონდათ და ცნება კი არა. ცნებისა და მსჯელობის ურთიერთობისათვის დროული ურთიერთობა არ არსებობს. ისე როგორც ადამიანი და მისი რომელიმე ნაწილი მის გარეშე არ არის და მათი მიმართება დროული არაა, ასევე ცნება და მსჯელობა ერთმანეთის გარეშე არ არის. მსჯელობა ცნებისაგან შედგება, ამიტომ მსჯელობის არსებობა ცნების არსებობას გულისხმობს. ცნებისა და მსჯელობის ასეთი დამოკიდებულება გულისხმობს იმას, რომ ცნება და მსჯელობა ადამიანის აზროვნების შედეგია და ისინი არც ერთმანეთის გარეშე და არც ადამიანის აზროვნების გარეშე არ არსებობენ. თვით ისეთი მოაზროვნე, როგორიც ჰეგელი იყო, ასეთ ისტორიულ დამოკიდებულებას არ სცნობდა. თუმცა ჰეგელი თავის ლოგიკაში ჯერ ცნებას იხილავდა, შემდეგ კი მსჯელობას, მაგრამ მისთვის „ჯერ“ ლოგიკური ბუნებისაა და არა ისტორიული. ცნება ანალიზის საგანი ხდება, რითაც ცნება მსჯელობად იშლება. ამრიგად, ჰეგელის აზრით ცნება მსჯელობად იშლება, ცნება თავისში მსჯელობაა და ლოგიკური განვითარება მას იმად აქცევს, რაც ის თავისთავად არის.

ადამიანის აზროვნების პირველადი მოქმედება არის მსჯელობა, ამიტომ გამოთქმა „ადამიანი აზროვნებს“ იგივეა, რაც „ადამიანი მსჯელობს“. მსჯელობის წყობის შესწავლა, იმის გარეშე თუ რა საგანზეა იგი მიმართული, მისი ფორმალური აგებულების შესწავლას ნიშნავს. სულ ერთია, მსჯელობის საგანი აღქმაშია მოცემული თუ განყენებული, მისი წყობა ერთნაირია. ადამიანს განვითარების დასაწყის საფეხურზე, ცხადია, აღქმით საგნებთან აქვს საქმე, მისი მსჯელობაც აღქმითია, ხოლო განვითარების შემდგომ საფეხურზე ადამიანის აზრისა და მსჯელობის საგნად განყენებული საგანი ხდება, ამიტომ მსჯელობაც განყენებული ბუნებისაა.

ადამიანის აზროვნება იქითკენ არის მიმართული, რომ საგნის შესახებ ცოდნა შეადგინოს, რაც საგნის ცნებას წარმოადგენს. საგნის ცოდნა ნიშნავს საგნის შესახებ ცნების შედგენას, ცნების შედგენა-მსჯელობას მოითხოვს ისე, რომ მსჯელობა ცნების შედგენის იარაღია.

ყოველი მსჯელობა მიმართულია საგნისაკენ, რომელიც ადამიანის აზროვნებას ცნების სახით აქვს მოცემული. საგნის ცნება საგანს გამოხატავს. ასეთია, მაგალითად, „წიგნი“, „სახლი“, „მდინარე“ და სხვა. ეს

ცნებები ჯერ კიდევ მსჯელობას არ შეადგენენ. იმისათვის, რომ მსჯელობა იყოს, საჭიროა მეორე ცნება, რომელიც ამ საგნის რომელიმე მხარეს გამოხატავს. მაშასადამე, მსჯელობისათვის აუცილებელია ორი ცნება—საგნის და მისი მხარის აღმნიშვნელი ცნებები, რომლებიც ასე შეიძლება გაერთიანდეს: „შინაარსიანი წიგნი", „ადიდებული მდინარე", „სამართულიანი სახლი" და სხვა. მაგრამ ცნებების ეს კავშირი მსჯელობას არ წარმოადგენს. ცნებების ეს კავშირი ისევ ცნებაა, რადგან აქ მოცემულია შინაარსიანი წიგნი, მაგრამ არ არის მოცემული ამ შინარსიანი წიგნის არსებობა არ არსებობა, ან მისი რაიმესთან მიმართებით ყოფნა-არ ყოფნა. მსჯელობის არსება იმაში კი არ არის, რომ მოცემულია ორი ცნება, არამედ მის არსებას რაიმე საგანზე რაიმეს აღიარება წარმოადგენს. ადამიანის აზროვნება, შემეცნება იმით ხასიათდება, რომ ის აყენებს კითხვას: რა არის ეს? მსჯელობის არსება იმაშია, რომ ამ კითხვაზე პასუხი გასცეს. აზროვნებისათვის საგანი მსჯელობაშია მოცემული.

მსჯელობა არის საგნის შესახებ რაიმეს ჰოყოფა—უარყოფა. იქ, სადაც ეს არ არის, იქ არ არის მსჯელობა. ამისათვის ორ ცნებას უნდა დაემატოს ამ ორი ცნების ისეთი კავშირი, რომელიც ჰოყოფა-უარყოფას გამოხატავს. ამის გამომხატველი ცნებაა „არის" და „არ არის".

მაშასადამე, მსჯელობა არის ჰოყოფა-უარყოფა, ხოლო მის ძირითად შემადგენელს „არის" და „არ არის" წარმოადგენს. „წიგნი არის შინაარსიანი", „მდინარე არ არის ადიდებული" უკვე მსჯელობაა სწორედ ამ „არის" და „არ არის" საშუალებით. აზროვნებას მსჯელობის უნარი გარედან არ მიუღია, ის აზროვნების შინაგანი თვისებაა, არ არსებობს აზროვნება მსჯელობის გარეშე.

აქვს თუ არა აზროვნებას, როგორც მსჯელობას, არსოლოგიური საფუძველი? მსჯელობა აზროვნების თვისებაა, რადგან მხოლოდ აზროვნება მსჯელობს, მაგრამ რაკი მსჯელობა რაიმეზე რაღაცის აღიარებაა, ეს მსჯელობა ამ რაღაცით არის განსაზღვრული. რომ არ იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული საგანი და მისი რომელიმე მხარე, რომელიც მასთან დაკავშირებულია და მისთვის დამახასიათებელი, მსჯელობის აგება შეუძლებელი იქნებოდა. მსჯელობა არ იარსებებდა. მაშასადამე, საგნის მრავალი მხარის ერთიანობა თვით ამ საგნის საფუძველზე მსჯელობის არსოლოგიური საფუძველია. საგნის ამგვარი წყობა ყველა შესაძლებელი საგნის საერთო ნიშანია. თუ რაიმე არის საგანი, ის უნდა იყოს მრავალი მხარის ურთიერთობა. ადამიანის აზროვნება ამ საერთო ნიშანს გამოჰყოფს და მას სინამდვილის შემეცნების ჭარგად აქცევს. ამ ჭარგში მას შეუძლია მოათავსოს ის საგანიც, რომელიც წარმოსახვითია და არ არსებობს, მაგრამ არსებული საგნის წყობა და ჭარგი აქვს მოცემული. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ მსჯელობა ყოველთვის მხოლოდ

ამ საგანზე იქნებოდა შესაძლებელი, რომელიც არსებობს, არარსებული საგნის შესახებ მსჯელობა არ იქნებოდა.

მცდარი და ჭეშმარიტი მსჯელობის წყობის იგივეობა სწორედ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ეს წყობა, როგორც არსით განსაზღვრული, არსისაგან განყენებული ხდება. არსოლოგიურად ეს წყობა საგნისა და მისი მხარეების ერთიანობაა, მის საფუძველზე აღმოცენებული ლოგიკური წყობა იქნება საგნის ცნება, რომელსაც სუბიექტი ეწოდება: მისი რომელიმე მხარის ცნებას, რომელიც სუბიექტს უკავშირდება და მასზე გამოითქმება, პრედიკატი ეწოდება. მაშასადამე, სუბიექტი, პრედიკატი და კავშირი „არის“ ან „არ არის“ შეადგენენ მსჯელობის შემადგენელ მხარეებს. მსჯელობა ცნებისაგან არის შედგენილი, ამიტომ მისი ცნებებისაგან დამოუკიდებელ არსებობას და მის ამგვარად მოაზრებას აზრი არა აქვს, მსჯელობა რომ მოვიაზროთ, ის უნდა მოვიაზროთ, როგორც ცნებისაგან შედგენილი. მსჯელობის არსოლოგიურ საფუძველზე მითითება იმას არ ნიშნავს, რომ მსჯელობის ნაწილები სინამდვილეშია საფუძველდებული და აზროვნება მათ იქიდან იღებს. ეს უსოლოდ იმას ნიშნავს, რომ სუბიექტისა და პრედიკატის ცნებების შესაბამისი საგნებია, ხოლო კავშირი ამ საგნების დამოკიდებულების გამომთქმელია. ეს ასე უნდა იყოს. რაკი აზრი არსის შესახებ აზრია, ის არსით უნდა იყოს განსაზღვრული.

მსჯელობაში მოცემული კავშირის ნიშანი „არის“ და „არ არის“ არსოლოგიური ბუნებისაა, საგნებს შორის კავშირის არსებობის გამომხატველია, ამიტომ „არის“, „არსებობს“ და „არარსებობს“, „არ არის“ ერთი და იგივეა, რადგან სუბიექტისა და პრედიკატის ცნებებს აკავშირებს. ის ამ ცნებებს კავშირს გამოხატავს, მაგრამ მსჯელობის მიზანი ის კი არ არის, რომ ეს ორი ცნება დააკავშიროს და სუბიექტის ცნებას პრედიკატის ცნება მიაწეროს ან არ მიაწეროს, არამედ ამ ორი ცნების კავშირით საგნისა და მისი მხარის კავშირი გამოხატოს. „ეს წიგნი არის შინაარსიანი“ იმას კი არ ნიშნავს რომ წიგნის ცნება შინაარსის ცნების მსგავსია, არამედ ეს მსჯელობა გამოხატავს წიგნის იმ მხარეს, რომლის გარეშე წიგნს რაიმე ღირებულება არა აქვს, ეს არის მისი შინაარსიანობა. „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ისე რომ, როცა ეს მსჯელობაა მოცემული, საკითხი აღარ ისმება იმის შესახებ, ადამიანი არსებობს თუ არა. ამ მსჯელობაში მოცემულია როგორც ადამიანის არსებობა, ისე მისი თვისება „იარაღის მკეთებლობა“. მსჯელობა შეიძლება გამოითქვას ისეთი საგნის შესახებაც, რომელიც არ არსებობს, მაგრამ კავშირი „არის“ აუცილებლივ უნდა იყოს, ასეთ შემთხვევაში „არის“ და „არსებობა“ თითქოს ერთი და იგივე არ არის.

მსჯელობა „ქათამი არის სამფეხა“ უპირისპირდება მსჯელობას „არ არის სწორი, რომ ქათამი არის სამფეხა“. მსჯელობა გამოდის ისეთი ქათმის არსებობიდან, რომელიც სამფეხაა, ამიტომ შესაძლებელია ასეთი მსჯელობის არსებობა, მაგრამ ეს ვარაუდი მცდარია და ამიტომ ის უარიყოფა, გამოითქმება მისი საწინააღმდეგო, რომ „ქათამი არ არის სამფეხა“. უარყოფა „არის“ ეხება. ამდენად „არის“ და „არსებობა“ ერთი და იგივეა. კავშირი რომ ცნებებზე იყოს მიმართული და არა საგნის არსებობაზე, მაშინ როგორ უნდა აიხსნას უარყოფითი კავშირის არსებობა? თუ „არ არის“ სუბიექტ-პრედიკატის ცნებებზეა მიმართული, მაშინ მან მათი კავშირი უნდა უარყოს. მაგრამ „არ არის“ ნამდვილად ამ კავშირს ქმნის, მსჯელობა ამ კავშირის გამოხატულებაა, მაშასადამე ის ცნებების კავშირზე არ არის მიმართული. „არ არის“ ეხება არა მსჯელობის ცნებებს, არამედ საგანს, რაზედაც მსჯელობაა მიმართული.

მაშასადამე, მსჯელობა რაიმეს არსებობის ან არარსებობის აღიარებას წარმოადგენს. როცა ვამბობთ აზროვნება სინამდვილის ასახვაა. ეს ის ნიშანია, რაც მას შეიძლება საერთო ჰქონდეს სხვა საგნებთან, რამდენადაც ასახვა საგნების თვისებაა, მაგრამ აზროვნება არ შეიძლება შეზღუდულიყო, რადგან ამით აზროვნებასა და საგნებს შორის განსხვავება წაიშლებოდა. ის მეტი, რაც აზროვნებას აქვს და რითაც ის ხასიათდება, არის საგნებისა და მათი მიმართებების არსებობის ან არარსებობის აღიარება. „ეს არის ეს“ ან „ეს არ არის ეს“ იდეალურად საგნებს ერთვის და საგნებისაგან განსხვავდება. „ეს ისეა როგორც არის“ აზროვნების თვისებაა, რომელიც მსჯელობაშია დადგენილი. მსჯელობა სუბიექტ-პრედიკატის კავშირით არ ამოიწურება.

არის ისეთი მსჯელობებიც, სადაც ეს ცნებები არ არის, მაგრამ მსჯელობის ძირითადი ნიშანი არის, ისინი რაიმეს აღიარებას ან არ აღიარებას წარმოადგენენ. ასეთია მიმართების მსჯელობები. ამ მსჯელობების დამახასიათებელია მათში მოცემული ორი ცნების ერთმანეთთან შებრუნებულ მიმართებაში შესაძლებელი მოქცევა, მაგრამ მსჯელობის მიერ იგივე შინაარსის შენარჩუნება. მაგალითად A ტოლია B-ს არის მიმართების მსჯელობა, შეგვიძლია შევაბრუნოთ და ვთქვათ B არის A ტოლი, ამით მსჯელობის შინაარსი არ იცვლება. 3 არის 5-ზე ნაკლები და ხუთი არის 3-ზე მეტი — შინაარსი ერთი და იგივეა, ცნებების შებრუნებით მსჯელობის შინაარსი იგივე დარჩა, ეს იმიტომ ხდება, რომ ცნებები სუბიექტ-პრედიკატის ნიშნებით არ ხასიათდება. თუ პრედიკატი სუბიექტს მიეწერება, მიმართების მსჯელობაში ორ თუ მეტ საგანზე საერთო თვისება გამოითქმება, ეს საერთო არის ამ ორი საგნის მიმართება.

მიმართებითი მსჯელობა მიმართების გამომთქმელია, მიმართება მიმართების წევრებს იმორჩილებს. 5>3 არის ისეთი მსჯელობა, რომელიც მეტნაკლებობას გამოთქვამს 5-სა და 3-ს მიმართ. ეს ნიშანი 5-სა და 3-ს აბსოლუტური ნიშანი არ არის, მათი მიმართებითი ნიშანია. თუ 5 მეტია 3-ს მიმართ, ის ნაკლებია 10-ს მიმართ; თუ 3 ნაკლებია 5-ის მიმართ, ის მეტია ერთის მიმართ. ეს ნიშანი მათ აქვთ ნატურალურ რიცხვთა რიგში იმ ადგილის მიხედვით, რაც მათ იქ უკავიათ. ასეთია ყველა სახის მიმართებითი მსჯელობა. ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს, რომ ან მხოლოდ მიმართებაა, თავისთავადი საგანი კი მასში მოხსნილი, ან საგანია ნამდვილი და მიმართებაა მასში მოხსნილი. საგანი თავის ნამდვილობას მიმართებაში გამოხატავს. „X არის y-ს მამა მიმართებითი მსჯელობაა". x y-თან მიმართებაში არსებობს, მიმართება არ არის განყენებული რამ, იგი რაიმესთან მიმართებაა.

ცხადია, მიმართების წევრები მიმართების გარეშე არ არსებობენ. მაგრამ არც მიმართება არსებობს მისი წევრების გარეშე, ამიტომ მიმართება არის საგნების მიმართებით არსებული, არის ისეთი მიმართება, რომელიც საგნებისათვის დროებითია. საგანი შეიძლება ყოველთვის ამ მიმართებაში არ იყოს და ამ მიმართებაში ყოფნა მისი განუყრელი ნიშანი არ იყოს. ცოლი და ქმარი მიმართებითი საგნებია, ცოლი ასეთია ქმრის მიმართ და პირიქით, მაგრამ თუ ისინი გაიყრებიან, მაშინ ამ ნიშანს, ამ მიმართებას დაკარგავენ, ისინი იქნებიან მამაკაცი და დედაკაცი. ეს უკვე სხვა მიმართებაა.

არიან საგნები, რომლებიც მიმართებას, რაკი ეს მათ აქვთ, არ კარგავენ, მიმართებაში ყოველთვის იმყოფებიან. 5 და 3 უწყვეტლივაა მეტნაკლებობის მიმართებაში, მათთვის ეს ნიშანი მუდმივია, 5 ყოველთვის მოიაზრება როგორც 3-ზე მეტი და პირიქით.

მაშასადამე, სუბიექტ-პრედიკატული და მიმართებითი მსჯელობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველში სუბიექტს, როგორც გარკვეული საგნის აღმნიშვნელს, რაღაც ნიშანი მიეწერება, ხოლო მიმართებით მსჯელობაში სუბიექტპრედიკატული დამოკიდებულება არ არსებობს. თუ ვეცდებით, რომ ერთი სახე მეორეზე დავიყვანოთ, შეცდომას ჩავიდენთ, რადგან წყობა ერთისა და მეორისა სხვადასხვაა, საგანი მათი სხვადასხვაა და ამიტომ გამოხატვის ფორმაც სხვაა.

ისეთი მსჯელობაც არსებობს, რომელიც მიმართებითი არ არის, მაგრამ არც მსჯელობის სუბიექტი აქვს, ამის მიუხედავად მსჯელობად ითვლება, რადგან ის რაღაცის აღიარებას წარმოადგენს. ასეთია მსჯელობანი „წვიმს", „თოვს", „ქრის", რომლებიც მიუთითებენ რაღაც მოვლენებზე, თუმცა გარკვეული არ არის წყარო ამ მოვლენების დინებისა. რასაკვირველია, ეს მსჯელობები ენობრივად სუბიექტს არ შეიცა-

ვენ. მაგრამ ლოგიკურად შეუძლებელია მათი სუბიექტის გარეშე მოაზრება. ციდან, ღრუბლიდან მოდის წვიმა, თოვლი; აღმოსავლეთიდან მოდის ქარი. ამ მსჯელობებს სუბიექტი დაფარული აქვთ.

მსჯელობები იყოფა შემეცნების თვალსაზრისით. მსჯელობა ცოდნის მიღწევის ფორმაა და ამ მხრივ ყველა მსჯელობა ერთნაირი არ არის. ცოდნა არის აზრი საგანზე, რომელსაც ადამიანი გააცნობიერებს და მსჯელობაში გამოსატავს. ცოდნის ნიშანი მარტო მსჯელობა არ არის. იმისათვის, რომ მსჯელობამ ცოდნის სახე მიიღოს, საჭიროა მსჯელობის საგანი რამენაირად მოცემული იყოს. თუ მსჯელობის საგნის არსებობის რწმენა არაა და, მაშასადამე, მსჯელობის საგანი მოცემული არაა, ისე მსჯელობა ცოდნად არ ჩაითვლება. იმისათვის, რომ მსჯელობა ცოდნად ჩაითვალოს, მას თან უნდა ახლდეს საგნის არსებობის ნათელი განცდა. თუ ამ კუთხით განვიხილავთ მსჯელობას, ვნახავთ, რომ ყველა მსჯელობა ერთნაირი არ არის. მსჯელობა „სამფეხა ქათამი არსებობს“ ცოდნად არ ჩაითვლება. რადგან მას თან არ ახლავს ასეთი საგნის არსებობის რაიმე ნიშანი. „ღმერთი არის აბსოლუტური და კეთილი“ ისეთი მსჯელობაა, რომლის საგანი არასგზით არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს მოცემული. ამიტომ ასეთი მსჯელობა ცოდნად არ ჩაითვლება. ასეთი მსჯელობის აზრი შეიძლება ვისმეს სწამდეს, მაგრამ ეს რწმენაა და არა ცოდნა. რწმენა სუბიექტურია, ცოდნა კი ობიექტური. რწმენა პიროვნულია, ხოლო ცოდნა საყოველთაო. ამ თვალსაზრისით არის ისეთი მსჯელობები, რომლებიც ცოდნის მომცემია, და ისეთი, რომლებიც მხოლოდ რწმენას გამოხატავენ. ფორმალური წყობა ყველა ამ მსჯელობას ერთნაირი აქვს, მხოლოდ თავისი შინაარსით განსხვავდებიან.

მსჯელობები, როგორც აღიარების ფორმა, დადებითია და უარყოფითი. დადებითი მსჯელობა გამოითქმება „არის“ საშუალებით, ხოლო უარყოფითი — „არ არის“. „ქათამი არის ფრინველი“ დადებითი მსჯელობაა, ხოლო „ქათამი არ არის სამფეხა“ უარყოფითი მსჯელობაა. დადებითი მსჯელობა საგანთა შორის არსებულ მიმართებას გამოხატავს, უარყოფითი მსჯელობა კი მიუთითებს, რომ საგნებში ეს მიმართება არ არის. ისე როგორც საგნებში კავშირის მიხედვით ერთი არის მეორე, ასევე ამ კავშირის ხასიათით ერთი არ არის მეორე. საგნების ეს არსობრივი მხარე დადებითი და უარყოფითი მსჯელობის არსებობის საფუძველია.

დადებითი და უარყოფითი მიმართებითი მხარეებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთიმეორის გარეშე არ არიან, ერთმანეთთან კავშირით არსებობენ. საგნებში დადებითი ის არის, რაც მათ ამგვარ არსებობაზე მიუთითებს, უარყოფითია ის, რაც და რითაც ეს საგანი სხვა

რამ არ არის. წიგნი არის რაღაც გარკვეული, რომელიც ამ გარკვეულობით თავისი თავიდან ყველაფერს გამორიცხავს, რაც ის არ არის. ეს გამორიცხვა და უარყოფა ისტორიული მოძრაობა არ არის. ე. ი. ისე კი არ ხდება, რომ საგანი, რომელიც თავისიდან რაღაცას გამორიცხავს, მას ჯერ თავისში შეიცავს და შემდეგ უარყოფს, არამედ ეს უარყოფა იმთავითვე მისი ქმნადობითაა მოხდენილი. რაკი ის ასეთია, მაშასადამე მისგან ყველაფერი გამორიცხულია, რაც ის არ არის. ეს არის საგანთა არსებობის არსოლოგიური პირობა, რომლის გარეშე საგნების არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. ამ დამოკიდებულებაში დადებითი არის პირველადი, ხოლო უარყოფითი — მეორადი. უარყოფა რაიმეს უარყოფაა. ამიტომ ის დადებითის არსებობას გულისხმობს. ჰეგელი, რომელიც თავის ფილოსოფიას უარყოფის ცნებაზე აფუძნებს, სისტემას უარყოფითიდან კი არ იწყებს, არამედ დადებითიდან. მისი ლოგიკის ამოსავალია არსის ცნება, რომელიც ლოგიკური განვითარების გზით არარსის ცნებაში გადადის, რაკი არსის სფეროში პირველადი დადებითია, ხოლო უარყოფითი მასშია და მისი საპირისპიროა, ამიტომ ლოგიკურ-გნოსეოლოგიურადაც პირველადი დადებითი მსჯელობა უნდა იყოს.

შემეცნება იმის გაგებას ახდენს, რაც არის საგანი, და მის საფუძველზე იმას ადგენს, რაც საგანი არ არის, შემეცნება ჯერ ადგენს დადებით მსჯელობას, ხოლო უარყოფითი მსჯელობა დადებითი მსჯელობის უარყოფაა. ცხადია, მსჯელობა ისევე მსჯელობას უნდა დაუპირისპირდეს. ისე როგორც საგანი საგნის უარყოფაა, ასევე მსჯელობა მსჯელობის უარყოფაა. კარგი ამინდი ცუდ ამინდს უპირისპირდება, მაგრამ კარგი ამინდი არ უპირისპირდება ცუდი ამინდის შესახებ მსჯელობას. რაკი დადებითი მსჯელობა გამოთქმულია, ის უარყოფით მსჯელობას გამორიცხავს და, პირიქით, თუ უარყოფითი მსჯელობაა დადგენილი, ის დადებითი მსჯელობის გამომრიცხველია.

უარყოფითი მსჯელობა დადებითი მსჯელობის არსებობას გულისხმობს და მის უარყოფას წარმოადგენს, ისე რომ ერთი რომელიმე დადებითი თუ უარყოფითი მსჯელობა თავისში თავის საწინააღმდეგო აზრის შემცველი არ არის. დადებითი მსჯელობა შეიძლება უარყოფით მსჯელობად გარდაქმნათ ისე, რომ მას თავისი შინაარსი შეუნარჩუნოთ იმით, რომ უარყოფის მაჩვენებლის უარყოფას მოვახდენთ. მაგალითად, „დღეს არაკარგი ამინდი არ იქნება". ეს მსჯელობა უარყოფითია, თუმცა მასში დადებითი მსჯელობის აზრი შენარჩუნებულია. ეს იმიტომ მოხდა, რომ დადებითი უარყოფითად ვაქციეთ და შემდეგ მისი უარყოფა მოვახდინეთ. უარყოფის უარყოფა კი დადებითია, რაც შეეხება უარყოფითი მსჯელობის დადებით მსჯელობად გარდაქმნას, მაგალითად „ქათამი არ არის სამფეხა", ეს მხოლოდ იმით არის შესაძლებე-

ლი, რომ მსჯელობის პრედიკატს უარყოფით პრედიკატად ვაქცევთ — „ქათამი არის არასამფეხა". საქმე ის არის, რომ ეს მსჯელობა მხოლოდ გრამატიკულად არის დადებითი, რამდენადაც კავშირი არის დადებითი. მაგრამ რამდენადაც პრედიკატი ვაქციეთ უარყოფითად, მსჯელობის უარყოფითობა ისევ ძალაში რჩება, რადგან არასამფეხა სამფეხას უარყოფაა. ის დადებითი მსჯელობა მაშინ იქნებოდა, დადებითი ნიშნის გვერდით რომ უარყოფითი ნიშანიც არსებობდეს, მაგრამ ასეთი ნიშანი არ არის. ყოველი ნიშანი დადებითია. ეს ნიშანი უარყოფითია იმდენად, რამდენადაც ის რაიმე საგანს არა აქვს, მაგრამ შეიძლება სხვა რომელიმე საგანს ჰქონდეს, ამიტომ „არასამფეხა" არის ის, რაც სამფეხი არ არის. ეს კი დადებითია. ეს არის ორფეხა, ოთხფეხა და სხვა.

დადებითი და უარყოფითი მსჯელობების განსხვავება იმასაც ემყარება, რომ არსებობა და არარსებობა ერთი და იგივე არ არის. არსებობა საგნის მოცემულობაა, რომელიც არსებობის რაიმე სახით არსებობს. ის, რაც ამ ფორმით არ არის, არარსებულია და მის გამოსახატავად უარყოფითი მსჯელობაა. მაშასადამე, არსებობა დადებითი მსჯელობის საფუძველია, ხოლო არარსებობა უარყოფითის. რაკი დადებითი და უარყოფითი სინამდვილის გარკვეულობაა, აზროვნება მსჯელობით მისი გამოთქმაა. ამიტომ, ეს დაპირისპირება მსჯელობისათვის აუცილებელია.

სინამდვილეს თავის მოძრაობაში ერთი თავისებურება აქვს. ყოველი მოვლენა თავის საწინააღმდეგო მდგომარეობაში გადადის. ცოცხალი არსება იბადება, იზრდება და ისპობა. ეს საფეხურები ერთიმეორეს მისდევს და ერთიმეორეს უარყოფას წარმოადგენენ. მეორე პირველში იბადება და მისი უარყოფაა. მსჯელობებს თუ ამ კუთხით მივუდგებით, ვნახავთ, რომ ერთი მსჯელობა მეორე მსჯელობას, როგორც თავის უარყოფას, თავისში არ შეიცავს. მსჯელობათა რიგი ურთიერთუარყოფის კანონს არ ემორჩილება. მსჯელობაში არ არის თავისი საწინააღმდეგო მსჯელობა, რომელიც მასში ვითარდება და პირველის უარყოფას წარმოადგენს. აქ მსჯელობები, როგორც ერთიმეორის საწინააღმდეგონი, ურთიერთგარეშდებარეა, ამიტომ უარყოფა ხდება შემდეგნაირად: როცა აღმოჩნდება, რომ შემეცნების განვითარებაში მოცემული მსჯელობა მცდარია, ის უარყოფილი იქნება ახალი მსჯელობით, რომელიც პირველისაგან კი არ დაიბადა, არამედ — შემეცნების პროცესში მისი უარყოფით. ერთეულ, ცალკეულ და ზოგად მსჯელობას ენგელსი წარმოადგენს როგორც ურთიერთუარყოფას, რითაც ერთიდან მეორეზე ხდება გადასვლა. შემეცნება ნამდვილად ახდენს ჯერ ერთეული მსჯელობის შემდეგ ცალკეულის, ხოლო ბოლოს ზოგადი მსჯელობის დადგენას, მაგრამ ისინი ურთიერთთან წინააღმდეგობრივ მიმართებაში არ არიან.

ერთეული მსჯელობიდან ცალკეულ მსჯელობაზე გადასვლა პირველის უარყოფას კი არ ნიშნავს, არამედ მისი ფარგლების გაფართოებას, რაშიც ერთეული მსჯელობა შედის, როგორც მისი შემადგენელი. როცა შემეცნება ერთეული და ცალკეული მსჯელობების საფუძველზე ადგენს ზოგად მსჯელობას, ეს უკანასკნელი ერთეულისა და ცალკეულის უარყოფა კი არ არის, არამედ მათი სფეროს გაფართოებაა. ზოგადში შედის როგორც ერთეული, ისე ცალკეული, სწორედ ამიტომ ზოგადიდან შესაძლებელია როგორც ერთეულის, ისე ცალკეულის გამოყვანა; ისინი ერთმანეთს რომ გამორიცხავდნენ, მაშინ ამ გამოყვანას ადგილი არ ექნებოდა.

ჭეშმარიტება იმის აღიარებაა, რაც არის ან რაც არ არის: აღიარება მხოლოდ მოაზროვნის საქმეა, ხოლო მოაზროვნეს ამისათვის მსჯელობა აქვს. მსჯელობა აღიარების ფორმაა. ამიტომ ჭეშმარიტება მსჯელობის ნიშანია. მსჯელობა შეიძლება იყოს მცდარი და ჭეშმარიტი. მსჯელობის მესამე სახე ამ მიმართებით ისეთი მსჯელობაა, რომელსაც ჭეშმარიტება — მცდარობის ნიშანი არ მიეწერება, რადგან მსჯელობის საგანი ისეთია, რომ არ შეგვიძლია მის შესახებ რაიმეს დასაბუთება. ჭეშმარიტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსჯელობა. „ყოველი ატომი პროტონებისა და ელექტრონებისაგან შედგება“ დადებითი მსჯელობაა, ამავე დროს ჭეშმარიტი; „არც ერთი ქათამი სამფეხა არ არის“ უარყოფითი მსჯელობაა და ჭეშმარიტი; ასევეა მცდარობის მიმართაც, ის მიეწერება როგორც დადებით, ისე უარყოფით მსჯელობებს.

მსჯელობებს ადამიანი ადგენს, მაგრამ როგორც მსჯელობაა მოცემული, ისე არ არის მისი ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება რაიმე მსჯელობას თავისთავად აქვს, მაგრამ მისი ჭეშმარიტება ჩვენთვის მაშინვე არ არის გარკვეული. იმისათვის, რომ ჭეშმარიტება ჩვენთვის ნათელი გახდეს, საჭიროა ან დასაბუთება, ამ მსჯელობის სხვა ნაცნობ მსჯელობაზე დაყვანა, ან მისი ცდით დადასტურება.

როგორც დასაბუთება, ისე დადასტურება მსჯელობის თავისთავადი ჭეშმარიტების ჩვენთვის ჭეშმარიტებად ქცევაა. მსჯელობის ჭეშმარიტება იმ საგნით არის განსაზღვრული, რაზედაც ის არის მიმართული. „ყოველი ატომი ნაწილაკებად იშლება“ ჭეშმარიტია, რადგან სინამდვილეში არსებობს ატომი, რომელიც ნამდვილად იშლება ნაწილაკებად. ამ მსჯელობის აუცილებლობაც სწორედ საგნით არის განსაზღვრული, აუცილებლობა აქ იმაშია, რომ თუ ნამდვილად არის ატომი და ის ნაწილაკებად იშლება, მასზე ეს მსჯელობა უნდა გამოითქვას.

მსჯელობის აუცილებლობა ზოგიერთ ფილოსოფოსს სხვა არეში გადააქვს. ასეთია, მაგალითად, რიკერტი, რომლის გაგებით მსჯელობის

აუცილებლობას განსაზღვრავს, ტრანსცენდენტური ვალდებულება. 2+2=4 მსჯელობას ტრანსცენდენტური ვალდებულება განსაზღვრავს. ეს მსჯელობა რაღაც საგნით კი არ არის განსაზღვრული, არამედ ვალდებულებით. მსჯელობა ვალდებულებას გამოხატავს როგორც თავის საგანს. რიკერტის ეს აზრი უსაფუძვლოა, რადგან თუ ვალდებულება, როგორც საგანი, რაზედაც მსჯელობაა მიმართული, მსჯელობას განსაზღვრავს, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ მისი საშუალებით მცდარი მსჯელობა, რომელიც ისევეა მსჯელობა, როგორც ჭეშმარიტი.

თუ ვალდებულებაა მსჯელობის საგანი, მაშინ მცდარი მსჯელობა არ უნდა არსებობდეს. ვალდებულება განსაზღვრავს მსჯელობას, რომელიც სხვაგვარად შეუძლებელია გამოითქვას. თუ მცდარი და ჭეშმარიტი ორივე ერთნაირად აუცილებელია, როგორც ვალდებულების შედეგი, მაშინ ჭეშმარიტსა და მცდარ მსჯელობას შორის განსხვავება არ არის. მსჯელობის აუცილებლობა მხოლოდ იმაშია, რომ ის ჭეშმარიტია, რომელიც უნდა აღიარებულ იქნეს. მსჯელობის აუცილებლობა ჭეშმარიტებით არის განსაზღვრული, ამიტომ აზროვნებამ მას არც შეიძლება გვერდი აუქციოს, მცდარი კი, რადგან ის ჭეშმარიტი არ არის, აუცილებელი არ იქნება.

ჭეშმარიტების აღიარების ვალდებულება კი იქიდან მოდის, რომ შემეცნება განსაზღვრულია ამოცანით, რომელიც იმის აღიარების მოთხოვნაა — რაც არის ან რაც არ არის. ეს ამოცანა რაღაც ტრანსცენდენტური პირობით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სინამდვილის ამოცანის სახით არსებობით, რომელზედაც ადამიანმა ის უნდა თქვას, რაც არის. მსჯელობები აუცილებლობის მიხედვით შეიძლება იყოს ცდისეული და ზეცდისეული.

ცდისეული მსჯელობები მათი შემადგენელი ცნებების მიმართების მიხედვით აუცილებლობას არ ფლობენ, ე. ი. თუ მოცემული გვაქვს მსჯელობის სუბიექტი, მისგან აუცილებლობით არ გამოდის მისი პრედიკატი. მაგალითად, ქვა არის მსჯელობის სუბიექტი, მაგრამ მისგან აუცილებლობით არ გამოდის ის პრედიკატი, რაც მას უნდა მიეწეროს. მას შეიძლება მიეწეროს, რომ ის არის მძიმე, განფენილი, თეთრი ან სხვა რომელიმე ფერის საშენი მასალა და სხვა მრავალი. ცდისეული მსჯელობის სუბიექტს მრავალი შესაძლებელი პრედიკატი მიეწერება და მისგან არც ერთი არ გამოდის აუცილებლობით. ზეცდისეული მსჯელობები იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ამ აუცილებლობას ფლობენ. 2×2=4 მსჯელობა სუბიექტ-პრედიკატის აუცილებელ დამოკიდებულებას გამოხატავს.

ჭეშმარიტი და მცდარი მსჯელობების გვერდით არსებობს შეფასებითი მსჯელობები. ეს ისეთი მსჯელობებია, რომელთა შესახებ არ ითქ-

მება არც ის, რომ ის ჭეშმარიტებაა, და არც ის, რომ მცდარია. ჭეშმარიტი და მცდარი მსჯელობები გამოხატავენ აზრის საგანთან მიმართებას. რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ის გამოხატავს სუბიექტის, სახელდობრ გრძნობადი სუბიექტის, საგნისადმი მიმართებას. ეს სუბიექტი აზრის მიხედვით კი არ უდგება საგანს, არამედ გრძნობის მიხედვით. საგნისადმი გრძნობადი დამოკიდებულება გამოხატავს საგნის ღირებულებას. „ფიროსმანიშვილის სურათი „მეეზოვე“ არის უშვენიერესი“, ეს არის შეფასებითი მსჯელობა, რომელსაც მსჯელობის ყველა ნიშანი აქვს. მასში არის მსჯელობის სუბიექტი, პრედიკატი და კავშირის გამომხატველი ნიშანი „არის“, მაგრამ მასზე ვერ ვიტყვით, რომ ის ჭეშმარიტია ან მცდარი. ეს მსჯელობა შეფასებითია. ამ შეფასებას გამოხატავს პრედიკატი „უმშვენიერესი“.

„უშვენიერესი“ არ არის საგნის ფიზიკური ნიშანი, იგი ვლინდება საგნისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში. ჭეშმარიტებას ხარისხი არა აქვს. არ შეიძლება ვთქვათ, რომ $2\times2=4$ ჭეშმარიტებაა, ან ატომები არსებობს თავისთავად ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათზე მეტი ჭეშმარიტება სხვა არის. ნამდვილად ერთი ჭეშმარიტი მეორე ჭეშმარიტზე მეტი არ არის, ორივე ერთნაირად ჭეშმარიტია. ერთი ჭეშმარიტება შეიძლება მეორის საფუძველი იყოს და მისგან გამომდინარეობდეს, მაგრამ ორივე, როგორც ჭეშმარიტება, ერთნაირია; ამ შემთხვევაში მხატვრული საგნის შესახებ აგებული მსჯელობის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. თუ ფიროსმანის მეეზოვე უმშვენიერესია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა რომელიმე მხატვრის მიერ დახატული მეეზოვეც ასეთი ხარისხისა იქნება. ის შეიძლება მშვენიერი იყოს და შეიძლება ცუდი.

შეფასებით მსჯელობაში პრედიკატი ხარისხის გამომხატველია, ე. ი. ის შეიძლება იყოს ცუდი, კარგი, და უფრო კარგი. ჭეშმარიტების მსჯელობაში საგანი მოცემულია როგორც ნამდვილი. ნამდვილობას ხარისხები არა აქვს, მისი ნიშანი ყველა საგნისათვის ერთი და იგივეა. ერთი საგანი მეორეზე ნაკლებად არ არის ნამდვილი ანდა მეტი; რაკი შეფასებითი მსჯელობა გამოხატავს ადამიანის გრძნობად მიმართებას საგნისადმი, ხოლო გრძნობადი მიმართება სხვადასხვაა, ამიტომ შეფასებით მსჯელობას საყოველთაო ხასიათი არა აქვს. ის, რაც ერთისათვის მშვენიერია, შეიძლება მეორესათვის ასეთი არ იყოს, ჭეშმარიტება კი ზოგად-საყოველთაოა.

რაკი შეფასებითი მსჯელობა ხარისხისა და გრძნობადი მიმართების გამომთქმელია, ის ჯერარსულია. ეს იმას ნიშნავს, რომ საგნისადმი წამოყენებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვით საგანი ისეთი უნდა იყოს როგორც მის იდეალშია მოცემული. ერთი საგნის როგორობა მისი იდეალის მიხედვით იზომება. ასეთი მოთხოვნა წამოყენებულია

მხატვრული საგნის მიმართ. ეს საგანი ნამდვილობის მიხედვით კი არ ფასდება, არამედ მისი იდეალით. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ იდეალს შეესაბამება, ხოლო რომელიმე კომპოზიტორის ოპერა შეიძლება არ შეესაბამებოდეს იდეალს, თუმცა ის ისევე არსებობს, როგორც ფალიაშვილის „დაისი“. მაშასადამე, მათი როგორობა არა არსებობაშია, არამედ — იდეალთან შესაბამისობაში. შეფასებითი მსჯელობები სწორედ იდეალის მიხედვით არის აგებული.

ყოველი მეცნიერება ცოდნის სისტემაა. ცოდნა არის აზრი, რომელიც საგნის შესახებ გვეძლევა. მსჯელობა ცოდნის გამომხატველია. მსჯელობა არის პასუხი კითხვაზე: რა არის ეს? იმის გაცნობიერება, რაც არის, ცოდნაა. ყოველი წინა მსჯელობა შემდეგი მსჯელობისაგან განსხვავდება, რადგან თითოეული მათგანი სხვადასხვა საგნის გამომთქმელია. საგნები ურთიერთკავშირშია, ასევე ერთმანეთთანაა დაკავშირებული საგნის სხვადასხვა მხარეები. მსჯელობებმა და მათმა კავშირმა უნდა გამოხატოს საგანთა და მათ მხარეთა კავშირი, ისე რომ არსებითად მსჯელობათა კავშირი საგანთა კავშირით განისაზღვრება. აქ მსჯელობები ისე უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა ცოდნის გაფართოებას იძლევა. საგნის ერთი მხარე ერთი მსჯელობით გამოითქმება, ხოლო მეორე მხარე — მასთან აუცილებლობით დაკავშირებული ახალი მსჯელობით.

ამრიგად, ვღებულობთ მსჯელობათა გაბმულ ჯაჭვს, სადაც თითოეული ახალ ჰეშმარიტებას გვამცნობს. რაკი საგნის ეს მხარეები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, ამიტომ არც ეს მსჯელობები იქნებიან ერთმანეთის საწინააღმდეგონი. მსჯელობათა შორის უწინააღმდეგობა. როცა ისინი საგნის განსხვავებულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მხარეებს გამოხატავენ, სისტემის სახეს იღებს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ფიზიკური სინამდვილე შედგება ნივთიერებისა და ველისაგან, ველი ელექტრომაგნიტური ბუნებისაა, ელექტრომაგნიტური ველი ნაწილაკურ-ტალღური ბუნებისაა, ნივთიერება ატომებისაგან შედგება. ატომები კი ბირთვისა და ელექტრონისაგან. აქ მოცემული მსჯელობები ერთი საგნის სხვადასხვა მხარეს ეხება და მათი ურთიერთკავშირი მსჯელობათა ურთიერთკავშირის განმაპირობებელია. მსჯელობათა მოცემული კავშირი სინთეზურია, ე. ი. ცდის საფუძველზე ერთი მსჯელობა მეორესთანაა დაკავშირებული. თუ ერთი მსჯელობა იქნება, მეორეც უნდა იყოს.

მსჯელობათა სინთეზური კავშირი სწორედ ცოდნის განვითარების მაჩვენებელია. აქ ერთი მსჯელობიდან ისეთ მსჯელობაზე ხდება გადასვლა, რომელიც პირველისაგან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომელთა შორის მაინც რაღაც კავშირია. ლოგიკური გამომდინარეობა არ იძლევა ასეთი ცოდნის განვითარების უფლებას, რადგან ლო-

ჭიკურად გამომდინარე მსჯელობა პირველშია მოცემული. ლოგიკურ მეცნიერებაში ცოდნის ამგვარი სინთეზური განვითარება შეიძლება იქ ვნახოთ, სადაც ერთი განსხვავებული საგნიდან მეორე საგანზე გადავდივართ. ასე მაგალითად, სინთეზურია წრფეებიდან სამკუთხედზე ან მათგან კვადრატებსა და მრავალკუთხედებზე გადასვლა. აქ სინთეზი იმაშია, რომ წრფიდან ლოგიკურად სამკუთხედი არ გამოიყვანება, ისინი განყენებული სივრცის სხვადასხვა მხარეები არიან. თვითონ აქსიომები ერთმანეთისაგან ლოგიკურად არ გამოდიან და მათი ურთიერთკავშირი ანალიზური არ არის, ის სინთეზურია, რადგან აქსიომები სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენს. მსჯელობათა სინთეზური კავშირი ცოდნის განვითარებაა. ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მოცემულ ორ მსჯელობას შორის კიდევ იყოს ახალი მსჯელობები, რომლებიც მეცნიერებაში ჯერ არ არის დადგენილი. მოცემული ორი მსჯელობის კავშირი ლოგიკური თვალსაზრისით ნაკლოვანი არ არის. როცა ეს ახალი მსჯელობები დადგინდება, მაშინ ცოდნის თვალსაზრისით არსებული სარევზი ამოიცნება, საგნის ცოდნა უფრო სრულყოფილი გახდება. მეცნიერება შედგება როგორც ზოგადი, ისე ერთეული, როგორც ცდისეული, ისე ზეცდისეული მსჯელობებისაგან.

ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით ცდისეული მსჯელობები სიცხადეს არ ფლობს. ასეთი აზრი გამოთქმული აქვს აიერს. მისი აზრით ყოველი ცდისეული მსჯელობა ალბათურია. აიერი ებრძვის იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით ემპირიული მსჯელობა არის უშუალო, ანუ უშუალო გამოცდილების აღწერა. იგი ასეთი უშუალო გამოცდილების ამწერ მსჯელობას უწოდებს ცხადს, ცხადი მსჯელობა არის ხატი. აიერის აზრით, ცხადი მსჯელობა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია და ამიტომ შეუძლებელი[5]. ცხადი მსჯელობა თავის თავში შეიცავს თვალსაჩინო ნიშანს და ამავე დროს აზროვნებითს, რაც ლოგიკურად შეუძლებელია. წინადადება, რომელიც შეიცავს თვალსაჩინო ნიშანს, არის არა მსჯელობა, არამედ უბრალოდ წამოძახილი. თუ წინადადება გამოთქვამს მსჯელობას, ის არ შეიძლება იყოს უბრალო სახელი, მან რაიმე უნდა თქვას ამ სახელის შესახებ. მსჯელობა არ შეიძლება იყოს გრძნობადი შინაარსის უბრალო აღწერა, მან უნდა მოახდინოს მისი დაჯგუფება, რაც ნიშნავს უშუალოდ მოცემულის იქით გასვლას. მსჯელობა ცხადი იქნება, თუ იმას აღნუსხავს, რაც უშუალო გამოცდილებაშია მოცემული და არ გავა იმის იქით, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, ამიტომ არც ერთი ნამდვილი სინთეზური მსჯელობა არ არის ცხადი. სინთეზური მსჯელობა არ არის აბსოლუტურად ცხადი.

აიერს მოაქვს მაგალითი, რომლის საშუალებითაც ცდილობს თავი-

[5] Ayer, Language Truth and Logic, 1948, London, გვ. 91.

სი თვალსაზრისის ცხადყოფას ცხადი მსჯელობის შეუძლებლობის შესახებ. ვთქვათ, მოცემულია მსჯელობა: „ეს არის თეთრი“, რომელიც მიმართულია არა საგნის, არამედ გრძნობადი შინარსის მიმართ. ეს გრძნობადი შინაარსი შევა იმ გრძნობადი შინაარსის კლასში, რომელიც შეადგენს თეთრს და შეესაბამება, ეთანხმება სხვა ადამიანების გრძნობად შინაარსსაც. შეიძლება დავუშვათ, რომ მე ვცდები; შეიძლება ვთქვათ, რომ ჩემმა სხეულმა შეასრულა გარკვეული მოძრაობა და მივიღეთ ეს გრძნობადი შინაარსი. შესაძლებელია, რომ ეს გრძნობადი შინაარსი გარედან არ იბადებოდეს ან ნამდვილად განვიცდიდე ზემოქმედებას, მაგრამ ეს ჩემთვის შეუმჩნეველია; ანდა შეიძლება დავუშვათ, რომ ამ გრძნობად შინაარსს არა აქვს ეს თვისება.

მაშასადამე, როგორც ჩანს, მოცემული მსჯელობა ეჭვებს შეიცავს და, როგორც ემპირიული, არ არის ცხადი. აიერის აზრით, ჩვენ რომ გრძნობადი შინაარსი გვაქვს, ეს არ არის საეჭვო, ამაში ეჭვი უაზრობაა, საეჭვოა მხოლოდ ჩვენი მსჯელობები, რომლებიც ეხებიან გრძნობად შინაარსს. მსჯელობების გაიგივება გრძნობად შინაარსთან ლოგიკური შეცდომაა. ამ გაიგივების შედეგია მსჯელობებისათვის სიცხადის მიწერა. აიერის აზრით ცდისეულ მსჯელობას საგანი უშუალოდ არა აქვს მოცემული, იგი მიმართულია ზოგადი შინაარსისაკენ და ამის მიხედვით უნდა ვეძებოთ საგანი, რითაც გრძნობადი შინაარსია განსაზღვრული; ვრაკი საგანი უშუალოდ არაა მოცემული, ამიტომ ცხადი არაა, ყოველთვის ალბათურია.

ცხადი მსჯელობის აღიარების თვალსაზრისი რომ მივიღოთ, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ ეს მსჯელობა მიიღებს ტავტოლოგიურ ფორმას. მაგალითად, „ეს არის თეთრი“ მსჯელობის სახით ჩამოყალიბდება ასე — მე ვხედავ რაღაც თეთრს, მაშასადამე მე ვხედავ რაღაც თეთრს. ეს არის ტავტოლოგია. ამრიგად, ცხადი მსჯელობის აღიარებას ტავტოლოგიამდე მივყავართ. აიერი არ არის სწორი. ეს მსჯელობა მიმართულია საგნისაკენ და არა გრძნობადი შინაარსისაკენ. მსჯელობა „ეს არის თეთრი“ ეხება არა ჩვენს გრძნობად შინაარსს, არამედ საგანს, რომელიც ჩვენს გარეთ არის და გრძნობადი შინაარსისაგან განსხვავდება. მსჯელობა გრძნობად შინაარსს კი არ დაახასიათებს, როგორც ამას ფიქრობს აიერი, არამედ მისგან განსხვავებულ საგანს.

ჩემი გრძნობადი შინაარსი არც ერთ ფერს არ მიეკუთვნება, რადგან მას ფერი არა აქვს. მსჯელობა რომ გრძნობადი შინაარსისაკენ იყოს მიმართული, როგორც მას აიერი მსჯელობს[1], მაშინ მსჯელობაში მოცემული დახასიათება უნდა იყოს მისი დახასიათება, მაგრამ ასე არ არის. „ეს არის თეთრი“ არ ნიშნავს, რომ გრძნობადი შინაარსია თეთრი, არამედ

[1] ᲐᲘᲔᲠᲘ. გვ. 93.

რაღაც საგანია თეთრი. ჩვენში იბადება რაღაც სურათი. როგორია სურათი ეს ფსიქოლოგიისა და ფიზოლოგიის საკვლევი საგანია. ძველ დროში დემოკრიტეს აქვს გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვით საგნებიდან მოდის რაღაც ფორმები, რომლებიც შემოდიან ჩვენში და ამის საშუალებით ვხედავთ საგანს. სწორია თუ არა დემოკრიტე, ეს სხვა საკითხია, მაგრამ რომ რაღაც იბადება ჩვენში, რაც გრძნობად შინაარსს შეადგენს, ამის უარყოფა არ შეიძლება, რადგან ამის გარეშე საგანი უშუალოდ უნდა იყოს მოცემული ჩვენში, რაც შეუძლებელია. ტავტოლოგიურობა მსჯელობისა „მე ვხედავ რაღაც თეთრს“, „მაშასადამე მე ვხედავ რაღაც თეთრს“ ნიშნავს, არა იმას, რომ მსჯელობა გაიგივებულია გრძნობად შინაარსთან, არამედ საგნისა და გრძნობადი შინაარსის გაიგივებას. რამდენადაც მეორე პირველის იდეალური გამეორებაა. მაქვს გრძნობადი შინაარსი, მაშასადამე მაქვს საგანი, რომელზედაც გრძნობადი შინაარსია მიმართული. აიერი მართალია, რომ არ შეიძლება გრძნობადი შინაარსისა და მსჯელობის გაიგივება. „მე ვხედავ თეთრს“ მსჯელობაა, ხოლო თეითონ თეთრის ხედვის მდგომარეობა არის არა მსჯელობა, არამედ სუბიექტის გრძნობადი შინაარსია, რითაც მსჯელობა საგანზეა მიმართული, რომ გაშუალებულად გამოხატოს. თვალთუხილავი ვერაფერს ხედავს, მას არა აქვს ხედვის მდგომარეობა, ამიტომ ის ვერც გამოხატავს მსჯელობას, რომ რაღაცას ხედავს. მე ვხედავ რაღაცას, მაშასადამე მე ვხედავ რაღაცას; ტყუილად ფიქრობს აიერი, რომ აქ ტავტოლოგიას აქვს ადგილი, რადგან პირველი მსჯელობა კი არაა, არამედ ხედვის მდგომარეობა, ხოლო მეორე მის საფუძველზედ გამოთქმული მსჯელობაა, რომელიც მიმართულია საგნისაკენ. ეს არის აზრი, რომელიც ამ მდგომარეობის დადასტურებაა. ასეთი მსჯელობა რომ ტავტოლოგია იყოს, მაშინ მისი შემოწმება მართლაც არ იქნებოდა საჭირო. ამაში მართალია აიერი. შემოწმება შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან იგი გულისხმობს ორი განსხვავებულის შედარებას, ხოლო აქ სრული იგივეობაა.

აიერი არ არის მართალი, რომ ემპირიულ მსჯელობებში იგი არ ხედავს სიცხადის ნიშნებს. ეს მას იმიტომ მოსდის, რომ ამ მსჯელობებში იგი უარყოფს უშუალობას. უშუალობის მთლიანად უარყოფა შეცდომაა. როდესაც მე მაგიდაზე ვხედავ წიგნს ან გაზეთს, განსაზღვრული აზრით მას ეწოდება საგნის უშუალოდ მოცემულობა, არა იმ აზრით, რომ გრძნობადი შინარსი იგივეა ამ საგანთან, არამედ იმ აზრით, რომ გრძნობადი შინაარსის საგანი არის ჩვენს წინაშე. მე მას ვხედავ, მე მას ვკითხულობ, მაგრამ როდესაც მე მასზე მსჯელობას ვახდენ, ამასთან ერთად გავდივარ წმინდა უშუალობიდან, რადგან რაკი მე გამოვთქვამ მსჯელობას „ეს არის გაზეთი“, „ეს არის წიგნი“, მე ისინი შე-

ვიყვანე იმ საგანთა ჯგუფში, რომელსაც ეწოდება წიგნი და გაზეთი. ეს შესაძლებელია შეცდომაც იყოს და ჭეშმარიტებაც. ეს დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად სწორად ვახდენთ ამ საგნების ჯგუფში შეყვანას. არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ყველა ცდისეული მსჯელობა ალბათურია, და არც იმისა, რომ ყველა ცდისეული მსჯელობა სრულიად ცხადია.

მეცნიერება მსჯელობებისაგან შედგება. თუ მეცნიერება არის ალბათური, მაშინ მსჯელობებიც ალბათურია. არის თუ არა ემპირიული მეცნიერების ყველა მსჯელობა ალბათური? აიერის აზრით, ყველა მსჯელობა ალბათურია. პირველი კითხვა, რაც უნდა დაისვას და პასუხი გაეცეს, შემდეგია: რა არის ემპირიული მსჯელობა? რა არის არაემპირიული მსჯელობა? ემპირიული მსჯელობა იქნება ის, რომელიც მიმართულია ისეთი საგნისაკენ, რაც თვითონაც ემპირიულია, რაც მოცემულია უშუალო ცდაში, რის არსებობას ცდა გვიდასტურებს.

ასეთი ცდისეული მსჯელობები იქნება, უპირველეს ყოვლისა, ერთეული მსჯელობები: „ეს რკინის ნაჭერი არის ელექტრობის გამტარი", „ივანე არის ცოლშვილიანი", „აგურის ნატეხი მაღლიდან ჩამოვარდა და დაეცა ივანეს".

ერთეულ, ცდისეულ მსჯელობებში სუბიექტი და პრედიკატი არ არის აუცილებელ კავშირში, მათ შორის არის გარეგანი და შემთხვევითი დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს. მათი არსებობა მხოლოდ მაშინ იქნება ჭეშმარიტი, თუ მათ ცდით დავადასტურებთ. ემპირიული მსჯელობა შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად —პირველი იქნება ისეთი ცდისეული მსჯელობა, რომელიც გამოხატავს საგნისა და მისი მხარის შემთხვევით კავშირს, რომელიც შეიძლება იყოს და შეიძლება არ იყოს, ასეთია, მაგალითად, მსჯელობა: „ივანეს თავზე დაეცა აგურის ნატეხი". ეს მსჯელობა საგნისადმი კუთვნილ თვისებას არ გამოხატავს, ამიტომ იგი ყოველთვის ალბათურია. მეორე არის ისეთი ცდისეული მსჯელობა, რომელიც გამოხატავს საგანსა და მის მდგომარეობას შორის ისეთ დამოკიდებულებას, როცა საგნის მდგომარეობა მისი თვისებაა: „ეს რკინის ნაჭერი არის ელექტრობის გამტარი". მიუხედავად იმისა, რომ ეს მსჯელობა საგნის თვისებას გამოხატავს, მაინც ის ყოველთვის ლოგიკურად ალბათურია, რადგან არ არის იმის სრული უზრუნველყოფა, რომ რაკი მან ეხლა გაატარა ელექტრობა, ამიტომ ყოველთვის გაატარებს მას. როგორც ცდა გვიდასტურებს, მათ შორის არსებობს აუცილებელი კავშირი. ცდების განმეორებითი ჩატარების საფუძველზე მივდიკართ იმ დასკვნამდე, რომ რკინის ნაჭერი ყველა დროს ყველა პირობაში გაატარებს ელექტრობას.

პირველი და მეორე ემპირიული მსჯელობები სინთეზურია, ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსი არ არის ერთი და იგივე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და მსჯელობა გამოხატავს განსხვავებულთა კავშირს, რაც დამყარებულია არა გონების აპრიორული მოქმედებით, არამედ ცდის საშუალებით. მართალია, ცდისეული სინამდვილის შემეცნების მსვლელობა უსასრულოა, მაინც არ იქნება მართალი, თითქოს არ შეიძლებოდეს ისეთი მსჯელობების დადგენა, რომელთა ჭეშმარიტება ყოველი დროისათვის უზრუნველყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან ცდისეული და სინთეზური.

ერთეული მსჯელობა რომ დავადგინოთ, იგი აუცილებლად მოითხოვს ზოგად მსჯელობას, ისე, როგორც, პირიქით, ზოგადი მსჯელობა მოითხოვს ერთეულს. ამ კავშირის აუცილებლობა იმაშია, რომ ერთეული მსჯელობა, როგორც ერთეული საგნისადმი რაიმე ნიშნის ან თვისების მიწერა, ყოველთვის მოითხოვს სუბიექტის უშუალობიდან გასვლას, მოცემული ერთეულის საგანთა ჯგუფში შეყვანას. მაგალითად როცა ემსჯელობთ „ივანე არის ადამიანი", ამით ივანეს მივაწერე ადამიანის ნიშანი, რომელიც თვითონ არის და რომელიც ივანეში არ ამოიწურება. შეიძლება ზოგადი მსჯელობა უშუალოდ არ გვქონდეს, მაგრამ ერთეული მსჯელობის შემეცნებითი გეზი ზოგადისაკენ არის მიმართული. რაკი ერთეული მსჯელობა მიდის ზოგადისაკენ, ამიტომ ზოგადი მსჯელობა ერთეულს თავის საფუძვლად აქცევს.

მართალია, საერთოდ ცდა ყოველთვის განუსაზღვრელია, ყოველი მოცემული საგანი ყოველთვის შეიძლება სხვაგვარი იყოს და ცდისეული საფუძველი არ არსებობს, რომ ყოველთვის ეს მოცემული განმეორდება და ისე განმეორდება, როგორც ახლა არის, მაგრამ ყოველ ბოლომდე საგანს აქვს ისეთი მხარე, რომელიც მისთვის გარეგანია, და ისეთი, რომელიც შინაგანია. ამ შინაგანი მხარის შემეცნებამდე ადამიანი ბევრ ცდას მოახდენს და ისეთ საზღვარს მიაღწევს, რომ ცდაში გამომჟღავნდება ის, რაც საგნის შინაგანი და არსებითია. ისმის კითხვა — როგორ ან რატომ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს ნიშანი შინაგანია, შეიძლება ცდის შემდეგმა პროცესებმა სხვა ნიშანი გვიჩვენოს? აბსტრაქტულად ასეთი კითხვის დასმა შეიძლება, მაგრამ ნამდვილად თუ დასაბუთდება ამ ცდის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, მაშინ ერთადერთი იქნება ცდის შინაარსი. თუ, მაგალითად, ცდა ადასტურებს, რომ სხეულს აქვს სიმძიმე და წონა, მაშინ ამის საწინააღმდეგო ცდის შეუძლებლობა იქნება მისი ერთადერთობის მაჩვენებელი.

სხეული, რომელსაც არა აქვს სიმძიმე და წონა, არ არის სხეული, ამა თუ იმ ერთეულის შესახებ ცოდნას ვადგენთ არა მარტო იმის მიხედვით, თუ როგორ გვეძლევა უშუალო ცდაში, არამედ იმითაც, თუ რო-

გორ კავშირშია იგი მთელ სინამდვილესთან. თუ ის ცდის საწინააღმდეგოს არსებობით თავის თავსაც ეწინააღმდეგება და მთელ სინამდვილესაც, ცხადია, რომ ეს ცდა საკმარისია აუცილებლობითი მსჯელობის დასადგენად. მრავალი ცდით და დაკვირვებით არის შემოწმებული მთელი რიგი მსჯელობების ჭეშმარიტება და შეუძლებელია სხვაგვარი შინაარსის მიღება. მაგალითად, მსჯელობა „ყველა ადამიანი არის მოკვდავი" არ შეიცავს მის საწინააღმდეგო შესაძლებლობას, ე. ი. შეუძლებელია, რომ ყველა ან რომელიმე ერთი ადამიანი იყოს უკვდავი. ამიტომ ეს მსჯელობა არ არის ალბათური.

„ადამიანი არის იარაღის მკეთებელი" — აქ სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსი ერთი და იგივე არ არის. თუმცა იარაღის მკეთებელი მხოლოდ ადამიანია, მაგრამ ეს ადამიანის ერთ-ერთი მხარეა და მნიშვნელობით ერთი და იგივე არ არის. ორი განსხვავებულის აუცილებელი კავშირი სინთეზურობის მაჩვენებელია და არა ანალიზურობის მოკვდავი და ადამიანი ორი განსხვავებული ცნებაა. მოკვდაობა არ არის ისეთი რამ, რაც ადამიანთან იგივეობას წარმოადგენს. მოკვდავობა რომ მისგან განსხვავებულია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გარკვეულ დროს მოკვდაობა იყო, მაგრამ არ იყო ადამიანი. ცხადია, ადამიანი აუცილებლობით უკავშირდება მოკვდაობას, მაგრამ როგორც თავისაგან განსხვავებულს და არა როგორც თავისაგან იგივეობრივს. დადებითსა და უარყოფითს შორის აუცილებელი კავშირია. თუ არის დადებითი, არის უარყოფითიც, მაგრამ ეს მსჯელობა ანალიზური არ არის, რადგან ისინი ერთიმეორის საპირისპირონი არიან და, როგორც საპირისპირონი, გარკვეულ კავშირშია.

ის აზრი, რომ ერთი არ არის მეორე, მაგრამ მათ შორის აუცილებელი კავშირია, შეიძლება დადასტურდეს სხვა მოვლენებზე მითითებით. ასეთია, მაგალითად, მატარებლისა და რკინის რელსების ურთიერთობა. პირველი არ არის მეორე, მაგრამ მათ შორის აუცილებელი კავშირია. საწარმოო ძალები არ არის წარმოებითი ურთიერთობანი, მაგრამ მათ შორის აუცილებელი დამოკიდებულებაა, თუ არის ერთი, არის მეორეც ვაშლი და მისი ყუნწი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მათ შორის აუცილებელი კავშირია. რაც შეეხება იმას, რომ ერთის ანალიზი აუცილებლობით მიგვიყვანს თუ არა მეორესთან, როგორც მისგან განსხვავებულთან, ეს გამომდინარეობს არა მათი ლოგიკური ანალიზიდან, არამედ ცდაში მოცემული მათი აუცილებელი კავშირიდან. თუ ასეთ აუცილებლობას არ ვცნობთ, მაშინ ყველაფერი დაყვანილი იქნება შემთხვევითობაზე, მივიღებთ, რომ მსჯელობის სინთეზურობა შესაძლებელია მაშინ, როცა მთელ სინამდვილეში ბატონობს მხოლოდ შემთხვევითობა. მაგრამ თვით წმინდა შემთხვევითობა თავისუფალი არ იქნება აუცი-

ლებლობისაგან, რადგან შემთხვევითობა შემთხვევით კი არ არსებობს, არამედ აუცილებლობით და, მაშასადამე, შემთხვევითობა აუცილებლობას ვერ გაექცევა. შემთხვევითი კავშირები აუცილებლობით უნდა არსებობდნენ, მათი მოაზრება არ შეიძლება აუცილებლობის გარეშე თუ ყველაფერი იგივეთა კავშირი იქნებოდა და არა განსხვავებულთა, მაშინ შემეცნება ახლის მომცემი არ იქნებოდა. მაშასადამე, აუცილებელი სინთეზური მსჯელობის აღიარება აუცილებელია, რადგან ის არის შემეცნების ფაქტის ახსნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ეს აუცილებელი სინთეზური მსჯელობა არ არის აპრიორული, იგი ცდისეულია, ე. ი. ცდა გაძლევს მის სხვაგვარად შეუძლებლობის არსებობას, ამიტომ მას გამოეთქვამთ, როგორც აუცილებელ დამოკიდებულებას, მეცნიერება ნამდვილად იცნობს ისეთ მსჯელობებს, რომელთაც აუცილებლობითი ხასიათი აქვთ და მასთან სინთეზური ბუნებისანი არიან. „ყველა მატერიალური სხეული არის ბოლოვადი", „ყველა მატერიალური საგანი არის მოძრაობა ცვალებადობაში" — ეს მსჯელობები ცდის განზოგადების შედეგია, რომელიც თავისში არ შეიცავს თავის უარყოფის შესაძლებლობას, იმიტომ კი არა, რომ ანალიზურია, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტია. მათი ჭეშმარიტება იმაში კი არაა, რომ ისინი წინააღმდეგობის შემცველნი არ არიან, არამედ იმაში, რომ ისინი საგანთა ვითარებას გამოხატავენ, მათი აუცილებლობა სხვაგვარად ყოფნის შეუძლებლობაშია.

სინთეზურია ის მსჯელობა, რომლის ზოგადი სუბიექტი და პრედიკატი მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, ყველა რკინა ელექტრობის გამტარია ან ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია. ლითონი და ელექტრობა ერთი და იგივე არ არის, ისინი შეიძლება გამოვყოთ ერთმანეთისაგან.

რამოდენიმე სიტყვა ზოგად ანალიზურ მსჯელობაზე. ზოგიერთის აზრით, რაკი ანალიზური მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი შინაარსით ერთი და იგივეა, ის შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ. მთავარია არა ანალიზური, არამედ სინთეზური მსჯელობა, რადგან პირველში პრედიკატი სუბიექტის იგივეა, ხოლო მეორეში მისგან განსხვავებული. პირველი არ ამდიდრებს ცოდნას, ხოლო მეორე — ამდიდრებს. მართალი არ იქნება ის თვალსაზრისი, რომელიც იტყვის, რომ ანალიზური მსჯელობა ახალ ცოდნას არ იძლევაო.

მართალია, ანალიზურ მსჯელობებში სუბიექტი და პრედიკატი მნიშვნელობით ერთი და იგივეა, მაგრამ ეს იგივეობა შემეცნების დასაწყისში კი არ არის მოცემული, არამედ შემეცნების შედეგია. მაშასადამე, შემეცნების მიზანია იმის გაგება თუ რა არის სუბიექტი და რა პრედიკატით შეიძლება დახასიათდეს ის. აღმოჩნდება, რომ იგი ხასიათ-

დება პრედიკატის იგივეობრივი მნიშვნელობით. ყოველი მსჯელობა რაღაცის ამოცნობაა. მსჯელობის სუბიექტი ამოცნობილი უნდა იქნეს პრედიკატში. ეს აზრი ჰეგელს აქვს გამოთქმული. ის წერს: „სუბიექტი პირველად მხოლოდ პრედიკატში იძენს თავის მკაფიო გარკვეულ განსაზღვრულობასა და შინაარსს"[7].

ამ საკითხში ფრეგეს დამსახურება ის არის, რომ მან შემოიტანა მნიშვნელობისა და საზრისის ცნებები. ეგრეთ წოდებულ ანალიზურ მსჯელობებში სუბიექტი და პრედიკატი მნიშვნელობით იგივეა და საზრისით განსხვავდებიან: ამრიგად, აქ განსხვავებულთა კავშირია, ამიტომ ამ მიმართულებით ეს მსჯელობა ამოსაცნობისა და ამომცნობის ერთიანობაა. რაკი ეს ასეა, ასეთი მსჯელობა ცოდნის მომცემია, მისი გამფართოვებელია.

საერთოდ, შემეცნების მიზანია არა მარტო ის, რომ განსხვავებულები მოიყვანოს კავშირში და მათ შორის აუცილებლობის ჯაჭვი გაავლოს, არამედ ისიც, რომ ის, რაც გვეჩვენება, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული, შეცნობილი იქნეს, როგორც იგივეობა. შემეცნების ამოცანაა, გაიგოს სუბიექტის რაობა. სუბიექტის რაობა გამოხატულია პრედიკატში, ხოლო მათი შინაარსობრივი ანალიზი მიგვიყვანს მათი მნიშვნელობის იგივეობამდე.

რა არის საგანი ნიშნავს საგნის არსების გაგების მოთხოვნას. საგნის არსების აღმოჩენა უპასუხებს კითხვაზე — რა არის საგანი? ეს კი ნიშნავს, რომ საგანი არის ის, რაც ახასიათებს საგანს, რაც არის მისი შინაგანი თვისება. მაგალითად, რა არის ადამიანი ნიშნავს, გაიგო რა დამახასიათებელი არსებითი თვისებები აქვს ადამიანს, რაც მხოლოდ მას ახასიათებს და არა სხვას. ამ ნიშნების აღმოჩენა იქნება სუბიექტის დახასიათება პრედიკატით, რომელიც სუბიექტთან ერთი მხრით, იგივეობრივია. ამ შემთხვევაში ასეთი მსჯელობის დადგენა იგივეა, რაც საგნის არსების შემეცნება. თუ ამის შეცნობა პირდაპირ არ შეიძლება, მაშინ ის არ გვეძლევა შემეცნების დასაწყისში, პირიქით, გვეძლევა შემეცნების ბოლოს.

როგორც ანალიზური, ისე სინთეზური მსჯელობები ცოდნის მომცემია, რადგან აქ მოცემულიდან ახალზე ხდება გადასვლა, რაც მოცემული არ არის. 2×2 და ოთხი ისეთი ცნებებია, სადაც პირველი მეორეში თავის იგივეობას გამოხატავს. მაგრამ 2×2 და 4 მაინც განსხვავებულია, რადგან პირველი ერთგვარი ძიების მაჩვენებელია, ხოლო მეორეში ამ ძიების შედეგია მოცემული. ამიტომ, ასეთი მსჯელობა არ შეიძ-

---

[7] ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, 1962 წ., გვ. 358, შ. პაპუაშვილის თარგმანი.

ლება უშუალო ტავტოლოგიურ მსჯელობად ჩაითვალოს, როგორიცაა 2×2= 2×2. აქ პირველი უშუალოდ არის განმეორებული მეორეში, ხოლო 2×2=4-ში 4 პირველის უშუალო განმეორებას არ წარმოადგენს. ამრიგად, ყოველი ანალიზური მსჯელობა ტავტოლოგიად არ ჩაითვლება, რამდენადაც სუბიექტი ამოსაცნობია და ის, რითაც ამოცნობილი იქნება, უშუალოდ მისი განმეორება არ არის. ამომცნობი მასთან მხოლოდ მნიშვნელობით არის იგივეობრივი, ხოლო თავიანთი მოქმედების ადგილით განსხვავდებიან.

ეგრეთ წოდებული სინთეზური მსჯელობა ცოდნას იმიტომ კი არ იფართოვებს, როგორც ეს კანტს ჰგონია, რომ სუბიექტს გარედან პრედიკატი უერთდება, არამედ იმიტომ, რომ სუბიექტი, როგორც ამოსაცნობი, პრედიკატით ხდება ამოცნობილი. მცდარ მსჯელობაში სუბიექტი და პრედიკატი, როგორც დამოუკიდებელი, ისე უერთდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს ცოდნას არ აფართოვებს. ცოდნის გაფართოვება ხდება სწორედ იმით, რომ სუბიექტი პრედიკატში ამოიცნობა; ამიტომ მსჯელობა ამოსაცნობისა და ამომცნობის დამოკიდებულებაა. ანალიზურობა და სინთეზურობა არის მხოლოდ ამ მსჯელობების აგების მეთოდი. ერთ შემთხვევაში მსჯელობის აგებისათვის მივმართავთ მოცემული ცნებების ანალიზს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცდას. სუბიექტის ამოცნობა მოქმედებას მოითხოვს და სწორედ ამომცნობი იმ მოქმედების შედეგია, რომელიც მნიშვნელობით სუბიექტის იგივეობრივია.

სუბიექტი თავისი თავის იგივეობას სხვაში გამოხატავს, ამდენად მსჯელობა ამოცანის გადაწყვეტას წარმოადგენს. უშუალოდ ტავტოლოგიურია შემდეგი მსჯელობები: თუ რაიმე საგანი ძროხაა, ის არის ძროხა, ე. ი. ძროხა არის ძროხა; თუ რაიმე არის ძროხა, მაშასადამე ის არის ძროხა. ამ მსჯელობებში გვაქვს სრული ტავტოლოგია, რადგან მსჯელობის პრედიკატი უშუალოდ სუბიექტს იმეორებს. ეს მსჯელობები გამოხატავენ მხოლოდ საგნის ამგვარად მყოფობას და მისი არსებობის რაიმე მხარეს ან თვისებას არ ეხებიან. ამდენად, ისინი საგნის შესახებ ცოდნას არ აფართოვებენ. ეს მსჯელობები საგნის შემეცნების პირობებს უფრო წარმოადგენენ ვიდრე თვითონ შემეცნებას. ცხადია, ამ მსჯელობების დადგენამდე მისვლა ნიშნავს შემეცნების განვითარებას, რადგან ამ მსჯელობებით გაგებულია, რომ საგანი, შეცნობილი რომ გახდეს, მისთვის და თავისთავად გარკვეული უნდა იყოს, მაგრამ თვით ეს გარკვეულობა საგანთა შემეცნების პირობაა და მის არსებობის მხარეზე არაფერს გვეუბნება.

§ 8. თუობითი მსჯელობის ჰეშმარიტება

თუობითი მსჯელობის ზოგადი სახე ასეთია: A—B არის საფუძვლისა და შედეგის დამოკიდებულების გამომსახველი: A საფუძველია B-სი. ეს იმას ნიშნავს, რომ მსჯელობაში გამოხატულ საგანთა შორის აუცილებელი დამოკიდებულებაა. პირველის არსებობა მეორის არსებობას აპირობებს. პირველისაგან მეორის განსაზღვრულობა თვით მათი გამომსახველი მსჯელობების ისეთ კავშირს აპირობებს, რომლის მიხედვით ერთი მეორის საფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირველი მსჯელობა გვაქვს, მეორეც აუცილებლად იქნება. საგანთა შორის აუცილებელი დამოკიდებულება აზრთა აუცილებელი დამოკიდებულებით გამოისახება. საგანთა კავშირი აზრთა კავშირებით გამოიხატება. ხოლო აზრთა კავშირში საგანთა კავშირებს აღმოვაჩენთ.

თუობით მსჯელობაში შეიძლება მოცემული იყოს როგორც ერთეულ საგანთა, ისე ზოგადი მიმართებები. აზრი იმის შესახებ, რომ ზოგად თუობითი მსჯელობა არც ჰეშმარიტია და არც მცდარი, თვითონ არის მცდარი. ამ მცდარი აზრით ზოგადი არ არსებობს. ზოგადი მიმართება ერთეულ მიმართებათა საშუალებით არსებობს, როგორც მათი საერთო მხარე: რამდენადაც ზოგად თუობით მსჯელობაში თავისთავად არსებული ზოგადია გამოხატული, ამდენად ის ჰეშმარიტია.

თუობითი მსჯელობა საფუძლისა და შედეგის დამოკიდებულების გამომხატველია და ამ მხრივ დასაბუთების სახეს წარმოადგენს. თუობითი მსჯელობის ამ სახეს ფორმალური იმპლიკაცია ეწოდება. აზრის მცდარობა, ჰეშმარიტება დასაბუთებაში ჩნდება. საკმარისი საფუძველი ის მსჯელობა იქნება, რომელიც რაიმე დებულების თავის თავად არსებულ ჰეშმარიტებას ჩვენთვის ნათელს გახდის. „თუ პეტრე იბერი პალესტინაში ცხოვრობდა, მაშინ იგი ფსევდო დიონისე არეოპაგელია“. აქ საფუძველი მსჯელობა ისეთია, რომ შედეგის მსჯელობის ჰეშმარიტებას ვერ აჩენს. დასაბუთება თავისთავად არსებული ჰეშმარიტების ჩვენთვის ჰეშმარიტად ქცევაში მდგომარეობს. დასაბუთებამდე ის ჩვენთვის მხოლოდ აზრია, ხოლო დასაბუთების საშუალებით მას ჰეშმარიტების ნიშანს ვაწერთ. არა მარტო ის არის შესაძლებელი, რომ მსჯელობა საკმაო საფუძველი არ იყოს ჰეშმარიტების გამოჩენისათვის, არამედ ისიც შესაძლებელია, რომ ისინი შეცდომით იყვნენ დაკავშირებულნი. ჩვენ ვიწამებთ ამ საფუძლით რაიმე აზრის ჰეშმარიტებას, მაგრამ ნამდვილად ისინი ლოგიკურად არ იქნებიან დაკავშირებულნი. იქ, სადაც დებულების ჰეშმარიტება ცდით არ შეიძლება დადგინდეს, აზრის ჰეშმარიტება დასაბუთებით დადგინდება. „პეტრე იბერი არის ფსევდო დიონისე არეოპაგელი“. ამ დებულების ცდაში შემოწმება არ შეიძლე-

ბა. ცდაში ვერ ვპოვებთ ისეთ პირობებას, რომელიც როგორც პეტრე იბერი, დიონისე არეოპაგელის იგივე იქნება. ცდისეულ მეცნიერებაში დებულებიდან კი არ გამოდის მეორე დებულება, არამედ ორივე. როგორც საფუძვლის ისე შედეგის, მსჯელობა ცდით არის დადასტურებული.

ცდისეულ მეცნიერებაში წამოყენებულია რაიმე აზრი. რომელიც ცდაში უნდა დადასტურდეს. ცდამ უნდა დაადასტუროს საგნებს შორის გარკვეული დამოკიდებულება. თუ ეს დადასტურდა, მაშინ მისი შესაბამისი მსჯელობები საფუძველ-შედეგის სახით იქნება გამოთქმული. ასე მაგალითად, თუ ცდამ დაადასტურა, რომ ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონებისაგან, მაშინ ამ ცდის შედეგი ასე იქნება ჩამოყალიბებული: „თუ რომელიმე საგანი ატომია, ის ბირთვისა და ელექტრონებისაგან შედგება". საგნებს შორის ცდით დადგენილი დამოკიდებულება მსჯელობების საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებით გამოიხატება. ამრიგად, პირველი მსჯელობისაგან კი არ გამოიყვანება მეორე მსჯელობა, არამედ ორივე მსჯელობის კავშირი ცდით არის დადგენილი. აქედან არ გამოდის, რომ დასაბუთებას ცდისეულ შემეცნებაში ადგილი არა აქვს. ცდის საფუძველზე დადგენილი ზოგადი დებულება ლოგიკური დასაბუთების საფუძველი ხდება ისეთი დებულებებისათვის, რომლებიც მასთან რამენაირად იგივეობრივია.

თუობით მსჯელობაში შესაძლებელია მსჯელობის ნაწილები მცდარად იყოს დაკავშირებული. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ცდაში პირველს ნამდვილად ჰქონდეს ადგილი, მეორეს კი არა, ანდა, პირიქით, მეორეს ადგილი ჰქონდეს, პირველს კი არა. ფორმალურად ეს ისე გამოითქმება, თითქოს შეცდომა ჭეშმარიტების საფუძველია, ხოლო ჭეშმარიტება — შეცდომის. თუ ცდაში შემოწმებით მივიღეთ დებულება: „ატომის გარსი შედგება პოზიტრონისაგან, ხოლო ბირთვი პროტონისა და ნეიტრონისაგან", ის გარდაიქმნება თუობით მსჯელობად: „თუ ატომის გარსი შედგება პოზიტრონებისაგან, მაშინ მისი ბირთვი პროტონებისა და ნეიტრონებისაგან შედგება". შემდეგი გაუმჯობესებული ცდები ამ დამოკიდებულებას შეცვლის, რადგან წინა ცდის მონაცემები მცდარია.

შესაძლებელია ისიც, რომ პირველი ნახევარი ჭეშმარიტი იყოს, ხოლო მეორე-მცდარი. მაგალითად, „თუ ატომის გარსი შედგება ელექტრონებისაგან, მაშინ მისი ბირთვი მეზონებისაგან შედგება". ცდამ ეს დამოკიდებულება მიიღო და მას ლოგიკური დამოკიდებულების სახე მისცა. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ აქ არც ჭეშმარიტიდან გამოდის მცდარი და არც მცდარიდან ჭეშმარიტი.

საფუძველ-შედეგის მსჯელობების კავშირი ცდით არის დადგენი-

ლი, ისე რომ აქ შეცდომა და ჰეშმარიტება ერთმანეთთან ლოგიკურად კი არ არის დაკავშირებული და ერთიდან მეორე ლოგიკურად კი არ გამოდის, არამედ ისინი ცდის საფუძველზე კავშირდებიან. ცდისეულად შესაძლებელია, რომ რაიმე მცდარი დებულების საშუალებით ჰეშმარიტებასთან ან რაიმე ჰეშმარიტი დებულებიდან მცდარ დებულებასან, ან მცდარიდან მცდართან მივიდეთ. ამის მაგვარია შინაარსობრივი თუობა. ეს თუობა წინამძღვრად რომ ვაქციოთ, დასკვნაში შეცდომამდე მივალთ. მაშასადამე, ამ თუობითი მსჯელობის სახისათვის წანამძღვრად ქცევა დამახასიათებელი არ არის. თუობითი მსჯელობის ეს სახე სრულიად თავისებურია. რაში მდგომარეობს მისი თავისებურება? ადამიანის შემეცნებას ერთი თვისება აქვს: ერთ ჰეშმარიტებას მეორესთან გააიგივებს, ერთს მეორეზე დაიყვანს და ამით ერთს მეორის საშუალებით გასაგებს გახდის. უცნობის ცნობილით ახსნა შემეცნების თავისებურებაა. თუობის მსჯელობაში სწორედ ერთი მსჯელობის ჰეშმარიტება მეორეს ჰეშმარიტებით არის ახსნილი.

ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ამ ხერხს მიმართავენ. ხშირად იტყვიან ხოლმე, თუ ესა ღა ეს პიროვნება ნაპოლეონია, მაშინ კატა ლომი იქნება. ამ გამოთქმაში ნაჩვენებია, რომ როგორც შეუძლებელია კატა ლომი იყოს, ასევე შეუძლებელია მოცემული პიროვნება ნაპოლეონი იყოს. თუ შესაძლებელი იქნება ეს პიროვნება ნაპოლეონი იყოს, მაშინ მეორე შეუძლებლობაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ რადგან მეორე შეუძლებელია, ამიტომ პირველიც შეუძლებელია. თუობის ეს მსჯელობები რაღაც გარკვეული მსჯელობების მიღებას ან მათ უარყოფას ახდენენ. ამ მსჯელობებს გეზი აღებული აქვთ არა საგანთა მიმართებისაკენ, არამედ ჰეშმარიტებისაკენ. რაიმეს მსჯელობის ჰეშმარიტების დადგენა ხდება არა მისი საგანთან შესაბამისობის დადგენით, არამედ მის სხვა მსჯელობასთან შედარებით, რომლის ჰეშმარიტება, მცდარობა ცნობილია.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული თუობა. „თუ $2\times2=4$. მაშინ თოვლი თეთრია", აქ ორივე მსჯელობა ჰეშმარიტია და ეს არის მათი ურთიერთკავშირის საფუძველი. დავუშვათ, რომ ვინმე ეჭვობს „$2\times2=4$" დებულების ჰეშმარიტებას, მაშინ მას ეტყვიან, რომ „თუ $2\times2=4$, მაშინ თოვლი თეთრია". დებულება $2\times2=4$ სარწმუნო უნდა გახდეს ისეთ დებულებასთან მიმართებით, რომლის ჰეშმარიტება ცნობილია. ამ შემთხვევაში ასეთი დებულებაა „თოვლი არის თეთრი". 2×2 ისეეე 4, როგორც თოვლია თეთრი. ჰეშმარიტებაა, რომ თოვლი თეთრია, ამიტომ ისიც ჰეშმარიტებაა, რომ $2\times2=4$. რა აუცილებლობასაც „თოვლი თეთრია" დებულების აღიარება შეიცავს, იმავე აუცილებლობას შეიცავს დებულება „$2\times2=4$". პირველი და მეორე მსჯე-

ლობა ჭეშმარიტების მიხედვით გავაიგივეთ, რამაც საფუძველი მისცა შედეგის დამოკიდებულება მიიღო. ერთის ჭეშმარიტება მეორეს ჭეშმარიტებით არის განსაზღვრული, მაგრამ ეს არ არის ლოგიკური გამომდინარეობა, რადგან ლოგიკური გამომდინარეობა ანალიზურია, აქ კი სინთეზური დამოკიდებულებაა. აქ იგულისხმება, რომ ერთიც ჭეშმარიტებაა და მეორეც, და მის საფუძველზე მათი ტოლობაა დამყარებული.

მეორე თუობით მსჯელობაში ორივე ნაწილი მცდარია. მაგალითად, „თუ $2\times2=5$, მაშინ თოვლი შავია", მთელი გამომდინარეობა კი ჭეშმარიტია. ერთის შეხედვით უცნაურია, როგორ შეიძლება ორივე მცდარი იყოს და მთელი გამომდინარეობა კი ჭეშმარიტი? საფუძველი მცდარია და შედეგიც მცდარია. პირველი მეორის ლოგიკური საფუძველი არ არის, რადგან ლოგიკური კავშირი ანალიზურია, ხოლო მათი კავშირი სინთეზურია, ერთი მეორეში არ იგულისხმება, ეს თუობა არ არის მცდარიდან მცდარის ლოგიკური გამოყვანის მაჩვენებელი, რადგან მათ შორის არაა ანალიზური კავშირი, მცდარი წანამძღვრიდან მცდარის მიღება გამომდინარეობას ჭეშმარიტად არ აქცევს, რადგან მცდარობა ჭეშმარიტების საწინააღმდეგოა. თუ კიტყვით, რომ აქ მცდარიდან მცდარის ლოგიკური აუცილებლობითი გამომდინარეობაა და ამიტომაა ეს ჭეშმარიტი, სწორი არ იქნება, რადგან ცნობილია, რომ მცდარიდან შეიძლება ჭეშმარიტიც იქნეს მიღებული. ამიტომ, ცხადია, აქ ადგილი არა აქვს მცდარიდან ჭეშმარიტის ლოგიკურ გამოყვანას. მაშინ რა უფლებით შეიძლება ეს გამომდინარეობა ჭეშმარიტად ჩაითვალოს? მხოლოდ იმ უფლებით, რომ შეცდომასთან შეცდომის შედარებით ჭეშმარიტებაა გამოხატული. ვთქვათ, ვინმე იწყებს მტკიცებას, რომ $2\times2=5$, რაც მცდარი და შეუძლებელია. ცნობილია ჭეშმარიტება, რომ თოვლი თეთრია და თოვლი არ არის შავი. ამიტომ, თუ იქნება დაშვებული შეუძლებლობა და ითქმება, რომ $2\times2=5$, მაშინ იმ ცნობილი ჭეშმარიტების მცდარობაც უნდა დავუშვათ, რომ თოვლი შავია, მაგრამ რადგან მსჯელობა „თოვლი შავია" მცდარია, ასევე მცდარია, რომ $2\times2=5$. რაიმე მცდარი დებულების მცდარად აღიარება იგივეა, რაც მისი ჭეშმარიტად აღიარება. მაშასადამე, მცდარ დებულებათა კავშირი ჭეშმარიტების გამომთქმელია იმით, რომ ორივე მსჯელობა მცდარადაა აღიარებული. აქ რომ საკითხი იმას ეხებოდეს, თუ როგორ გამოდის მცდარიდან მცდარი, მაშინ რატომ ჩაითვლებოდა მთელი გამომდინარეობა ჭეშმარიტად? მთელი გამომდინარეობა ჭეშმარიტად იმიტომ ითვლება, რომ ის არაპირდაპირ ჭეშმარიტების გამომთქმელია. საბოლოო ანგარიშით, პირველი და მეორე თუობა ერთი რიგისაა. განსხვავება ის არის, რომ პირველში ორივე ნაწილი ჭეშმარიტია, ე. ი. ერთის ჭეშმარიტება მეორესთან, როგორც ჭეშმარიტთან, შედარებითაა დადგენილი, ხოლო მე-

ორეში ჭეშმარიტება ორიეეს მცდარობის შეუძლებლობითაა ახსნილი.

მესამე თუობით მსჯელობაში წინარე მსჯელობა მცდარია, ხოლო ნაშთნარე ჭეშმარიტი. მაგალითად, „თუ 2×2=5, მაშინ თოვლი თეთრია“ — ამით მიღებულია, რომ როგორც 2×2=5, ასევე თოვლი თეთრია, როცა დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თოვლი ისევე არ არის თეთრი, როგორც 2×2=5. რაკი მცდარია 2×2=5, ამის კვალობაზე ასევე მცდარი უნდა იყოს თოვლის სითეთრე, მაგრამ თოვლი ნამდვილად თეთრია და ასევე არ არის 2×2=5. რადგან ის მცდარია, 2×2=4 და არა 5-ს.

ამ თუობის გამართლებას იმაში ხედავენ, რომ მცდარიდან შეიძლება ჭეშმარიტი მივიღოთ. საქმე ის არის, რომ ამ ორ მსჯელობას შორის, ისე როგორც წინა ორ თუობაში, ლოგიკური კავშირი არ არის. ლოგიკური თვალსაზრისით ისინი ერთმანეთის გარეთ მდებარეობენ. აქ არის არა მცდარიდან ლოგიკურად ჭეშმარიტების მიღება, არამედ მცდარის შემდეგ ჭეშმარიტება. თუობის მიზანი იყო ორ მსჯელობას შორის შესაბამისობის დამყარება, მაგრამ მიზანი მიუღწეველია, რადგან ერთი მცდარი აღმოჩნდა, მეორე კი ჭეშმარიტი. თუ თუობის მსჯელობაში ჭეშმარიტების ცნებას შევიტანთ, მაშინ ეს თუობა თავის ნამდვილ სახეს დაკარგავს. თუ ვიტყვით, რომ 2×2=5 ისევე მცდარია როგორც ჭეშმარიტია დებულება „თოვლი თეთრია“, ამით აღიარებული იქნება პირველის ჭეშმარიტება, რითაც პირველი რიგის თუობას მივიღებთ. პირველი მსჯელობის ლოგიკური აუცილებლობის შედეგი არ არის მეორე მსჯელობა. ისინი მხოლოდ ერთიმეორეს მისდევენ, ამიტომ მათ ერთმანეთში არა აქვთ საფუძველი. ამ თუობის გამართლება შეიძლება მხოლოდ პრაგმატისტული თვალსაზრისით, ე. ი. რაკი შეცდომას მოყვა ჭეშმარიტება, რაც ჩვენი შემეცნების მიზანია, ამით მსჯელობათა ასეთი დამოკიდებულება გამართლებულია.

მაგრამ ამ თვალსაზრისით მეოთხე თუობა გაუმართლებელი იქნება, რადგან ჭეშმარიტიდან შეცდომამდე მიკვდით, რაც შემეცნების მიზანს არ წარმოადგენს; ასევე გაუმართლებელი იქნება მეორე თუობა, სადაც მიღებული შედეგი მცდარია, მაგრამ ის კანონიერად ითვლება. რაკი ეს ასეა, მას კანონიერად ვთვლით არა იმიტომ, რომ ლოგიკურად მცდარი მივიღეთ, არამედ სხვა თვალსაზრისით, რაც მსჯელობასთან შედარებით ჭეშმარიტების გამოჩენაში გამოიხატება.

მცდარიდან ლოგიკურად გამოდის ჭეშმარიტება თუ მცდარში ჭეშმარიტების ნაწილია ან ჭეშმარიტების მაგვარი. ასეთი ზოგადი სახით, ცხადია, ის კანონიერად ჩაითვლება, მაგრამ თუობის აზრი ამაში არ არის, მან უნდა დაამყაროს შესაბამისობა, რაც ამ შემთხვევაში მიუღწეველია, რადგან ერთი მცდარია, მეორე კი ჭეშმარიტი.

მაშასადამე, მესამე თუობა ჭეშმარიტების შესაბამისობის თვალსაზრისით არაკანონიერად ითვლება, რაც ჭეშმარიტების გამომდინარეობის თვალსაზრისითაც უკანონოა, რადგან იქ გამომდინარეობის ლოგიკური აუცილებლობა არ არის.

მეოთხე თუობაში პირველი ჭეშმარიტია, ხოლო მეორე მცდარია. თუ $2\times2=4$, მაშინ თოვლი შავია. ეს უკანონოდ არის ჩათვლილი, რადგან მიღებულია, რომ ჭეშმარიტიდან მცდარი არ გამომდინარეობს. თუ ლოგიკურ საფუძველს დავემყარებით, მაშინ ცხადია, რომ ეს თუობა უკანონოა, რადგან მცდარი ჭეშმარიტიდან არ გამომდინარეობს. ამავე დროს ამ ორ მსჯელობას შორის ლოგიკური აუცილებლობა არ არის. ამავე საფუძვლით მესამე თუობაა უკანონო, რადგან მასში მოცემულ მსჯელობებში ლოგიკური აუცილებლობა არ არის. თუ დავდგებით ცდისეულ თვალსაზრისზე, მაშინ ორივე კანონიერად უნდა ჩაითვალოს. რადგან როგორც შესაძლებელია, რომ ჭეშმარიტებიდან შეცდომასთან მივიდეთ, ასევე შესაძლებელია მცდარიდან ჭეშმარიტება მივიღოთ. მაგრამ ეს ამბავი ლოგიკური თვალსაზრისით მნიშვნელობის მქონე არ არის და ამ კუთხიდან მათი გამართლება არ შეიძლება.

ცნობილი ლოგიკოს-მათემატიკოსი ს. კლინი სადაეო საკითხად სთვლის მცდარიდან ჭეშმარიტის მიღებას, თუმცა თვითონ კანონიერად ცნობს მცდარიდან ჭეშმარიტის მიღებას.

თუობის ამ მსჯელობაში რომ ჭეშმარიტების ლოგიკური გამომდინარეობა არა გვაქვს, ამას ნათელს მოფენს მათი განხილვა პირობით კატეგორიული დასკვნის ფონზე. თუ აქ ჭეშმარიტების ლოგიკურ გამომდინარეობასთან გვაქვს საქმე, მაშინ ასეთ დასკვნებში წესების დაცვის საფუძველზე ჭეშმარიტება უნდა მიეიღოთ. ამ მხრივ პირველი თუობა თითქოს ამას ამართლებს. მაგალითად:

თუ $2\times2=4$, მაშინ თოვლი თეთრია
$2\times2=4$.
მაშასადამე, თოვლი თეთრია.

მეორე თუობა ამას არ გაამართლებს, რადგან იქ ორივე მცდარია და დანასკვიც მცდარი იქნება:

თუ $2\times2=5$, მაშინ თოვლი შავია
$2\times2=5$.
მაშასადამე, თოვლი შავია.

ახლა ეს თუობა განვიხილოთ შედეგიდან საფუძვლისაკენ სვლის წიხედვით.

თუ 2×2=4. თოვლი თეთრია.

თოვლი არ არის თეთრი.

მაშასადამე, 2×2 არ არის 4. დანასკვი მცდარია.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ დასკვნამ შეცდომამდე მიგვიყვანა.

ცხადია, რომ ამ თუობის აზრი ცალკე მსჯელობის ჭეშმარიტებაში კი არაა, რომლისგანაც მეორე გამომდინარეობს, არამედ მთლიანი თუობის ჭეშმარიტებაში. ამ თუობის მიზანი ის კი არ არის, რომ გამოიყვანოს დებულება — „თოვლი შავია“, არამედ ის, რომ დაამყაროს ამ ორი მსჯელობას შორის ჭეშმარიტებითი იგივეობა. ამ თუობას მიზნად არა აქვს მეორე მსჯელობის ჭეშმარიტების გამოყვანა, ასევე უნდა ითქვას ყველა თუობის შესახებ. თუ ამ საზომით მივუდგებით მათაც, ცხადი გახდება, რომ მათი არსებითი ნიშანი ჭეშმარიტების გამომდინარეობა არ არის.

ამ აზრს კიდევ უფრო ნათელს ხდის მეოთხე თუობა, რომელიც უკანონოდ არის ჩათვლილი. თუ კანონიერია, რომ ის შეიძლება იქცეს წანამძღვარად, მაშინ კანონიერი იქნება ისიც, რომ ჭეშმარიტიდან მცდარი გამოდიოდეს; თუ ეს არ არის კანონიერი, მაშინ არც ის არის კანონიერი. რომ აქ ადგილი აქვს ჭეშმარიტების ლოგიკურ გამომდინარეობას.

მაშასადამე. თუობის ეს მსჯელობები გამოხატავენ არა ერთიდან მეორის ჭეშმარიტების გამომდინარეობას, არამედ მათ შორის შესაბამისობას ანუ ექვივალენტობას, ამიტომ პირველი და მეორე თუობა ითვლება კანონიერად, ხოლო მესამე და მეოთხე — არა, რადგან ისინი შესაბამისობის მოთხოვნას ვერ ასრულებენ. მაშასადამე, მათი დამოკიდებულების აზრი შემდეგი იქნება:

„თუ 2×2=4, მაშინ თოვლი თეთრია და თუ თოვლი თეთრია, მაშინ 2×2=4“.

თუ 2×2=5, მაშინ თოვლი შავია და თუ თოვლი შავია, მაშინ 2×2=5“.

როგორც პირველიდან გამოდის მეორე, ასევე მეორედან გამოდის პირველი. ამ მხრივ პირველი და მეორე თუობა სრულიად განსხვავდება მესამე და მეოთხე თუობისაგან, რადგან თუ პირველსა და მეორეში ეს შებრუნებითი დამოკიდებულება შეიძლება, მესამესა და მეოთხეში ეს შეუძლებელია. თუ 2×2=5, თოვლი თეთრია — ამას ვერ შევაბრუნებთ — თუ თოვლი თეთრია, მაშინ 2×2=5, რადგან პირველი ჭეშმარიტად ითვლება, მეორე კი არა. შებრუნებამ ჭეშმარიტების ნიშანი შეცვალა, რაც პირველ და მეორე თუობაში არ ხდება, იქ ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტების ნიშანი უცვლელია. ლოგიკურ გამომდინარეობაში

წანამძღვრიდან შედეგი გამოდის, მაგრამ შედეგიდან წანამძღვარი არ მიიღება. მატერიალურ იმპლიკაციებს სწორედ ის ახასიათებს, რომ როგორც პირველიდან მეორე, ასევე მეორიდან პირველი მიიღება. ამიტომ ისინი ლოგიკური გამომდინარეობისათვის დამახასიათებელ ნიშანს არ ატარებენ.

§9. კანტის პოსტულატები

ყოველი საგანი რაიმეთია განსაზღვრული, რომელიც მის არსებობას აპირობებს. საგანთა განმსაზღვრელი პირობების გამორკვევა მეცნიერების საქმეა. მაგრამ თვითონ მეცნიერებაც გარკვეული საგანია, რომელსაც თავისი არსებობის საფუძველი აქვს. მას გარკვეული აგებულება აქვს, სადაც არის განმსაზღვრელი და განსაზღვრული მხარეები; მეცნიერება მათ ერთიანობას წარმოადგენს.

მეცნიერებაში არსებული განმსაზღვრელი დებულებები ორნაირია: პირველია ლოგიკური გამომდინარეობის საფუძველი, რომელსაც აქსიომა ეწოდება. აქსიომა რაიმე დებულების ლოგიკური დასაბუთების საფუძველია. აქსიომების ურთიერთდამოკიდებულებით რაიმე დებულება საბუთდება. ასე მაგალითად, თეორემა: სამი A, B, C წერტილისათვის, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარეობს, არსებობს მხოლოდ ერთი α სიბრტყე, რომელიც ინციდენტურია ამ წერტილებისათვის, დამტკიცება: I5 აქსიომის ძალით არსებობს სიბრტყე, რომელიც ინციდენტურია ამ წერტილისათვის, ხოლო I7 აქსიომის ძალით ერთზე მეტი ასეთი სიბრტყე არ არსებობს. აქედან გამომდინარეობს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სიბრტყე, რომელიც A, B, C წერტილების ინციდენტურია. აქსიომებსა და დასამტკიცებელ დებულებებს შორის ანალიზური დამოკიდებულება ლოგიკურ კანონებს ემყარება. აქსიომებზე დაფუძნებულ მტკიცებას აბსოლუტური ხასიათი აქვს, სულერთია რა პირობებიც უნდა წარმოიშვას; თუ ეს აქსიომები მოცემულია, მაშინ მათგან აუცილებლობით გამომდინარეობს გარკვეული დასკვნა.

მეცნიერების განმსაზღვრელი დებულებების მეორე სახეა პოსტულატები, რომლებიც მეცნიერების ლოგიკურ საფუძველს არ წარმოადგენს. პოსტულატების მიღებიდან ლოგიკური აუცილებლობით ახალ დებულებას ვერ მივიღებთ. პოსტულატი მეცნიერული ძიების წარმმართავი დებულებაა, რომლის საშუალებით მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა-ძიება და ახალი დებულების აღმოჩენა. პოსტულატი ცდისეული მეცნიერების დებულებაა. ცდისეული სინამდვილე შედგება დროსა და სივრცეში არსებული მოვლენებისაგან. პოსტულატები იმისათვის დგინდება, რომ შესაძლებელი გახადოს ცდისეული სინამდვილის შე-

მეცნება. ცდისეული სინამდვილის კანონზომიერების შემეცნება მეცნიერების ამოცანაა. ცდისეული მეცნიერების საგანია მოვლენების ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთზემოქმედება, ერთიმეორისაგან წარმოშობა, ურთიერთში გარდაქმნა და სხვა მრავალი.

ყოველი არსებულისა და შესაძლებლად არსებულის ცნება როცა წინასწარ გვქონდეს მოცემული, მაშინ მეცნიერული შემეცნება წმინდა ლოგიკური აუცილებლობის სახეს მიიღებდა, ცნებების ანალიზით საგნების საიდუმლოებას გავიგებდით და შემეცნება ყოველთვის სწორი იქნებოდა. სინამდვილეში პირიქითაა — საგნების განსხვილვიდან მივდივართ მათი ცნების დადგენამდე. საგნები ისე კი არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთი საგნის ცნებიდან მეორე, მისგან დამოუკიდებელი საგნის ცნება გამოვიყვანოთ. ეს შესაძლებელი მაშინ იქნებოდა, თუ ერთ საგანში მეორე საგანი იქნებოდა მოცემული. ერთი საგანი მეორეში კი არ არის, არამედ ისინი ერთმანეთისაგან გარემდებარენია, მათი ურთიერთგარემდებარეობაა არსებობის პირობა, ამის გარეშე ყველაფერი ერთი იქნებოდა.

საგნებს არ ახასიათებს ყოვლისმომცველობა; ეს უკანასკნელი გარკვეული აზრით შედარებით მხოლოდ აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი. რაიმე ცნება ან რაიმე მსჯელობა გარკვეულ საგანთა სიმრავლეს მოიცავს. ადამიანის ცნების არსებობა ნიშნავს, რომ ცოდნა გვაქვს ადამიანთა მთელ სახეებზე, რომლებიც ადამიანის ცნებაშია გაერთიანებული. ეს იმიტომაა შესაძლებელი, რომ ცნება საგნის ცნებაა, საგანზეა მიმართული, რითაც საგნების მომცველია. აზრიდან აზრი გამოდის, აზრი კი საგანზეა მიმართული. მიმართვა მხოლოდ აზრისათვის არის დამახასიათებელი, ეს საგნებისათვის არ არსებობს. საგნებს აქვთ ურთიერთმიმართება და არა მიმართვა. საგნები ერთმანეთისაგან დროულვრცეული მანძილითაა დაშორებული და თუ რაიმე საგანი მოცემულია, მაშინ ლოგიკური აუცილებლობით არ გამოდის რაიმე სხვა გარკვეული საგნის არსებობა. შეიძლება ვინმემ ეს აზრი ეჭვის ქვეშ დააყენოს და თქვას: თუ მე ოთახიდან ვიყურები და გარეთ მცენარეს ვხედავ, აქედან დავასკვნი, რომ ეს მცენარე დედამიწაზეა აღმოცენებული. საქმე ის არის, რომ ეს ლოგიკური აუცილებლობა არ იქნება. ის გარემოება, რომ მცენარე დედამიწაზეა აღმოცენებული, ცდიდან გვაქვს მიღებული. ჩვენს დასკვნას წინ უსწრებს გამოცდილება.

ლოგიკური გამომდინარეობა გამოცდილებას კი არ ემყარება; არამედ — წანამძღვარებს. ლოგიკური შესაძლებლობა ერთადერთია. წანამძღვარებიდან მხოლოდ ერთადერთი დანასკვის მიღების შესაძლებლობაა. საგნებში შესაძლებლობა განსხვავებულის ან მისი საპირისპიროს წარ-

მოშობის პირობაა. შესაძლებლობა გადის განვითარების საფეხურებს და ახალი საგანი იბადება, თუმცა შესაძლებელია ჩაქრეს და ახალი საგანი არ წარმოიშვას. თუ საგნებში შესაძლებლობა განვითარების საფეხურებს გადის, ეს არ ითქმის ლოგიკურ შესაძლებლობაზე, ის მყარია, და ყოველთვის ერთი და იგივეა. შესაძლებლობის განვითარება დამახასიათებელია, აგრეთვე, აზროვნებისათვის, რომელსაც აქვს როგორც ლოგიკური, ისე ისტორიული მხარე. აზროვნებას, როგორც ისტორიულ მოვლენას, სწორედ ასეთი თვისება აქვს. დეკარტეს ფილოსოფიიდან ლოგიკური აუცილებლობით არ გამომდინარეობს სპინოზას ფილოსოფია, რომელიც დეკარტეს უარყოფაა და მისი კრიტიკის საფუძველზეა დაბადებული. ის, ვინც ლოგიკურ მსვლელობას ისტორიულ განვითარებასთან გააიგივებს, ლოგიკის კანონზომიერებას უარყოფს, მაშინ ლოგიკური მსვლელობა იქნება წანამძღვრების უარყოფიდან აზრის მიღება და არა წანამძღვრებიდან გამოყვანა, რაც ლოგიკურისათვის შეუსაბამოა.

შემეცნების აუცილებელი პირობაა უზოგადესი ცნებების არსებობა. მოძრაობის, მიზეზობრიობის, თვისობრიობის, რიცხვობრიობის, მოვლენის, არსების, ფორმის, მატერიის, შინაარსის, დროის. სივრცისა და სხვა მრავალი ცნების არსებობა მეცნიერული შემეცნების აუცილებელი პირობაა. შემეცნება ყოველთვის რაიმე მოცემული მოვლენის შესწავლით იწყება.

თუ, მაგალითად, ვსწავლობთ რაიმე საგნის მოძრაობას, წინასწარ უნდა ვიცოდეთ თუ რა არის მოძრაობა; საგნის მოძრაობას რაიმე სხვა საგანი იწვევს, უნდა ვიცოდეთ მიზეზობრიობა; თუ ვსწავლობთ საგნის აგებულებას ფორმის, მატერიის მიხედვით, უნდა ვიცოდეთ მატერიისა და ფორმის რაობა. ამრიგად, ზოგადის ცოდნა განსხვავდება რაიმე ერთეული საგნის ცოდნისაგან.

საერთოდ, მიზეზობრიობის ცოდნა არ არის რომელიმე ორ საგანს შორის არსებული მიზეზის ცოდნის გამეორება. მეორე პირველის კერძო შემთხვევაა, რომელიც შეიძლება იყოს და შეიძლება არა, ხოლო პირველი აუცილებლად უნდა იყოს, თუ არის მეორე. ასეთი დამოკიდებულება კანტისათვის გახდა აპრიორისტული თვალსაზრისის წარმოშობის საფუძველი, რომელსაც დღეს მეცნიერება უარყოფს. ადამიანის აზროვნებას აქვს საგანთა შორის იგივეობისა და განსხვავების ნახვის უნარი. ამ უნარის არსებობა იგივეობისა და განსხვავების ცნების არსებობას არ გულისხმობს, ეს არის მხოლოდ აზროვნების ბუნებრივ-ისტორიული თავისთავადი მდგომარეობა. ამ უნარის საშუალებით ის ერთნაირ საგნებს ერთად ალაგებს, ხოლო განსხვავებულს გამოყოფს. ეს უნარი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ აზროვნებამ განყენე-

ბული, ზოგადი ცნებები შეიმუშავოს. მაშასადამე, სინამდვილის მეცნიერული შემეცნების წინაპირობაა, საერთოდ, ცნებისა და, კერძოდ, ზოგადი ცნებების შემუშავება. აზროვნებას უნარი აქვს მოცემული საგნიდან ის გამოყოს, რაც მას სხვა საგნებთან აერთიანებს, და საერთო გაათავისუფლოს ამ ცალკეულებისაგან, რაშიც ის არის შერწყმული. ესაა აზროვნების გარკვეულობა. ამ თვისების გარეშე აზროვნება არ იქნება აზროვნება. რადგან ესაა არსებითი და უძირითადესი გარკვეულობა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ იყო აზროვნება, მაგრამ არ არსებობდა იგივეობისა და განსხვავების უნარი. აზროვნება არის დაუწერავი დაფა, როგორც ამას იტყოდა სულის შესახებ ლოკი. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აზროვნება არის, მაგრამ მას არავითარი გარკვეულობა არა აქვს, რასაც გარკვეულობა არა აქვს, ის არც არსებობს. არსებულს ყოველთვის რაიმე გარკვეულობა აქვს. აზროვნების გარკვეულობა სწორედ იგივეობისა და განსხვავების უნარია, რაც ცოდნა კი არ არის, არამედ ცოდნის მიღების პირობაა. ამის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის აპრიორულია, რადგან საგნის თვისების შესახებ უაზროა ითქვას, რომ ის საგნის მიმართ აპრიორულია, სინამდვილის შესახებ ასეთი უზოგადესი ცნებების შემუშავებისათვის ისევ ცნებები არ იყო საჭირო, რადგან ეს იყო არცოდნიდან ცოდნის არეში გადასვლა, ხოლო მეცნიერული შემეცნება ცოდნის არეშია მოქცეული და ცოდნის პირობითაა განსაზღვრული. აზროვნება იგივეობის კანონით მოქმედებს და თანთადან ქმნის ისეთ ცნებებს, რომლებიც მრავალსახოვან საგანთა საერთოს გამოხატავს. ადამიანი თავისი აზროვნებით მოქმედი სუბიექტია, რომელიც ბუნების საგნებზე მოქმედებს, მათ გარდაქმნის და იყენებს. აქ ელინდება საგნებისა და მათი მიმართების ბუნება, რაც ცნებებში აისახება. მეცნიერულ აზროვნებას წინ უსწრებს მეცნიერული შემეცნების მომზადების საფეხურები. აზროვნება, რომელიც ცნებების საფეხურზე ადის, თვისობრივად იცვლება, ქმნის ცნებების ლოგიკურ დამოკიდებულებას, რომელიც მეცნიერული შემეცნების განხორციელებაა. ცნებების აპრიორიზმის მიხედვით ცდის საფუძველზე მიღებული ცნებები საყოველთაო ძალის არაა. ამიტომ კანტის აზრით ცნებები, დებულებები ზეცდისეული უნდა იყოს. მეცნიერების განვითარებამ ეს თვალსაზრისი უარყო. კანტის მიერ დადგენილი დებულებები არ დასტურდება. მეცნიერებამ ისეთი მოვლენები აღმოაჩინა, რომლებიც კანტის დებულებებით ვერ აიხსნება.

ცნობილია მიზეზობრიობის კლასიკური ცნება, რომლის მიხედვით, თუ მოცემულია სხეული და მისი საწყისი მდგომარეობა განსაზღვრულ დროს, შეგვიძლია ვიცოდეთ მისი ადგილი. ატომური ფიზიკის განვითარებამ აღმოაჩინა ისეთი მოვლენები, რომლებიც ამ კანონს არ ემორჩი-

ლებიან. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილაკის საწყისი მდგომარეობა ვიცით, ვერ განესაზღვრავთ ნაწილაკის ადგილს, რადგან ის კლასიკური ბიზეზობრიობის კანონს არ ემორჩილება. თუ შემეცნება ამ მოვლენას მოახვევს კანონს და ამით დაიწყებს მის ახსნას, კანონსა და მოვლენას შორის წარმოიშობა წინააღმდეგობა. ახსნის არსება კანონსა და მოვლენას შორის შესაბამისობა უნდა იყოს.

ცნების საყოველთაობა მოცემული მოვლენების ახსნით არის განსაზღვრული. თუ აღმოჩნდება ახალი მოვლენები, რომლებიც მოცემული ცნებით ვერ აიხსნებიან, საჭირო იქნება ცნების განზოგადება, ან ისეთი ცნების დადგენა, რომელიც მათი ამხსნელი იქნება. მაშასადამე, მეცნიერების განვითარება აპრიორიზმის პრინციპს არ აფუძნებს.

უზოგადესი ცნებების შემუშავება მეცნიერული შემეცნების საფუძველია. ისინი თვითონ ხდებიან მეცნიერული შემეცნების საფუძვლად. უზოგადესი დებულება, რომელიც შემდგომი შემეცნების საფუძველია, არის პოსტულატი. პირველად კანტის ფილოსოფიაშია მოცემული მეცნიერული შემეცნების პოსტულატების დამუშავება. კანტის ფილოსოფიაში პოსტულატები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. კანტს, ერთი მხრივ, აქვს ცდისეული მასალა, ხოლო, მეორე მხრივ, განსჯის კატეგორიები. ამ ორი მხარის შეერთებაა შემეცნება. კანტის წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ ხდება ეს სინთეზი? კანტისათვის ამ ორი მხარის შეერთება არა მხოლოდ შემეცნებაა, არამედ, აგრეთვე, საგნის შექმნაც. ის, რაც ჩვენი ცდის ფარგლებში საგანია, ამ შეერთების შედეგია. საგნისა და მისი შემეცნების შესაძლებლობის პირობები ერთი და იგივეა, ამიტომ ცდა, საგანი, შემეცნება ერთი და იგივე იქნება. კანტი ცდის აუცილებელ პირობებს, რომლებიც დროსა და სივრცეში მოცემულ მასალას უნდა მიუდგეს, რომ შემეცნება განხორციელდეს. ძირითად დებულებებს უწოდებს. კანტი მათ ოთხ ნაწილად ჰყოფს: I. თვალსაჩინო წარმოდგენის აქსიომები, II. წინასწარი აღქმები, III. ცდის ანალოგიები, რომლებიც სამნაირია და IV. ცდისეული აზროვნების პოსტულატები. პირველი ორი განყენებულ მეცნიერებას, მათემატიკას აფუძნებს, რაც აქსიომების არსებობას გულისხმობს, შემდეგი ორი კი ცდისეულის ძირითადი დებულებებია. ცდის ანალოგიებსა და ცდისეული აზროვნების დებულებებს შეიძლება პოსტულატები ეწოდოს, რადგან ისინი შესაძლებელს ხდიან ცდას. კანტის პოსტულატები არ წარმოადგენენ კონკრეტული შემეცნების პირობებს, რადგან ისინი ზოგადი შემეცნების შესაძლებლობის პირობებია.

ზოგადი შემეცნება განსხვავდება გარკვეული მეცნიერული შემეცნებისაგან. ზოგადი შემეცნება გულისხმობს იმას, რომ ჯერ არ არის შემეცნება და უნდა განხორციელდეს. არსებობს ისეთი პირობები, რომ-

ლებიც შემეცნებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მას შესაძლებელს სდიან. მეცნიერული შემეცნება გულისხმობს, რომ ზოგადი შემეცნება არსებობს, ამიტომ მოცემულია რაღაც ცოდნა. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ გადავიდეთ მოცემული ცოდნიდან იმისაკენ, რაც ჯერ არ ვიცით და რის ცოდნის აუცილებლობასაც მოცემული ცოდნა ქმნის. მაშასადამე, კანტთან საკითხი დგას საერთოდ ცოდნის შესაძლებლობაზე. ხოლო მეცნიერულ შემეცნებაში — მოცემული ცოდნიდან ახალ ცოდნაზე გადასვლაზე. ამ ორ მხარეს შორის გარკვეული კავშირია, რადგან ორივე ცოდნას ეხება, ამიტომ ბუნებრივია, რომ მათი პოსტულატები შეიძლება ნაწილობრივ იგივეობრივიც იყოს.

კანტმა ნათლად გაარკვია, რომ თუმცა შემეცნება ცნებებისაგან შედგება, მაგრამ არ შეიძლება მათი თავისთავში ჩაკეტვა. ცნებები საგნისაკენაა მიმართული და მათი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ აზროვნება სინამდვილესთან დააკავშიროს. თუ აზროვნება მას მოწყდა, მაშინ ცნებებს შემეცნებითი მნიშვნელობა დაეკარგებათ. კანტის აზრით, ერთადერთი შესაძლებელი ცდისეული სინამდვილეა, რომელიც აღქმაში გვეძლევა. ამიტომ ცნებები საგნობრივი შინაარსის მიხედვით აღქმებისაგანაა დამოკიდებული. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ცნების შედგენა აღქმის გაერთიანებაა, არამედ იმას, რომ ცნების შედგენაში აღქმების არსებობა იგულისხმება. ცნება უნდა ემყარებოდეს აღქმებს როგორც ცდისეულ საფუძველს.

ცნებიდან ცნების ლოგიკურ გამოყვანას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება თუ მას წინ უსწრებს აღქმისეული საგნების არსებობა, რომლებიც ცნებათა დამოკიდებულებას ცდისეულ შინაარსს აძლევს. ეს აზრი თანამედროვე ლოგიკურ ემპირიზმში კანტიდან უცვლელადაა გადატანილი. რაკი კანტის პოსტულატები ზოგადად შემეცნების შესაძლებლობას ადგენენ, ხოლო მეცნიერული შემეცნება უფრო კონკრეტულია, ამიტომ უნდა დადგენილიყო მისი პოსტულატებიც, რაც რასელმა გააკეთა.

§ 10. ბ. რასელის პოსტულატები

კანტის პოსტულატები ზოგადი შემეცნების შესაძლებლობის პირობებია. გარდა ამისა, არსებობს მეცნიერული შემეცნებაც, რომლის დამახასიათებელია მოცემული ცოდნიდან ახალ ცოდნაზე გადასვლა. მაშასადამე, უნდა არსებობდეს ცოდნიდან ცოდნისაკენ გადასვლის განმსაზღვრელი პირობები, რაც მეცნიერული შემეცნების პოსტულატები იქნება. მეცნიერული შემეცნების პოსტულატების საკითხი რასელმა დაამუშავა თავის ნაშრომში „ადამიანური შემეცნების შესახებ". რასე-

ლი მიზნად ისახავს მეცნიერების პოსტულატების დადგენას. პოსტულატების საშუალებით უნდა აიხსნას მოკლებების კავშირების შემეცნების მიმდინარეობა. როგორი უნდა იყოს პოსტულატები, როგორც ცდისეული მეცნიერების წარმმართავი დებულებები, ამის თაობაზე დავა არსებობს.

ემპირისტების გაგებით ყველა დებულება, რომელიც ცდისეულ მეცნიერებაში გეხვდება, სინთეზური და ცდისეულია. ამიტომ პოსტულატებიც ცდისეულია. ემპირისტების მოწინააღმდეგეების აზრით კი პოსტულატები არ შეიძლება ცდისეული იყოს, რადგან ისინი საყოველთაოა, ამიტომ პოსტულატები არა ცდისეულ-სინთეზურია. რასელის თვალსაზრისი უარყოფს პოსტულატების ცდისეულ ხასიათს, რადგან ცდისეულობა საყოველთაობას არ უზრუნველყოფს. ემპირისტების დებულება „ყველა მსჯელობა შემოწმებადია" სინთეზურია, რადგან მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ერთიდაიგივე არ არის. ამ მსჯელობის ცნებიდან მისი შემოწმებადობა არ გამომდინარეობს. ეს დებულება ისეთ შემოწმებას არ ემორჩილება, როგორსაც მსჯელობა „ლითონი ელექტრობის გამტარია". I დებულება მსჯელობებისაკენაა მიმართული, ხოლო მეორე მსჯელობა ცდისეული საგნისაკენ. თუ ეს განსხვავება მხედველობაში იქნება მიღებული, მაშინ ცხადია, რომ დებულება „ყველა მსჯელობა შემოწმებადია" ცდისეული არ არის, მაგრამ არც აპრიორულია, რადგან იგი ცდისეული მსჯელობების შემოწმებადობის საფუძველზეა აღმოცენებული. დებულება დამყარებულია მსჯელობებზე, რომლებიც მის საძირკველს წარმოადგენენ, ამიტომ მისი ჭეშმარიტება ირკვევა ყველა ცდისეული მსჯელობის შემოწმებადობით. ამის გარეშე დებულება ჭეშმარიტების ძალას კარგავს. არავითარი აზრი არა აქვს ამ დებულების შემოწმების მოთხოვნას, რადგან ეს დებულება არ დგას იმ მსჯელობათა რიგში, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარებიან. ის მათ შესახებაა გამოთქმული. თუ ყველა ცდისეული დებულება შემოწმებადია და გამონაკლისს ადგილი არა აქვს, მაშინ დებულება „ყველა ცდისეული მსჯელობა შემოწმებადია" ჭეშმარიტი იქნება. სხვადასხვაა მსჯელობები, რომლებიც მიმართულია როგორც მსჯელობისაკენ, ისე გარეგანი სინამდვილისაკენ. დებულება „სინამდვილეში ყველაფერი მიზეზობრივად არის დაკავშირებული" ცდისეულ საგნებში გარკვეული დამოკიდებულების საყოველთაობას გამოთქვამს. ის ცდისეულია როგორც ცდისეულ საგანზე მიმართვით, ისე მისი საყოველთაობის მიხედვითაც. დებულება იმის ფარგლებშია საყოველთაო, რაც ჩვენ ვიცით სინამდვილის შესახებ. საყოველთაობის ქვეშ ის არ მოთავსდება რაც ჩვენი ცოდნის მიღმაა. დებულების საყოველთაობა გნოსეოლოგიური ცნებაა და არსოლოგიური იმდენად, რამდენადაც ის არსზეა მიმარ-

თული. როცა არსის არეში დებულების საწინააღმდეგო აღმოჩნდება, მაშინ დებულება იცვლება, განზოგადებას განიცდის, ამაში მდგომარეობს ამ მხრივ შემეცნების განვითარება. მაშასადამე, ცდისეული სინამდვილის საყოველთაო მსჯელობები ცდიდან არის მიღებული.

პოსტულატების საფუძველზე მიღებული ცოდნა სინთეზურია, რადგან მათი დახმარებით მიღებული ახალი ცოდნა მათგან ლოგიკურად არ გამომდინარეობს. თუ მიზეზშედეგობრივი კავშირის პოსტულატი გვაქვს და ვარკვევთ ორ მოვლენას შორის მიზეზობრივ კავშირს, მას პოსტულატის ლოგიკური ანალიზის გზით ვერ დავადგენთ, რადგან კერძო მოვლენების კავშირი პოსტულატებისაგან, როგორც ზოგადისაგან დამოუკიდებელია, მისი კერძო შემთხვევაა თუ ამ ორ მოვლენას შორის კავშირი აღმოჩნდა, ის ისეთი იქნება როგორიც პოსტულატშია მოცემული.

რასელმა დაამუშავა მეცნიერული შემეცნების პოსტულატები. მას პირველი პოსტულატი ასე აქვს გამოთქმული [თუ რომელიმე A მოვლენაა მოცემული, მაშინ ხშირად ხდება, რომ რომელიმე უახლოეს დროს მის მახლობლად არის B მოვლენა, რომელიც A მოვლენას ძალიან ჰგავს. ერთი მოვლენა მეორეს ჰგავს იმას ნიშნავს, რომ მათ არსებითად ერთი და იგივე წყობა აქვთ, მართალია მათ შორის რაღაც განსხვავება შეინიშნება, მაგრამ ძირითადად ერთი და იგივეა. რასელი ამ პოსტულატს მიზეზობრიობის ნიშნით არ ახასიათებს. მას იგი ესმის როგორც ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა საფეხურების გამომხატველი. სამი თვის ჩანასახი და მოზრდილი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგრამ ისინი ერთი და იგივეს სხვადასხვა საფეხურებია. რასელმა ვერ დაასაბუთა, რომ ეს პოსტულატი მიზეზობრიობას არ გამოხატავს, ნამდვილად კი ეს პოსტულატი მიზეზობრიობის გამომთქმელია. პირველი საფეხურის ჩანასახი თავისში ყველა იმ შესაძლებლობას შეიცავს, რითაც მისგან მოზრდილი წარმოიშობა. ის მას მარტო დროთი კი არ უსწრებს, არამედ მისგანვე არის წარმოშობილი.

რასელის გაგებით საგანი მხოლოდ პრაქტიკული გამოთქმის საშუალებაა. მისი გაგებით არსებობენ მხოლოდ მოვლენები, რომლებიც დროში ერთმანეთს მისდევენ. ისინი ერთმანეთს უწყვეტლივ მისდევენ და მათი უწყვეტი დენა არის საგანი. რასელის შეცდომა, ჯერ ერთი, ის არის, რომ ის, რაც მოვლენაა, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც უწყვეტი კავშირი, ამიტომ მოვლენასა და საგანს შორის ამ მხრივ განსხვავება წაშლილია; მეორე, საგანი წარმოდგენილია მოვლენების უწყვეტ კავშირად.

მოვლენების უწყვეტი კავშირი საგანს მაშინ მოგვცემს, როცა ისინი საგანს არ ეწინააღმდეგებიან. ის, რაც საგნის ბუნებას ეწინააღმდე-

გება, მისი უწყვეტობა, საგნის მომცემი არ იქნება. საგნის მხარის კავშირი საგანთან თვითონ საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს და არა პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ საგანი რაღაც მისტიკურია და პლატონის იდეის მსგავსია.

რასელს საგნის დამოუკიდებელი არსებობის აღიარება იმიტომ არ სურს, რომ ეს იმას მეტაფიზიკად მიაჩნია. სინამდვილეში, მეტაფიზიკა მაშინ იქნებოდა, თუ საგანი ცდაში არ მოგვეცემოდა, თუ საგანი ცვლილების კანონს არ დაემორჩილებოდა. რასელის ნაბიჯი კანტთან შედარებით უკანაა გადადგმული. კანტის აზრით, არსება არათუ უნდა უარვყოთ, არამედ ის შემეცნების აუცილებელი პირობაცაა. თუ არსება არ იქნებოდა, ცვლილების არავითარი შემეცნება არ მოხდებოდა. საგანი ცდაში გვეძლევა როგორც გარკვეულ მხარეთა ერთიანობა. მაგრამ ეს ერთიანობა შედეგი კი არ არის, არამედ ამ მხარეების საფუძველია.

რასელის თვალსაზრისი, რომ პირველი პოსტულატი მიზეზობრიობას არ ეხება, არ არის სწორი. მსგავსი მოვლენები, რომლებიც ერთი საგნის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ, ერთმანეთთან მიზეზობრივ კავშირში არიან. ისინი ან ერთმანეთს ამიზეზებენ, ანდა მათ ორთავეს ერთი ან რამდენიმე საერთო მიზეზი აქვთ.

რასელის მეორე პოსტულატი: ძალიან ხშირად იქმნება ხდომილობათა ისეთი რიგი, როცა ამ რიგის ერთი ან ორი წევრიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომელიც ეხება ამ რიგის ყველა სხვა წევრს. ამის ნათელსაყოფად რასელს მოაქვს სინათლის მაგალითი, რომელიც მუდმივი სიჩქარის კანონს ემორჩილება. ამის მაგალითია, აგრეთვე, ნიუტონის პირველი კანონი. საბოლოოდ, რაკი ამ პოსტულატის აზრი ის არის, რომ რაიმე დებულება უნდა გავავრცელოთ იმ რიგზე, რომელიც მოცემული არა გვაქვს, ამიტომ ის შეიძლება აგრეთვე გავიგოთ, როგორც რაიმე ნიშნის განზოგადების პოსტულატი. იგი არსებითად მიუთითებს მიზეზობრიობის არსებობაზე, რადგან თუ სხეული მოძრაობს, მას მიზეზი განსაზღვრავს, თუ მან მიმართულება შეიცვალა, ასეთივე მიზეზით არის განსაზღვრული. რასელის მესამე პოსტულატი, როცა ორი მოვლენა სხვადასხვა დროს ხდება, მაშინ შუალედ დროში არსებობს რაღაც მოვლენები, რომლებიც მათ ურთიერთობას აპირობებს და უწყვეტ მიზეზობრიობად აერთიანებს, ორი მოვლენის მიზეზობრივი კავშირი შეუძლებელია თუ მათ შორის რაღაც არ ხდება, რომელიც მათ კავშირს შესაძლებელს გახდის. ასეთია, მაგალითად, მოლაპარაკის ბგერები, რომლებიც მისგან გამოდის, და იგივე ბგერების მოსმენა მისგან შორს მყოფისაგან. მათ შორის კავშირი ისე შეუძლებელია თუ მათ შორის რაღაც არ არის, რომელიც ამ კავშირს შესაძლებელს ხდის. ეს არის ბგერის ტალღები.

ეს პოსტულატი მიუთითებს, რომ თუ ორი მოვლენა სივრცითაც და დროითაც დაშორებულია ისე, რომ ჯერ ერთია და შემდეგ მეორე, აუცილებელია ვეძებოთ მათი დამაკავშირებელი რგოლი; სხვაგვარად ასეთი მოკლენების არსებობა სასწაული იქნებოდა, სხვაგვარად არც სინამდვილეს და არც შემეცნებას კანონზომიერება არ ექნებოდა. ეს პოსტულატი გარკვეულად მიუთითებს მიზეზობრიობაზე, მოვლენათა შორის გაშუალებულ კავშირზე.

რასელის მეოთხე პოსტულატი: როდესაც სტრუქტურულად მსგავსი მოვლენები ლაგდება მცირე არეს შუა ან ახლოს, მაშინ ეს მოვლენები მიზეზობრივ ხაზს ეკუთვნიან, რომელთაც სათავე აქვთ შუაში არსებული იმავე სტრუქტურის მოვლენებში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რასელის ცნება „სტრუქტურა“ ბევრად მნიშვნელოვანი ცნებაა, მთელი სინამდვილის ყველა საგანი გარკვეული სტრუქტურისაა. ერთნაირი სტრუქტურის საგნებს ერთი წყარო აქვთ, ამიტომ სტრუქტურის ცნების შეტანა მოვლენათა მიზეზობრივ ახსნაში საღი აზრის შემცველია. ყოველი საგანი მეორეს მსგავსია ან იგივეობრივი ან ერთმანეთის საწინააღმდეგოა. მეცნიერება, საბოლოო ანგარიშით, სწავლობს საგნების წყობას, ხოლო მიზეზები ამ წყობის ამხსნელია.

ამ პოსტულატს შეიძლება ეწოდოს სტრუქტურული მიზეზობრიობის პოსტულატი.

ცნობილია, რომ ქართველი და ბასკი ხალხების ცხოვრება, რომლებიც ადგილის მიხედვით ერთმანეთისაგან დაშორებული არიან, ძირითადში ერთნაირი სტრუქტურისაა, ამას ერთვის ენობრივი და ხელოვნების მიხედვით არსებული მსგავსება. ეს გარემოება მეცნიერებს აიძულებს ივარაუდონ საერთო მიზეზები, რომლებიც ამ ორი ხალხის ცხოვრების ერთნაირობის განმსაზღვრელია.

სტრუქტურული მიზეზობრიობა მიუთითებს, რომ მიზეზსა და შედეგს შორის სტრუქტურული იგივეობაა. ორი ცოცხალი არსების სტრუქტურული იგივეობა განსაზღვრულია მათი მშობლების ერთნაირი გენებით. ეს პოსტულატი მოითხოვს მიზეზების გამოკვლევის აუცილებელ მოთხოვნას, მაგრამ მისგან ანალიზურად მიზეზები არ გამოიყვანება მიზეზი არც შედეგის ფაქტის აღიარებიდან გამოდის, ამისათვის საჭიროა დიდი გამოკვლევა, რომ იგი დადასტურდეს. შედეგის მიზეზი უშუალოდ რომ იყოს მოცემული, როგორც ფულის გვერდზე მისი რაოდენობა, მაშინ მიზეზების გამოკვლევა წმინდა დედუქციური მეთოდით

განხორციელდებოდა, რაც თავის მხრივ, აქსიომური დაფუძნების საფუძველი გახდებოდა.

რასელი მეხუთე პოსტულატს უწოდებს ანალოგიის პოსტულატს. ეს პოსტულატი მოვლენებს შორის მიზეზობრივ კავშირს გულისხმობს, იგი ასე გამოითქმება: ვთქვათ მოცემულია ორი A და B მოვლენა, ისე რომ ერთი მეორეს გულისხმობს ან თუ ერთია მეორეც არის, მაშინ ამის საფუძველზე თუ დაკვირვებაში ერთი გვეძლევა, უფლება გვაქვს მეორის არსებობაზე დავასკვნათ, თუმცა ის დაკვირვებაში ამჟამად მოცემული არაა.

რასელს ასეთი მაგალითი მოაქვს: ბუჩქის იქით ძაღლი კურდღელს უეფით მისდევს, ძაღლი აღარ ჩანს, მისი უეფა კი ისმის: ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძაღლი ბუჩქებშია დამალული. თუ ძაღლის უეფა ისმის, მაშინ ძაღლი სადღაც არის დამალული. რასელს სხვა მაგალითიც მოაქვს: თუ სხეულს ვხედავთ და ვეხებით, გვექნება სიმკვრივის შეგრძნება, თუ შემდეგ სხეულს ვხედავთ და აღარ ვეხებით, დანახვას სიმკვრივის შეგრძნება მოსდევს. ეს პოსტულატი მოვლენების ისეთ კავშირზე მიუთითებს, რომლის მიხედვით თუ ერთია, მეორეც აუცილებლად არის, თუმცა მხოლოდ ერთია მოცემული. მოვლენების ეს კავშირი შეიძლება მიზეზობრივიც იყოს და არამიზეზობრივიც. მთავარი ის არის, რომ თუ ერთია, მეორეც არის. თუ ვხედავ ჩემი მეგობრის სურათს, მისი ცხოვრება გამახსენდება. უფრო სწორი იქნება, თუ ამ პოსტულატს თანხლების პოსტულატს ვუწოდებთ, რადგან აქ მოვლენების აუცილებელ კავშირზეა ლაპარაკი.

თუ ერთ მოვლენას მეორე ახლავს თან და მოცემულია ერთი, აქედან მეორეზე გავაკეთებთ დასკვნას. მაგალითად, თუ ვაზროვნებ, ვარსებობ. ამ ორი მოვლენის კავშირზე დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა თანხლების პოსტულატი. ეს იგივე არ არის, რაც მილის თანხლების ცვლილებების მეთოდი, რადგან მილის მეთოდში რაღაცის ცვლილებას რაღაცის ცვლილება მოსდევს და ვასკვნით მათ ურთიერთმიზეზობრიობაზე. აქ ლაპარაკია მუდმივ კავშირზე, როცა ორი ერთმანეთის თანმხლებია, სულერთია მიზეზობრივია თუ არამიზეზობრივი. მოვლენებს შორის არის თანხლება დადებითი ნიშნის მიხედვით, როცა ერთია, მეორეც არის. მაგრამ თანხლება არის უარყოფითი ნიშნის მიხედვითაც, როცა პირველია, მეორე არის უარყოფითი და როცა მეორეა, პირველია უარყოფითი. ასე მაგალითად, თუ ცნობილია ნაწილაკის სიჩქარე, მისი მდებარეობა უცნობია, ხოლო თუ ცნობილია მდებარეობა, მისი სიჩქარეა უცნობი, პირველი ვითარება ლოგიკურ ენაზე ასე გამოითქმება: $A \rightarrow B$ ხოლო მეორე: $A \rightarrow \bar{B}$ და $\bar{A} \rightarrow B$. ამავეში მოთავსდება დირაკის დებულების შინაარსი, რომლის მიხედვით თუ

დადებითი ნაწილაკია, უნდა იყოს, აგრეთვე, უარყოფითი ნაწილაკი. მაშასადამე, რასელის ჰუთი პოსტულატი შეიძლება დაყვანილი იქნეს სამზე. რასელის მეორე პოსტულატი მიზეზობრიობისაა, მაგრამ რადგან იქ დასკვნის გაკეთება იმ რიგზე ხდება, რაც მოცემული არ არის, ამიტომ მას შეიძლება მიზეზობრიობისა და ნიშნის განზოგადების პოსტულატი ეწოდოს. ეს პოსტულატი აუცილებელია საბუნებისმეტყველო მოვლენების შემეცნებისათვის. როცა მოცემულია მოვლენათა რიგი, რომელიც უწყვეტია ერთი რაიმე ნიშნით, მაშინ ამ ნიშანს ვავრცელებთ იმ რიგზე, რომელიც მოცემული არაა. რასელის მეორე პოსტულატი იქნება პირველი პოსტულატი.

რასელის პირველი პოსტულატის აზრი მოცემულია მეხუთეში. რადგან პირველშიც და მეხუთეშიც აღიარებულია ხდომილობიდან ხდომილობაზე გადასვლა, ხოლო მესამის შინაარსი მეოთხე პოსტულატშია, რამდენადაც მესამე არსებითად გამოხატავს სტრუქტურულ მიზეზობრივ დამოკიდებულებას.

მეორე იქნება სტრუქტურული მიზეზობრიობის პოსტულატი, რომელიც შეიძლება ასე იქნეს წარმოდგენილი: თუ ორი მოვლენა ერთდროულად ან სხვადასხვა დროს ერთ ან სხვადასხვა ადგილას ხდება, რომელთაც ერთნაირი სტრუქტურა აქვთ, მაშინ ისინი ან ერთმანეთისაგან არიან წარმოშობილნი, ან მათი კავშირი რაიმეთია გაშუალებული და საერთო მიზეზი აქვთ. თუ ამ სტრუქტურულ მოვლენებს რაიმე განსხვავება აქვთ, ის შედეგია დამატებითი მიზეზებისა, რომლებიც ამ განსხვავებას განსაზღვრავენ.

მესამე პოსტულატი ასეთი სახისაა: თუ ორი მოვლენა ხდება ისე, რომ როცა ერთია, მეორეც არის და თუ ერთი მათგანი გვაქვს მოცემული, მეორეც იქნება, ამას როგორც ითქვა, შეიძლება თანხლების პოსტულატი ეწოდოს.

პოსტულატების დადგენის შესახებ სამი თვალსაზრისია გავრცელებული. პირველი თვალსაზრისით ისინი აპრიორული არიან და შეძენების დაწყებას წინ უსწრებენ. ეს თვალსაზრისი კანტს ეკუთვნის. მეორეს მიხედვით პოსტულატები შეთანხმების შედეგია და შემეცნებისაგანაა დადგენილი. ამ შეხედულებას კონვენციონალიზმი ეწოდება. მესამით პოსტულატები ცდის საშუალებით არის მიღებული. ეს შეხედულება ემპირიზმთან არის დაკავშირებული.

მეცნიერების განვითარებამ დაადასტურა აპრიორიზმის თვალსაზრისის უსაფუძვლობა და პოსტულატების გაგებაში ცვლილება შეიტანა. დღეს კონვენციონალისტურ გაგებას დიდი ადგილი უკავია, ამიტომ აუცილებელია მისი განხილვა ემპირიზმთან დაპირისპირებით.

საერთოდ, შეთანხმებას საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი

უკავია. მრავალი საზოგადოებრივი მოვლენა შეთანხმებითაა წარმოშობილი. შეთანხმებას ადგილი აქვს მეცნიერებაშიც, მაგრამ კონვენციონალიზმი ამ შეთანხმებას ფართო ადგილს უთმობს და მეცნიერების აგებაში მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

კონვენციონალიზმის მიხედვით ცდის საფუძველზე დებულების დადგენა სიძნელეებს ბადებს, ხოლო კონვენციონალისტური გაგება თითქოს ამ სიძნელეებიდან გვათავისუფლებს; სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ცდის საფუძველზე მიღებული დებულება ანტინომიაში ექცევა. თუ გვინდა რაიმე კანონის დადგენა, ამისათვის საჭიროა გაზომვა, ხოლო გაზომვის დადგენისათვის საჭიროა კანონი. ეს სიძნელე კონვენციონალიზმის მიხედვით მოიხსნება მხოლოდ მაშინ, თუ დებულების დადგენაში შეთანხმებიდან გამოვალთ. რაკი დებულება დადგინდა, ის ანტინომიის შემცველი აღარ იქნება.

მეორე სიძნელე, რომელიც კონვენციონალიზმით აიხსნება, ის არის, რომ ემპირიზმის ნიადაგზე მიღებული დებულება საყოველთაობას ვერ ფლობს, მაშინ როდესაც ამის გარეშე მეცნიერული დებულება არ იარსებებს. კონვენციონალიზმის ეს თვალსაზრისი უნდა იქნეს უარყოფილი. კონვენციონალისტური თვალსაზრისი სიძნელეებისაგან ვერ გვათავისუფლებს, რადგან თუ რაიმე დებულების მიღებაში შევთანხმდებით, მაშინ ამ შეთანხმებას საფუძველი დასჭირდება. დებულება, რომელიც მეცნიერულ მოთხოვნებს არ დაემორჩილება, მეცნიერების ამგებ დებულებად არ გამოდგება. ეს საფუძველი რაიმე დებულებით უნდა გამოითქვას, რომელიც თავის მხრივ ისევ დებულებას საჭიროებს და ასე უსასრულოდ. თუ ვიტყვით,რომ შეთანხმება პრაქტიკული ხასიათისაა და ამ დებულების დაშვებაში შედეგს ვაღწევთ, მეცნიერებაში შედეგი ჭეშმარიტებაა და ის არ შეიძლება ისეთი რამისაგან იქნეს მიღებული, რაც ჭეშმარიტება არ არის. თუ ისეთ დებულებას დაეუშვებთ, რაც ჭეშმარიტია, ჩვენი დაშვება ჭეშმარიტებით იქნება განსაზღვრული და ის დაშვებაც არ იქნება. რაც შეეხება კონვენციონალიზმის დებულებას, რომ საყოველთაობა ცდით არ მიიღწევა და შეთანხმების გზით უნდა დადგინდეს, ამის შესახებ უნდა ითქვას: შეთანხმებით მიღებულ დებულებას თავისი საწინააღმდეგო ფაქტის შეცლა არ შეუძლია, ხოლო ასეთი ფაქტის არსებობა ამ დებულების საყოველთაობას არღვევს. თუ შეთანხმებით მიღებული დებულების საწინააღმდეგო ფაქტი არ აღმოჩნდა და ეს დებულება ცდაში ყველა მოცემული ფაქტის ამხსნელია, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ დებულება ჭეშმარიტია, ის ცდით დადასტურებულია, ამიტომ შეთანხმებაზე მითითება ამ დებულების ბუნების ახსნისათვის ზედმეტია. ცდით დადასტურებული დებულება, ჭეშმარიტია და შეთანხმება მის მიმართ გამოუყენებელია.

პოსტულატი, როგორც ზოგადი დებულება, ჭეშმარიტი უნდა იყოს, რათა მან ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანოს. ჭეშმარიტი დებულება საგანთა ვითარების გამომთქმელია, ხოლო შეთანხმებით მიღებული დებულება იმის გამო, რომ მასზე შევთანხმდით, ჭეშმარიტად ვერ იქცევა.

მაშასადამე, პოსტულატების მიღების ერთადერთი გზაა ცდის თვალსაზრისზე დადგომა. აინშტაინის პოსტულატი სინათლის სიჩქარის მუდმივობის შესახებ მაიკელსონის ცდებითაა დადგენილი და მას ცდისეული ხასიათი აქვს. შემეცნება წარმოადგენს განვითარებას, მისი ფარგალი თანდათან ფართოვდება, მასში ისეთი მოვლენები შემოდიან, რომლებიც ჰამდე უცნობი იყო. ეს არის შემეცნების ბუნებრივ-ისტორიული მდგომარეობა, რომლის სხვავარად შეცვლა მას არ შეუძლია. საგნებსა და მის კანონზომიერებაზე იმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რაც ამ საგნებზე ვიცით. მათზე ცოდნის აგებისას რომ ის იყოს განმსაზღვრელი, რაც არ ვიცით, ეს, ჯერ ერთი, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან რაც არ ვიცით, ის ცოდნა არ არის და ცოდნის განმსაზღვრელი ვერ იქნება; მეორე, ასეთ პირობებში შემეცნებას უნდა დაეცადა მთელი უსასრულობისათვის, რაც შემეცნების ფაქტს გააუქმებდა. ამიტომ, აქედან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ზოგად საყოველთაობა გავიგოთ არა მხოლოდ როგორც საგნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი, არამედ, აგრეთვე, როგორც შემეცნების განვითარების მხარე, რომელიც საგანთა კანონზომიერებას მოცემულობის ფარგლებში ასახავს. ამ არეში შემუშავებული ზოგადი საყოველთაოა, თუ ცდაში არ მოიპოვება მისი საწინააღმდეგო ფაქტი. ყველა მოვლენა მიზეზობრივ კავშირშია, ყველა მოვლენა მოძრაობაშია—ეს დებულებები მიღებული გვაქვს იმ მოვლენებზე დაკვირვებით, რაც ცდაში გვაქვს მოცემული და ვაძლევთ საყოველთაობას, რადგან ცდაში მისი საწინააღმდეგო არ შეგვხვედრია. ამ დებულების არე რომ შევზღუდოთ, საფუძველი უნდა გვქონდეს. საფუძვლად იმას ვერ ავიღებთ, რაც მოცემული არა გვაქვს, ამიტომ არავითარი გნოსეოლოგიური საფუძველი არა გვაქვს, რომ ეს დებულებები საყოველთაოდ არ ჩავთვალოთ. ცდა ბევრ რამეში განსაზღვრავს შემეცნებას და შეთანხმებას არავითარი ადგილი არა აქვს.

საგნები არის მძიმე, განფენილობის, ისინი მოძრაობენ, იზრდებიან, მცირდებიან. ეს განსხვავება უშუალოდ გვეძლევა და შეთანხმების მონაწილეობა გამორიცხულია. უაზრობაა გრძელი საგნის სიმძიმის ერთეულით გაზომვა. ინტუიცია გვკარნახობს, რომ სიგრძე სიგრძის ერთეულით უნდა გაიზომოს. როცა საკითხი საზომი ერთეულების დადგენას ეხება, მაშინ შეთანხმების აუცილებლობა უდავოა. საზომი ერთეული ჩვენი დადგენილია, გასაზომი კი ჩვენს გარეშეა, აქედან თითქოს გამოდის, რომ გასაზომი საგანი თავისთავადობას კარგავს, რაკი ის იმ საზომ-

ში უნდა მოექცეს, რომელიც ადამიანის დადგენილია. ეს ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. საზომი ჩვენია იმ აზრით, რომ ის ჩვენ დავადგინეთ. მაგრამ ჩვენი არ არის, რადგან ის იმ გვარისაა, რაც გასაზომი საგანია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საგანი იზომება თავისი თავით. ეს შეიძლება ითქვას ყველა სახის საზომზე. თვით საათიც კი, როგორც დროს საზომი, დროის ბუნებისაა, რადგან დროს წყვეტილობას შეესაბამება საათის მოძრაობის წყვეტადობა.

ავიღოთ მიზიდულობის კანონი, რომელიც გაზომვაზეა დამოკიდებული $\gamma = \frac{mm}{R_2}$, თუ ცდამ დამოკიდებულება გაამართლა, მაშინ ეს დებულება მცდარია. ამ დებულების სინამდვილესთან შეთანხმების საფუძველია გაზომვა.

§ 11. ცდისეული მეცნიერების აქსიომურობა

არაცდისეული მეცნიერების გააქსიომებასთან ერთად ხდება ცდისეული მეცნიერების გააქსიომება. 1957 წ. 26 დეკემბერს კალიფორნიის უნივერსიტეტში მოეწყო სიმპოზიუმი, რომელიც 1958 წლის 4 იანვრამდე გაგრძელდა. სიმპოზიუმზე განხილული იყო ცდისეული მეცნიერების აქსიომურობის საკითხები.

მეცნიერების აქსიომურობა ნიშნავს მის ფორმალიზაციას, რომელიც საგნებისა და მიმართების აღმნიშვნელი ნიშნების ლოგიკურ მიმართებას წარმოადგენს. ამიტომ, მეცნიერების ფორმალიზაცია და მისი აქსიომურობა, ლოგიზაცია ერთი და იგივეა. ნიშნებში აზრია მოცემული, რამდენადაც ის საგნისა და მისი მიმართების გამომთქმელია. ცხადია, ეს ნიშნები გულისხმობენ არა რომელიმე სახელდებულ საგანს და მის მიმართებას, არამედ, საერთოდ, საგანსა და მიმართებას, რომელიც ამა თუ იმ გვარს მიეკუთვნება.

არათუ შესაძლებელია ცდისეული მეცნიერების აქსიომურობა, არამედ ის უკვე სინამდვილეა. ფიზიკის, კოსმოლოგიის, გენეტიკის აქსიომურობა ოცნება კი არაა, არამედ სინამდვილეა. ისმის საკითხი, რა საფუძველს ემყარება მათი აქსიომურობა? სინამდვილეში საგნებსა და მათ მიმართებებს ახასიათებს თავისებურება: ზოგი პირველადია, ხოლო ზოგი მათგანი არის განსაზღვრული და მათგან წარმოიშობა. ამ უძირითადესი მხარეებისა და მიმართებების მსჯელობით გამოთქმა ღებულობს აქსიომის სახეს.

გასაგებია, მეცნიერების აქსიომურობისათვის საჭიროა, რომ ეს მიმართებები მყარი და ზოგადი იყოს. რაიმე ყოველთვის უნდა ხდებოდეს ან სიზუსტით, ან ალბათობით. აქსიომაში საგნის ის მხარე არ შე-

დის, რომელიც განუმეორებელია, რასაც ზოგადობის სახე არა აქვს. ცდისეულ სინამდვილეში მყარი და ზოგადი მიმართებები რომ არ იყოს, მაშინ არათუ მისი აქსიომურობა იქნებოდა შეუძლებელი, არამედ თვით ის, როგორც მეცნიერება, არ იარსებებდა. მეცნიერების საგნის ზოგადობა მისი აქსიომურობის საფუძველია.

ცდისეული მეცნიერების აქსიომურობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამით მეცნიერება ზუსტი და ლოგიკური ხდება, ზუსტი დასაბუთების სახეს ღებულობს.

ცდისეული მეცნიერების აქსიომურობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ეს მეცნიერება შედარებით მყარ მდგომარეობაშია, თუ ცდის საფუძველზე დადგენილია ჰეშმარიტ დებულებათა გაბმული ქსელი, თუ ცდით დადასტურებულია მისი დებულების ჰეშმარიტება და ცდა მის საწინააღმდეგოს არ გვიჩვენებს. ატომური ფიზიკის აქსიომურობა რომ რეზერფორდის დროს მომხდარიყო, მაშინ ის მალე დაინგრეოდა. რეზერფორდის ატომის მოდელი არ აღმოჩნდა ზუსტი, ის ნილს ბორმა შეასწორა და გააუმჯობესა. ამ საფეხურზე მისი გააქსიომურობა ცალკეული ატომიური მოვლენების ჰეშმარიტი ამხსნელი არ იქნებოდა. მაშასადამე, თუ მეცნიერების დებულებებს ცდა ადასტურებს, მაშინ დებულებათა ქსელს შეიძლება აქსიომური სახე მიეცეს.

რასაკვირველია, ცდისეული სინამდვილე უსასრულოდ გრძელდება და ცდის უსასრულო რიგს შეიცავს, ამიტომ ყოველთვისაა შესაძლებელი მოცემულ ცდაში დადასტურებული დებულებების შეცვლა და თვით აქსიომათა ქსელში ცვლილებების შეტანა. როგორც გოდელმა დაამტკიცა, შეუძლებელია არითმეტიკის სრული აქსიომურობა, რადგან ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი რიცხვი, რომელიც მოცემული აქსიომებით არ მტკიცდება. ეს გარემოება უფრო მეტადაა მოცემული ცდისეულ მეცნიერებაში. აქსიომათა ქსელი ცდისეულ მეცნიერებაში ცალკეულ სინამდვილეს მხოლოდ ნაწილობრივ, დაახლოებით გამოხატავს.

ცდისეული და არაცდისეული მეცნიერების აქსიომური აგების საფუძვლები ერთი და იგივეა. აქსიომები ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ, ერთმანეთისაგან ლოგიკურად არ უნდა გამომდინარეობდნენ და სრული უნდა იყვნენ. ამ მხარეზე მიუთითებს კ. პოპერი „გამოკვლევის ლოგიკაში", თუმცა მას ისეთი მითითება აქვს, რომლის მიხედვით ამ ორი დარგის მეცნიერებას შორის განსხვავება არ ჩანს, პოპერის აზრით ეს აქსიომები შეთანხმების გზითაა მიღებული. ცდისეული მეცნიერების აქსიომები ცდისეულ სინამდვილეს ითვალისწინებენ, მის საფუძველზეა აღმოცენებული. ასე რომ არ იყოს, მაშინ ცდისეული მეცნიერების ცვლილებას თავისთავადი საფუძველი არ ექნებოდა, აქსიომათა ქსელში ცვლილების მიმდინარეობა აუხსნელი იქნე-

ბოდა, თუმცა ცდისეული მეცნიერება აქსიომურ სახეს იღებს, მაგრამ ის მაინც ალბათურ ნიშანს ინარჩუნებს. აქსიომურობა მოცემული ცოდნის შიგნით არსებულ ცნებათა ურთიერთობის ლოგიკურობაშია, რომელსაც ძალა მანამ ექნება, სანამ ის ცდისეულ სინამდვილეს შეესაბამება, ხოლო როცა შეუსაბამო აღმოჩნდება, ის თავის ძალას დაკარგავს, და მისი გარდაქმნაა საჭირო. ეს სინამდვილის ახალი არეს აღმოჩენითაა განსაზღვრული. საერთოდ, ის აზრი, რომ აქსიომურ მეთოდს ახლის აღმოჩენისაკენ მივყავართ, მცდარად უნდა ჩაითვალოს. თუ ვიტყვით, რომ ახალი შესაძლებლობის სახითაა პრინციპში მოცემული, შეშმარიტი არ არის, რადგან სწორედ ამის გამო ის ახალი არ არის თუნდაც რომ პრინციპის კონკრეტიზაცია მოვახდინოთ, ახალი მაინც ლოგიკურად იქნება გამოყვანილი. პრინციპი მოცემულია როგორც ლოგიკური გამომდინარეობის საწყისი და დამატებითი ნიშნის მიმატებით ის ისევ ლოგიკური იქნება. დასაბუთების აზრი იმაშია, რომ რაც მასშია, ის ნათელი გახადოს. ახალი პრინციპის აღმოჩენაა.

ცდისეულ მეცნიერებაში განასხვავებენ[8] ანალიზურ და სინთეზურ აღმოჩენებს. ამ საკითხს ეხება მაქს ბორნი, მისი აზრით, ანალიზური განჭვრეტა ემყარება მტკიცედ დადგენილ თეორიას. მაგალითად, ლევერიესა და ადამსის მიერ ნეპტუნის აღმოჩენა ანალიზურია, რადგან ის მტკიცედ დადგენილ თეორიას ემყარებოდა, ხოლო აინშტაინის მიერ სინათლის სხივის გადახრის განჭვრეტა, რომელიც მისი ზოგადი ფარდობითობის თეორიიდან გამოდიოდა. სინთეზურია. ნამდვილად ამ ორ აღმოჩენას შორის ლოგიკური განსხვავება არ არის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველისათვის უკვე არსებობს მათემატიკური თეორია, რომლის გამოყენებით განიჭვრიტება ნეპტუნის არსებობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი თეორია ახლად იქმნება და ახლად შექმნილი თეორიიდან ასეთი დასკვნა მიიღება. აქ სინთეზურობა იმაშია, რომ თეორიაა ახალი, რომელიც აქამდე არ ყოფილა. შედეგის მიღების თვალსაზრისით ორივე აღმოჩენა ერთნაირია, რადგან ორივე გვაძლევს იმ შედეგებს, რომლებიც აქამდე კაცობრიობამ არ იცოდა. საკითხი ეხება ცნების თვალსაზრისით ახალი შედეგის მიღებას. ამ აზრით ისეთი არაფერი არ არის, რომელიც წანამძღვრებში არ იყოს. ცნება და საგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ცნება ლოგიკურად გამოდის დებულებისაგან და მის მიმართ ახალი არ არის. მაგრამ საგნის შიხედვით ის ახალია, რადგან ასეთი საგანი, რომელიც გამოყვანილ ცნებაშია, ამიერიდან საძებარია.

ცნება, როგორც ლოგიკურად დასაბუთებული, მიუთითებს მისი

---

[8] Макс Борн, Физика в жизни моего поколения, 1963, გვ. 143.

შესაბამისი საგნის არსებობის შესახებ, მაგრამ ასეთი საგანი ჯერ ცდისეულად ნახული არ არის. ცნებიდან საჭიროა საგანზე გადასვლა. თუ საგანი ნახული არ იქნება, ლოგიკური გამომდინარეობა უშინაარსო ხდება.

ცნების მიხედვით ჯერ აღმოაჩინეს ნეპტუნი, რომელიც მოცემულ დებულებებში იგულისხმებოდა, ხოლო როდესაც ის ცდის გზით აღმოაჩინეს, ნახეს არა მისი ცნება, არამედ თვით საგანი, რაზედაც ცნება იყო მიმართული.

საგნის ცნება პრინციპის ანალიზური მხარეა. მეცნიერებისა და აზრის განვითარება ახალი პრინციპის წამოყენებაში მდგომარეობს. როდესაც დირაკმა ქვანტური ფიზიკისა და ფარდობითობის თეორიის შეერთების აზრი წამოაყენა, აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა ახალი შედეგები, კერძოდ, რომ ელექტრონი უარყოფითიც არის და დადებითაც. ჩვეულებრივად, ფარდობითობის თეორიაში ენერგია უდრის სხეულის მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატის ნამრავლს $E=C^2m$. თუ სხეულის სიჩქარეს სინათლის სიჩქარეს მივუახლოვებთ, მაშინ ენერგია გამოიხატება კვადრატით $E^2=C^2P^2+m_0^2C^4$, თუ ახლა ამის კვადრატულ ფესვს ამოვიღებთ, $E=\pm\sqrt{c^2p^2+m_0^2c^4}$, მაშასადამე, აქედან ლოგიკურად ვღებულობთ, რომ ელექტრონს აქვს დადებითი და უარყოფითი ნიშანი.

თუ არის უარყოფითი ელექტრონი, უნდა იყოს, აგრეთვე, დადებითი ელექტრონი. დირაკი ლოგიკურ აუცილებლობით მივიდა დადებითი ელექტრონის არსებობამდე, რაც აუცილებლობით განსაზღვრა ახალმა პრინციპმა. ამის საგნობრივ ცდისეულ გადაწყვეტას დიდი დრო მოუნდა. პოზიტრონი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა ორმა მეცნიერმა — კუნცემ და ანდერსონმა, რომელთაც ის პირველად პროტონი ეგონათ, მაგრამ როცა შენიშნეს, რომ მათ ერთი და იგივე მასა აქვთ, ხოლო ნიშნით განსხვავდებიან, დაადგინეს, რომ ის პოზიტრონი ანუ დადებითი ელექტრონია.

ცდისეული მეცნიერების აგებაში მთავარია ძირითადი დებულებები, რომელთა მიღება არ ემორჩილება ლოგიკური გამომდინარეობის კანონს. მათი მიღების წყაროა ცდისა და დაკვირვების ნიადაგზე წარმოშობილი ინტუიცია, რომელიც რომელიმე დებულებას დაადგენს და მისგან გარკვეულ დასკვნებს გამოიტანს.

როგორც წმინდა ლოგიკური ფორმიდან არაფერი არ გამოიყვანება, თუ მასში რაიმე გარკვეული შინაარსი არ მოთავსდა, ასევე წმინდა მათემატიკური ცნებიდან არაფერი არ მიიღება, თუ მას ფიზიკური შინაარსი არ დაერთო. დირაკმა ჯერ დაადგინა სუპერპოზიციის პრინციპი,

როგორც ფიზიკური მოელენების ურთიერთობის შესწავლის ამოსავალი, ხოლო შემდეგ შემოიტანა ვექტორის მათემატიკური ცნება. აღმოჩნდა, რომ სუპერპოზიცია ვექტორის მსგავსია, ამიტომ შეიძლება მისი აღწერა ვექტორით. ვექტორის მათემატიკური ცნებიდან კი არ გამოდის სუპერპოზიცია, როგორც ფიზიკური ცნება, არამედ მის დამოუკიდებლად აღმოჩნდება და შემდეგ მათემატიკურ ჩარჩოებში ექცევა. ფიზიკურ შინაარსს, ამ შემთხვევაში სუპერპოზიციას, ვექტორის მათემატიკური ცნება ემორჩილება.

როგორც დირაკი ამბობს, ფიზიკაში მთავარია მისი ფიზიკური შინაარსი. შინაარსის განვითარება, მის მხარეთა შორის კავშირის დამყარება და მეცნიერების მთლიანობად წარმოდგენა მხოლოდ ფორმითაა შესაძლებელი. ამ ფორმის გარეშე მეცნიერება ცდისეული დებულებების გროვად გადაიქცევა. ყოველი ცალკეული დებულება მოითხოვს სხვა დებულებასთან კავშირს. ამით არსებობს მეცნიერება, როგორც სისტემა.

მეცნიერების აქსიომურობა არ არის ახალი მეცნიერული პრინციპის აღმოჩენის ლოგიკური პირობა. ლობაჩევსკის გეომეტრია არ გამომდინარეობს ევკლიდეს აქსიომათა ქსელიდან. იმისათვის, რომ ლობაჩევსკის გეომეტრია მიღებულიყო, საჭირო იყო ევკლიდეს აქსიომების ფარგლებიდან გამოსვლა და ახალი აქსიომების წამოყენება. აინშტაინმა ახალი ფიზიკა ნიუტონის პრინციპებიდან კი არ გამოიყვანა, არამედ ახალი პოსტულატები წამოაყენა. მაშასადამე, მეცნიერებათა ამოსავალი დებულებები ერთმანეთისაგან არ გამომდინარეობენ.

მეცნიერებაში განვითარება არა მარტო ახალი პრინციპის წამოყენებითაა შესაძლებელი, არამედ იმითაც, რომ აქსიომათა ქსელს ახალი აქსიომა ემატება, მეცნიერება ახალი დებულების წამოყენებით და მისგან ახალი ლოგიკური დასკვნებით მიიღება. აქსიომებზე დაფუძნებულ მტკიცებაში ახალი არაა, რადგან შედეგი მტკიცების დასაწყისშივეა მოცემული. თეორემაშია მოცემული ის, რაც უნდა დამტკიცდეს, და ისიც, რითაც უნდა დამტკიცდეს, დასამტკიცებელი დებულება დასაწყისშია მოცემული, რაც დასაბუთების მიმდინარეობას განსაზღვრავს.

ცდისეულ აქსიომურ მეცნიერებაშიც დასაბუთება დახურულ წრეს წარმოადგენს, ლოგიკური მოძრაობა ისევ ამოსავალს უბრუნდება, ამიტომ ის ისეთს არაფერს არ მოგვცემს, რაც მასში ლოგიკური შესაძლებლობის სახით არ იყოს მოცემული, თუ განყენებელი მეცნიერების აქსიომებზე უშუალოდ ვერ ვიტყვით, რომ ისინი ჭეშმარიტია, რადგან უშუალოდ ცდისეული დებულებები არ არის, ცდისეული დებულებებით არ შენდება და მეცნიერება უშუალოდ ჭეშმარიტ დებულებათა სის-

ტემა არ არის, მისგან განსხვავებით ცდისეული მეცნიერების აქსიომები ჰეშმარიტია მაგალითად, გენეტიკის აქსიომები ufx, რაც აღნიშნავს, რომ თუ გამეტი სხვა გამეტს შეუერთდება, წარმოიშობა x ზიგოტი. ugamz აღნიშნავს, რომ u არის გამეტი, რომელიც z ანუ ცოცხალ არსებაში ვითარდება. dlzxyz აღნიშნავს, რომ x არის ზიგოტი, რომელიც y გარემოს z ცოცხალ არსებაში ვითარდება. ეს ისეთი აქსიომებია, რომლებიც ცდისეული სინამდვილის ზოგად სურათს გამოხატავენ, სხვაგვარად ცდისეული სინამდვილის ამხსნელები ვერ იქნებიან, ვითარებაზე ჰეშმარიტი თეორია არ აშენდება. მეცნიერულ დასაბუთებაში ჰეშმარიტი შედეგების მიღება ჰეშმარიტი წანამძღვრების არსებობითაა განსაზღვრული. მცდარი წანამძღვრებიდან ჰეშმარიტი დებულება მაშინ მიიღება, როცა მათში ჰეშმარიტების მსგავსი არსებობს.

ყველა მეცნიერების აქსიომურობა ერთნაირად არ არის შესაძლებელი. ასე მაგალითად, ისტორიის ყოველი მხარის გააქსიომურობა არ მოხერხდება. ისტორიის მეცნიერება არის ცალკეული განუმეორებელი მოვლენების მიზეზობრივი კავშირების აღწერა. აქსიომურობისათვის კი საჭიროა მოვლენების ურთიერთობის ზოგადი და მუდამ მყოფი მხარის არსებობა.

ისტორიაში ყველაფერი თხრობითი არ არის, რადგან ყველაფერი ცნობილი არ არის. ის, რაც ცნობილი არ არის, ასეთი უნდა გახდეს დასაბუთების საშუალებით, რომელიც ზოგად საფუძვლებს ემყარება. ისტორიაში დასაბუთებულია განუმეორებელი მოვლენების არსებობა. ასე მაგალითად, შოთა რუსთაველის ვინაობა, პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისეს არეოპაგელის ურთიერთობა და სხვა მრავალი. როგორ შეიძლება განუმეორებლის დასაბუთება? განუმეორებლის არსებობა რაღაც ზოგად კანონს ემორჩილება და ამ ზოგადი საფუძვლით უნდა მივიდეთ განუმეორებლის შემეცნებასთან.

ისტორიული მოვლენა დროში ხდება, ამიტომ დროს გამომთქმელ პოსტულატს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მოვლენის შემეცნებისათვის. ისტორიის დროის პოსტულატები შეიძლება ასე გამოითქვას: 1. დროული რიგის პოსტულატი: თუ A მოვლენა არის B მოვლენაზე ადრე ან მისი თანადროულია, ხოლო B მოვლენა C მოვლენაზე ადრეა ან მისი თანადროულია, მაშინ A მოვლენა იქნება C მოვლენაზე ადრე ან მისი თანადროული.

ეს პოსტულატი აგვიხსნის იმ ისტორიული მოვლენების დამოკიდებულებას, რომლებიც ერთიმეორეს ისე მისდევენ, რომ რომელიმე B მოვლენისადმი A მოვლენა ადრეა, ხოლო C მასზე გვიან არის. აქედან ლოგიკურად მივიღებთ დებულებას A და C მოვლენების დროული დამოკიდებულების შესახებ.

თუ წმინდა პაველ ცხოვრობდა პროკლე-პლოტინზე ადრე, ხოლო ისინი ფსევდო დიონისეზე ადრე ცხოვრობდნენ, მაშინ ცხადია, რომ წმინდა პაველ ფსევდო დიონისეზე ადრე ცხოვრობდა.

2. სტრუქტურული მიზეზობრიობის და იგივეობის პოსტულატი: თუ ისტორიაში ცნობილია ორი მწერალი, ხოლო ნაწერები ფორმითა და შინაარსით ერთი და იგივეა, მაშინ ისინი ერთი ავტორისაა და მეორე ზედმეტად შერქმეული სახელია, ან თუ არის ორი ისტორიული მოვლენა, რომლებიც ერთნაირია ან ერთმანეთისაგანაა წარმოშობილი ორივეს საერთო სათავე აქვთ. ამ პოსტულატს ემყარება პროფ. შ. ნუცუბიძის მტკიცება პეტრე იბერის და ფსევდო დიონისეს ნაწერების იგივეობაზე. ბელგიელი მეცნიერი ჰონიგმანი წერს, რომ რაკი ფსევდო დიონისესა და ევნუქის იერარქიები ერთი და იგივეა, ამიტომ მტკიცდება ფსევდო დიონისესა და პეტრე იბერის იგივეობა.

3. ერთდროულობის ნიშნის პოსტულატი: თუ რაიმე მოვლენაა ნახული, რომელსაც ნიშანი აქვს მისი ცნობილი დროისადმი მიკუთვნების შესახებ, მაშინ თვით ეს მოვლენა ამ დროს ეკუთვნის. მაგალითად, ცნობილია, რომ ნიკეის საეკლესიო მსოფლიო კრება შედგა 325 წელს. ამ კრებას ესწრებოდა ბიზვინთის ეპისკოპოსი, მაშასადამე ამ დროს საქართველოში ქრისტიანობა იყო გავრცელებული.

ისტორიული მოვლენებისა და მათი ურთიერთკავშირის შემეცნება ზოგადი დებულების საფუძველზე მიმდინარეობს. მაშასადამე, ისტორიული მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც დასაბუთებას მოითხოვს, შეიძლება აქსიომურად ჩამოყალიბდეს.

ფილოსოფია აზროვნების დარგია, თუმცა პოზიტივისტების აზრით ცოდნის დარგად არ ითვლება, მაგრამ რაკი ის ცნების მსჯელობისა და დასკვნისაგან შედგება, იბადება კითხვა — შეიძლება თუ არა ფილოსოფიის აქსიომურობა?

მეცნიერებაში არსებული აქსიომები ზოგად-საყოველთაოა, თუ მათ მეცნიერი წამოაყენებს და მისცემს ლოგიკურ გამართლებას, მაშინ მას ყველა მიიღებს და მისი საწინააღმდეგოს არსებობა გამორიცხულია. ასე მაგალითად, თუ ევკლიდის სივრცეში წამოყენებულია V პოსტულატი, ამავე სახის სივრცისადმი მისი საწინააღმდეგო პოსტულატის წამოყენება გამორიცხულია. საწინააღმდეგო პოსტულატი მხოლოდ იმ სივრცისადმი იქნება წამოყენებული, რომელსაც მისგან განსხვავებული თვისებები აქვს.

ფილოსოფიას საგნად მთლიანი სინამდვილე აქვს. ფილოსოფიაში სხვადასხვა თვალსაზრისი სწორედ ერთი სინამდვილის შესახებაა და არა სხვადასხვა სინამდვილის. თითოეულ თვალსაზრისს რომ საგნად თავისი განსხვავებული სინამდვილე ჰქონდეს, მაშინ ყოველი თვალსაზრისი

მართალი იქნებოდა. თუ ისინი მას სწორედ გამოხატავდნენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ფილოსოფიის საგანი ერთი სინამდვილეა და არა სხვადასხვა. ფილოსოფიაში ისეთი ამოსავალი დებულებები, რომლებსაც თავისი აუცილებელი ხასიათით ყველა მიიღებს, არ არსებობს, ამიტომ მათ არც შეიძლება აქსიომის სახე მიიღონ.

ფილოსოფიაში ყოველი ამოსავალი დებულება მის განსხვაებულ დებულებას უპირისპირდება. ასე მაგალითად, მატერიისა და სულის თანაარსებობის დებულებას, რომელიც დეკარტეს ფილოსოფიის ამოსავალია, უპირისპირდება მატერიალისტური ფილოსოფიის დებულება სულის მატერიისაგან წარმოშობის შესახებ, ან ობიექტურ-იდეალისტური დებულება იდეისა თუ სულის პირველადობის შესახებ. ერთ რომელიმე დებულებას ყველასათვის აღიარების ძალა არა აქვს, ამიტომ ყოველთვის არსებობს მისი საწინააღმდეგოს წამოყენების შესაძლებლობა. თუმცა ამოსავალი დებულებების მტკიცება ხდება, მაგრამ ეს მტკიცება იმდენად სუსტია, რომ დებულებას ზოგადობის სახეს ვერ ანიჭებს, პარმენიდე ამოდიოდა იქიდან, რომ ყველაფერი არის არსი, ხოლო ჰერაკლიტე კი იქიდან, რომ ყველაფერი არის უწყვეტი ცვლილება, სადაც მყარი არაფერი არ არის.

ფილოსოფიის აქსიომურობა იმიტომ არის შეუძლებელი, რომ მასში აქსიომების დადგენა შეუძლებელია. აქსიომა უნდა იყოს ზოგადი, ყველასაგან აღიარებული, ხოლო ფილოსოფიის ამოსავალი დებულებები ამ ზოგად აღიარებას არ ფლობენ. ფილოსოფიის დებულებები ზოგადია მხოლოდ იმით, რომ ისინი ზოგადის ფორმით გამოითქმებიან, მასში შინაარსიც ზოგადი იგულისხმება, მაგრამ მას იქვე საწინააღმდეგო დებულება უპირისპირდება, რომელიც მის ჭეშმარიტებას უარყოფს.

ფილოსოფიის საგანი მთლიანი სინამდვილეა, რომელიც აზროვნების წინაშე მუდმივი ამოცანის სახით დგას, ამიტომ ფილოსოფიის აქსიომურობა არცაა სასურველი. სინამდვილე უსასრულოს სახითაა აზროვნების წინაშე და თითოეული საწყისი დებულება იმდენად ცალმხრივი იქნება, რომ ის არ გამოდგება მთელი სინამდვილის ამხსნელად, ამიტომ ის ყოველთვის შეიცავს საწინააღმდეგო შესაძლებლობას. საწინააღმდეგო ამოსავალი დებულებების წამოყენება და მათი ურთიერთდაპირისპირება ფილოსოფიური აზრის განვითარების პირობაა.

მართალია, ფილოსოფიის დებულებები არ შეიძლება იყოს აქსიომური, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში ლოგიკა არ არის, რომ მასში დასაბუთებას ადგილი არა აქვს და ის აზრების გროვას წარმოადგენს. ფილოსოფია აზრების ლოგიკური სისტემაა, მასში ხდება აზრების ურთიერთისაგან ლოგიკური გამომდინარეობა, მაგრამ სადაც

შეიძლება იყოს არა ეს გამომდინარეობა, არამედ ამ გამომდინარეობის შინაარსი, რომელიც საგანთა მიმართებას გულისხმობს. თუ მეცნიერება ფუძნდება შედარებით მყარ ამოსავალ დებულებებზე, ფილოსოფია სრულიად თუობით მსჯელობებზეა აგებული, რაც განუწყვეტელი ფილოსოფიური დავის განმსაზღვრელია.

ცდისეული მეცნიერების დებულებები ცდით მოწმდება, ფორმალური მეცნიერებისა კი ლოგიკის კანონების დაცვით. ფილოსოფიური დებულებების უშუალო ცდით შემოწმება კი მათი უეშმარიტების შესახებ არაფერს არ გვეუბნება. ფილოსოფია ამ მიმართებით არც ცდისეულს და არც აქსიომურ მეცნიერებას არ მიეკუთვნება. ეს არის ფილოსოფიის ერთ-ერთი თავისებურება..

Р е з ю м е

1. Вывод логического из модели логического создает логический круг, так как логическое опережает модель и ее понимание должно проходить не на основе модели, а непосредственно через характеристику его признаков.

2. Изъятие предмета из логического лишает науку всякого смысла. Мысль всего направлена на предмет и основа за ее противоречивость заключается не в предмете, а в самой мысли. Если мысль охватывает предмет во всем его многообразии на данной исторической ступени, в этом случае мысль свободна от противоречий. Каждое предложение направлено или на предмет или на само предложение. В последнем случае подтверждается истинность направленности предложения на предмет.

3. Освобождение символов от содержания делает систему символов противоречивой, так как символы разные и равенство возможно лишь при их разности и тождестве содержания. A=B невозможно на основании их бессодержательности, так как A и B различны и тогда мы получим, что A равно не A, и в этом случае не A является B.

4. Законы мышления являются не только собственными законами мышления, но и также законами действительности, поскольку выражают определенность предмета. Эти законы рождаются не в результате познания. Они сопутствуют мышлению, и познание самого начала определяется этими законами, они не являются результатом отображения, так как само отображение осуществляется на основе этих законов. Их не касается априорность и апостериорность. Это относится лишь к науке, так как только

наука может быть априорной либо апостериорной. Законы лишь определяют возможности получения знаний.

5. Логическое доказательство всего невозможно. Когда мы говорим, что все должно быть доказано, само это положение недоказуемо и его принято считать исходным. Оно доказывается доказательством того, на что оно направлено. Мы не можем всю действительность вывести из чего-то, поэтому ее существование нами воспринимается непосредственно. Такого же вида наиболее общие стороны действительности, как пространство, время, причинность и др.

Ссылка на бога и выведение отсюда действительности порождает трудности, так как в этом случае бог, раз допущено его существование, должен подчиняться существованию и, таким образом, существование окажется выше него, поэтому здесь мы получим противоречие: бог не есть бог. К непосредственности мы приходим путем доказательства и поэтому она является результатом снятия посредственности.

6. Выведение предмета из понятия невозможно, поскольку существование вообще является абсолютным, а предмет зарождается и уничтожается в нем. Существование не является признаком строения предмета и поэтому в понятие предмета оно не входит. Если бы оно входило в понятие предмета, тогда понятие должно быть истинным и ложным, что невозможно, так как в этом случае понятие будет противоречивым: одно и то же понятие окажется одновременно как истинным, так и ложным. Понятие «двуногое» в одном суждении «курица двуногое» будет истинным, а во втором «курица не двуногое» будет ложным.

7. Суждение, которое обычно делится на аналитическое и синтетическое ввиду того, что одно расширяет знания, а другое нет, лишено всякого основания, поскольку в так называемом аналитическом суждении его отдельные части одинаковы по значению, однако разны по смыслу и поэтому не отличаются от обычного синтетического суждения.

В обоих случаях что-то объяснимо и оно чем-то объясняется, поэтому суждение должно быть понято, как отношение объяснимого и объясняющего. Различие между ними заключается в том, что установление одного осуществляется логическим методом, а другого опытным путем. Не совсем полностью приемлема мысль о том, что эмпирическое суждение не является всеобщим. Эмпирическое суждение, отрицание которого противоречит строению предметов мира, является всеобщим. Суждение «каждый материальный предмет существует временно», общее и всеобъемлющее, хотя оно выражает эмпирическую действительность.

8. Познание в большинстве случаев опирается на ложные предпосылки и приобретает истинные заключения. Этот вопрос был исследован еще Аристотелем, который при этом опирался

на частично и полностью ошибочные предпосылки, в результате чего он не смог решить вопрос получения истинного заключения. Если бы он исходил не из предпосылок, а из заключенных в них понятий и взаимосвязи друг с другом, тогда этот вопрос решался бы им положительно.

Истинное заключение из ошибочных предпосылок получим в том случае, если существует соответствующий класс предметов крайнего понятия, и при этом логическая связь понятий совпадает с соответствующей связью предметов $(A \rightarrow B) \wedge (B \rightarrow C) \rightarrow (A \rightarrow C)$.

В этом заключении истинное получится из ложного, если в нем есть истинноподобное.

Истинноподобной здесь как раз и является упомянутая зависимость понятий.

9. Б. Рассел установил 5 постулатов естествознания, которые можно довести до 3-х.

Первый можно назвать постулатом обобщения признаков, второй — структурной причинности и третий — постулатом сопутствия. Эти постулаты объясняют явления эмпирической науки. Они отличаются от аксиом тем, что аксиомы на основе логической взаимосвязи дают новый результат, в то время как логическая связь постулатов ничего нам не дает, если отсутствует эмпирический материал, который должен объяснить эти постулаты.

10. Материальная импликация не логический вывод одной части из другой, а с точки зрения истинности доведение одной части до другой.

Если $2 \times 2 = 5$, тогда снег черный.

Эта импликация не является логическим выводом второго положения из первого. $2 \times 2 = 5$ также ошибочно, как и то, что снег черный. Известно, что снег белый, поэтому и 2×2 не равно 5.

11. В истории, подобно естествознанию, действуют следующие постулаты:

I. Постулат временного порядка: если А раньше или одновременно с В, а В раньше или одновременно с С, то тогда А раньше или одновременно с С.

В качестве второго постулата мы можем повторить постулат структурной причинности Б. Рассела, только к нему необходимо добавить тождественность, в результате чего получим постулат структурной причинности и тождества: если существуют два исторических явления одной структуры, то это или одно и то же или в основе их лежит одна и та же причина.

Третий можно назвать постулатом одновременности признаков; если существует явление, признаки которого можно отнести к известному периоду времени, в этом случае это явление принадлежит к этому отрезку времени. Известно, что Все-

мирный церковный собор в Никее состоялся в 325 году, на котором присутствовал Бичвинтский епископ. Отсюда можно сделать вывод, что в этот период в Грузии уже было распространено христианство.

SHUSHANASHWILI L.

EMPIRICAL AND LOGICAL FOUNDATION OF SCIENCE

Summary

Inference of the logical from a logical model results in a logical circle. Since the model is preceded by the logical its comprehension should occur not on the basis of the model, but through an immediate description of its features.

The existence of an object does not derive from a concept, for existence is absolute, whereas an object comes into being and perishes within existence. Existence is not an object-building feature, therefore it does not enter the concept of object. If it entered the concept of object, the concept should be true and false, which is impossible, for the concept would then be contradictory: the same concept would prove to be simultaneously true and false. Thus, the concept «two-footed» in the judgement «the hen is two-footed» is true, whereas in the judgement «the hen is not two-footed» it is erroneous.

Judgements which are usually divided into analytical and synthetical for the reason that the latter broaden knowledge, whereas the former do not, are ungrounded. For in the so-called analytical judgement its parts are the same in meaning but differ in significance. Therefore it does not differ from ordinary synthetic judgement. In either case something is to be explained and there must be something that will explainit Therefore judgements may be understood as relationship between the explanandum and the exlanans, the difference between them being that the former is established by the logical method and the latter by the empirical method.

A true conclusion is obtained from false premises if there exists a class of objects corresponding to the extreme terms and if at the same time the logical relation between these terms coincides with the relation of their corresponding objects $(A \rightarrow B) \wedge (B \rightarrow C) \rightarrow (A \rightarrow B)$. In this conclusion true is deduced from false if in the false premises there is truth-like content It is precisely the said relationship between concepts that is truthlike here.

შინაარსი

წინასიტყვაობის მაგიერ 3

თავი I — მეცნიერების აგებულების ზოგიერთი ლოგიკური საკითხი

1. ლოგიკურის რეალურისაგან განსხვავება 8
2. ლოგიკის კანონები 12
3. კრაფტის თვალსაზრისი ლოგიკის კანონებზე 23
4. ლოგიკური და სიმბოლიზაცია 29
5. ლოგიკური და საგანი 33
6. ინტუიცია და აბსოლუტური დებულებები 41
7. მეცნიერების აქსიომური აგება 50
8. აქსიომა როგორც მეცნიერების ლოგიკური საფუძველი 54
9. მცდარი წანამძღვარებიდან ჭეშმარიტი დასკვნის მიღების საკითხისათვის 64

თავი II — მეცნიერების აგებულების ზოგიერთი გნოსეოლოგიური საკითხი 73

1. ცნება და არსებობა 76
2. კატეგორიების თავისებურება მეცნიერებასა და ესთეტიკაში 76
3. მეცნიერება და განვითარება 86
4. სინამდვილის უზოგადეს მხარეთა ცნებები და მეცნიერული შემეცნება 89
5. შემოწმებადობა 90
6. ცნება და მეცნიერება 95
7. მეცნიერება და მსჯელობის აგებულება 106
8. თეორიული მსჯელობის ჭეშმარიტება 128
9. კანტის პოსტულატები 135
10. ბ. რასელის პოსტულატები 140

Резюме 157

Summary 160